ნიქოზი 1783 – ყოვლის საქართველოს პატრიარხი, მეფის ძე ანტონი ლოცვა-კურთხევას მოგიწერ ბატონო ფავნისშვილებო! მერმე ნიქოზელი რომ არ დამარხეთ თავის ეკლესიაში და რაც რომ ჰქონდა წაიღევით, რაც წავიღიათ ყველა ისევ უკან უნდა მისცეთ... ჩვენ, დიად კარგად ვიცით, რომ თქვენ დიდის გვარისაგან ხართ გამოსულნი – მხარგრძელნი, სანანიდამ ფავნისს მისულნი და ფავნისიდამ მანდ ერედვს გასულნი და დასახლებულნი. და სასაფლაოდ როგორ მოგცემიათ ნიქოზის ეკლესია ან ნიქოზის ეკლესიის ყმათ რა ჰსდებიათ, ან დიდის ლუარსაბ მეფის წიგნი გექნებათ ან იმის მამისა და ან სვიმონ მეფისა; ამის ზევით კი აღარავისი იქნება... (ქსძ, III, გვ. 943).

ნიქოზი 1784 – ღმერთმან... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ... ნიქოზელს იულიოსს... ნიქოზის ეკლესიისათვის მამულის წყალობა გიქნიათ ... და ამაზედ

ოქმი გიბოძებიათ... გლეხკაცებს ოსმალობას უპატრონობით სჭერიათ, ეკლესიას პატრონი არეინ ჰყოლია. როდესაც თქვენ მოგიკითხავთ ეს საქმე, ამილახვარს და დიასამიძეს ხელი აუმართავთ და ეკლესიისათვის დაუნებებიათ... ნიქოზლის სიკვდილის შემდგომად გლეხკაცთ ეს მამულები ისე დაუჭერიათ... (ქსმ, VII, გვ. 613).

ნიქოზი 1785 – იხ. ქემერტი

ნიქოზი 1786 – ... ნიქოზელი ამას ჩიოდა: ეკლესია ... მეფისა არისო და მე ეპისკოპოსად დაუდგენივარო. მამულებისაგან ასრე გაპრცვილიაო, რომ აღარაფერი აღარა აქვსო... ფავლენიანი მიუგებდნენ: ეკლესიაც ჩვენთვის არის ბოძებულიო... ეკლესიის ყმაც ჩვენი შეწირულიაო... [განჩინება]: ის ეკლესია ღმრთის მსახურის მეფისაგან არის აშენებული. და თქვენ [ფავლენიშვილები] ახალი ხანია ქართლში გარდმოსულხართ. თქვენს მოსვლას აქეთ თუ მეფეებისაგან მოგცემიათ ნიქოზის ეკლესია, ნიშანი გვანჩვენეთ... და კიდევ ხვითს რომ ბიჭია დავით ნიქოზლის მეხრე ... ნიქოზელს მიაბარეო... (ქსმ, V, გვ. 325-332).

ნიქოზი 1791 – ღმერთმან ... ხემწიფის ჭირი დავითაშვილს ზაალს მოსცეს... [ზარდიაშვილმა] თავიც წამართვა, ყმა და მამულიცა და კიდევ მკლამს... დაუქინა [ამილახვრის გამოგზავნილ] იასაულს ზარდიაშვილმა: აყარე, საერისთოში გაეიყვანო. არც თქვენი ბძანება იყო, არც იასაული ყაზულობდა – თავისის მამულიდამ როგორ აყვარო, ამ მამულით ზაალს მიბარებიაო... კიდევ არ მოუშვა, ნიქოზში კაცს რას ვაქნემ, საცა მე ვარ, იქ წაიყვანო... (ქსმ, VIII, გვ. 108-109).

ნიქოზი 1792 – იხ. ტბეთი

ნიქოზი 1796 – ღმერთმან ... მეფის ძის იულონის ჭირი ციცისშვილს ... გოგიას მოსცეს... ამ არეულობაში ქალაქს რომ გახლდით, ერთი ჩემი ხაბაზი ... გამოქცეულიყო ... და ნიქოზეზში ერთს ქართველს და ერთს ოსს ის ჩემი ბიჭი კი დაეჭირათ ... [და] წაეყვანათ და ოთხმეტ ხარათ მირზაშვილის სამოურაო ოსეში გაეყიდათ... (ქსმ, VIII, გვ. 363).

ნიქოზი XVIII ს. მიწ. – [სამგორის არხზე მუშაობის ნუსხა]: სათისჭაღლელებს მიეცა სამუშაო თეთრი – 21 მინალთუნი; ნიქოზელს მუშას – ორი მინალთუნი... ქიწნელს მუშას ცხრა აბაზი... რეხელს მუშას ორი მინალთუნი... ახალდაბელ მუშასა ... ოთხი აბაზი... ნაფარეულელს მუშას ექვსი აბაზი... ზურტელს მუშას თვრამეტი შაური... ტირანელს მუშას ერთი მინალთუნი, სობისის მუშას მინალთუნი... ყელქცეულს ორი მინალთუნი... ახალსოფელელს ორ მუშას ოთხი მინალთუნი... ქვემო ნიქოზელს ორი მინალთუნი, ქვარხითიდამ მუშას ორი მინალთუნი, სურამელთ ორ მუშას ოთხი მინალთუნი... ოსიაურელს მუშას ორი მინალთუნი... ხაშურელმა მუშამ... ჩოჩეთიდამ მუშას... საცხენელ ორ მუშას... უფლისციხელს მუშას... მადრანელს მუშას... ფინხოვნელს... კავთისხეველს, ბროწღეთელს მუშას... მერეთიდამ მუშას... აბისელს მუშას... ქვერედამ მუშას... კარბიდამ მუშას – ოთხი მინალთუნი (მსკე, I, გვ. 154-155).

ნიშარაძეულის ნასახლარი. კახეთი

ნიშარაძეულის ნასახლარი 1579 – იხ. მცხეთა

ნიჩბისი // ნიჩფისი // მიჩბისი // აპნიჩბი. შიდა ქართლი

ნიჩბისი IX ს. II ნახ. – იხ. ცხევერი

ნიჩბისი 1073 – იხ. თრიალეთი

ნიჩბისი 1170 – იხ. სხალტბა

ნიჩბისი 1664-1673 – იხ. წყნეთი

ნიჩბისი 1671 – იხ. ყინწვისი

ნიჩბისი 1700 – იხ. წერაქვი

ნიჩბისი 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

ნიჩბისი 1702 ახლოს – სარდლის პაპუნას შვილი ზაად და მისი ძმისწულის, ზაზას შვილი უთრუთ ზემო ციციშვილსა და პაპუნასა და ედიშერს ... სამწყურაძოს მამულს ... შეეცილნენ... ერთმანეთს ამგვარად შეჯერდნენ, რომე მადრაძე და სამყურაძო მამული, ისევე პაპუნასა და ედიშერს დაანებეს და იმათ თავეთის წილის მამულიდამ ნიჩბისს დაუდევს ზაადსა და უთრუთს: მახარა ხიმშიაშვილი, შიო და ივანე, ოხერას დემეტრაშვილის მამული სახასოს მამულიდამ სამის დღის მიწა. კიდე ედიშერის წილიდამ ნიჩბისს ... ერთი საკომლო გოგიჩაური... (ქსძ, VI, გვ. 634).

ნიჩბისი 1703-1724 – [ოქმი ვახტანგ VI-ისა]: ... ჩვენი ბძანება არის საციციანოს მებალახენო, მერმე ნიჩფის სარდლისშვილების ყმანი თარხანია და ... საბალახეს ნუ სთხოვთ (დსსი, I გვ. 125).

ნიჩბისი 1720 ახლო – იხ. თრიალეთი

ნიჩბისი 1753 – იხ. ზიარი

ნიჩბისი 1791 – ზაზა [მაღალაშვილი] ასე ჩიოდა: მამაჩემი ჭარში ლეკებს მოუკლავსთ, მე ერთის წლისა ვერცკი დავრჩომილვარ, ჩემი ყმა და მამული და ეს კაციც ამათ [დავით მაღალაშვილის სახლს] დაუჭერიათ, ჩემი ყმა და მამული დამანებეს ამ კაცს კი არ მანებებდნენ... მაღალაშვილმა მღუდელმა ადამმა ასე იმოწმა: მამუკას ფირან ქალაქს მიყუანდა, ციციანი გადაუდგნენ ნიჩბისს, გამოართვეს... ამათის ლაპარაკის მოსმენით და ამ მოწამეთ მოწმობით დარჩა ეს წინარეხელი ბიძინაშვილი თველორე და მისი ძმისწული ამ მაღალაშვილს ზაზას ყმად... (ქსძ, V, გვ. 531-533).

ნიჩბისი 1792 – იხ. ხაშმი

ნიჩბისი 1799 – იხ. გამოღმა მხარი

ნობარევი. იმერეთი

ნობარევი 1509 – ...მეფეთა მეფემა ალექსანდრე ვიგულებთ... ესე შესაწირავი... დიდისა მონასტრისა გელათისა ... [ხატსა] ხახულისა ღმრთისა მშობელსა შემოვსწირეთ ნობარევი⁹ გაღმა გამოღმა რავახმელასა¹⁰ მარგვე

⁹ ნობარევი (ქრონ, II, გვ. 326-327).

¹⁰ რავარახმელა (ქრონ, II, გვ. 326-327).

ლასწვილები მათითა შესავალითა... პატრონისა მამისა ჩუენისაგან აშენე-
ბული და შემოწირული... (დსსს, I, გვ. 3-4).

ნობი. ქვემო ქართლი

ნობი 1792 – იხ. ბალიჭი

ნოდოკრა // ნოდოტრა. კახეთი

ნოდოკრა XII ს. მიწ. – იხ. რაბზნი

ნოდოკრა 1392 – იხ. ტფილისი

ნოდოკრა 1405 – იხ. ძაგნაკორნა

ნოდოკრა 1447 – იხ. მცხეთა

ნოდოკრა 1503 – იხ. მცხეთა

ნოდოკრა 1532 – იხ. მცხეთა

ნოდოკრა 1579 – იხ. მცხეთა

ნოდოკრა XVIII ს. I მეოთხ. – თვალი

ნოდოკრა 1722 – იხ. სარუსთველო

ნოდარის სათიბი. კახეთი

ნოდარის სათიბი 1712 – იხ. ჭანდრისხევი

ნოზაური ვენახი. შიდა ქართლი

ნოზაური ვენახი 1693 – იხ. შინდარა

ნონეს ქედი. შიდა ქართლი

ნონეს ქედი 1799 – იხ. ურბნისი

ნორაშენი. თბილისი

ნორაშენი 1678 – ... ჩუენ, ნორაშნის ხუცესმან ტერ-მიკირტიჩამ ... შენ ჯუ-
ღელს ისაიას ... მოგყიდე ზარაფხანასთან ციხის კერძო ორის სახლის
აღლაგი... (დთი, I, გვ. 31).

ნორაშენი 1785 – დადაშანთ საფარას შვილისშვილი მენაღარე სანველა
ჩიოდა: პაპის ჩემის საფარას საკუთარი ნასყიდი ნორაშნის უბანში ერთი
ღუქანი არის ... [ამის] სიგელი ხელთ მიჭირამს... სიგელი წავიკითხეთ, ასე
ეწერა: მოგყიდე ბარხუდარაშვილმა აღაზადამ თქვენ, დადაშანთ ოპანა
შვილს საფარას, შვილსა შენსა ოსეფას, ხარაზხანის ბაზრის თავს ნო-
რაშნის საყდრისაკენ რომ ბაზრის შარა ჩაივლის, ხოჯა გულინას და ნა-
ზარას ღუქნის შუა არის, უკან ბატონის ქარვასლის მოკიდებით არის, წი-
ნათ ბაზრის შარა... (ქსძ, V, გვ. 314-316).

ნორაშენი. შიდა ქართლი

ნორაშენი 1685 – იხ. ნაბახტევი

ნორიო // ნორია. კახეთი

ნორიო 1505 – იხ. ოროტა

ნორიო 1722 – იხ. მარტყოფი

ნორიო 1800 – ყოვლად სამღვდელოს რუსთველს სტეფანეს რომ ნორიელნი სახნავს მიწებს ეცილებოდენ, რომელიც ძველთა მეფეთაგან გუჯრით ღმრთაების ეკლესიის შეწირულია ჭოპარტის სოფელნი და მამულები, რუსთველი იმას არ სჯერდება და ჩვენ მამულებს გვართმევსო. ჩვენ, მეფის ძემან იოანე, მდივანბეგი სოლომონ, მარტყოფის მოურავი ზაად ... მარტყოფელნი და ნორიელნი გვერთ ვიახელით, ყოვლად სამღვდელოს რუსთველს სტეფანეს მოუწოდეთ... ეკლესიის გუჯარი მოვსთხოეთ და ჭოპარტის მთაზე ამოვედით... სწერს ღმრთაების ეკლესიას გუჯარში: ღილოს მთაზე რომ საყდარი დგას და სერები მოსდევს და ჭოპარტის წვერს გადმოხედავსო, იმას ზეით ღმრთაების ეკლესიას ანებებს... [განაჩენი]: ჭოპარტის წვერი პირდაპირ ღილოს მთამდის სისწვრივ გადმოსჭრის, იმას ზეითი უცილებლად ღმრთაების ეკლესიას და ქვეითი ნორიელთ... (ქსბ, VI, გვ. 221-222).

ნორიოს ჰევი. კახეთი

ნორიოს ჰევი 1722 – იხ. მარტყოფი

ნოსორნაჲ. კახეთი

ნოსორნაჲ 1031-1033 – იხ. მცხეთა

ნოსტე // ნოსტევი. შიდა ქართლი

ნოსტე XIII ს. მიწ. – ... სოფელი ნოსტე, მიწობლისმეთაგან შემოწირული ... იყო უსაქმოი და საქმეუდებელი. სურამელთა და ჟამთა სიავისაგან უდები დასდებოდა... [ქაქანაშანი] მოვაკსენე ჩემსა ქმარსა მიქელს [ბეგა სურამელის ძეს], და გამოვიღე ჩემითა კელითა ნაქმარი საფასი თეთრი და მოვაკსენე იგი და გამოვიღე ნოსტე ... შეუვალად სურამელთა და მათთა ჩამომავალთათვის კიდა არაი ვის რაი საქმე სდებია ქვათაჯევის ღმრთისმშობლისაგან კიდე... (ქისკ, I, გვ. 194-195).

ნოსტე 1412 (1482) – იხ. კავთისხევი

ნოსტე 1588 – იხ. ერთაწმინდა

ნოსტე 1620 – [განჩინება სვიმინ II-ისა გიორგი სააკაძისა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის სასისხლო საქმეზე]: ... სარჩლა ბატონმა მოურავმან: ... ბატონს დედაჩემს ყოველი კაცი იცნობთ, ფეკშიშველა, შვილითა, მუახლეუბითა, მოსამსახურეებითა ღებთ-იმერით გარდამიგდეს და დამიკარგეს... კიდევ თავსიღვა ქაიხოსრო, რომე: დასტურად მინდორიდამა ნოსტური, ახალშნური. და სომეხთ ნახირი ჩემის ქმნილობით წამოვასხიო. ჩვენ მოკითხული ვქენით; და არც ნოსტის სასახლეს მიჰჯლომოდა და არც სოფლიდამ წამოვსხა, ... მესამეს დღეს წაზღვომოდეს ბატონის მოურავის ყმანი, რაც ამათი პირუტყუი ქაიხოსროს წამოვსხა და ხოვლეს მიესხა, ბატონის მოურავის ყმათ თავისიც წამოასხეს და ქაიხოსროს ყმისაც თან გამოუტანებია... კიდევ ქაიხოსრო ამას ჩიოდა: ... მამიკდეს სასახლეშიო ... და ცოლი და შვილიც ძლივ გარდვახუეწო და ... მესამეს დღეს ვერეს ვიპოეთო... სარჩლა კიდევ ბატონმან მოურავმან: რომე სასაფლაოხედ მამიკდესო, ეს-

ტაწმინდური¹¹ ნახირი წაასხესო... ქაიხოსრო ესტაწმინდს მიჯდომისასა ... ამას უპასუხებდა: ბედნიერი ყაენიც აქ ქართლს იყო ... და არცარას მის საქმეს შუა ვარო... ჩუენ ამისი ასრე გაეაჩინეთ: ... თემის პირიღამა ქაიხოსროს შეკითხულობით მანაგაძესა ორი პირი ცხუარი ბატონის თამარისა წამოესხა, რაც იმ ცხუარს დაჰკლებოდეს, ქაიხოსრო ისრევ შეაქციოს... კიდევუ ბატონი მოურავი ფელის დარბევას ჩიოდა, რომე ჩემი ციხე და სიმაგრე ის იყო და ქაიხოსრო გამიტება და დამირბივაო. ქაიხოსრო ამას უპასუხებდა: გორგაძე ბერუკას ყმა იყო, ფელელთ იმისი ცხენი ემართაო, წავიდა გორგაძე და მისი ცხენი წამოიყუანაო... სარჩლა კიდევუ ბატონმან მოურავემან: ... ხუთი ჩემი მსახური ... დაატყოებინა... ქაიხოსრო ამას უპასუხებდა: ... ავად ვიყავო, არდაშელისშვილს დავეთხოვეო, შინ გამამიშო და კავთისჭვეამდის თან გამამატანაო, კავთისჭვეს მოვასხიო. იმ ღამეს ყუეღანი თავის სახლში მივიდესო. დილას [მოურავის მსახურმა] ჩივაძემ კარგი სადილი მაჭამაო... კიდევუ სარჩლა ბატონმან მოურავემან: ... იმას ასრე ეგონაო, რომე წაუჭდენელს არ გაუშვებდიო, აიყარა და სურამისაკენ წავიდაო; ... ისრევუ დაეაბრუნეუ და ... სრული საციცისშვილო კვლთ ჩაუგდე... ბატონი თეიმურაზ რომ ქართლს ჩამოვიდაო და სურამს იღვაო, მე ... ჩემს მამულში მოველო... წავიდა ქაიხოსრო და ფარსადანთან მივიდაო, რომე მოურავი თავის მამულში ნოსტეს მოსულაო, ლაშქარი მამეცო, წავაღ, თავს დავესხმიო... [სააკაძემ ეს ამბავი რომ შეიტყო] ავდეგა, გაეცალე და ხანდაკს ჩამოველო... სარჩლა ... მოურავემან, რომე: ... ერთი შვილი მეყუნდაო და ლიხთ-იმერით ტყუედ იყო... (ქსმ, IV, გვ. 56-63).

ნოსტე 1654 - იხ. ერთაწმინდა

ნოსტე 1722 - იხ. ერთაწმინდა

ნოსტის ოძისი. შიდა ქართლი

ნოსტის ოძისი. ქართლი 1642 - ჩუენ, მეფეთ-მეფემან ... როსტომ ... წყალობის წიგნი ... გიბოძეთ თქუენ ... ბარათაშვილს ხოსიასა... ნოსტის ოძისი თავად ამაწინათ თქვენის სახლისკაცი ჯავახიშვილის --- და სანახშირედ დადებული გაქონებია და მას უკან კიდევუ ყენის უღურზუდ ციხე აგელო და კაცნი დაგრომია... აწ ამისად სამუქოთ და საჯილდაოდ, რაც ნაძალადევად ბიძათქვენს ქაიხოსროს ... ოძისსა ჰქონდა უღუმბეხაშვილიანად, ესეები ისრევ თქუენ შეგიწყალეთ და გიბოძეთ მითთ ბარამდის, რისაც მქონებელი ოძისი ყოფილიყოს... (ქსის, გვ. 226-227).

ნორტე. შიდა ქართლი

ნორტე XVII ს. - იხ. ციხისძირი

ნოღა. იმერეთი

ნოღა 1644 - იხ. ქუთაისი

ნოღა 1660 ახლო - ჩვენ ... დედოფალთა-დედოფალმან ნესტანდარეჯან და ძემან ჩვენმან მეფემან ბაგრატ ... გეადრეთ ... გენათისა ღთისმშობელ-

¹¹ ერთაწმინდური (სს, II, გვ. 55)

სა... ოდეს ... მეფე ... ალექსანდრე ... გარდაიცვალა ... მისთვის სააღაპოთ ... შემოგწირეთ ... გაენტოსა: ნოდას სასახლე მისის მოჯალაბითა ... მამულითა და სახასოს ალაგებითა... [აგრეთვე] რიონს... სორმონს... ოკრიბას... ნაძვას... დღნორისას... აპორეთს... გურნას... ჯვარისას... (იდ, I, გვ. 32).

ნოხუდენი. სამეგრელო

ნოხუდენი 1470-1474 – იხ. მსხულები

ნოხუდენი 1611-1657 – იხ. ხობი

ნოჯა. კახეთი

ნოჯა 1392 – იხ. ტფილისი

ნოჯა 1579 – იხ. მცხეთა

ნოჯიკეთი // ნოჯიკეუნი // ნოჯიკები. კახეთი

ნოჯიკეთი 1392 – იხ. ტფილისი

ნოჯიკეთი 1532 – იხ. მცხეთა

ნოჯიკეთი 1465 – ... თქუნენ... კათოლიკე მცხეთისა საყდარსა და ... ქართლისა ... კათალიკოსსა მარკოსს, ჩუენ შაბურისძეთა ერისთავმან ვამიყ ... შემოსეწირეთ ... ჩუენი მკუიდრი ... მამული ნოჯიკეუთა ნოჯისთავი, ეკლესია მისითა მიმდგომითა... და რაცა ნოჯიკეუთა ჩუენი სახასო იყო ... ჩუენი მკუიდრი და მოუღვევარი ნოჯიკეუური მამული, გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან... (იხ, II, გვ. 16-18).

ნოჯიკეთი 1579 – იხ. მცხეთა

ნოჯისთავი. კახეთი

ნოჯისთავი 1465 – იხ. ნოჯიკეთი

ნოჯიხევი. სამეგრელო

ნოჯიხევი 1706-1712 – იხ. ნაპარკავი

ნუა. შიდა ქართლი

ნუა 1392 – იხ. ტფილისი

ნუგზარას სოფელი. შიდა ქართლი

ნუგზარას სოფელი 1754 – იხ. დიღომი

ნუკრიანი. კახეთი

ნუკრიანი 1768 – იხ. ჩალაუბანი

ნუკრიანი 1770 – იხ. ჩალაუბანი

ნუკრიანი 1790 – [არზა პაატა თოფჩიბაშისა გიორგი ბატონიშვილისადმი]: ... აიდემურს ნუკრიანში თქვენთვის არზა მოერთმევიანა და მოეხსენებინა, რომ ჩემი მამული თოფჩიბაშის კაცმა წამართვაო... ტყუილად მოგახსენათ... (ქსმ, VIII, გვ. 47).

ნული. შიდა ქართლი

ნული 1451 – იხ. ულუმბა

ნული 1596 – მეფეთ მეფემან სიმეონ ... გიბოძეთ [წყალობის წიგნი] თქუენ, დავითაშვილთა რამაზს და დავითს ასრე რომე, ნული ხერხაულიძეს ში-
ოშს უბოძეთ და ფარვანაც მივეციით. აწ ისრევე თქუენ გიბოძეთ და ამ
ფარვანამ ის ფარვანა გააცუდოს... (ქსის, გვ. 49).

ნული XVII ს. დას. – [ზემო ქართლის აღწერის დავთრის ნაწყვეტი]: ... იქავ
ნულს აყრილი მამული მჭედლიშვილისა... დვერთეთს მსახლობელი კვამლი
ქიტიაშვილი ადუა... თორმანუელს მსახლობელი კაცი კვამლი რიკაძე... თიხ-
რევს სახასო მსახლობელი მჭედლიძე პატა... ქრცხინვალს ხოჯაშვილი ბე-
რა. ბროწლეთს მსახლობელი კვამლი ჯოხაძე... რუის რშამიაშვილი ხუცე-
სი... ფცასა სახასო მსახლობელი კაცი ბოუაძე... აბანოს მსახლობელი კაცი
კვამლი ტაბატაძე... ქინძათს მსახლობელი კვამლი მაზმნი ზურაბა... ტკოცას
მსახლობელი კვამლი ზეინკლიშვილი... სატიევს მსახლობელი კაცი კვამლი
ათანასე გელიაშვილი... კლდისწყაროს მსახლობელი დათუნა ხუცესი... წაბ-
ლუანს მსახლობელი კაცი კვალაძე... (სეიძ, II, გვ. 83-87).

ნული 1634 – იხ. ბროწლეთი

ნული 1680 – ჩუენ ... მეფეთ-მეფემან ... გიორგიმ ... დავითიშვილის დავითი-
სა და სამადანისშვილის სეხნიას სარჩელი ... გავსინჯეთ. დავით ილაპარა-
კა: როდესაც ჩემის სახლის -- წყალობა დამართა და ნული -- მისცემია
ნულელთაო. ამისი ასე გავაჩინეთ, წადგეს ტატიშვილი ნულელეთითა, თუ
ასე შევიცოხს: ოდესაც ნული მომცემოდესო, სამწყალით მომცემოდესო...
(სს, II, გვ. 427).

ნული 1750 – იხ. თორმანუელი

ნული 1750 – ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, დავითიშვილმა გიორგიმა... ვალათ აე-
ლო ჩემ მძას ედიშერს შენ, ლასურისშვილის ბერისაგან სამი თუმანი... ამის
თავდებათ და გირაოთ ნულს მამასახლისი მაზია მოგეცია... (დსსი, I გვ. 352).

ნული 1750 – [წილის ბარათი]: ... ერთწილად ნულს საყვარელიძე გიორგი,
დღეს რისაც მამულის მქონებელი იყო, თავისის მამულით ერგო ბერს...
(მსეი, III, გვ. 161).

ნული 1750 ახლო – [წილის ბარათი]: ... ერთწილად ნულს ერთპირად სუ-
ხიაშვილები თავისის ნაცრისგორითა, დღეს რისაც მამულის მქონებელი
იყოს, ერგო ელიზბარს (მსეი, III, გვ. 162).

ნული XVIII ს. I ნახ. – იხ. ღვერთეთი

ნული 1781 – [არზა ელიზბარ დავითიშვილის ერეკლე II-ისადმი]: ... ჩემი
ბიძეები და მამაჩემი უბატონოდ გაყრილან. ტატისშვილი ბადათარ ნულში
მამაჩემს რგებია... (სს, II, გვ. 494).

ნული 1784 – იხ. ფცა

ნული 1797 – იხ. ფცა

ნული 1799 – იხ. სადავითისშვილო

ნული 1800 – ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი ზაალ დავითისშვილის
ყმის ნულიდამ გლახა ჭავჭავაძესი: ... ჩემი შვილები ყმაწვილი კაცნი გახ-
ლანან... აყრილიყვნენ და წამოსულიყვნენ... მეც ჩემს შვილებს უკან გაე-

ყვე... ახლა ზაად გურამისშვილი ავჭალას თავს არ გვანებებს, რომ წავიდეთ... (ქსმ, VIII, გვ. 623).

ნული XVIII ს. – [ზემო ქართლის სადროშოს ღაშქრის ნუსხა] ნულსა: მაცასშვილი მამუკა, ფარ-ხმლითა... ღვართეის მჭედლისშვილი ბასილა, თოფითა... აბანოს: ქავთარასშვილი დემეტრე, თოფითა. ფცასა: ბოჟაძე, თოფითა... ტკოცას კოკაძე პატა, თოფითა. თორმანუღს: კიტრაძე მამუკა, ფარ-ხმლითა... სურნის: ოთარის ყმა... ძვიმღეთს: ტატიშვილის ოთარის ყმა გოგილაშვილი პაპუნა, შუბით... ქვემო ძვიმღეთის: ქიტანასშვილი მეღია, თოფითა... მერისშვილს: მამულთ, ბარნაბე მღვდელი გაგნიძე, ფარ-ხმლითა... თიხრეგს: მჭედლიძე ნასყიდა, შუბითა (სადრ, 135-136).

ნული XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ნუნისი // ნუნის მონასტერი. იმერეთი

ნუნისი 1711 – იხ. ქვიშხეთი

ნუნისი 1794 – იხ. წიქარაული

ნურკელი. სამეგრელო

ნურკელი 1733 – იხ. ბარისთავი

ნუხი. ჭარ-ბელაქანი (აღმოსავლეთი კახეთი)

ნუხი 1785 – დმერთმან... ხელმწიფის ჭირი არეშიშვილს შავერდას მოსცეს... ჩემი ბიძისა შვილი პაპა ნუხს გახლავს სავაჭროთ... (ქსმ, VII, გვ. 652).

(-)-

ობაუალი. კახეთი

ობაუალი 1785 – ობოლაშვილი ფირო და მათეშვილები ოთარი და მათე ობაუაღში საკნავს მიწაზედ ჩიოდნენ. და მოვიდნენ ჩუენ, ყოვლად სამღუდელოს ბოდბელს დავითთან... (ქსმ, V, გვ. 317).

ობოლიძე // ობლიძე. კახეთი

ობოლიძე 1738 – იხ. ხორხელი

ობლიძე 1770 – იხ. ოჟიო

ობლიანი. ქვემო ქართლი

ობლიანი 1714 – იხ. კოდა

ოდიში // ოდიშის ქვეყანა

ოდიში 1519 – იხ. ბალახვანი

ოდიში 1544-1545 – ... ჩუენ, ... პატრონმან ბაგრატ ... გიბოძეთ სასისხლო სიგელი [კალანდაძე გიორგის]... აფხაზეთისა და ქართლის ქათალიკოზო და ეპისკოპოზონო და ... ქუთათისა ეპისკოპოზონო, ქუთათელო და წინამძღვარნო და ... ოდიშისა ეპისკოპოზონო, მოქველო, ბედიელო, ცაიშელო,

ჭყონდიდელს და სხვანო ეპისკოპოსონო ... ჩუენგან ბოძებული სიგელი თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ და გაუთავეთ. სხვანო კარისა ვეზირნო, ერისთავთ-ერისთავო და სვანთ ერისთაო ... თქვენცა ასრე გაუთავეთ... (სმ, II, 1924, გვ. 36-37).

ოდიში 1659 — ... ჩუენ ... დადიანმან ... ვამეყ ... შემოგწირეთ შენ, ... ბიჭვინტისა ღმრთისშობელსა სენაკს საწინამძღრო საყდარი და სასახლე სრულად მისის მამულითა და ორის სასახლითა ოღუაწკითა და ღვის ტყითა... დაგველაპარაკა ბატონი გენათელ კათალიკოზი ზაქარია ქუარიაინი... სრულად ოდიშს ერთი საყდარი ასეთი არა ქონდა კათალიკოზს, რომე დღესასწაული გარდაეხადა და ხან ერთს ეპისკოპოსს ჩაუდგებოდა შინ და ხან მეორეს... ამისთვის შეგვწირეთ რომე, როდესაც კათალიკოზი ოდიშს მობრძანდებოდეს, ხატსა და ჯუარსა და ომფორს იქ საყდარს დაასვენებდენ... (ქსძ, VI, გვ. 665-666).

ოდიში 1661-1680 ოდეს ბატონი ლევან დადიანი მიიცვალა, მეფე ალექსანდრე ... ოდიშს ჩამოვიდა, ვამეყ ლიპარტიანი გააბატონა... მე, ლევან დადიანის ძმისწულმან ... შამანდავლემ ქართლით წავედი. ქართველმა ბატონმან ... ყაენს შემახუწვწა... დიდის ღაშქრით იმერეთს ჩამოვედით. იმერეთი მეფემან მისთვის დაიჭირა... ოდიშს ჩამოვიდა ... [და] ჩუენ გუბოძა... მოკითხული ვქენით წაჩხურის... გუბოძებია პაპუნა, რატიასათუხს, ხომადღები სადაც დადგეს, ტყაყურს და მორკვლას, ანაკლიას, ხორგას, მდივნობად, მებაჟეობად, ჩწნი სახლის მოღარობად... ჯერ არის ხატის ერდგული და შეწირული მთავარანგელოზისა, და მერმე ჩუენი სახლისა ერდგული არის (სს, II, გვ. 81-83).

ოდიში 1673 — ... ჩუენ, დადიანმან ... ლეონ, კათალიკოზს ნევსაძეს ბატონსა დავითს ... ბატონის მეფის ნებადართულობითა კათალიკოზობა მოგართვით... ასრე რომე, რომელიცა სხვას კათალიკოზს დადიანისაგან კითხოდეს ამ ოდიშის ქუყყანას, აგრევე ჩუენც ისრე გკითხოთ და არც უთქუენოდ ევისკოპოსსა და წინამძღვარს გაუწყრეთ (ქსძ, VI, გვ. 677-678).

ოდიში 1679 — ... ესე ... წიგნი ... გიბოძეთ ჩვენ, მეფეთ მეფემან ... ბატონმა ბაგრატ ... თქვენ, საყვარელიძე მთავარებისკოპოსს სვიმონს და შენს ძმისწულს პატას... მოხდა მაგვარად საქმე, რომ გარდავარდით და ოდიშს წახვედით. მერმე, რადგან მოხვედით და ჩვენი ერდგული შეიქენით, ისრევე თქვენ მოგეცით მეჯინიბეთუხუცესობა ჩვენის სახლის... (სმ, I, 1925, გვ. 212).

ოდიში 1682 — იხ. იმერეთი

ოდიში 1701 — იხ. ცაგერი

ოდიში 1708 — იხ. ბოლნისი

ოდიში 1733 — იხ. ბარისთავი

ოდიში 1738 — [პირობის წიგნი ალექსანდრე მეფისა პეპუნა ჩინუასადმი]: ... მოჩხუბარსა დაეხედვინებია, რომ ვითამ ოდიშსა ის ქალი ქსნის ერისთვის, სხვისთვის მოგვემლომბინოს. აწ რადგან ჩვენ ჩვენი დაჲ შენ მოგეცით,

არას გზით ის ქსნის ერისთვის ქალი ცხენის წყალს გაღმა არავის არ მივსცეთ, და კიდევ შენი კარვის მღვობი ვიყოთ... (სს, II, გვ. 397).

ოდიში 1766 – იხ. საირმე

ოდიში 1767 – იხ. მარტვილი

ოდიში 1770 – [წყალობის წიგნი სოლომონ I-ისა ფუტკარაძისადმი]: ... ღო-
ლაბერიძე ბერს ოდიშს ეშოვნე და დაეხსენი და ჩემს მიწა ადგილს და
წყალზედ დაესახლებინე ჯიხაიშს. და მე მევედრა შენი ბატონი ღოლაბე-
რიძე ბერი და წყალობა გიყავი... რაც სახელმწიფო გარდასახადი მოყო-
დეს ჯიხაიშს, არასფელი არ გეთხოვოს... (სმ, V, გვ. 172).

ოდიში 1788 – იხ. გლდანი

ოდიში 1789 – იხ. ახალციხე

ოდიშ-ლენხუმი

ოდიშ-ლენხუმი 1758 – იხ. ყუდრეში

ოდიშ-ლენხუმი 1771 – იხ. ცაგერი

ოზურგეთი. გურია

ოზურგეთი 1660 – იხ. აჭი

ოთაროს ტყე. გურია

ოთაროს ტყე 1780 – იხ. ბაილეთი

ოთხთვალი // ოთხთვალა. კახეთი

ოთხთვალი 1701 – იხ. ნაპანკისევი

ოთხთვალა 1756 – იხ. ალვანი

ოთხთვალი 1779 – იხ. კაკაბეთი

ოთხთვალი 1795 – ღმერთმან ... ხელმწიფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს
ოთხთვალში მსახლობელს კაკაბლიშვილს გოვიასა და ივანეს. დიდხან
მოსულია მამაჩვენი და თქვენს საფარველში გახლდით, მაღრანს, თქვენს
სახასოშია. და ახლა ოთხთვალში გახლავართ. ერთი საგინაშვილია ბაგ-
რატ, თქვენ გახლავსთ, მოგახსენებთ, ჩემი ყმანი ხართო. რადგან მაგისი
ყმა ვართ, რა სიტყვა გვაქვს, ბატონს სამსახური უნდა. ახლა გვეუბნება,
მანდელამ აიყარენითო, ხორხელში გამოდითო... სახლით კარით გამართუ-
ლი ვართ; და თუ ხორხელში გამოვიდეთ, დაგვცადებს, დავიხოცვებით... ნუ
აგეყრით... ნუ დაგეხოცე უკამოდ... (ქსმ, VIII, გვ. 332).

ოკამი. შიდა ქართლი

ოკამი 1392 – იხ. ტფილისი

ოკამი 1527-1558 – იხ. სამთავისი

ოკამი 1600/1603¹² [მეფეთ-მეფე გიორგი უახლებს შიომღვიმის უდაბნოს სო-
ფელ ოკამის შეწირულობას]: პირველითგანცა თქვენი ყოფილიყო და ჟამთა

¹² 1605 (პალ, I, გვ. 251); 1658-1675 (ტუჯჯ, 72).

ვითარებისაგან თქვენსა უდაბნოსა აღარა ჰქონებოდა... და ჩუენ მოგაცსუ-
ნეთ ოკამი, მეშუელანნი¹³... (ქრონ, II, გვ. 431, 434).

ოკამი 1658 – იხ. შიომღვიმე

ოკამი 1678-1696 – იხ. სამთავისი

ოკამი XVII ს – იხ. ციხისძირი

ოკამი 1766 – იხ. გორი

ოკრიბა. იმერეთი

ოკრიბა 1071-1080 – იხ. ზნაკვა

ოკრიბა 1529 – იხ. გელათი

ოკრიბა 1659 – იხ. რველი

ოკრიბა 1660 ახლო – იხ. ნოღა

ოკრიბა 1696-1742 – იხ. ბარისთავი

ოკრიბა 1700-1714 – იხ. ცაგვრი

ოკრიბა 1700 ახლ. – ... ესე წიგნი ... მოგართვით თქვენ ბიჭვინტისა ... და
გელათის მონასტერს წმიდას გიორგის ... ჩვენ, მხეიძემან ... ფირან... ღთის-
მშობლის კაცს საკათალიკოზოს სამოურაო მოსაკრებულო რკინა ემართა
ოკრიბას... ბატონის კათალიკოზის ბძანებას ვერა ურჩ ვექმენ და ... შემოგ-
წირეთ ჩვენთვის საღღებრძელოთ... (ღსსს, I, გვ. 100).

ოკრიბა 1706 – იხ. ხორგა

ოკრიბა 1712 – იხ. ხორგა

ოკრიბა 1733 – იხ. ბარისთავი

ოკრიბა 1755 – იხ. გელათი

ოკრიბა 1776 – იხ. ბარი

ოკრიბა 1776 – იხ. გელათი

ოკრიბა 1778 – იხ. ოხოშირა

ოკრიბა 1787 – ... შემოგწირეთ ... თქვენ, წმინდის ნიკოლოზის სახელზედ
აღშენებულს გელათს ... საყდარს ჩვენ ... გენათელ მიტროპოლიტმა ეფთვი-
მიმ... ადრიდგან [ტაძარი] ჴელმწიფეთაგან ქსნის ერისთავს ქონდა ნაბოძე-
ბი სასაფლაოთ... შევესწირეთ ... ამ ქსნის ერისთავის სასაფლაოს ოკრიბას
საწირეს თავის მამულ ადგილით ოთხი მოსახლენი გლეხნი... ამას გარდა
ორი გლეხი გელათს იქავ საყდარს მახლობლად ბაკურაძენი... ერთი გლე-
ხი ნავარევს... გოდოგანს ერთი მოსახლე... აღიწერა ქალაქსა ქუთათისასა-
სა... [დამტკიცება]: ჩვენ ყოვლისა საიმერეთოფსა მეფე დავით ... ვამტკი-
ცებთ... (ღსსს, II, გვ. 85-86).

ოკრიბა 1789-1813 – ... ნიკოლოზ ღორთქიფანიძე და გოგნის წინამძღვარი
მოსე გავამტკვეთ. ნიკოლოზმა უჩივლა: ჩვენმა ხელმწიფემ ... ოკრიბას იაშ-
ვილისსოული გლეხები და იაშვილის სასახლის ადგილი და მისი შემავა-

¹³ მეშუელანი // მეშუელანთა (გუჯრ, 72-74).

ლი მთა და ბარი მიბოძა... მასუკან შენ ბატონისთვის ტყვილი მოგეხსენებია და ის ჩემი ადგილები უდაბნოსთვის შეგიწირვინებია... თუ [ნიკოლოზ ლორთქიფანიძემ დაიფიცოს], არას ემართლება; რაც ბატონის შეწირულ-ბაშიდ უწერია, უდაბნოს დარჩეს. (ქსძ, VI, გვ. 461-462).

ოკრიბის მთა

ოკრიბის მთა 1544 - იხ. ნიკორწმინდის მონასტერი

ოლე კახეთი

ოლე 1791 - იხ. გიორგიწმინდა

ოლთისი. ტაო

ოლთისი XVI ს. დას. - იხ. ყვიბისი

ოლთისი 1638 - იხ. მცხეთა

ოლოზი. შიდა ქართლი

ოლოზი 1487 - იხ. შოროს ციხე

ოლოზღვარები. ქართლი

ოლოზღვარები 1733 - ... ჩუენ ... ბატონიშვილმან ... გიორგიმ ... გიბოძეთ ... ბატონს ამილდაბარს ... ოლოზღვარებს გაცემულ-გაუცემელი; დავითს მარტამდის ქონდეს, მარტს უკან თქვენივე იყოს... (სს, I, 1920, გვ. 89).

ომანის სასაკლაო. კახეთი

ომანის სასაკლაო 1579 - იხ. მცხეთა

ომნიაშვილის // ომნაშვილის სასაკლაო. კახეთი

ომნიაშვილის სასაკლაო 1654 - იხ. საგარეჯო

ომნიაშვილის სასაკლაო 1654 - იხ. წინსაგარეჯო

ონეთის ქედი. კახეთი

ონეთის ქედი 1722 - იხ. მარტყოფი

ონი. რაჭა

ონი 1503 - იხ. რაჭა

ონი 1787 - ... შემოგწირეთ ... ესე ... გაენათს სასაფლაოსა ჩუწნსა ... ჩუწნ ... ქსნის ერისთვის ძემან ელისვარ, მოურავმან ქუთათისისამან... მოვიყვანეთ ონიდამ და დავისახლეთ ქუთათის ურია ისრაელაშვილი აბრამა... რაჭის ერისთავმა გიორგიმ მომცა და მე შენ შემოგწირე წმიდაო ნიკოლოს... (დსსს, II, გვ. 87).

ონი 1793 - იხ. მოდინახე

ონჭალა. კახეთი

ონჭალა XII ს. მიწ. - იხ. რაბუნი

ონჭევი. რაჭა

ონჭევი 1432 - ... აბესალომ [კოტრიძე] მოკლა ჭარულიძემან ... და კოტრისძეთა სამი სოფელი დაურბიეს ჭარულიძესა: ონჭევი, სორღითი და ჭურისთავი. შეიქნა საქმობა და ... მოვიდნეს ქუთათისსა ჭარულიძენი და ბაქრის-

ძენი და კოტრიძენიც მეფეთ-მეფისა ვახტანგ გორგასლისა წინაშე... დას-ხნეს მართალნი მოურავნი: ქართლისა ერისთავი ქუენიფნეველი, სულაი ქავთარიძე, ... წირქუალიძე დავით უჯარმელი... [ჭარუღიძეებმა კოტრიძეებს მისცეს] სოფელი ჭურისთავი, სამნი ჯანაყოფნი ... და წყისერს – ფუტურაძე ბერი... ღუნდას ეკლესიის წყლითა და საფლავითა... სორს ... ერთი ჯაჭვი მოწყობილი მისითა ყოვლითა... (ვახ. უცნ. გვ. 9-10).

ონჭონა. იმერეთი

ონჭონა 1548 – ... გენათის ღმრთისმშობლის მთავარეპისკოპოზმან მეღქი-სედეკმან ... წყალობის სიგელი გიბოძეთ ... ივანეს ცირდილაძესა... მას ჟამ-სა, ოდეს ივანე წკეპლაძე ამოსწყდა უნათესაოთ მისეული მამული გიბო-ძეთ... ამის გარეთ მოგეცით: ოლაქემან ადგილი დამიდვა ონჭონას და მოგე-ცით ისიც იმავე ონჭონას, გამეზარდასა და ფადლაძისეული მამული... აგ-რევე ლობიუსეული მამული, ტყე მამიცემია ნაციხვარას ქუშეთ ნახევაი. ამას გარეთ გიბოძა მეფეთ-მეფემან ბატონმა ბაგრატ გოდოგანს ორი ფუტე კაცი ... [და] ჩუენც ... დაგიტკიცეთ... ბატონმან მეფეთ-მეფემანც ახალითა სიგლითა შევიწყალა და გიბოძა მეღვინეთ-უხუცესობა და გელათისა და კურსებისა და გოდოგანისა... არა დაგაკლდებოდეს კურსებით ჩუენი სახასო ბერისაგან ოცი ღორა ღვინო და რაც პარტახტი იყოს ათისთავი ღვინო არ დაგაკლდეს... (ქსბ, III, გვ. 260-262).

ოპიზა // უპიზა. კლარჯეთი

ოპიზა 1054-1072 – იხ. ქუთაისი

ოპიზა XIII ს. II ნახ. – იხ. ვალე

ოჟიო. კახეთი

ოჟიო 1670 – იხ. ალავერდი

ოჟიო XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალე

ოჟიო 1770 – [წყალობის სიგელი ზენონ ალავერდელისა]: ... განგიხსლეთ კელმეორეთ თქვენი სამკვიდროს ყმისა და მამულისა და საკვლოს წიგნე-ბი თქვენ ... ანდრონიკეს ძეს ბოქაულთუხუცესს ფარემუხს... ოჟიო: გბოძე-ბით ზერათა გრიგოლ ალავერდელისაგან ორი საკომლო ბეთალმანი ნა-ოხარი მამული... ამ ალავერდლის ზერის გვერდზე რომ ძველი რუკი ჩამო-ვა და ძველს რუკს ზევიდამ შარა გაივლის და რიყეს შემოეყრება, აქადამ რომ მზის ამოსვლისაკენ საოჟიო წყალი რომ ჩამოვა და თვალთან კარ-ზე რომ ჩამოივლის ხოდაშნიდამ, იმ რუკსა და რიყეს შუა რაც მსახლობე-ლი კაცია და მამული, სულა შენია... საკუთრად თქვენი ყოფილა და არის დღესაცა. ეს ზემოწერილი მამულები და ზვარი სულ ზემო უბანშია... ეს საწისქვილო ჩაბინანში გაქვსთ – ესეები სულ გრიგოლ ალავერდელის წყა-ლობა არის. ენდრონიკაშვილს დიდს ნიკოლოზ ალავერდელს უბოძებია ხორხელი სამოურაოთ, ბოქაულთუხუცობა, ხევისთაობა სულ საყდრის ყმი-სა, თიანეთს გარდა; ხორხელში ყოველად წმინდის საყდარი კარიპკითა, სა-საფლავითი... ახაშენს რაც ალავერდელის ყმა სახლებულა, ისიც სამოურა-ოდ უბოძებია. ამავე ნიკოლოზ ალავერდელსა ახაშენს, ხოშახევის გამოღმა,

შარას ქვევით, ორმეოცთ საყდარი, ნაციხვარი და ერთი ნავენახობი რვის დღის მიწით, - ესენი ნიკოლოზ ალავერდელის წყალობა ჩოლოყაშვილისა ... მეფის თეიმურაზის ბრძანებით, ზაქარია ალავერდელს უბოძებია ჳორჯელში ასიტაშვილის ნაქონი ბეითაღმანი მამული - ვენაჭი, თავისის სასახლავით... კიდევ ... მეფის თეიმურაზისაგან გბოძებოდა ჳორჯელი და ობლიძე სამოურავოდ. ეს მეფეთაგან და ალავერდელთაგან წყალობით გჭირებოდათ და წიგნები დაგწოდათ. ჩვენც შენი ვედრება შევისმინეთ და განგიახლეთ და წყალობა გიყავით და გიბოძეთ... (ქსმ, III, გვ. 885-888).

ოჟიო 1789 - დმერთმან ... პატრიარქის ჳირი დავითიშვილს მოსცეს... ერთი ჩემი კაცი, ხუციშვილი გიორგი, ოჟიოს გახლდათ... ის ჩემი კაცი ალავერდს ჩასულა, თავს შევწირამო. იასაულს თქვენის მორიდებით იქ ხელი ვეღარ შეუხია... (ქსმ, VII, გვ. 806-807).

ოჟიო 1791 - [არზა დიმიტრი საგინაშვილისა ერკლე II-ისადმი]: ... ან ოჟიოს და ან ახატელში მოვასხა ჩემი კაცნი და იქ დავასახლო... ერთი ოქმის წყალობა დამმართეთ თქვენს შვილს ალექსანდრეზედ, რომ რომელნიც კახეთში ჩემი კაცნი გახლავან, ისინი გამიყრევინოს... (ქსმ, VIII, გვ. 88).

ოჟიო 1796 - იხ. ვარდისუბანი

ორანაკელი. ქართლი (?)

ორანაკელი 1765 [არზა აღიხანა არღუთაშვილისა ერკლე II-ისადმი]: ... სულ ცხრაოდ კომლი კაცი არის [ჩემი გარდაცვლილი ბიძაშვილისა]... ზოგი ქართლსა არის, ზოგი კახეთსა... ეს კაცნი სომხისა არიან, ამათი სოფლის სახელი ორანაკელი და ბულაქარელი არიან (ქსმ, VII, გვ. 96).

ორბეთი. შიდა ქართლი

ორბეთი 1392 - იხ. ტფილისი

ორბეთის ძირი. ქვემო ქართლი

ორბეთის ძირი 1392 - იხ. ტფილისი

ორბეთის ძირი 1504-1516 - იხ. მცხეთა

ორბელიშვილის ნაფუძარი. ქვემო ქართლი

ორბელიშვილის ნაფუძარი 1751 - იხ. ახალშენი

ორბოძალი. შიდა ქართლი

ორბოძალი 1766 - იხ. გორი

ორდო. ქართლი (?)

ორდო 1796 - [არზა ყარამან და აფრიამ გურგინაშვილებისა ერკლე II-ისადმი]: ... თქვენ რომ განჯჯას წაბძანდით, ორნივ ძმანი თქვენს უმაღლესობას ვახლდით... სამი კომლი განჯჯელი ციხიდამ გამოვიყვანეთ ... და ოთხი კომლი კაციც ყარაბაღელიც ... გამოვიყვანეთ და ორდოში მოვასხით. ურმები ვიქირავეთ და ქალაქს მოვიყვანეთ... (ქსმ, VIII, გვ.395).

ორვილი. კახეთი

ორვილი 1710 - იხ. კაწარეთი

ორთაფ. პალაკაციო

ორთაჲ 1031-1033 – იხ. მცხეთა

ორთაშუა. ქვემო ქართლი

ორთაშუა 1656 – იხ. გარისი

ორთაშუა 1681 – [განჩინების წიგნი, როსტომ მეფის დამტკიცებული]: გარისი დამ პარუნ სარქისას შვილები ბროლძელს ორთაშუა მიწებს შესარჩლე-ბოდენ... ბროლძელმა ეს განაჩენი წიგნი მოიტანა... ჩუენც [მდივანბეგებმა] ... ორთაშუა მიწები ბროლძელს დავანებეთ... (სს, II, გვ. 84).

ორთაშუა 1800 – ... მათის მეფობის უმაღლესობისათვის ორთაშუა სოფელს ტერ-ოჰანეზას ღორელობით არზა მიერმევენა: მე ღორელი სახასო ვარო და ბარათაშვილი იასეს შვილები ყმობით მედავებთანო, დაც წამართვეს და თავეთს ბიძაშვილს მზითევეში გაატანესო... ბარათასშვილი იასეს შვილი ვახტანგ მიუგებდა: შენ ორთაშუა სოფელი ხარ და ბიძის ჩვენის ვახტანგისათვის ყვარელის ციხეში შესვლის საჯილდაოში უბოძებინარ ... მეფეს ირაკლის, და ბიძა ჩვენი ვახტანგ რომ მიცვალებულა, კურთხეულს მეფეს იმისი ყმა და მამული ჩვენთვის უბოძებიაო... (ქსმ, VI, გვ. 170-171).

ორთაჭალა // ორთაჭალის ბაღი. თბილისი

ორთაჭალა 1733 – ... მე, კრწანელმა ჯანიაშვილმა ბაბაჯანამა ... შენ, ჩიგო-ანთ ზურაბასა ... მოგყიდე ორთაჭალაში ჩემი შიგნით ბაღი... (დთი, I, გვ. 159).

ორთაჭალა 1753 – ... მე, ქოთუანთ პაპაღას შვილმა გაღოამა ... შენ, იხანთ აკოფას შვილს სტეფანას ... მოგყიდე ჩემი ორთაჭალის ნახევარი ბაღი. ზემო თავი შტოს აკრავს; ბოლო მამასახლისი ანტონას ქუჩამდინ; ერთი გვერდი გაპოანთ ბაღს აკრავს; მეორე გვერდი ხეჩოანთ ბაღს აკრავს თავისი რასათის ნახევარი წყლითა... (დთი, I, გვ. 261).

ორთაჭალა 1777 – ... ჩვენ, ყოელისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარ-ხმან ... ანტონი, შენ, სახასოს არუთინას ამ წიგნის წყალობა გიყავით... შენ სიგელი გქონდა, რომელიც ... მამის შენის ბაღდასარასგან ორთაჭა-ღას ბაღის სყიდვას აცხადებდა ჩვენის ყმის მატინას შვილის პაპასგან... (ქსმ, V, გვ. 26-27).

ორთაჭალა XVIII ს. II ნახ. – 1781 – [დანახარჯის ნუსხა ლევან ბატონიშვილისა] ... აბაზი ორთაჭალის მენავეს მივე. აბაზი ბაღი დამ რომ მობრძან-დებოდა, გლახებს უბოძა (მსეი, I, გვ. 65).

ორთაჭალა 1781 – ... ორთაჭალაში მოქალაქე გაღუას ბაღი ჰქონდა ნასყი-დით: ნახევარი ჩვენ [იეზანთ სტეფანეს ქერივს] მოგვეყიდა და ნახევარი თავისთვის დაიჭირაო... (ქსმ, V, გვ. 139).

ორთაჭალა 1784-1790 – იხ. ქალაქი

ორთაჭალა 1798 ახლო – იხ. მარაბდა

ორთაჭალა 1799 – იხ. კრწანისი

ორთაჭალის ბაღი 1796 – იხ. გოგისოფელი

ორთელი. ქართლი

ორთელი 1782 – [განჩინება ბასილაშვილებისა და გელაშვილების მამულის საქმეზე]: ბასილაშვილმა დათუნამ და იასემ უჩივლა გელაშვილს დემეტრეს და ელიზბარს: ჩემი სახნავი მიწა უჭირავსო, არ მანებებსო, ორთელის ბოლოსაო... (ქსძ, V, გვ. 187).

ორიშიში. იმერეთი

ორიშიში 1578 – იხ. ქუთაისი

ორიშიში 1773 – იხ. ქუთაისი

ორკოშინი // ორკოშინი. კახეთი

ორკოშინი 1428 – იხ. საგარეჯო

ორკოშინი 1597 – ... ჩუენ ... მეფეთ მეფემან, პატრონმან აღექსანდრე ... ესე ... სიგელი გკადრეთ და მოგახსენეთ თქუენ ... წმიდასა ნინოს... ჟამსა ... ვითარებისაგან თქუენი ტაძარი მოშლილი და დაქცეული იყო და ... მეფემან პატრონმან ლეონ ახლა მეორედ აღაშენა... დასუა ეპისკოპოზი და შესწირნა სოფელნი და აგარაკნი: ორკოშინს რაცა სომეხი მსახლობელი არის; და კიდევ თქუენს ტაძარს გარეშემო მსახლობელი რაცა ქართველი, ანუ სომეხი არის; აგრევე თუაღძე, რაც თქუენთუის შემოწირული მსახლობელი ყმა არის; ამის გარეთა ვიწრონი, მისის ზუარითა, აგრევე საცოხბოს ჭალა თავს ჳევი რომე ჩაიარს და ბოლოს დეღე რომე ჩაიარს, იმის შუა საკნავი და საწისქუილე; კიდევ საკანს სააბრეშუმე სოფელი ბიჭივლი, აგრევე სარჯულავად წინა-უკანა საგარეჯო მთისა და ბარისა; და ჩერქაზნი უთქანელამდის. ესე ყოვლითურთ ... შემოწირული იყო ... და ჩუენცა ... სიგლითა ამით დაგიმტკიცეთ... (იხ, III, გვ. 90-91).

ორმოცთ ეკლესია. ქვემო ქართლი

ორმოცთ ეკლესია 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

ოროზმანი. ქვემო ქართლი

ოროზმანი XVII ს. II ნახ.– იხ. წრაუთი

ოროზმანი 1707 – იხ. წრაუთი

ორომაშენი // ჰორმესშენი. ქვემო ქართლი

ორომაშენი 1241-1244 – [წყალობის წიგნი მიქელ კათალიკოსისა]: ... მოგეცით სამამულოდ შენ, ვაჩე გვარამისქესა, ჩვენსა მსახურთხუცესსა ... ხატი სოფელი ორომაშენი ყოვლითა მისითა. მზღვრითა... [დამტკიცებები]: ... ესე, ვითა ... ქართლისა კათალიკოსსა მიქაელსა გუარამისქე ვაჩე შეუწყალებია და კოლიკე ეკლესიისა მკუიდრი დმანისის პირს სოფელი ორომაშენი მისთუის სამამულოდ და საყდრისა სასამსახუროდ უბოძებია, მტკიცე ყოს ღმერთმან... მე ... არსენი, ქართლისა კათალიკოზივე, ვამტკიცებ (ქისკ, I გვ. 115-117).

ორომაშენი 1392 – იხ. ტფილისი

ორომაშენი 1774 – იხ. ლიპი

ოროტა // ოროტად. კახეთი

ოროტა 1392 – იხ. ტფილისი

ოროტა 1447 – იხ. მცხეთა

ოროტა 1464 – იხ. ფოსვი

ოროტა 1505 – ... მეფემან ალექსანდრე ესე ... წიგნი ... გიბოძეთ თქუენ, ჭარმაულთა, მღვდელსა იოვანეს და თქუენსა ძმასა ავთანდილს: მას ჟამსა ოდეს მცხეთის შვილად დაგხსენით და გიბოძეთ ოროტა მისითა შესავლითა... მისი მძღუარი ძუელითგან გაჩენილი იყო: ლაკუას ჩავლით, ვარდოვანს ჩავლით, დიდუნალს ჩავლით, საბძელად ამოვლით, ბეგის წუერ ამოვლით, საქალაქოს შარამდის წამოღმა, შარა-შარა ნორიოსაკე, ფხაკს მთამდი... აწე ახლად ჩუენ ... გაგისამძღურეთ: მოლამურთა თავსა რომე ჯუარი ასუენია, იქით მოლამურთა ჩამოტანებასა, მუხრაულთა პირპირ გოგიას კევამდი, უნაგირას ქვასა ქუეით გარდაკუეთილამდი, იქით წამოღმა ჩრდილთა წუერ-წუერ წამოვლით, სადა უფრო მაღალი ქედი არის იქით, კურინჩხთავე რომე თელანი დგანან იმას ჩავლით, სადა გრდნული შარა გარდუქცევს, შარა-შარა წამოვლით, სადა დიდნი ნასახლარნი დგანან იქამდინ, ნიშსძეურის ნასახლარამდე, დღეუ შემოტანებასა, სამანაშვილის მიწის თავსა რომე იფნი დგანან, სამის კომლის ნასახლარნი ოროტასათუის დარჩეს, იქით ახალუბანს ჩატანებით ქაცუთა თავსა ქვანი სხენან, იქით ქაცუთა ჩატანებით კევამდის, სადა სანახირო შარა გავა იმის ამოვლით ნასახლარამდი, ფხაკას ქედის ბოლომდი. ამის შუა რაცა არის ყუელა გუიბოძებია და სიგელითა ამით დაგუიმტკიცებია... (იხ, III, გვ. 42-43).

ოროტა 1532 – იხ. მცხეთა

ოროტა 1560 – მეფის ლეონის ძემან გიორგი ესე [სიგელი] მოგახსენეთ [მცხეთას] და კათალიკოზს პატრიარქსა დომენტის მას ჟამსა, როდეს ჟამთა ვითარებისაგან ძუელთაგან თქუენი მკუიდრი სოფელი ოროტა წაგდებოდათ, აწე ისრუევე მოგაკსენეთ... რა რიგადაც მარტომყოფელთა მსახური ჩუენ გუმსახურებდეს, ისრუევე ოროტელთა თქუენ გამსახურონ... (ქრონ, II, გვ. 402).

ოროტა 1579 – იხ. მცხეთა

ორპირი. სამეგრელო

ორპირი 1720-1742 – იხ. საჭილაო

ორჭოშანი // ორჭაშანი // ორჭაშენი. შიდა ქართლი

ორჭოშანი 1754 – იხ. დიღომი

ორჭოშანი 1756 – [საამილახოროში საუფლისწულოს გარიგების წიგნი]: ... მინბაშს რევაზსა და უზბაშს ნიკოლაოზს დავანებეთ საუფლისწულოთ ორჭოშანი და ავაზანი მისის მიწა-წყელითა და სამძღვრითა... მინბაშის რევაზის და ნიკოლაოზის საუფლისწულოში ღვეის შიშით ვენა არ არის. სანამ იმ ადგილს მიუდგებოდეს, მანამდისინ ჩვენს სახასოს რევაზზე და გოხაზე და ჭათოლეში უპატრონოს კაცის მამული მოკნას, ბარას არა ვთხოვთ... ავაზანზე რომ კასპური ვენატი ედვა, ის ნავენაკები ისრუე მინბაშს რევაზსა და ნიკოლაოზს დავანებეთ. მინბაში რომ ხუთას თუმანს გორის ბაჟზე ლაპარაკობდა, იმაზე აღარ უნდა ილაპარაკოს... (მსკი, 33, გვ. 128-129).

ორჭოშანი 1759 – იხ. ძევერა

- ორჭოშანი 1789 – იხ. ტირიფონა
 ორხოფია. ჯავახეთი
 ორხოფია 1393 – იხ. ვანისქვაბები
 ორჭევი. კახეთი
 ორჭევი XII ს. მიწ. – იხ. რაბუნი
 ორჭევი 1392 – იხ. ტფილისი
 ორჭევი 1710 – იხ. კაწარეთი
 ორჯოხის მთა
 ორჯოხის მთა XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი
 ოსათი. სამეგრელო
 ოსათი 1616-1639 – იხ. ხაუყელი
 ოსარო. შიდა ქართლი
 ოსარო 1780 – იხ. დოესი
 ოსეთის გზა // ოსეთისა გზა
 ოსეთის გზა XIV ს. II ნახ. – იხ. მესეგტია
 ოსეთის გზა 1771 – [ბრძანება ერეკლე II-ისა]: ჩვენი ბრძანება არის, ეს ჩვენმა მებაჟემ ასე იცოდეს: რაც ოსეთის გზაზე საქონელი მოვა და იმაზე ბაჟი აიღება, იმის მესამედი ნეტარხსენებულს მამას ჩვენს სვეტიცხოვლისათვის მიერთმია და ჩვენც მივართვით ... (ქსძ, VI, გვ. 720).
 ოსეთის გზა 1780 – იხ. დარიელას ციხე
 ოსთუბანი. შიდა ქართლი
 ოსთუბანი 1701-1703 – იხ. მძოვრეთი
 ოსიაური // ოსეური. შიდა ქართლი
 ოსიაური XVI ს. მიწ. – იხ. სურამი
 ოსიაური 1629 – ... ჩუენ ... დედოფალთა-დედოფალმა ... ხორეშან ... მოგახსენეთ თქუენ ... სუეტსა ცხოველსა ... ზემო ქართლის სოფელი ოსიაური მათისა სამართლიანითა მითთა, ბართთა, წყლითა... შემოგუიწირავს თუნიერ რაცა იტრიის შეწირული არის... (ის, IV, გვ. 13-14).
 ოსიაური 1712-1717 – [ბრძანება ვახტანგ VI-ისა]: ჩვენი ბძანება არის აბაშიძეუ ბატონო ვახუშტი. მერმე, სურამის ჭალაში ოსიეურისსაკე ოცდაათი საკეამლო მიწა და იმ ნაპირს კაცები რომე დასახლებულა, შიგ მსახლობელის კაცით, ქაიხოსრო წერეთლისათვის გეიბოძებია. და ეს მიწაც მოუჭერ და კაცებიც მიაბარეთ... (იდ, I, გვ. 50).
 ოსიაური 1735-1747 – იხ. გაღმა მხარი
 ოსიაური 1756 – იხ. ზემო ქართლი
 ოსიაური 1775 – დმერთმან ... ჳელმწიფის ჳირი მოსცეს ოსიაურელს ეულს მახარას... სამჯერ დაკარგული ვარ... ერთხელ ახალციხიდამ გამოვიპარე.

ოსიაური რომ აიღეს, შვილით და თავით დაეჭყვევდი. ახლაც დავიხსენ თავი თორმეტი თუმნათ... (ქსბ, VII, გვ. 293).

ოსიაური 1783 – გერმანოზის შვილები მირზა იბრეიმის შვილს, გოგიას, ერთს კომლს კაცზედ გოვშის შვილს მახარაზედ უჩიოდნენ: მირზა იბრეიმის შვილი გოგია ამას ამბობდა: ეს კაცი, ოსიაური რომ წახდა ლეკისგან და წვეიდა, ქიტეს ნალეკარმა მაიყვანა ამ მხარს... ბატონს ოქმი ებოძებინა: ვინც ამ კაცს იყიდის, იმისი ყმა იყოს. ეს ბატონის ოქმი ... რომ ვნახე ... ვიყიდეო... (ქსბ, V, გვ. 204-206).

ოსიაური 1783 – იხ. ცხინვალე

ოსიაური 1784 – [არზა ოსიაურელთა ერეკლე II-ის ოქმით]: ... ოსიაურის ერთი მხარე, მახნული, ნიკოლოზ აბაშიძემ წავკვართო მძლავრობით... (ქსბ, VII, გვ. 619-620).

ოსიაური 1789 – [ერეკლე II-ის ოქმი]: ჩვენი ბძანება არის ნასაღჩიბაშის ნაიბო გიორგი! მერე ამ არხით რომ ასე მოგიხსენებია, ოსიაური სოფელი შენი არის, ჩემგან წყალობად ბოძებულე. და იქიდა ამ ერთი კაცი – სადაღაშვილი დავითა ბატონს ანახანუმს დედოფალს ახლდა და ამისის მიზეზით ის სადაღაშვილი დავითა ჩვენგან სოფლის ხარჯივით გათარხნებულე იყო... (ქსბ, VII, გვ. 817).

ოსიაური 1792 – [არზა გოგია ნასაღჩიბაშის ნაიბისა]: ... ჩხეიძეები ოსიაურში მამულს მედავებთან. ჯერ ერთი ეს, რომ ჩემს კაცებს სულ ნასყიდი აქვს; მეორე, ამას გარდა ეს საბუთი მაქვს, რომ სანატრელს ცხებულს მეფეს ბატონს ჩამოურთმევიან... (ქსბ, VIII, გვ. 169).

ოსიაური 1793 – [არზა ნასაღჩიბაშის ნაიბის გოგიასი]: ... ჩემი და ციციანთ დავა ხომ მოგეხსენებათ, ამ ოსიაურის წყალზე და მიწაზე, რომ თქვენს პალატაში სისხლიც დამაღვრევენ... (ქსბ, VIII, გვ. 202).

ოსიაური 1793 – ... მათმა უმაღლესობამ ოსიაური თავის სამძღვრებით მე რომ მიბოძა და ჰელი მოგჰკიდეო, გიორგი [ნასაღჩიბაშის ნაიბი] ჩიოდა, რამდენსამე წელიწადს უკან ამ დათუამ [გვერდწითელმა] დავით მოურავს უთხრა: გაღმა ოსიაურისაკენ წყლის პირი და ჭალა ჩვენი არისო, ძალით წავგართოო, კაცნი გამომატანე, რაც გაღმიდამ ღალა აუღია, წავართოო... (ქსბ, V, გვ. 606-610).

ოსიაური 1794 – [არზა გოგია ნასაღჩიბაშის ნაიბისა ერეკლე II-სადმი]: ... თერთმეტი წელიწადი არის, ერთს წისქვილის რუს ვთხრი. სურამელს კაცს ოსიაურში მიწა აქვს, იმ მიწის სამოცი ადლი სიგრძე და რვა ადლი სიგანე მოაკლდა... ჩემი კაცები სურამს მოახელა ტერტერამ, დამილახა, დაუშინა, აქ აღარ გაგატარებთო, ვინც იმის კაცნი იქნებითო... (ქსბ, VIII, გვ. 270).

ოსიაური 1799 – [განჩინება]: გიორგი ნასაღჩიბაშის ნაიბი თავის ყმას ოსიაურელს სადაღაშვილს ნონიას ... უჩიოდა... ამ სადაღაშვილმა ნონია ყოველს თავის მამულზედ სამკვიდროსა თუ ნასყიდზედ ოსიაურისა თუ სუ-

რამში რისაც მამულის მქონებელი არის, ყველაზედ ხელი აიღო და ამ გორგის ვეზირისშვილს დაანება (ქსმ, VI, გვ. 91).

ოსიაური 1799 – იხ. თელავი

ოსიაური XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ოსინანთ მიწა. შიდა ქართლი

ოსინანთ მიწა 1711 – იხ. ოქუანთეული მიწა

ოსკევანა. ქვემო ქართლი

ოსკევანა XVII ს. II ნახ. – იხ. წრაუთი

ოტათლოანი. შიდა ქართლი

ოტათლოანი 1031-1033 – იხ. მცხეთა

ოფრაყალა.¹⁴ ქვემო ქართლი

ოფრაყალა 1727 – იხ. ეგრისი

ოფრეთი. ქვემო ქართლი

ოფრეთი 1717 – ... მოვედით ჩვენ, დედოფლის ეშიკადასი თავყელიშვილი ხოსიტა, სააკაძე, შანშიაშვილებისა და ელიარაშვილებისა და ოფრეთელთ სამძღვრების გასარიგებლად. შევეყარეთ იმ ხეობის მამასახლისები, უფროსნი კაცნი და ქეთხუდები... რადგან ელიარაშვილებისა, შანშიაშვილების შუა ოფრეთელნი იყვნენ, მამულიც იმათი იყო. შუაში ოფრეთელისა და ოფრეთელთა და შანშიაშვილის სამძღვარი: თავს კაჭაჭკუტის გადუკივადამ რომ სომხითისაკენ გზა გარდმოვა, სომხითისა რომ გარდმოიხედავს, წინ ერთი სერი არის, სახელი ურაცთაღა ქვიან, იმას გადმითაც ერთი სერი არის კაჭაჭკუტისაკენ. რაც ამ ორს შუა ჳევი ჩამოვარდება ჳიპეჳის წყლამდის, რასაც ჳიპეჳის წყალი ჩამოიტანს, მანამდის დამღალუს წყალში ჩამოვარდება, ამ ორის წყლის შესაყრის სისწორ სერი რომ შემოივლის თავს საბაჳოს ქვის ყრილობა, იმასთან ელის შარა რომ შემოივლის, გზის კლდე ნადაველეთის სამძღვრამდის დარჩა შანშიაშვილებს გაღმით. იმის გამოღმა დარჩა ოფრეთელთ (ქსმ, IV, გვ. 273-274).

ოფრეთი 1781 – იხ. სომხითი

ოფრჩხეთი. იმერეთი

ოფრჩხეთი 1791 – ... იმერთა მეფემან ... სოლომონ ... ერთობით ავალიანებს ... წყალღობა გიყავი და ამოუკვეთე ოფრჩხეთს და ჳონეთს მოსახლეს გლეხკაცს, თჳენი კაცი არის თუ სხვისი ... საური... (სმ, V, გვ. 179).

ოფშკვითი // ოფისკუეთი // ოფისკუჭი // ოფისკუჯი // ოფისკუჯი. იმერეთი

ოფშკვითი 1578 – იხ. ქუთაისი

ოფშკვითი 1616-1639 – იხ. ხაუჯელი

ოფშკვითი 1708 – იხ. ბოლნისი

ოფშკვითი 1773 – იხ. ქუთაისი

¹⁴ ვახუშტის სოფელთა სიაში თოფრაყალა.

ოფშკეითი 1784-1796 – ... ვახუშტიმ [წერეთელმა] უჩივლა [ქაიხოსრო აგიაშვილს]: ბატონმა მეფე სოლომონ ბიძაჩემსა და მამაჩემს ოფშკეითს გლეხები უბოძა და გყავდა. მეფე სოლომონ რომ მიიცვალა, მას უკან შენ გყავს ის ჩვენი გლეხები... აგიაშვილმა უპასუხა: მართალია, ის გლეხები შენ გყავდა ბატონის წყალობით, მაგრამ ისევე იმ ბატონმა გამოგართვათ. მე და ჩემი ძმა ბატონს ჩაქვს ვახლდით ... და მისთვის ის გლეხები ბატონმა მეფე სოლომონ მე მიბოძა და მყავს (ქსბ, V, გვ. 690).

ოფხა. იმერეთი

ოფხა 1525-1550 – იხ. ბიჭვინტა

ოფხა 1650 ახლო – იხ. მანდიკორი

ოფხა 1673-1696 – იხ. გელათი

ოფხა 1766 – ... მე, ბარათაშვილმა თამაზამ, თქვენ, ჩხეიძეს ბანას და ბეჟანს ... მოგყიდე ოფხას მარგველასშვილისსოული პარტახი მისის ყოველისფერით... (იღ, I, გვ. 113).

ოფხა 1776 – იხ. ბარი

ოქლითი. კახეთი

ოქლითი XII ს. მიწ. – იხ. რაბუნე

ოქონა // ოქონის საყდარი. შიდა ქართლი

ოქონა 1382 – [შეწირულების წიგნი დავით მეფისა] მას ეამსა ოდეს საყდარი ოქონისა ... თამარ დედოფალსა აღეშენა ქალაქსა გორის სანახებსა ... შეეწირა სოფელი ხიდისთავი ... სამძღვრითა ამითა: ფარის ჯვარის წვერი სამკვეამდინ, მის დამართებით ზემო წითელი კლდე, მისდა პირისპირ ქათაგაურის ბოლომდინ, კიკიძაურის პირისპირ დიდ რუსხმულამდინ, რუსხმულის დაპირისპირებით კოდათ კვეამდის ამისითა რუთა, წყლითა, მიწითა და ჭაღლითა. გვიბოძებია და შეგვიწირავს ხატისა ოქონისათვის: ზემორეკვას ათი საკუამლო... აგრევე გარეჯურის ღომსათუბანი მისითა ... სამძღვრითა და სამნითა ამით: თამარ დედოფლის რუმდის, ქვემოთ რეხის ფშამდინ, გვერდით ხელთუბნის სამნამდინ, მარჯვნივ თორტოიხის ფშამდინ; რუისს უმეკაშვილი მისის მამულითა, ... ეკლესის კართა და ორის თავის ვენახის სახასო... ატენს მამული ერთი ჩივივაძისა... აგრევე გორს ვაჭარნი ექვსნი მათითა სახლ-კართა... დიდგამს თავს თეთრაძენი ... მიგვირთმევი და შეგვიწირავს ხატისა ოქონისათვის... (წმსი, I, გვ. 138).

ოქონა 1451 – იხ. ულუმბა

ოქონა 1488 – კულავე მე. მეფეთ მეფესა აღექსანდრეს მიბოძებია ოქონა ნასისხლად მოცემული მარტო ამირანისაგან [გაბელიძისგან] მონასტერი და სოფელი სხვითა ეკლესიებითა, გლეხნი მისითა საფუძვლითა და სასახლითა ... და ... მისითა ერთობლითა სამძღვრითა... ჰქონდეს ფალავანდიშვილთა ნასისხლად... დაიწერა სიგელი ... ესე ... ქუთათის... (სმ, II, 1924, გვ. 23-25).

ოქონა 1779 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ოქონელს ფალავანდისშვილს ერეკლეს ყმას გვილიკაშვილს ბეროს. შარშან მთიბათევეში ძა-

ღინას მივედიოღით გიორგი ფალავანდიშვილი, ერთი იმისი კაცი, ერთი როსტომის კაცი და ერთი მე. ეს ოთხნი მანაბლის ოსებმა დაგვიჭირეს ... და ... გაგვეიდეს... (ქსძ, VII, გვ. 437-438).

ოქონა XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ოქრომჭედლების ბაზარი. თბილისი

ოქრომჭედლების ბაზარი 1743 – ... მე, ყამაზანთ ზურაბას შვილმა მიდღი-სი საპაკამ ... შენ ჩემის ძმის ოსეფას შვილს ზურაბას ... მოგვიდე ... ჩვენნი პაპეული სახლ-კარი. ამ სახლების ერთი გვერდი ... ოქრომჭედლების ბაზა-რი და წინ კარი ჩვენის ქუჩისაკენ თავის სიგლებითა... (ღთი, I, გვ. 193).

ოქროს ქედი. გურია

ოქროს ქედი 1764 – იხ. ერკეთი

ოქროს ქედი 1767 – იხ. გურია

ოქროყანა. შიდა ქართლი

ოქროყანა 1787 – იხ. გარეთუბანი

ოქროყანა 1791 – იხ. დიღომი

ოქუანთეული მიწა. შიდა ქართლი

ოქუანთეული მიწა 1711 – გარსევანაშვილები ... ერთმანერთს ეყრებოდნენ. მოვიდნენ ჩვენთან, ვალაპარაკეთ ... ერთ წილად ოქუანთეული მიწა რუს-კენ ერგო სვიმონს ნახევარი. ერთ წილათ რუს პირი თხიღარში ნახევარი ერთ სვიმონს ... ერთ წილად დამპალაში ოსინანთ მიწისაკენ გზას იქით რიყიანზედ აქეს ჭაობისაკენ, ფარდად ერგო ჩემს ბიძაშვილს სვიმონს... ერთ წილად ბადაბეთის რუს გამოღმა ბაგა თავის საწნახლითა და თაღ-რითა და ბადის თავს მიწა ერგო სვიმონს და მის ძმათა... გარეჯურული პარკაძისეული ნახევარი სვიმონს და მის ძმებს. კიდევ პარკაძისეული ქვე-მო რეხს ერგო სვიმონს და მის ძმებს. მანაბლისეული თვისის წისქვილით გარეჯვარს ერგო სვიმონს და მარკოზს... (ქსძ, IV, გვ. 234-236).

ოღნიანი // ოღოიანი. კახეთი

ოღნიანი 1746-1749 – იხ. გრემი

ოღრიკა. შიდა ქართლი

ოღრიკა 1413-1442 – იხ. ძალისა

ოღუაწკი. სამეგრელო

ოღუაწკი 1659 – იხ. ოდიში

ოღუზი. ქვემო ქართლი

ოღუზი 1707 – იხ. წრაუთი

ოყოლდაში. სვანეთი

ოყოლდაში XIV ს. შუაწლ. – იხ. იონაში

ოყურეში. ღეჩხუმი

ოყურეში XVI ს. მიწ. – იხ. ჩხუტელი

ოყურეში 1656 – იხ. უსახელი

ოყურეში 1657 ახლო — ... წმიდაო გიორგი ხვამლისაო; ჩვენ ... ცაგერელმან მამათ-მთავარმან ჩიქონამან გაბრიელ შემოგწირე ... **ოყურეშს**: სასახლე გაწყობილი საჯვართა, სახლკართა, ჭურმარნითა, ზურითა... ის ალაგი ოდიშს რომ ქვარიანი არის, ძველათ იმისი ყოფილა; ტყედ და უკაცურად იყო და მე გავაკეთე... ამ ქვეყნის ქვარიანს იმასთან ველი არა აქვს; ამისთვის რომ თუმც მე არა, ასეთი დრო იყო, ის ალაგიც და სრულათ **ოყურეში** სადადიანოდ შეიქმნებოდა... მომარდაშვილი ხუცესი მეთევზე მეფის იყო და ტბა ბაბუშერი; მერმე ერთი ცოლ-ქმარა კაცი აიყარა და მეფეს შეხვეწა, ისიც მივართვი და იმითი მიშოვნია... ცაგერისა ღმრთისმშობელო, წმიდა გიორგი თქვენი შემოწირული არის და მისი მამულიც და ჩემგან შეწირულიც თქვენი იქნების და გუჯარიც თქვენივის მომირთმევია (ქსძ, III, გვ. 521).

ოყურეში 1700-1714 — იხ. ცაგერი

ოშკის მონასტერი. ტაო

ოშკის მონასტერი XVI ს. დას. — იხ. სამცხე

ოჩლაური. შიდა ქართლი

ოჩლაური 1470 — იხ. მცხეთა

ოცხანა. გურია

ოცხანა 1525-1550 — იხ. ბიჭვინტა

ოცხანა 1616-1621 — იხ. საგენათლო

ოცხანა 1616-1639 — იხ. ხაუჟელი

ოცხანა 1673-1696 — ... ჩუენ ... ჩრდილოსა და აფხაზეთისა კათალიკოზმან ... დავით შემოგწირეთ თქვენ ... ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა **ოცხანას** გლეხი ცხუედიძე გიორგი... **ხორგას** ერთი კვაძლი ახნაურისშვილი გიგიბერია მორდებუ ორის მისის გლეხებითა... (ქსძ, III, გვ. 611).

ოცხე. სამცხე

ოცხე 1648 — იხ. ქართლი

ოცხენა — იხ. ოცხანა

ოძისი. ქვემო ქართლი

ოძისი 1699 — იხ. მანგლისი

ოძისი. შიდა ქართლი

ოძისი 1454 — იხ. ცხირეთის გვერდი

ოძისი 1465 — [ალევის ტაძრის სიგლის პირში მოხსენიებულია შეწირულობა ერისთავის შალვასი... სოფ. ოძისში] (ქრონ, II, გვ. 287).

ოძისი 1588 — ჩუენ ... მეფეთა-მეფემან სვიმეონ ... თქუენ ... საკასძეს მუსაპიბსა სიაუშს ... გიბოძეთ ჯავახიშვილის შალვასა და მის ძმათა კერძი ოძისი სამართლიანის მისის ველითა ... [და] სამართლიანის სამძღვრითა... (ქსის, გვ. 36).

ოძისი 1663 — [კეთილმოყვრობის წიგნი ქაიხოსრო ჯავახიშვილისა თარხან იორამ სააკაძისადმი]: ... ცოტა რამ თქვენი სამკვიდრო მამული მეპატრონე-

თაგან ჩვენ სახლს ეშოვნათ, და რადგან ახლა მოყვარენი შევიქნეთ ...
თქვენი სამკვიდრო ოძის ნახევარი, რისაც მქონებული ჩვენ ვიყვენით,
სრულ და უკლებლად ... თქვენთვის მოგვიცემია... (სს, II, გვ. 89-90).

ოძისი 1669 – იხ. წილკანი

ოძისი 1692 – [წყალობის წიგნი ერეკლე I-ისა მოურავისშვილ თარხან გი-
ორგისადმი]: ... ოდეს გაგვიჭირდა და ციხეში შამოვედით, შენცა აიყარე
და ერთპირად ჩვენთან ჩამოხველ... აწე ჩვენცა ... გიბოძეთ ყაენისა და ჩვე-
ნი ორგულისა და უკუდგომილის ჯავახიშვილების ოძისს გლეხები... (ქსო-
ის, გვ. 33).

ოძისი 1693 – იხ. შინდარა

ოძისი 1781 – იხ. ისროლის ხევი

ოძისი 1712-1714 – იხ. ჯავახეთი

ოძისი 1751 – [ბრძანება თეიმურაზ II-ისა]: ... რაც თარხნისშვილის ზახას
ნასყიდი ყმა და მამული არის ოძის, სასირეთს და თუძმის ზვარი ნასყიდი
და, რაც წელს ზახას თავისის სახასო ხოდაბუნებში პური და ქერი უთესია,
ყველა ზახას ჯვალაბის დარეჯანისათვის გვიბოძებია... (დსსი, I, გვ. 353).

ოძისი 1778 – იხ. შინდარა

ოძისი 1793 – [არზა სოლომონ მეითრისა]: ... ამ ჩემს სახლის კაცებთან სა-
დაღ მამული მაქვს... მაქვს დავა კავთისხევეში ჩვენს სამკვიდროში. მაქვს
ჩემს სამკვიდროში ოძისში დავა. მაქვს მუხათის სოფელში დავა, რომ ჩემი
სამკვიდრო მამული შერთო. ლისს მაქვს დავა რომ ჩემი სამკვიდრო არის.
მაქვს დავა ერთაწმინდას და ცხირეთს. ახალქალაქსა და ნოსტგეს მაქვს
დავა (ქსბ, VIII, გვ. 217).

ოძისის ხევი. შიდა ქართლი

ოძისის ხევი 1590 – იხ. ზემო ცხირეთი

ოხირი. შიდა ქართლი

ოხირი XVIII-XIX სს. მიჯნა – იხ. ქსანი

ოხოშირა // ოხუამირა. იმერეთი

ოხოშირა 1545 – იხ. გელათი

ოხოშირა 1673-1696 – იხ. გელათი

ოხოშირა 1706 – იხ. ხორვა

ოხოშირა 1712 – იხ. ხორვა

ოხოშირა 1778 – ჩვენ პონტოს ჩრდილოით აფხაზ-იმერთა და ყოვლისა ქვე-
მოისა ივერიისა კათოლიკოს მამათმთავარმან აბაშიძემან მაქსიმე... ვიგუ-
ლისმოდგინე, რათამცა გელათს საკათოლიკოსო წმიდის გიორგის ეკლე-
სია თავისის წინამძღვრითა გამოყოფით თავისუფალ მექმნა ... და რაიცა
მამული ეპყრა ყოველივე დავანებეთ და მიუძღვანეთ ეკლესიასა: ოხოშირას
სოფელში... ნაბოსლევს სოფელში... სორმონს სოფელში... სოინს სოფელ-

ში¹⁵ ... ხრესილის სოფელში... წყალწითელას სოფელში... ახალდაბას სოფელში... ძვერს სოფელში... სანავარდოს სოფელში ... [ჩამოთვლილია ამ სოფლების ყმა-გლეხთა ბეგარა]. ესე ყოველნივე ერთბაშად ამა ეკლესიისათვის დამინებებია და მიმირთმევეია... კიდევ, რაც სორმონსა და ოკრიბაში კათოლიკოსის ყმა არის ... ამათი ბეგრის სანთელიც ... წმიდის გიორგის საყდრისათვის მოგვეთრმევეია... [სანავარდოს მოსახლეს] ბერი სომეხი დობუაშვილი და მისი ძმა ქართლით აღელნი არიან... (ქსმ, III, გვ. 923-927).

ოხბნჯანანთ შარა. შიდა ქართლი

ოხბნჯანანთ შარა 1789 - ... დავსხედით ჩვენ ... გორის მამასახლისი თაყინასშვილი ზაად ... [და] ზურაბ და ამის ბიძაშვილი აფრასიობ ... გააკყურეთ... ერგო აფრასიობას: დარბაზი ... **ოხბნჯანანთ შარისაკენ** რომ ქვითკირის გაღავანია, იმის მიდგომამდინა... კიდევ ... ტინისხიდს თავიანთი სამი თვალი წისქვილის ნახევარი... კიდევ ... **ახალსყდრის შარისაკენ** ... ორი დუქანი... კიდევ ... რუისში, წინაუბანს, რაც მამული აქვსთ - ურწყავი თუ სარწყავი ... და მელის სორების მიწაც სრულათ... ზურაბას ... ამ წილს აძეს პაიჭაურში ექვსის დღის მიწა... ამ [მეხუთე] წილს აძეს სართი - დამპალაში რაც მიწები აქვსთ თავის სიგლებითა... [მეექვსე] წილს აძეს სართი - ტინისხიდს ორდღის ნავენახარი ღამის მიწა და სვერნეთს მიწაცა... ამას გარდა უწილოდ მივეცით ზურაბას საუმფროსოთ ახაშენი სოფელი... **ახალშენი სოფელი** ... საკუთრათ ზურაბასი არის... მას გარდა, საციციანოში რაც მამული აქვსთ მტკვარს გაღმა, ის გაუყოფელი არის... (ქსმ, V, გვ. 459-462).

ოხტველი. სამცხე

ოხტველი XIV-XV სს. - იხ. კოკოლეური მამული

ოჯოლა. ლეჩხუმი

ოჯოლა 1656 - იხ. უსახელო

ოჯოლა 1758-1765 - ... თქუენის ეკლესიის, ცაგერის სათავისაოთ საბეგრო გლეხები ოჯოლას სახლებულიყო და ჟამ ცველილობისა ... საერისკაცოდ გამხდარიყო... ცაგერელ მიტროპოლიტი ღირსი ანტონი, დაგვეაჯა [კაცია დადიანს] და ... ვისაც თქუენი სათავისთაო ყმები ყავდა, გამოვართვით და ... ოჯოლას შემოგწირეთ მათის ადგილ-მამულით... (დსსს, II, , გვ. 28).

ოჯოლა 1778 - იხ. ლეჩხუმი

ოჯოლა 1787 - იხ. სვერი

¹⁵ როინს სოფელში (დსსს, II, გვ. 64).

პავლეურთკარი // პავლეთკარი. შიდა ქართლი

პავლეურთკარი 1774 - იხ. ქსანი (ქსნის საერისთავო)

პავლეურთკარი 1781 - იხ. ისროლის ხევი

პავლეურთ ციხიძირი. არაგვის ხეობა

პავლეურთ ციხიძირი 1732 - იხ. თრუსო

პავლეური. არაგვის ხეობა

პავლეური 1781 - [არაგვის საერისთავოს ბარის სოფლების აღწერის დავთარი]: პავლეურიდამ: ... ბოგანო ჭართალელი ბაჩუას შვილი... აქავ ბურდულის სახელო... ხიზანი ხარჭაშნლის ყმა სისოური, აქავ არდუთაშვილის ყმა... ციხიძირს: ... ბოგანო ებნისელი ცოტიაშვილი... ბურდულის სახელო ბურდული... აგენის: ნათელიძე როსტევეანის შვილი... ანანურს: ბრაჭული დეკანოზის შვილი... კიკო კობიაშვილის ყმა, ბოგანო ხევსურის შვილი, ადამ ქუმისის შვილის ყმა... ბოგანო ხადელი ქვიცური... ხიზანი მირტაშნელი ალავერდას შვილი... ხიზანი ბნავისელი გულას შვილი... ხიზანი ენაგელი აბრამას შვილი... უნვალს: ჯაბნიაშვილი... ავთანდილ კობიაშვილის ყმა... ხიზანი მიწობლიძის ყმა... ხიზანი სამცხეთო კარსნელი ბერიკას შვილი... ქასისხევი: ფისაძე პეტრეს შვილი... ზალ ტერის შვილის ყმა... ხიზანი ქსნისხეველი ბუნტური... არანისს: ახნაურშვილი ოტიას შვილი... ამისი ყმა... ხიზანი გერმანოზის შვილის ყმა ოქროპირის შვილი, ხიზანი სახასო მადაროელი შინჯიას შვილი... ხიზანი ლიყურელი ზურაბ სუფრაჯის ყმა ღარიბას შვილი... ახნაურშვილი ზანდუკელი იორამის შვილი, ამისი ყმა... ეოვალის: თარხანი ჩხუტის შვილი... უნდილანთ კარს: უნდილაძე როსტევეანის შვილი... ბოგანო ცხატელი ფოცხვერის შვილი... არაგვის პირს თარხანი: ბიხლიგაური მახარას შვილი... იორს მჭედელიძე ოსიყმეს შვილი... იორს ელისბარის შვილი... თიანელი მათურელი ივანე ყვავილს: ტონქაძე ვაიძის შვილი ... მოურავი ზაზა... ხიზანი ქსნისხეველი შერმადინი, ხიზანი დიმიტრი ეშოკადასის ყმა რევაზას შვილი ზაად... აშს: ოდიშელიძე ბერის შვილი ... მოურავი გიორგი იასე... ბოგანო ძეველური ავთანდილის შვილი... ბოგანო ებნისელი დათუნას შვილი, ბოგანო სანდოელი ნადირას შვილი, ბოგანო ჯავახი ვაშლობელი, ბოგანო დაოთელი შიოს შვილი, ბოგანო ხანდოელი ივანეშვილი, ბოგანო ხადელი ხოსროს შვილი... აფხაგს: ქარაული სიხარულის შვილი... ბოგანო ფასიტა კობიაშვილის ყმა... ბოგანო ხანდოელი, ბოგანო ქსნისხეველი პირცეცხლის შვილი, ბოგანო ცხატოელი ელისბარას შვილი... იწრის: ახნაურშვილი ჭილას შვილი... ამისი ყმა შამ-შადილიდამ მოყვანილი... ბოგანო ერვენილამ მოყვანილი, ხიზანი დიდმელი გიორგის შვილი... ხიზანი ყაიყულელი ბელათას შვილი... ხიზანი ადიბეგ ყორღანას შვილის ყმა თრიალელი ასილა... ხიზანი ყაზახელი... ბოდორნას წმინდის ღთისმშობლის ყმა: ... ბოგანო ანანურის ყმა მახარებლის შვილი... ხიზანი ძაგნაკორელი შერმაზანას შვილი... ხიზანი სახასო რუსელი... ხი-

ზანი სახასო ჯავახეთიდან მოსული... ხიზანი საკათალიკოზო ბიწმინდელი ... საშაბუროს სახასო: ბუჩას შვილი... ბოგანო პავლეური ბერის შვილი... ბოგანო ხანდოელი თათარას შვილი... აზნაურშვილი შაბურის შვილი, ამისი ყმა... ხიზანი სახასო თრიალელი ბექქენაძე... ხიზანი სახასო დათოელი მგელიაშვილი... ხიზანი ამილახვრიანთ ყმა ბექუანას შვილი ამათი ყმა თელეთელი გიორგი... ხიზანი მცხეთელი მამუკას შვილი... ბაზალი: პირმისაშვილი... ტონა გრემისხვევს სახასო: ტოტიკას შვილი... აზნაურშვილი ტერის შვილი... ამისი ყმა მანძულაშვილი საკარული ... აზნაურშვილი მიქელის შვილი, ამისი ყმა... მთიულთ კარს: მთიული ბიბილაშვილი... ბოგანო გუდამაყრელი, ბოგანო ხანდოელი ... არღუნს: ბიბილას შვილი... ზენდუშეთს: პირმისას შვილი... აზნაურის ყმა ნინიკას შვილი... ბოგანო ხანდოელი... აქავ ხიზანი ქსნისხვეველი წიატაური, ზენდუშეთს წითლიაშვილი, ამისი ყმა ახალუბნელი ბუზალაძე... ჭილურტს: გიგაური ბექუანის შვილი... აზნაურშვილი ჩრდილელის შვილი... ამისი ყმა... დუშეთს: აზნაურშვილი ყარანგოზის შვილი... ამისთან სახასო ბოგანო ხადელი ირიაული... აქავ სახასო ბურდულის სახელო... აქავ სახასო ბოგანო სომხითელი... აქავ ხანდოელი ბოგანო ვაჟის შვილი... აქავ ხიზანი სიონის ყმა ოთარას შვილი... აქავ ხიზანი ქსნისხვეველი გამხიტას შვილი, აქავ ხიზანი საგურამოელი, აქავ ხადელი ხოსროს შვილი... სასახლის დუშეთს სახასო: ფოლადას შვილი... ბოგანო ახალუბნელი ბუზალაძე, ბოგანო იმერეთიდან გარდამოსული... ბოგანო ხანდოელი გოგიას ობოლი, ბოგანო ვანათელი პატარკაცის შვილი... ბოგანო ტაველური მახარას შვილი, ბოგანო ხადელი სეთურიძე, ბოგანო ქავთარაძე ცხობტელი... ბოგანო გუდამაყრელი ჩობალაური... ხიზანი დიდმელი ლაზარეს შვილი, ხიზანი წინწყაროელი წიწუას შვილი, ხიზანი სადელოფლო ოფრეთელი ტერტერაშვილი... ხიზანი სადელოფლო ტალავრელი კირაკოზას შვილი... ხიზანი ავჭალელი კოზალას შვილი... ხიზანი კათალიკოზის ყმა უფლისციხელი... წინდუშეთს სახასო: ბოგანო მციქური... აზნაურშვილი კობიაშვილი... ამისი ყმა... ამასთან ხიზანი ჯვარელი პაპუნას შვილი... ამისივე [კობიაშვილის] ყმა ჯვანშირიდან მოყვანილი... ხიზანი სახასო ყაზახელი ახვერდას ობოლი... ხიზანი დემეტრე ეშიკალასის ყმა დმანისელი კომლი... ხიზანი საკარელი... ხიზანი სიონის ყმა ჭონდავითას შვილი ... ბოგანო გუდამაყრელი ბექაური... ბოგანო ხანდოელი დათოს შვილი... სახასო არაგველი ბოგანოს ბუჩას შვილი... აქავ ბოგანო პატარკაცის შვილი ნაოზელ კომლი... [მინაწერი] ქკს უფთ. ამ წელს ... არაგვის საერისთავოს ბარის სოფლების აწერის დავთარია. ამისი პირი გადმოწერილია (სეი, I, გვ. 120-139).

პაიჭაური. შიდა ქართლი

პაიჭაური 1789 – იხ. ოხპნჯანანთ შარა

პალავრაჲ. შიდა ქართლი (?)

პალავრაჲ 1031-1033 – იხ. მცხეთა

პალაკაციო

პალაკაციო XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი

პანკელთ ნაკალოვარი. კახეთი

პანკელთ ნაკალოვარი 1756 – იხ. ალვანი

პანკისი. კახეთი

პანკისი 1579 – იხ. მცხეთა

პანკისი 1702 – ... მეფემან ... იმამყული-ხან ... წყალობის წიგნი ... გიბოძეთ თქვენ ... ყოღალაშვილს გარსევანს... მეფის თემურაზისაგან პანკისისა და თუშეთის მოურაობის სანაცვლოდ ბიძა შენს იორამს ნახევარი კახეთის მდივნობა მისცემოდა... (სს, III, გვ. 148-149).

პანკისი 1704 – იხ. მადრანი

პანკისი 1722 – იხ. სარუსთვლო

პანკისი XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

პანკისი 1737 – იხ. ალვანი

პანკისი 1785 – იხ. მარილისი

პანკისი 1788 – თუშთ მოურავი ჯიმშერ და პანკელები წინა ბახტრიონზედ ლაპარაკობდნენ, ჩიოდნენ... თუშთ მოურავი თუ ამისი სახლისკაცი ერთერთი წადგეს, იმ წინ ბახტრიონს შემოუაროს, გაიფიცოს, რომ: „მართალია უწინ წამართმევიაო [მეფეთაგან] და ბოლოს მაჰმადყული-ხანს ჩემთვის უბოძებიაო აქამდისაო“; თუ ასე დაიფიცოს, პანკელებს ხელი აღარ აქვს (ქსბ, V, გვ. 431-432).

პანკისი 1797 – ... ბატონს დედოფალს ... ებძანებინა ოქმით... ჩვენს მთაში პანკისში, ხაშმურსა, პატარბეულელსა და ნინოწმინდურს მეღორეებს ღორი ჰყოლიათო ... [და ჩვენი მოხელეებისთვის] საბაღახე ... არ მიუციათ... (ქსბ, VI, გვ. 43).

პანკისი 1797 – [არზა რევაზ ყოღალაშვილისა გიორგი ბატონიშვილისადმი]: ... ჩემი მამული პანკისს გახლავთ, კუწახტას რაც რომ სახნავ-სათესი მაქვს, ის მამულები ახმეტელებს უხნავსთ... ამას გვევდრები ... ღალა მამეცეს (ქსბ, VIII, გვ. 411).

პანკისის ციხე. კახეთი

პანკისის ციხე 1479 – იხ. მცხეთა

პანკისის კვობა. კახეთი

პანკისის კვობა 1722 – იხ. სარუსთვლო

პანშაკი. ქართლი (?)

პანშაკი 1795 – Письмо царевича Георгия: «Мелик Шакро! пришли 800 р., ты получишь их из податей с **Паншаки** ...»(ГКГ, გვ. 60).

პაპისგორი. ქვემო ქართლი

პაპისგორი 1661 – იხ. ენაგეთი

პაპისგორი 1671 – იხ. ტბისი

პაპისგორი 1679 – ... ჩვენ, ყორღანასშვილმა რამაზამან თქვენ, ჩვენს განაყოფს როსტომას ... მოგვიდეთ ჩვენი მემკვიდრე ყმა ზეგელა, მისი შვილი ...

ჩვენის ნასყიდის ვენახით და ათის დღის მიწით; ოთხის დღისა პაპის გორ-ში შარის პირსა და ექუსის დღისა, სადაც გინდოდეს არადასუბანს შარამდე... (დსსი, I, გვ. 63).

პაპისგორი 1695-1703 – იხ. ლამის ხევი

პაპისგორი 1701 – იხ. ენაგეთი

პაპისგორი 1751 – იხ. ახალშენი

პაპიდისოული პარტახი. იმერეთი

პაპიდისოული პარტახი 1763 – იხ. გუნდეთი

პარაკეველეთის მიწა. ქართლი (?)

პარაკეველეთის მიწა 1741 – ... მე, ტერ-ფილიპემ, თქვენ, ჩემს ბიძაშვილებს ... მოგიდე ჩემი პარაკეველეთის მიწა და მათეს ნავენახევი... (დსსი, II, გვ. 37).

პარიზის-ვეობა – იხ. პარიზის ხეობა

პარკაული მამული. შიდა ქართლი

პარკაული მამული 1693 – იხ. შინდარა

პარკიამკიდე. შიდა ქართლი

პარკიამკიდე 1700-1719 – იხ. ხევთუბანი

პარტახევი. იმერეთი

პარტახევი 1776 – იხ. მორბგვეთი

პარხალი. ტაო

პარხალი XVI ს. დას. – იხ. სამცხე

პარხლის მონასტერი. ტაო

პარხლის მონასტერი 1518 – იხ. სამცხე

პატარა გარეჯვარი. შიდა ქართლი

პატარა გარეჯვარი 1772 – იხ. ხეობა

პატარა გარეჯვარი 1795 ახლო – იხ. ალაიანი

პატარა გარეჯვარი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

პატარა გომარეთი. ქვემო ქართლი

პატარა გომარეთი 1763 – იხ. დიდი ვერისი

პატარა გორი. კახეთი

პატარა გორი 1756 – იხ. ალვანი

პატარა ვერისი. ქვემო ქართლი

პატარა ვერისი 1714-1727 – დავით სუფრაჯის შვილი ნოდარ სუფრაჯის ავთანდილის ყმას იფნარელს ვათიაშვილს ეცილებოდა – ჩემის სოფლის პატარა ვერისული მამული არისო, ჩვენს გარდავარდნას უკან უფლობით აგებრუნებიაო... (ქსდ, IV, გვ. 334).

პატარა ვერისი 1727 – იხ. ვერისი

პატარა ლიახვი, მდინარე (შიდა ქართლი)

პატარა ღიახვი 1678 – იხ. მარანა

პატარა ღიახვი 1716-1724 – იხ. ხევთუბანი

პატარა ღიახვი 1772 – იხ. მუხრანი

პატარა ღიახვი 1779 – ჩვენ ... ირაკლი მეორემან ... სავიცრის წიგნი გი-
ბოძეთ თქვენ, ერთობით თქვენ პატარა ღიახვის ხეობის აზნაურშიელთა,
მოხელეთა, მსახურთა, გლეხთა და ოსთა და ეგრეთვე გვიდისისა და ფოტ-
რისის ოსთა, თღეღთა და ჩიფრანცთა, ასე რომე, თქვენ ძველთაგან
ქსნის ერისთავიანთ ყმანი იყავით, გიორგი ერისთავმან ჩვენ გვიმუხანათა,
უკუგვიდგა ... და ამაების მიზეზით ჩვენს სახასოდ დაგდევით... (ქრონ, III,
გვ. 371-372).

პატარა მარიაში. ქვემო ქართლი

პატარა მარიაში 1543 – იხ. სხალნარი

პატარა მეღვრეკისი. შიდა ქართლი

პატარა მეღვრეკისი 1392 – იხ. ტფილისი

პატარა ტამალია. ქვემო ქართლი

პატარა ტამალია 1676 – იხ. ვანქი

პატარა ტყემლიანა. კახეთი

პატარა ტყემლიანა 1786 – იხ. ახალდაბა

პატარა ფაშატი. შიდა ქართლი (?)

პატარა ფაშატი 1769 – იხ. კაკუერული

პატარა ჯავახეთი

პატარა ჯავახეთი 1785 – [Оружейный мастер округа и сыновья его ... дали ... Ивану
Мухранскому ... грамоту]: «Мы пришли сюда из **Малой джавახетии** и некоторое время
жили в **Тифлисе** свободно... Я пришел к вам и просил выкупил у армянина моего сына...
Вы... заплатили... Таким образом, мы теперь ваши крестьяне... (ГКГ, გვ. 45).

პატარძეული

პატარძეული 1392 – იხ. ტფილისი

პატარძეული 1604 – ... მეფე დავით და ... დედოფალი ქეთევან (წა) ... ოთხს
კვამლს გლეხს სწირავენ ნინოწმიდას პატარძეულში... (ქრონ, II, გვ. 434).

პატარძეული 1638 – იხ. საგარეჯო

პატარძეული 1690-1694 – იხ. გარეჯა

პატარძეული 1708 – იხ. თვალი

პატარძეული 1708 – იხ. მცხეთა

პატარძეული 1710 – იხ. კაწარეთი

პატარძეული 1712 – ... ჩუენ ... მაჭუტაძე ონოფრე ... წინამძღვარმა ... ადვა-
შენე უდაბნოსა შინა საყდარი იოვანე მახარებელისა და ... კლდის სახლე-
ბი, გაღავანი და კოშკები... რაც პატარძეულს და თვალზე წმიდა დავითის
ყმა და მამული მომებარა, იმას გარდა, [შუეძინე] ჩემგან ნასყიდი და შემა-
ტეპული მამულები: პატარძეულს ... [და] თვალზე... ამას გარდა, ახაშანს

დუდაურები წმიდის დავითისა ყოფილიყვნენ, მაგრამ ძუელთაგან დაკარგული შექმნილიყვნენ. კახეთს განჯის-ხანი აბაზყულიხან ბატონობდა. რადგან თათრობა იყო, სყიდვისაგან უფრო ნამეტნავი ხარჯი დამემართა, ღმრთის ძალით ამოვიღე დიდის გარჯით... აკურა ძველთაგან სამკვიდრო წმიდის დავითისა ყოფილიყო. ქსნის ოხრობასა და უბატონობაში ოხიაცორონიანთ დაეჭირათ და ეშოვნათ. მეფის ერეკლეს შვილი, მეფე იმამყულიხან, კახეთს ბატონად მობრძანდა. მოვახსენე და ძველი გუჯრები ვაწვევე და წყალობა გვიყო აკურაცა და ვანთას საკვამლოები და ნაზვერევი და სამეზვერეო მამული; და კიდევ ერთი დიდი ზვარი მე ჩავეყარე აკურას, გვიბოძა კახმა ბატონმა... თვალზე ორი ზვარი და ორი მარანი დიდის გარჯით ნაშოვნი და აშენებული დამიგდია და ქართველ ბატონისა და კახი ბატონის ჯამაგირის წიგნები, და ნადარბაზევზე საყდარი ამიშენებია წმიდის პეტრესა და პავლეს სახელზე... (ქსძ, III, გვ. 680-692).

პატარძეული 1714 – იხ. ბაღბიანი

პატარძეული 1720 – [იმამყულიხანის წერილი უსეინ ყულიხანისადმი] ლეკის ჯარი ... პატარძეულს მოუწდენ. სოფელი უწინვე გამაგრებული გვექონდა... ვერც ტყვე, ვერც საქონელი ვერა წაიღეს რა... ამრიგად გაბრუნდენ... რადგან ორსავ საქართველოს ბატონებს შუა ჩამოგვიცვივდენ, თქვენზედაც ასრე ახლოს მოვიდენ და ჩვენზედაც, თუ ახლა ამათ ასე უჭმლოდ გაუშვებთ, სხვას უარესს საქმეს გაბედვენ... (ქეწ, გვ. 46-47).

პატარძეული XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

პატარძეული 1730-1739 – იხ. თვალი

პატარძეული 1737-1747 – ... ერთი იკორთელი კაცი პატარძეულს ჩამოსულიყო მეარაყე მამუკა, ცოტა რამ მამული ეყიდა და წმინდის დავითისათვის შეეწირა... (ქსძ, IV, გვ. 371).

პატარძეული 1746 – იხ. მარტყოფი

პატარძეული 1760 – Царевич Леон пишет мдивану Манучару: «вчера...мы приехали в селение Патардзуели, а сегодня прибудем в Тифлис. Как только начнет светать, мы двинемся отсюда. Ты должен распорядиться, чтобы приготовили нам обед...». (ГКГ, стр. 34).

პატარძეული 1761 – იხ. სურამი

პატარძეული 1768 – [არზა საბა ნინოწმინდელისა ერეკლე II-ისადმი]: ... პატარძეულს არის საკვამლო ოთხი. თვალზედ არის ორი. ეკლესიაც თქვენია და იმისი მამულიც და მეც თქვენი მლოცველი ვახლავარ... (ქსძ, VII, გვ. 127-128).

პატარძეული 1780 – ... სრულიად ქართლისა და კახეთის მეფემ ირაკლიმ ესე მოწყალებით წიგნი გიბოძეთ ... თქვენ, ქურთულს ხაბარელი სოდომონიშვილებს და პატარძეულს ჩვენს სახასო ყმათ დაგასახლეთ... (დსსი, II, გვ. 108).

პატარძეული 1788 – ღმერთმან ... ხელმწიფის ძის ჭირი მოსცეს პატარძეულს ხიზნათ მოსახლესა დვთისავარსა... წმინდის დავით გარესჯის მადლმა შვილი მომიჩინა. ჩემი თავიცა და შვილიც იმ მონასტრისათვის შემიწირავს... (ქსძ, VII, გვ. 751).

პატარძელი 1788 – იხ. ჯავახეთი

პატარძელი 1791 – იხ. სასამებლო მამული

პატარძელი 1797 – იხ. პანკისი

პატარძელი 1798 – Царевич Георги пожертвовал крестьян в селении **Патардзели** и **Марткоби** и предоставил монастырю [Иоанна Крестителя] право взимать пошлину за право торговли в его деревнях (ГЦГ, стр. 85).

პატარძელი 1798-1800 – Царь Георгий... предоставил монастырю [Иоанна Крестителя] право заводить красильни от селения **Патардзели** до селения **Марткоби** (ГЦГ, стр. 85).

პატარძელი 1799 – [არზა მეთოდისა გიორგი XII-ისადმი]: ... ჩემი თანგადმოყოლილი იმერლები პატარძელს, სამი წელიწადია, აღარ უმსახურიათ რა. ერთი მსახური მყვანდა, ისიც მაჰპარეს... (ქსძ, VIII, გვ. 538).

პატივანი // პატიმანი. ქვემო ქართლი

პატივანი 1728 – ... მე, ისპაშვილმა მაჰმად-ალამ თქვენ, გოსტაშაბიშვილს იესესა [მოგყიდეთ] ... თაყაშვილის დემეტრესაგან მოსყიდული მისი სასახლე პატივანშიდ თავისის შესავალ-გასავლითა... (სს, I, 1899, გვ. 451-452).

პატივანი 1732 – ... მე, თაყაშვილმა ქაიხოსრომ ... შენ აგუდანელს მეთიაშვილს ივანს ... მოგყიდე ჩემი სამკვიდრო მამული პატივანს... ერთის დღისა მამულის საყვარს რომა გავა გზას ქვეით. კიდევ ორის დღისა ნარიყულს გაღმა... კაცთაგან ამისი მოწამე ... ფარსადანიშვილი როსტომ კაკელათელი ... და კაკელი ხუცესი ბასილა... (სს, I, 1920, გვ. 134-135).

პატივანი XVIII ს. I ნახ. – იხ. ბეთანია

პატრების საყდრის უბანი. თბილისი

პატრების საყდრის უბანი 1733 – ... ჩვენ, ღოიანთ ასატურამა ... თქვენ, ბაციკანთ რამაზას შვილსა ოჰანეზასა ... მოგყიდეთ პატრების საყდრის უბანში ჩვენი სახლები. (დთი, I, გვ. 162).

პატრებიანთ უბანი 1768 – ... [თოხათელ ანტონამ ოსეფა ენიბეგაშვილს] მოგყიდე ... პატრებიანთ უბანში მთლიე ჩემი სახლ-კარი... (დთი, I, გვ. 320).

პატრიკეთი // პატრიქეთი // პატიქეთი. იმერეთი

პატრიკეთი 1578 – იხ. ქუთაისი

პატრიკეთი 1669-1725 – ჩვენ ... ქუთათელ-მიტროპოლიტმან ბატონმან ევდემონ, მოგვცით ... წიგნი თქვენ, აგიაშვილს პაპუას. ასე, რომე: ჩემი ორგული კაცი მეჰმარიანშვილი ესახლა პატრიკეთს; და ის... აგაყრევინე; და ყველა მე მომგვარე და მომეცი... (ქსძ, III, გვ. 710).

პატრიკეთი 1740-1750 – იხ. გელათი

პატრიკეთი 1773 – იხ. ქუთაისი

პატრიკეთი 1787 – იხ. სვერი

პატრიკეთი 1793 – იხ. გელათი

პატრიკეთი 1795 – იხ. ტყაჩირი

პატრიკეთი 1798-1811 - ... იაშვილმა [როსტომ] უჩივლა [იოვანე მესხს]: ... პატრიკეთს ჩემი კაცი დამიკავე, სამოცდათუხმეტი კოკა ჩემის ჭირეულის ღვინო წამართვი... (ქსძ, VI, გვ. 444).

პატრიკეთი 1789-1811 - იხ. გეგუთი

პაძისი. ქართლი

პაძისი 1712 - ... პატრონმა ვახტანგ ... თქვენ ... გაბაშვილს ინდოსა ... გიბოძეთ შენი წილი ... პაძისი თავისის სამართლიანის სამძღვრითა ... [და] ათის წლის სითარხნითა. ათი წელიწადი რომ გამოვიდეს, მასუკან როგორც წაგველნი გამოიღებდენ, იმ წესით გვაშსახურებდეთ (სს, III, გვ. 151).

პეტრაული მიწა. შიდა ქართლი

პეტრაული მიწა 1633 - იხ. კავთისხევი

პიღწათუბანი. შიდა ქართლი

პიღწათუბანი 1451 - იხ. ულუმბა

პიპილეთი. რაჭა

პიპილეთი 1287-1288 - იხ. შორაპანი

პირაქეთ საგარეჯო // პირაქათ საგარეჯონი. კახეთი

პირაქეთ საგარეჯო 1392 - იხ. ტფილისი

პირაქეთ საგარეჯო 1637 - იხ. შიგნით კახეთი

პირმისანი. არაგვის ხეობა

პირმისანი 1800 - იხ. ბრაჭულთკარი

პირმიწეთი. ქვემო ქართლი

პირმიწეთი 1756 - იხ. ცხეკვი

პიტინის ჳევი. იმერეთი

პიტინის ჳევი 1578 - იხ. ქუთაისი

პიტლოვანი // პიტლოანი. კახეთი

პიტლოვანი XII ს. მიწ. - იხ. რაბუნო

პიტლოვანი 1392 - იხ. ტფილისი

პიტლოვანი 1532 - იხ. მცხეთა

პიტლოვანი 1579 - იხ. მცხეთა

პიტლოვანი XVII ს. მიწ. - დავსხედით ... ბატონის კათალიკოზის ყმათა და ხიმშიასშვილთ საქმის გასაჩენლად. პიტლოვნისა ასე გავანინეთ: ხიმშიანი ... სადამღისცა დაიფიცონ, იქიმღისი დავანებეთ. და თუ ვერ დაიფიცონ კათალიკოზისა არის (ქსძ, IV, გვ. 188).

პოღევის ტყე. იმერეთი

პოღევის ტყე 1519 - იხ. გელათი

პონტოს ზღვა

პონტოს ზღვა 1777 - იხ. ხობის წყალი

პუყულდაში. სვანეთი

პუყულდაში XIV ს. I ნახ. - იხ. ლატალი

ქალეთი. კახეთი

ქალეთი 1722 – იხ. სარუსთველო

ქალეთი XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

ქალეისი 1789* – იხ. ატოცი

ქაშური. შიდა ქართლი

ქაშური XV ს. I ნახ.– იხ. სამთავისი

ქაშური 1792 – იხ. ლამისყანა

ქაშური XVIII-XIX სს. მიჯნა – იხ. ქსანი

ქატი. კახეთი

ქატი 1590 – Царь Александр с супругою своею Тинатиною пожертвовали монастырям [Гареджийским]: а) Давида – селение Шатни ... б) св. Додо – селения Тазрети, Матани и четыре дыма крестьян в селении Уджарм (ГЦГ, стр. 67-68).

ქატი 1711 ახლო – იხ. დავითგარეჯა

ქატი 1752 – ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, ჟატელმა პეტრიამა თქვენ, ბატონს წინამძღვარს ონოფრეს... თქვენ წაგიველ... მამული გასასყიდლად მოვინდომე; საყდრისა იყო, არ დამანებეთ... იმ ჩემს ნაქონს და საყდრის მამულთან ჰელი არა მაქვს... (ქემეის, გვ. 87-88).

ქატი 1792 – [არზა არქიმანდრიტ იოაკიმისა მეფისადმი]: ... თქვენის ... მამა-პაპათაგან წმიდის მონასტრის შემოწირული სოფელია მთაში ქატი თავის სამძღვრით მითთ. ის სოფელი და იმის მთა პატარძეულელთ ღორს მოაჭამეს... [ერეკლე II-ის ოქმი]: ქატი სოფელი წმიდის დავითგარესჯის მონასტრის შეწირული არის... პატარძეულელთ თუ სხვათ ... უნდა ... საბალახე აართვათ და ამ არქიმანდრიტს მოაბაროთ (ქსმ, VIII, გვ. 135).

ქაშქუაი. რაჭა

ქაშქუაი 1287-1288 – იხ. შორაპანი

ქვანეთი 1656 – იხ. უსახელო

ჟინვალი // ჟინვანი // ჟინოვანი. არაგვის ხეობა

ჟინვალი 1189 – ... მე, მანდატურთახუცესმან და ამირსპასალარმან ჭიაბერმან ... მოვაჯსენე ... მეფეთა-მეფესა თამარს და მათ მიერ ბრძანებითა ... მოვაჯსენე ... უდაბნოსა მღუიმესა ... ჟინოვნით მიხითარაისქენი დავითის შვილნი ... მათითა სახლითა და მამულითა... არა შეგეცვალოს ჩემგან, არცა შემდგომად ჩემისა ჟინოვნისა მქონებულთაგან... მე, შოთაი, ჩემს ჟინოვნისა ქონებასაცა შიგან ამას ვამტკიცებ, ვითა ამას შიგა სწერია (ქისკ, I, გვ. 96-97).

ჟინვალი XII ს. მიწ.– იხ. რაბუნი

ჟინვალი 1297-1298 – იხ. ლაუშა

ჟინვალი 1392 – იხ. ტვილისი

ჟინვალი 1669 – იხ. წილკანი

ჟინვალი 1781 – იხ. პავლეური

ჟინვალი XVIII ს. II ნახ. – იხ. კისისხევი

ჟინოვნის პირი // ჟინვანისპირული. არაგვის ხეობა

ჟინოვნის პირი 1297-1298 – იხ. ლაუშა

ჟინოვნის პირი 1566 – ჩვენ, კირაულისძეთა ... ესე სიმტკიცის წიგნი ... მოგაცხენეთ თქვენ ... ქართლისა კათალიკოსსა ... ნიკოლოზს; მას ჟამსა როდესა ჟინვანისპირულით მამულითა და ბარაუნულით სოფლითა მეფეთ მეფის პატრონის გიორგისა მოაღაპენი და მეეკუდრენი ვიყვენით ბატონის წილკნელის სახლეულნი ერთობით და ჩუენ ორის მამის შვილნი იქით ავიყარენით და ... პატრონისა მარიამისა საეკუდრო დავიჭირეთ და მისსა საფლავსა ზედან აღავერდს აღაპი ... და აღავერდლისა სამსახური დავიდევით. ბარაუნული სოფელი, პატრონისა გიორგის აღაპი, მცხეთისა და კათალიკოზის სამსახური, წილკნელსა და მისთა შვილთა დავანებეთ. ამას გარეთ ჟინვანისპირული ჩუენი კერძი მამული ვენაცს გარეთ რარგინდარა ჩუენი წილი იყოს მამის მამული თუ ნასყიდი ... ყუელა ... მცხეთას თახტზედან მჯდომისა კათალიკოზ პატრიარქისა ნიკუალოზისათუის ... შეგუიწირავს... ჩუენი კერძი, რაც ხანდაკს მამული იყოს, ორთავე ჩუენთა განაყოფთ გაისწორონ... (დსსი, II, გვ. 2-3).

ჟოშხა. ლეჩხუმი

ჟოშხა 1766 – ... ბაკურაძემ გაბრიელმან ... თქვენ, ჩუენს მოურავს გელოვანს ქაიხოსროს ... მოგყიდე ჟოშხას გოგი გელუანის მონაყიდი მამული – მაღალა სალუქაძისოული... კაცთაგან არის მოწამე ... ჭყვიშის მოვრავი გიორგი ჩიქუანი... ლეშკაშელი ნასია... დაიწერე წიგნი ესე ... პატრონობასა დადიანის კაცისა (იფ, I, გვ. 112-113).

ჟოშხა 1766 – იხ. საირმე

ჟოჟოლიანების ადგილი. იმერეთი

ჟოჟოლიანების ადგილი 1766 – იხ. მაღლაკი

რაბუნი. კახეთი

რაბუნი XII ს. მიწ.¹⁶ – [დაწერილი საკათალიკოსო სოფლების შესავლისა]: რაბუნს შედგომამ; ვეცხელი დრამამ სამი; ქრთილი კაბიწი ბ. უდილის სადგომი არა; დრამამ ა. ბოდავს შედგომამ, ... უინოვანს დგომამ... წირდალს დგომამ არა... ვიდარს შედგომამ... წობენს შედგომამ. გუგუნიჯუარს შედგომამ... შეყენებულისჯუარს შედგომამ... იკორდნს შედგომამ... ახალდაბას შედგომამ... ნოკორნას შედგომამ... ძაგუს შედგომამ... ანეშს შედგომამ... დაოთს შედგომამ... შიგონასძის ქედს შედგომამ... ჩორდმანს შედგომამ... ნოდოკრას შედგომამ... ახალდაბას შედგომამ... ამტანს შედგომამ... შეხუშტილას შედგომამ... თრანს შედგომამ... ვაგრანეთს შედგომამ... ხაჯლიოსძისსა შედგომამ... დართას შედგომამ... ონჭალას შედგომამ... ხინჭებს შედგომამ... ყუდროს შედგომამ... ზედიქურნას შედგომამ... ორკვეს შედგომამ... ბუშატს არდგომამ... ივლას შედგომამ... წიბეთს შედგომამ არა... ილს დგომამ... ზედუბანს შედგომამ... ივანწმიდას შედგომამ... ახალკალოს არდგომამ... თოლევს შედგომამ... გორანას შედგომამ... პიტლოვანს შედგომამ... (ქისკ, I, გვ. 74-75).

რაბიწა. აფხაზეთი

რაბიწა 1525-1550 – იხ. ბიჭვინტა

რავახმელა // რუახმელი. იმერეთი

რავახმელა 1509 – იხ. ნობარევი

რავახმელა 1519 – ... მეფეთა-მეფემან ბაგრატ... შემოგწირეთ გელათს ყოვლად წმიდა ღთისმშობელსა პატრონისა მამისა ჩვენისა აღექსანდრესთუს... მათისა სულისა შესანდობლად... რუახმელი სრულიად მარგველაშვილები... (ქრონ, II, გვ. 343).

რაკინა. შიდა ქართლი

რაკინა 1392 – იხ. ტფილისი

რამაზანას იათალი. კახეთი

რამაზანას იათალი 1697 – იხ. ბერთუბანი

რამაზიანი. კახეთი

რამაზიანი 1693 – იხ. კაკაბეთი

რაჟიანთ ეკლესია. კახეთი

რაჟიანთ ეკლესია 1579 – იხ. მცხეთა

რარაიმა. ქვემო ქართლი

რარაიმა 1653 – იხ. ბელენი

რასტაბაზარი. თბილისი

¹⁶ ქსმ, III, 233-237 ათარიღებს XV ს-ით (?) და მიიჩნევს ერწო-თიანეთის საეპისკოპოსო გამოსაღების წიგნად.

რასტაბაზარი 1679 - ... მე, აბესალამანთ მურადაშვილმა ხოჯინამა ... შენ, ბატონისშვილს აშოთანს ... მოგყიდე ჩემი სახლები... არის სამძღვარი მისი: ერთი გვერდი შაჰოათ სახლები, უკან რასტაბაზარი... (დთი, I, გვ. 33).

რასტაბაზარი 1683 - ... ნასყიდობის წიგნი ... დაგიწერეთ ... ჩვენ, ქალაქის მოურავის, მეითარ მანუქარის შვილმან პატბეგ ... თქვენ, ქალაქის მამასახლისის გიორგის... როსტომ ნეფის დროში თქვენი მამითა და პაპითა მკვიდრი მამული იყო რასტაბაზრის ჩასუსაშია, თქვენსა ღუქნებსა წინა... ტახტებად ავაშენეთ... [როცა გაირკვა] თქვენი მკვიდრი მამული იყო, ჩვენც ... ისი ალაგი, ოთხი ტახტის ადგილი ... მოგყიდეთ... (დთი, I, გვ. 36).

რასტაბაზარი 1689-1693 - ... ჩვენ, შერგილას შვილმა ნაცვალი დავითამ ... შენ, გოშპარანთ ნაღბანდ ბაინდურას ... მოგყიდე რასტაბაზარში ერთ ჩვენი ქულბაქი თავის ფასდუქნით... (დთი, I, გვ. 49-50).

რასტაბაზარი 1708 - ... ეს საგამყრელო წიგნი ... მოგეცი მე, მაღდისი ამირჯანათ ბაღდინას შვილმან ... შენ, ჩვენს ძმას ზალინასა... ჩვენ ხუთ ძმათ, ჩვენი ნება-წადილობით რომ დედა ჩვენს რასტაბაზარში შარონთაგან ნასყიდი ღუქანი სამარხი მივეცა, ამ ღუქანს გარდა ... დედას ჩვენს მივეცი თ ჩვენის დის ზითვის ფასი... (ქსბ, IV, გვ. 226).

რასტაბაზარი 1719 - ... მე, აღზამანთ გასპარას შვილმან მარტიროზამ ... შენ, ნარიმანთ ბაღდასარას შვილსა ოსეფასა ... ციხას თათრისაგან ... ნასყიდი ერთი ღუქანი რასტაბაზარში ... მოგყიდე... (დთი, I, გვ. 116-117).

რასტაბაზარი 1723 - ... მე, ყუზანთ მიღდისი გოგინას შვილმა ასატურამა ... შენ, მანგუანთ გასპარას შვილებსა ... [მოგყიდე] ჩვენი ალალი მამისეული ქულბაქი რასტაბაზრის თავშია... (დთი, I, გვ. 127-128).

რასტაბაზარი 1724 - [გასამყრელო ოქრომჭედელ გარსოას შვილებისა]: ... პეტროზას შვილებს ერგო: მაჩკინთაგან ნასყიდი სახლები, რასტაბაზრის ღუქანი... (დთი, I, გვ. 132).

რასტაბაზარი 1749 - იხ. ციხის მეიდან

რასტაბაზარი 1758 - იხ. მეიდან

რასტაბაზარი 1758 - ... [ალაღარასმა მკრტუმას] მოგყიდეთ რასტაბაზარში ... ღუქანი... (დთი, I, გვ. 281).

რატევანი. ქვემო ქართლი

რატევანი 1468 - იხ. ქვეში

რატევანი 1527-1558 - იხ. ყორანთა

რატევანი 1537-1538 - იხ. დმანისის ციხე

რატევანი 1706 - ... ჩვენ ... საქართველოს ჯანიშინმან ბატონისშვილმან ... ვახტანგ ... თქვენ ... ბარათაშვილს იოთამისშვილებს ... ოთარს ... გიბოძეთ შენის ბიძაშვილის ლუარსაბის წილი მამული რატევანს ზვარი, წრაუთს ყანდიაშვილი... (დსსი, I, გვ. 130).

რატევანი 1746 - იხ. ხაში

რატევანი 1778 – ღმერთმან ... ველმწიფის ჭირი იოთამისშვილებს და ქვეთარისშვილებს მოსცეთ... ბოქაულისშვილს ნიკოლოსს თქვენთვის არზა მოერთმია ... რომ რატევანში წილი მაქვსო და ოქმი მოგვიტანა: წილი მიეცითო... სომხით-საბარათაშვილო ... ჰკითხეთ, თუ ამათ ან ამბავთ გაგონოსთ, რომ გურჯი რევაზის შვილს რატევანში საქმე ჰქონოდეს რამე... (ქსბ, VII, გვ. 404-405).

რატევის ჭალა. ქვემო ქართლი

რატევის ჭალა 1447-1459 – იხ. ყორანთა

რაფაქეთი. ქვემო ქართლი

რაფაქეთი 1792 – იხ. ბალიჭი

რაჭა.¹⁷ რაჭა

რაჭა 1591 – იხ. ხონტორი

რაჭა

რაჭა 1259-1293 – იხ. მაღლაკი

რაჭა 1287-1288 – იხ. შორაპანი

რაჭა XV – იხ. კვაშიეთი

რაჭა 1503 ... დაგუიწყეთ მტერობა თქვენ, ჯაფარიძემან სარგის და აღარც გაგუიშოთ საჯამაგიროდ, აღარც რაჭას და ლენხუმს სამუშიროდ გამოგუიშოთ. შუიღს წელიწადს ასრე ვიყუენით, რომ სრულიად სუანეთის ქუყანასა საზიარებელს ველარ ვიშოვებდით და არც ვის მარილის გემო გუინახავს. მერმე ... ჩამოვედით ლენხუმს და რაც სავაჭრო გუახლდა გაგჰყიდეთ და ვისაქმეთ. ავჰვიდეთ ღუინო და წამოვედით... თქვენ სრულიად რაჭველნი შეგეყარა და ასრე მოსულიყვენით რეხტაშიგა, რომ ჩუნ ... ვერ შევიტყუეთ... ეს ყუელა კაცნი დაგუტოცეთ და ოთხასი ცხენი ... მისის საპალნიტ წაგუართოთ. ამას გარეთ ... ასი სუანი დვალეთისაკენ გავიპარენით, კახეთს საჯამაგიროდა წავედით... შინისაკენ რომ შემოვიქცეთ, იმავ დვალეთზედ წამოვედით, - დაგუხუდით გლოლას და ჭიორას შუახედან და მოგუიჭირეთ ველთა ... [და] ჩუნის მონაგებიანად ონს მოგუახსით... ვიყუენით სრულად ეცერს აქეთ რაც სუანეთი არის თორმეტს წელიწადს ასრე შეწყუდეულნი, რომ ვერც კახეთისაკენ ვიშოეთ საჯამაგირო გზა, ვერც სამცხისაკენ და ვერც გურისაკენ, ვერც ვიმუხირეთ... მივედით ეცერს, რუჩაგიანსა და დადიშკელიანსა შევეხუეწენით და დადიანთან გაგზავნეთ [მეფესთან საშუამდგომლოდ]... ასრე ებრძანა მეფეთ-მეფესა პატრონსა აღექსანდრეს თუ, ჯაფარიძისთანა თავადი რაჭას არა მყავსო ... და სრულიად რაჭველნი და ლენხუმელნი დამეკარგუიანო... მივედით დადიანთან სრულიად ჩენილები. წამოგუიძლუა ... ბატონი დადიანი და გეგუთს მივედით. შეიქნა საქმობა და სანახშირე გუთხოეს ჯაფარიძეთა... და მივაცემინეთ ლაშხეთს სოფელი და ციხე, ხერიას ცხრა კუამლი კაცი, და ერთი მომცრო მონასტერი წმიდის გიორგისა... ამას გარეთ მოგეცით ოსეთის პი-

¹⁷ ეს რაჭა შესაძლოა პუნქტს აღნიშნავს და არა მხარეს.

რად მთიულეთს ხიდურას ოცი გლეხი, ერთი კარგი ციხე, ორი მონასტერი... იქვე ხიდურას ერთი აზნაურშვილი სოსაგიძე მისითა ციხითა, თორმეტი კუამლი კაციოთა. სხუა - მთიულეთს ციხე და სოფელი ბრილი, ოცდაოთხი კუამლი კაცი, ერთი ეკლესია... თევარეშოს - თექუსმეტი კუამლი კაცი და ციხე სხუა, და არიშიძე ლომი მისით ციხითა, ორმოცი კუამლით კაციოთა. ზედ-ქალაქსა კარგი საბატიო გუმბათიანი საყდარი ჯუარცმისა საეფესკობოზო ... ასის კუამლით კაციოთა. და დებს - ორი აზნაურშვილი გიგაშვილები მისით ციხითა და სამოცდათორმეტი კუამლით კაციოთა. შოდას - წმიდის გიორგის ეკლესია და სოფელი, ოცდახუთი კუამლი კაცი და ციხე ჩუეშოს - ციხე და შუიდი გლეხი. ჭიორას - ციხე და სოფელი, თექუსმეტი კუამლი გლეხი. ბუბას - კარგი ეკლესია, ციხე და სოფელი; ეკლესია კარგისა ჯუარ-ხატიოთა, ოცდახუთი გლეხი.. სხუა - დების შესავალი სოფლები... სამი საშავარდნე სხუა, ყოვლის დღის სანადიროები საჯიჭვე, ზოფახითო, კირტიშო, ედენ, გილოინა, რიონის სათავე... რომე თქუენი სწორი კაცი სუანეთს არ იყო ... სრულიად სუანთა ეცერს აქათ ... თქუენი ბაჟი დავიდევით, სრულად მულახელთა და მულახის შესავალთა, ლატარელთა და ლატარის შესავალთა, უშკულელთა და უშკულის შესავალთა. აწე მოგუიცივნებია გლოლას ზედათ, ცენას იქით, ოსეთს აქათ, სრულად მთიულეთის თემი, მათით სამართლიანით მითითა, ბართათა... აწე გქონდეს მეუიდრად, სამამულოდ ჭიდროთას ზედათი, და გლოლას ზედათი, სუანეთს იქით, ოსეთს აქათი, სრულად მთიულეთი ოთხასი კუამლი აზნაურ-შვილიანად, გლეხიანად (სწმ, I, გვ. 113-115).

რაჭა 1544 - იხ. ნიკორწმინდის მონასტერი

რაჭა 1696-1700 - ... ჩვენ ... წულუკიძემან ბატონმან მერაბ ... მას ჟამსა ოდეს ... კათალიკოზი პატრონი გრიგოლი რაჭას მობრძანდა და სასაფლავოს ჩუენსა ნიკოწმიდას აღვიდა ... მაშინ შემოგწირეთ აქ რაჭას ... ორი კვამლი კაცნი ... და ყმად ბატონის კათალიკოზის გრიგოლისთვის მიგვირთმევათ. ხიმშს ვენახი პეტრე დონადისეული ჩუენს მზვარეს აკრავს, ისიც შემოგწირავს... (დსსს, I, გვ. 85).

რაჭა 1752-1784 - ... პაპუნამ [წერეთელმა] უპასუხა [საჩინო ბარათაშვილს]: ... ურია ვავავზავნე რაჭას, ორ მტყვე თათარი წავატანე გასაყიდლად და ასი მარჩილი თეთრი. დახვდი წინ, მტყვეებიც წაართვი, თეთრიც... (ქსბ, V, გვ. 276).

რაჭა 1756 - ... რაჭველმან ურიამ დავითამ სურამელს ქუჩუმადნელს უჩივლა ხუთი ფლური და ორი რუბი... (სამდ. გვ. 29).

რაჭა 1776 - [იასე თაქთაქიშვილის მოწმობის წიგნი]: ... რაჭიდამ მეტრეველები ჩვენ მოგსლია და ამ ერთს მეტრეველისთვის მამული ვერ უშოვნეთ. აზატობის წიგნი მოგვიცია... (დსსი, II, გვ. 98).

რაჭა 1784 - მეფეთ სრულიად იმერეთისა დავით ... იაშვილს ნიკოლოზს მრავალის სიყვარულთ მოგიკითხავთ. მერმედ არის და ღუთის ნებით თავიანთი მამულები რაჭას ყოველივე უკლისად ამ ჩსენ დისწულებს მოვეცით და გვიწყალობებია. და ლევან გამყრელიძე თან წამოგვიტანებია (ისპს, გვ. 10).

რაჭა 1786 – ... იმერთა მეფე-მეფეთამან დავით ... გიბოძეთ [წყალობის წიგნი] ... წერეთელს ბეჟანს... წერეთელმა პაპუნამ გვიდალატა ... ლეკისა და თათრის ჯარს ჩამოუძღვა რაჭას, და მრავალი ღა აურაცხელი ქრისტიანი დაატყვევა, უდაბნოები გასტეხა და ძელი ცხოვრებისა ჩვენისა დაარღვია... და ომი გეიყო... გაემარჯვეთ და ახლა შენ გიბოძეთ საწერეთლოსა ... უფროსობა... (მსკი, 31, გვ. 183-184).

რაჭა 1790 – [არზა ბერო კილარიძისა ერეკლე II-ისადმი]: ... ღმერთმან ... ჳელმწიფის ჳირი მოსცეს რაჭიღამ გადმოსულს ზაქარიას შეილს კილარიძეს ბეროს... ჩემს ქვეყანაში აზნაურშვილი გახლდი. ახლა თქვენს საფარველს მოვაშურე და შადღაურში ვსახლობვარ... გვედრები ... რომ ჩემი აზნაურიშვილობა არ ამოიხოცოს... (ქსბ, VIII, გვ. 68).

რაჭა 1793 – [წერეთლების სახლისკაცობის რიგი]: ... რაჭას თუ იმერეთს, რომელიც მგზავრი ჩვენს გზაზედ დაიარება, ცალიერს კაცს ბაჟი სულ არ ეთხოვოს, არც გამეღელს არც გამოძვლელს... რაჭას თუ იმერეთს სამკვიდრო თუ ნაშოენი მამული თუ ციხე, რომელიც გვაქვს, სადღო თუ უღღო, შესავალი თუ გამოსავალი, ერთი იყოს. ასე რომ, სანხერის ბაჟი მესამედი ჩვენს ძმას ბერს ქონდეს; წელიწადში ასი მარჩილი რაჭიღამ ბერს ერგოს... შემდგომად ამ ჟამისა ჩვენმა საერთო კაცმან იმერეთშიდ თუ სხვაგან რაც იშოენოს, ფანჯიაკი, როგორათაც ძმობის რიგი არის, ისე გავიყოს... (ქსბ, VIII, გვ. 923-925).

რაჭა 1794-1795 – [ბეჟან ავალიშვილის წერილი იოსებ ამილახვარისადმი]: ...ბატონი რაჭას ბძანდებოდა... მეფე ქუთაისზე წაბძანდა და მე აქეთ არგვეთსა და ზემო მხარში მიბძანა სამსახური და მზადება... ქუთაის ზეთის კვამლის კაცს ვამზადებ... ამებში ამ თქვენს კაცებს რაჭაზე გარდევლოთ და ქუთაის მეფეს ხლებოღნენ... იქიღამა გამოიარეს და თქვენი წიგნი ამოვლიღმა, აქ, საზანოს მამიტიანეს... (სს, III, გვ. 366).

რაჭა-ლენხუმი

რაჭა-ლენხუმი 1745 ახლო – [მინაწერი სიგელზე]: მონა ღუთისა, სარდალი რაჭა-ლენხუმისა, წულუკიძე მერაბ (იდ, I, გვ. 76).

რაჭის მთა

რაჭის მთა 1529 – იხ. გელათი

რაჯაჯი. კახეთი

რაჯაჯი 1579 – იხ. მცხეთა

რგანი. იმერეთი

რგანი 1515-1535 – იხ. კაცხი

რგანი 1615 – იხ. კაცხი

რგანი 1680-1696 – იხ. კაუის სამანი

რევაშენი. ქვემო ქართლი

რევაშენი 1543 – იხ. სხალნარი

რევაშენი 1688-1703 – იხ. მარაბდა

რევაშენი 1702 — ... ჩვენ, გერმანოზიშვილმან ვარაზამ ... თქვენ, ორბელიშვილს ... ერასტის ... მოგყიდეთ ჩვენი ალალი სამკეიდრო მამული რევაშენს ყაზინაშვილის საკომლო... (სს, II, გვ. 188).

რევაშენი 1727 — იხ. ვერისი

რევაშენი 1763 — იხ. დიდი ვერისი

რევაშენი 1792 — იხ. ირაგა

რეველი — იხ. რველი

რეკა. ოდიში

რეკა 1628 — იხ. ღალიძგა

რენე. შიდა ქართლი

რენე 1766 — იხ. გორი

რეხა // რეხი // რეკი. შიდა ქართლი

რეხა 1513 — იხ. სამთავისი

რეხა 1516-1535 — იხ. კუნელი

რეხა 1632-1658 — იხ. ხელთუბანი

რეხა 1651 — იხ. ბიბლიანთ უბანი

რეხა 1700-1719 — იხ. ხვეთუბანი

რეხა 1701-1703 — [განჩინება ციციშვილების გაყრის საქმეზე]: ... ერთ წილათ რეხას ხახუნაშვილი ტატია, რისაც მამულის მქონებული იყვნენ, ერგო ელიშერს (ქსძ, VI, გვ. 632).

რეხა 1701-1703 — იხ. მძოვრეთი

რეხა 1736-1744 — იხ. მოხისი

რეხა XVIII ს. შუაწლ. — იხ. გარეჯვარი

რეხა 1754 — ... ამილახორი ამირინდო და ამისი ბიძაშვილები ... თავის ბიძაშვილებს დემეტრესა და დათუას მამულზედ ელაპარაკებოდნენ... ამათი საჩივარი გაეშინჯეთ და ასე გაეარიგეთ... რეხზედ ზილფი ყარასშვილი და მანისშვილი საერთო არის... (ქსძ, IV, გვ. 433).

რეხა 1754 — იხ. დიღომი

რეხა 1756 — იხ. ორჭოშანი

რეხა 1759 — ... ოთარ მდივანს რეხას ნასყიდი წისკვილები ქონია. იმ წისკვილის უკან თუმანისშვილი პაპოას ცოტა რამ ადგილი გაუყიდნია რეხელს თანდილაზე. ის მდივნის ნასყიდი წისკვილის უკან სხვა წისკვილის გაკეთებას აპირებს სადმე... (ქსძ, VII, გვ. 40).

რეხა 1759 — ნიკოლოზ ამირახორისშვილს ერგო საუმცროსოთ ბაღი და სასახლე... რეკის ზვარი ნიკოლოზს დიდი ზერისაკენ ერგო, რევაზს ნაუშვილის ვენაჯისკენ (ქსძ, IV, გვ. 470).

რეხა 1759 — იხ. ძევერა

რეხა 1762 — იხ. ენაგეთი

რეხა 1766 – [განჩინება დემეტრე ამილახერიშვილის და მისი სახლისკაცების გაყრის საქმეზე]: ... რეხზე და ცხვილოს სამი ხოდაბუნი და სამი ნახვრევი არის, ამის მერვედი ბატონისა არის (ქსძ, IV, გვ. 520).

რეხა 1766 – იხ. გორი

რეხა 1768 – იხ. ქვენა ტოცვა

რეხა 1770 – იხ. გომი

რეხა 1772 – იხ. ხეობა

რეხა 1774-1783 – იხ. ვარიანი.

რეხა 1786 – [არზა როსტომ ერისთვისშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ეხლა რომ ახალციხეს გახლდი, იოსებ თულაშვილი თან მყვანდა. და ჩემს იქ ყოფნაში [შანშე ერისთვისშვილს ყმა-მამული დაუტაცია]... რაც რეხის ხნულები ქონდა, იმას დაუფარცხავს... [ერეკლე II-ის ოქმი]: თულაშვილს იოსებს რაც მთაში მამული გამოურთვა, რეხა ჩვენის ბძანებით იმის სამაგიეროთ მიეცა... (ქსძ, VII, გვ. 698-699).

რეხა 1787 – [ერეკლე II-ის ოქმი]: ... დიასამიძე მორდალო იესე ... თულაშვილს იოსებს ... მთაში რომ თავისი სამკვიდრო მამული გამოურთვა, რეხა იმის სამაგიეროდ მიეცა ჩვენის ბძანებით... (ქსძ, VII, გვ. 735).

რეხა 1792 – [არზა ეგნატი თუმანიშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ... თუმანიშვილს ნიკოლოზს ... საიღამაც ჩვენის მიწებიდან ან რეხიღამ და ან ახალღამიღამ ღალა წაელოს და მოეტაცნოს, ის უკლებრათ გამოგვირთვას და მოგვეცეს... (ქსძ, VIII, გვ. 168).

რეხა 1796 – [არზა ნიკოლოზ თუმანიშვილისა იულონ ბატონიშვილისადმი]: ... რეკს მამუკელაშვილმა და სულიაშვილმა ორის კომლის კაცის ნახახლარები და მარანი გამიჭრეს, წისქვილის რუ გაიყვანეს, ქვევრები ამოყარეს და გაბიფუჭეს... მთელმა ზემოთმა რეკვამ იცის, საცა იმათი სათავე არის წისქვილისა... ერთის იასაულის წყალობა იყოს, რომ მოვიდეს თორტიზიღამ და ზემო რეკვიღამ კაცი მოიყვანოს, გაშინჯონ... (ქსძ, VIII, გვ. 386-387).

რეხა 1799 – [ნიკოლოზ თუმანიშვილის არზა ფარნაოზ ბატონიშვილისადმი]: ... რამდენიმე წელიწადია ჩემს მამულში რეკს იდგა კოშაძე მერმე ჰელთუბანს მოვიყვანე, დავასახლე... მერმე ისევ რეკს მონდობა დგომა. ისევ ჩემს მამულში დავაყენე. ახლა აყრას აპირებს... (ქსძ, VIII, გვ. 587).

რეხა XVIII ს. მიწ. – იხ. ნიქოზი

რეხა XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

რეხა XVIII-XIX სს. მიჯნა – იხ. თელეთგორი

რეხის გზა. შიდა ქართლი

რეხის გზა 1651 – იხ. ბიბლიანთ უბანი

რეხის ჰევი. შიდა ქართლი

რეხის ჰევი 1392 – იხ. ტფილისი

რეხის ჰევი 1559 – იხ. სხალდიდი

რეხტა. ლენხუმი

რესტა 1503 – იხ. რაჭა

რესულა // რეკულას წყალი, მდინარე. შიდა ქართლი

რესულა 1731 – იხ. ქსანი

რესულა 1772 – იხ. მუხრანი

რველი // რვეელი. ხეობა

რველი XIV – იხ. მორბოდაოლი მიწა

რველი 1659 – ... ესე ... წყალობის წიგნი ... გიბოძეთ ჩვენ, სრულიად იმერთა, აფხაზთა, სვანთა და დვალთა ოსთა მპყრობელმან ... მეფეთ-მეფემან ალექსანდრემ ... შენ ... ომათმადიძეს ციხისთავს იოვანეს ... [გიბოძეთ] რაც რომ მამაშენს, ციხისთავს არმაბეგს სჭირვია და ქონებია ქართლის საზღვარს აქეთ, რველს აქეთ და აწყვერის საზღვარს აქეთ – ვახანის ციხე ქვები, ბაბი, მოღითი, რაც რომ მისი შემავეალი იყო... ამას გარდა ... გვიბოძებია გურნას ბედან ყოფიანი... კუალად გიბოძეთ გონა ყოფიანის (sic) მისი ოცდახუთის მოსახლე კაცით, ალაგ მამულით სანაოს ქედით, შქერნალით... ორმოცდახუთი მოსახლე კაცი... ოკრიბასა და ვაკეში... სეფეულას მიდორს აქეთ, სკიპიას დელესა და გორმახვილის შუა, ჯოღლარდუნინანათ სანჯადის დელეს აქეთ, ჯავშიანათ გვიმბრალის ბოლოზე, ჭანხურას დელეს ზეით, ნახშირის დელესა და ჭიშურას შუა ჭიშურას ჩასართავამდი... (სმ, I, 1925, გვ. 91-92).

რველი 1796 – [არზა იესე თაქთაქიშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ... რველი და რვეელი კაცნი და ქვემო ზვითს ჩემი წილის ნახევარი მებოძა. ეს რველელები სულ აყრილნი არიან და სხვა სოფლებში დგანან... ორი კომლი კაცი ... ჭაღას არიან. ერთი კომლი ... აბისს არის... ორი კომლი ... ბრეთს დგანან... ორი კომლი ... მუხრანს არის. ერთი კომლი ... ძვეარას არის... (ქსძ, VIII, გვ. 371).

რიკაძე // რიკაძეები. შიდა ქართლი

რიკაძე 1634 – ... გამოიფიცა დავით [დავითიშვილმა] და გამოიტანა ფიცითა ... სოფელი წაბლოვანა, სოფელი სტკოცა და რიკაძეები მათის მამულითა... (ქსძ, IV, გვ. 69).

რიკაძე 1715 – იხ. წაბლოვანა

რიონი. იმერეთი

რიონი XV ს. – იხ. კვაშიეთი

რიონი 1545 – იხ. გელათი

რიონი 1644 – იხ. ქუთაისი

რიონი 1660 ახლო – იხ. ნოღა

რიონი 1673-1696 – იხ. გელათი

რიონი 1706 – იხ. ხორვა

რიონი 1712 – იხ. ხორვა

რიონი 1764 – იხ. ზარათი

რიონი 1776 – იხ. გელათი

რიონი 1778 – იხ. ოხოშირა

რიონი 1787 – იხ. სვერი

რიონი 1797 – [სოლომონ II-ის შეწირულების ნუსხა ქრისტეს საფლავის ეკლესიისადმი]: ...В селении **Риони** – Морчадзе Хахута... В селении **Патрикети**: Вачиберадзе и Захарий с сыновьями... В селении **Парцханаканеви**: Тевдорадзе Мамиствала и его братья... (ГЦГ, стр. 118-119).

რიონი, მდინარე

რიონი 1470-1474 – იხ. მსხულები

რიონი 1529 – იხ. გელათი

რიონი 1544 – იხ. ნიკორწმინდის მონასტერი

რიონი 1578 – იხ. ქუთაისი

რიონი 1611-1657 – იხ. ხობი

რიონი 1798 – იხ. საჭილაო

რიონის სათავე. სვანეთი

რიონის სათავე 1503 – იხ. რაჭა

რიყიანი. შიდა ქართლი

რიყიანი 1711 – იხ. ოქუანთეული მიწა

რიყისუბანი. შიდა ქართლი

რიყისუბანი 1451 – იხ. უღუმბა

რკვია // რკუია. იმერეთი

რკვია 1604-1620 – იხ. კაცხი

რკვია 1610-1630 – იხ. კაცხი

რკინის ჯვარი // რკინის ჯუარი. იმერეთი

რკინის ჯვარი 1515-1535 – იხ. კაცხი

რკინის ჯვარი 1680-1696 – იხ. კაჭის სამანი

რკონი // გრკონი // კრკონი. შიდა ქართლი

რკონი 1260 – იხ. ხოვლე

რკონი 1412-1442 – ჩუენ, მეფეთა-მეფესა აღექსანდრეს ... ესე წიგნი ამა ზე-და მოგვიცხენებია ... კრკონისა ღმრთისმშობელისათუც: ვნახეთ თქუენისა ხოვლისა სიგელია და ... არა ეწერებოდეს არასთანა სათხოვარი ... არა გორიდაღმან და არა ატენით... (ქისკ, I, გვ. 157).

რკონი 1446-1464 – ... მეფეთა-მეფემან გიორგი ესე წიგნი ... მოგუივცხენებია ... რკონისა ღმრთისმშობელისა... ვნახეთ თქუენი ხოვლისა სიგელი... ჟამთა ვითარებისაგან ატენის ციხის სათხოვარი რაიმე შესრულიყო ... და არა რომელთა მეფეთაგან არა გწერებოდა. და აწ, ჩუენ, ახლად დაგიმტკიცეთ და გაგიახლეთ [შეუვალობა]... ამა განენილსა ... რამანცა კაცმან მოუშალოთ: ... ატენისა მოურათა, ანუ ატენისა ციხუანთა და ანუ რკონისა პატრონთა, შენ, რკონისა ღმრთისმშობელს ... იგი გაიკითხე... (ქისკ, I, გვ. 157-158).

რკონი 1527-1558 – იხ. ქვეშელის ციხე

რკონი 1595 - ... მეფემან-მეფეთამან სუიმეონ ... შემოგწირეთ ... მანგლისისა ღმრთისმშობელსა, საჯავახიანოში როსაბისეული მამული... როსაბ უშვილო გარდაიცვალა; და მისეული მამული შემოგწირეთ და მოგაცსენეთ [ყმა-მამული]: გრკონს... ზაკუს... ფიცეს... ზესს... ხოვლეს - ზუარი და სამი დღის ხოლაბუნი... დაიწერა სიგელი ... კელითა ქუთაჯვეისა წინამძღრისა... (ის, III, გვ. 85-86).

რკონი 1624 - იხ. თავა

რკონი XVII ს. I ნახ. - ... ჩუენ, პატრონმან ჯავახისვილმან იესე შენ, პატროსანსა რკონისა ღმრთისმშობელსა ... შეგწირეთ ... დეკანოზისვილინი პეტრე და მისნი ძმები... (ქისკ, I, გვ. 158).

რკონი XVII ს. შუახ. - ... ჩუენ, ჯავახისვილმან პატრონმან როინ თქუენ ... რკონისა ღმრთისმშობელსა ... შემოგწირეთ ... სრულად ჩუენი კერძი რკონს, რისაც ყმის მქონებელნი ვყოფლვიყუნეთ (ქისკ, I, გვ. 158-159).

რკონი 1721 - იხ. საჯავახიანო

რკონი 1724 - ჩუენ ... კათალიკოზ-პატრიარქმან ... დომენტიმ წყალობის წიგნი გიბოძე თქვენ, ერთობით კრკონელთ... კალმახი უნდა მოგეტანათ, ამისთვის დრამა ამოეკვეთათ და ამ დრამას გარდაცა სამის წყლის სიგულეებიცა გექონდა, რომ სვეტის ცხოველისა არის: ხევძნელა, სამაჭხეველო და სარჩელა, ესენი ჩვენგან ყორული იყო (ქისკ, I, გვ. 159).

რკონი 1727 - ... ჩვენ, ჯავახისვილმან, პატრონმან როვინ ... შემოგწირე შენ, რკონისა მღთისმშობელსა ჩემგან გაკეთებული წისკვილი თავის შესავლით, გასავლითა... (სს, II, გვ. 341).

რკონი XVIII ს. - იხ. ხოვლე

რკუია - იხ. რკვია

რობა. სამეგრელო

რობა 1753 - იხ. გულუხეთი

როკეთი. შიდა ქართლი

როკეთი 1712 - იხ. ურბნისი

როკითი. იმერეთი

როკითი 1578 - იხ. ქუთაისი

როკითი 1773 - იხ. ქუთაისი

რომანაული პარტახტი. იმერეთი

რომანაული პარტახტი 1550-1570 - ... მე, ვახუშტი აბაშიძემან გკადრეთ ... ჩემის უბრალოს თეთრით ნასყიდი მამული და ალაგი ... თქუენ, სამეკვიდრებელსა ჩემსა წმიდასა მონასტერსა¹⁸... შემოგწირეთ ცელისტარასვილის მოსყიდული ვენაჯი და ალაგი მეეკუტრეს ... და თაყას მოსყიდული რომანაული პარტახტი მისის სამზღურითა... დვერეს სასახლე მისის მოსახლითა და სამზღურითა... საზაფხულო სასახლე ზუმადალს მისის მოსახლითა

¹⁸ იგულისხმება გელათის საკათალიკოსო წმ. გიორგის ტაძარი.

საზღურითა ზუარის მუშაობაზედა... დეინო უნდა მისცენ მეზურესა აძილ-
ბართულზედა... აღიბარულის სამზღურამდის; იქით და ჩხერისმეღემდი და
ძირულამდი გუველესიანების სამზღურამდის; ტყე და მინდორი ღოდაური
მისის საზღურითა, სვიმონაური და ფარსმანაული მისის საზღურითა,
წყლისაგან ყარინება ჩხერისმეღემდი; ჩხერისმეღე ძირულამდი, ძირულას
ნახევარი, ბურთულს ზედათ გუველესიანის სამზღურამდი. არის კიდევ შე-
წირული... ერთი სასახლე მისის საზღურითა, კაპარჭინაშვილს ზედათ სა-
სოსო ტყე და ალაგი მისის სამზღურითა, უბიანი მისის საზღურითა... ჭიჭი-
ლაურზედა ოთხი კუამლი კაცი გამოიღებდენ სააღაპოდ... თეორ წყარო-
დადმან რასაც კუამლი ამოსდიოდეს ოროლი ჩარეკი სანთელი... არის მი-
საცემი კუამლზედა ... ელაზნაურთა, ჭართლეღთა, ფარცხნელთა, თეთრაწ-
ყაროელთა ფაქუთელთა, წიფლეღთა, კუადაურელთა, საბელთა, სასუმე-
თელთა, ხორთელთა, საწერეთლოელთა, საყდრის ყმათა, ნატობეურელთა,
მლაშელთა, აჭარელთა, წვეველთა, იღმელთა, თურინელთა, ქორეთელთა,
ზესტაფონელთა ერგების ჭიჭაღაურზედა ოთხის კუამლის კაციანაგან...
არის შეწირული ... წმიდის გიორგის წვეისათვის... ღომნის მოსყიდული
პარტახტი ტაბატაური ერთ გლეხად... რაც სხუას წვეველს კაცსა მართებს,
ისი ამათ მართებს... ესე ფარემუზ მაჭავარიანმან და მისმან ნათესავმან
აჭარელმან, წვეველმან და იღმელმან ჳელოსანმან ისაქმონ. არის შეწირუ-
ლი ... საწერეთლოს მახარებლი ხუცესი ... ქორეთს ხუცის სახლი... მლა-
შეს იამანიძისეული მამული... ფაქუთს ფერისცუაღობას გამოიღებდეს სა-
თუთური მამული ერთს ცხუარს... წმიდის გიორგის კოდის წართათვის
ჭარტალს, გამოიღებდეს ერთი ოქსაძე ერთს ცხუარს... ერთი ხორითელთა
საყდრის ყმაძან და ნატბეურელთა... (დსსს, I, გვ. 22-26).

რომნეთი. იმერეთი

რომნეთი 1762 – იხ. ძულუხი

რორო. არაგის ხეობა

რორო 1795 – ღმერთმან ... მეფის ძის ვახტანგის ჭირი ბურღულს აღდგო-
მელს მოსცეს. მერე გიორგი ერისთვისგან ნაბოძები მამული გვაქვს რორო-
სა... ახლა ბედოსიძეები გადმოემკვიდნენ მძღავრობითა ჩემს წილს ტყეში
ახოს იღებენ... [ოქმი]: ბატონიშვილი ვახტანგ გიბძანებ მთიულეთის მოურაო
ზაალ! მერე ... სამართლიანის საქმით მანდ მოარიგე... (ქსძ, VIII, გვ. 331).

როტაშაული მამული. ჯავახეთი

როტაშაული მამული 1393 – იხ. ვანისქვაბები

როტინანთ ქუჩა. თბილისი

როტინანთ ქუჩა 1767 – იხ. მეხაშეების რიგი

რუახმელი – იხ. რავახმელა

რუეთი // რუვეთი. შიდა ქართლი

რუეთი 1170 – იხ. სხალტბა

რუეთი 1189-1200 – იხ. დაოთი

რუეთი 1200 ახლო – [დაწერილი მღვიმის კრებულისა ზოსიმესადმი]: და თქვენ დიდი ჭირი ჰნახეთ, და სახლი მოაშენეთ... საკურთხეველისა ვენახსა ზედა აგარას თორმეტისა დრაჰკანისა ვენაკი იყიდეთ კვირიკამისიგან... რუეთს საკურთხეველისა საგლეხოსა ვენაკსა ზედა კაცნი ვინმე სხდომილ იყვნეს არა მემამულენი, მიწაი ვენაკად აეშენა და იგინი კაცნი კიდე წავიდეს. ნაშენებისა მათისა ნაცვლად, იოვანეს გამზრდელსა გარისელადმძესა თექუსმეტი დრაჰკანი მიეცა მათ კაცთათუს... და კულა მასვე ვენაკსა საგლეხოსა ზედა იოვანეს ... ნაკადლები მჭედლურა ყვიდა და ზედავე მოეკიდა... და კულა შენისა გამზრდელისა იოვანეს მამასა – მუშერს კვრიკაული მიწაი აელო საშენებლად... და კულა შენ, ზოსიმეს რუეთელისა მჭედლისძისგან გეყიდა ორისა დღისა მიწაჲ, ქანდაურსა ქუშშეთ რუსა... ვინცა-ვინ ესე დაწერილი შეცვალოს ... უდაბნოხამცა მღვმისა ლოცვაჲ წყევად ... მოექცევოს... (ქისკ, I, გვ. 89-91).

რუეთი 1230-1235 – იხ. აგარა

რუისი // რუვისი. შიდა ქართლი

რუისი 1392 – იხ. ტფილისი

რუისი 1447 – იხ. მცხეთა

რუისი 1491 – მეფეთ-მეფისა კოსტანტინესგან... [აღბულა ფანიაშვილს] ... მიუბოძეთ რუის, საყდრის უბანს, ელიასშვილი მისითა მამულითა... დაიწერა ... სიგელი ესე ... ჳელითა მცხეთის ქადაგისა მახარბელისათა... (სს, III, გვ. 475-76).

რუისი 1511 – ... [მეფეთ-მეფემ ბაგრატმა ფანასკერტელს ზაქარიას, ციცის და თაყას] მიუბოძეთ რუვის თვალთაშვილი მისით მამულით... ზერის ბოლოს ნაზერევი ხუთის დღის მიწა და წინუბანს ოთხმოცდათხუთმეტის დღის მიწა, სხვა სახასოსაგან ტინისჭიდი თაქალაშვილისსეული ბახნიაშვილი და მისნი განაყოფნი... (სმ, II, 1924, გვ. 28-29).

რუისი 1529-1530 – იხ. ვეძისი

რუისი XVII ს. დას. – იხ. ნული

რუისი 1609 – იხ. ბებნისი

რუისი 1634 – ... ჩვენ, დედოფალთა-დედოფალმა ... მარიამ ... თქვენ, ლარაძეს ზემბოადს ... გიბოძეთ რუისს ალიყულობევის ნაქონი ოთხი კომლი კაცი ... მათისა ნასყიდითა მითთა, ბართთა... (დსსი, I, გვ. 25).

რუისი 1656 – იხ. ქვემო ნიქოზი

რუისი 1658 – მეფემან ... როსტომ ... მტკიცე და მოუშლელი წიგნი ... გიბოძეთ თქვენ – მამაცაშვილს რობამს... მას ჟამსა, ოდეს თქვენს სამკვიდროს რუისს ღმრთაების საყდრის შეწირულ მექუდისშვილის მამულსა და მათედ მსახლობელსა და კერჩხაძეს მისის მამულითა, ციციშვილი შემოგეცილა... (ქსმ, VI, გვ. 591).

რუისი 1664-1673 – იხ. წყნეთი

რუისი 1666 – ჩვენ, მეფეთ-მეფემან ... შაჰნავაზ, ურბნელისა და რუისელთ სალაპარაკო საქმე გავსინჯეთ. რაც ურბნული წმინდარსისა და წმინდის სტეფანეს მიწა რუისელთ მოჰქნან, ურბნელს ჰკითხევდენ. იმისთვის რომე,

ხატის მამული არის. ურბნელი ნურც ქრთამსა და ნურც ძღვენს ნუ სთხოვს და ნურც რუისელნი ღალასა დაუმაღვენ... (ის, IV, გვ. 44).

რუისი 1687 – იხ. მცხეთა

რუისი 1688-1691 – ... მეფეთ მეფემან ... ერეკლემ ... ურბნის პირველმოწამეს სტეფანეს და შენს ტახტსა ზედა მდევს ურბნელ ეპისკოპოსს ჯავხიშვილს იოსებს ... შემოგწირეთ და მოვახსენეთ რუის სუთი კვამლი კაცი... (სს, I, 1899, გვ. 326).

რუისი 1700 – იხ. ურბნისი

რუისი XVII ს. II ნახ. – იხ. სატივე

რუისი 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

რუისი 1707 – იხ. მოხისი.

რუისი 1708 – იხ. ბოლნისი

რუისი 1708-1710 – ... მანგლელ ეპისკოპოზი ნიკოლოზ რუისს მღთაების საყდრის გარეგების საქმეზედ მივედით, მამულების გასყიდულობაზედ. და მოკითხული ვქენით და ცოტა რამ მამული გორელის თაყინასშვილის ყმას ივანას უყიდა... (დსსი, I, გვ. 138-139).

რუისი 1710-1724 – ... რუისის ღვთაების სყდარი დავითისშვილების სასაფლავო ყოფილიყო და მამაცაშვილები და შედანიისშვილები მკუდრები შეეცანთ და შიგ საყდარში დაემარხათ... (ქსმ, IV, გვ. 302).

რუისი 1712 – ჩვენი [მეფე ვახტანგ VI-ის] ბძანება არის მუსხელაშვილო დათუნავ! მერმე რუის ყვიჟინაძის გიორგის ნაქონი მამული ... დავითიშვილის ელიზბარისა ყოფილა ... და ამას მოაბარეთ... (სს, II, გვ. 452).

რუისი 1712 – იხ. ურბნისი

რუისი 1714-1727 – [განჩინება იესე მეფისა]: ციციშვილის ედიშერის შვილმან ნოდარ შემოგვჩივლა: რუისს ერთი კომლი კაცი ყვიჟინაძე ტვილელმან დომენტი მამა ჩემს მოჰყიდაო... (ქსმ, IV, გვ. 319).

რუისი 1715 – იხ. ბროწლეთი

რუისი 1736-1744 – იხ. მოხისი

რუისი 1737 – იხ. სვენეთი

რუისი 1738 – ღმერთმან ... საქართველოს ვალის ჭირი ... ურბნელს ნიკოლოზს მოსცეს... რუისს ცოტა რამ ნასყიდი მამული მაქვს და იმისი მახტაც ჩემზე სწერია. და ერთის რაყმის წყალობა მიყავით, რაც რუისს ჩემი ნასყიდის მამული იყოს, იმისი დალა-კულუხი მე ავილო... (ქსმ, VII, გვ. 15).

რუისი 1738 – [სურსათის ჩაბარების წიგნი]: მოვიდა თუმანიანთ სურსათის სალიანი რუისიღამ, ახალდაბიღამ და გარეჯვრიღამ პური, ლიტრა ორასი... (სს, III, გვ. 448).

რუისი 1740 – [ათანასე პროველის ერთგულების წიგნი დომენტი კათალიკოზისადმი]: ...ძველადგან რუისს ღმრთაების საყდარსა მატრაპოლიტი არ კურთხეულიყო, საეფისკოპოზო იყო... [თქვენ კი] მიტრაპოლიტობის კურთხევა მოიდევით... (ქსმ, III, 753).

რუისი XVIII ს. I ნახ. – იხ. ღვერთეთი

რუისი XVIII ს. შუაწლ. – იხ. გარეჯვარი

რუისი 1754 – ამილახორი ამირინდო ... თავის ბიძაშვილებს ... მამულზედ ელაპარაკებოდნენ... ჩვენ ... ასე გავარიგეთ... პაპუას შვილი რუისს არის, რაც იმან წილი გაიტანოს, ვისთანაც სახლისკაცათ არის, თითონაც და მამულიც საერთო არის... (ქსმ, IV, გვ. 432-435).

რუისი 1754 – იხ. დიღობი

რუისი 1756 – მთავარეფისკოპოზმან რუისელებს მამულის ღალა-ყულუხი უჩივლა (სამდ. გვ. 38).

რუისი 1756 – იხ. ზემო ქართლი

რუისი 1757 – [არზა ივანე დაფქვიაშვილისა თეიმურაზ II-ისადმი]: ... რუისს ცოტა რამ ნასყიდობა მაქვს, წყლითა და გზით მიყიდა, კვლამწიფესაც მოესენება რუისის წყლის გაჭირვება... [ოქმი]: ჩვენი ბძანება არის რუისის მოურაო მოხელენო და მერუენო! ამ არზის პატრონს დაფქვიაშვილს რომ ნასყიდი მიწა ქონია, მიწა უწყლოთ სარწყავი არ იქნება... (ქსმ, VII, გვ. 37-38).

რუისი XVIII ს. – იხ. ტკოცა

რუისი 1759 – იხ. ძვევრა

რუისი 1766 – იხ. არადეთი

რუისი 1767 – ღმერთმან თქვენი ჭირი მოსცეს საბრალოს ელისბარ დავითიშვილს... ერთი ბეთალმანი მამული მაქვს რუისს და სახნიაშვილი აღარ მანებებს... ერთი ესეც მოგახსენო... სურამს დიდი გავაგზავნეთ გასასყიდლათ, და ყბია-ყრიას დაეტყუენა, ის დიდი გამოძიგზავნეთ... (ქსმ, VII, გვ. 124).

რუისი 1767 – იხ. მეღვრეკისი

რუისი 1768 – ღმერთმან ... კვლამწიფის ჭირი მოსცეს ... მამაცაშვილს, ადამ ნაზირის შვილს, იოანეს... ჩვენ პატარა ობლები დავრწომილვართ, და იმერეთს ხიზნობაში დავსდილვართ. და ახლა თქვენის დოვლათით რუისს გახლავართ უმამულთა... (ქსმ, VII, გვ. 131).

რუისი 1770 – რუისს მარტულიშვილი და მახარასშვილები – ეს ორი კომლი კაცი უწინ ბატონებისაგან რატიშვილს წყალობათ სჭირვებოდათ, რომ მეფის ვახტანგის დროს რომ გაყრილიყვნენ და გაეყოთ, იმ განაჩენშიაც ეწერა... (ქსმ, IV, გვ. 607).

რუისი 1771 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს დაფქვიასშვილს იოანეს... თელავს ... დედა თქვენმა დაიხსნა... მტრისგან მეშინოდა და რუისს გადავანზე შორს ვესახლე... ახლა ოთხი წელიწადი არის თქვენის დოვლათით ერთი საკირე დავსწვი, კოშკის საძირკველი ჩავდგი და ერთი კაცის სიმაღლეთ მიწას ზევით ავაშენე. სადაც ვინც ქართლში სიმაგრე გააკეთა, სულ თქვენის წყალობითა და თქვენის ნაწყალობევის მუშით გააკეთეს. მე ერთი კომლი კაცი მყავს, ხან არაშენდას წამართმევენ, ხან ამირეჯიბისათვის საღოლაშენს წამართმევენ, ხან ხიდისთავს – თვენის ბძანებითა და ჩემს საქმეს კი ვედარას მივსწდომივარ... ... ხემწიფეს ამას ვევედრები, ერთი კომლი კაცი ჩემი მყავს და ერთი კომლი კაცი ღმერთე ციციშვილისა

არის, ის მესმარება, ახლო მეზობელი არის. ამ ორის კაცის წყალობა მანც დამემართოს... [ოქმი]: მდივნებო, დაფქვიაშვილს უნდა ეს მუშა მოუჭრათ, რადგან თვითონაც კოშკს მუშაობს. მაგრამ რაც მუშა ან ქარელისთვის გვიპატივებია და ან ამართვის სახილდისთავე მუშა, სხვას ადგილიდამ უნდა შეასრულოთ (ქსძ, VII, გვ. 171-172).

რუისი 1771 - [არზა იუსტინე ურბნელისა ერეკლე II-ისადმი]: ... ურბნელის იოსებისთვისაც ოქმი გიბოძებიათ და ერთი ნაკადელი წყალი გიბოძებიათ რუისის რუდამა და ძველადაც მუდამ ჰქონიათ ერთი ნაკადელი წყალი... (ქსძ, VII, გვ. 189).

რუისი 1771 - [სამართალი ლეონ ბატონიშვილისა]: საბატონისშვილოს რუისელ მღებრის-შვილის ბაღდასარას ... მეფისათვის არზა მიერთმევიანა... ბაღდასარამ სამართალში ასე ილაპარაკა: რუისიდამ მამა ჩემი აყრილაო, გორს მოსულაო... ამას წინათ ქალანთარმა გვიჩიულაო, აყრას გვიპირობდაო... რა მამა ჩემი აქ გორს მოსულაო, სამოცი წელიწადი იქნებაო... ამისი სამართალი ასე გაგანინეთ ამ რუისელ ბაღდასარასთან ... [რომ] გორს უნდა იდგენენ საბატონისშვილოთ... (დსსი, II, გვ. 76-77).

რუისი 1771 - [ბრძანება ერეკლე II-ისა რევაზ ამილახვრისადმი]: რუისს სამეროლომ თუმანი ორი [გამოიღოს]. რუისს სახასომ მინალთუნი ხუთი, აბაზი ორი (სეიდ, II, გვ. 110-111).

რუისი 1771 - იხ. ნიქოზი

რუისი 1771 - იხ. ტინის ხიდი

რუისი 1772 - იხ. ვარიანი

რუისი 1772 - იხ. ხეობა

რუისი 1774-1783 - იხ. ვარიანი.

რუისი 1775 - [არზა სულხან თუმანიშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ... რუისში ოსმალობისა და ყიზილბაშობის დროს რომელთაც თქვენი სახასო მამულნი ეყიდნათ, იმისი ჩამორთმევა და ისევ სახასოთ დადება ბძანეთ... რუისს მეც საკომლო მამული მქონდა ნასყიდი და ისიც გამომერთვა... (ქსძ, VII, გვ. 278).

რუისი 1775 - [არზა გიორგი ბუზიაშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ... რუისისათვის რომ მადანის შაგირდი გეპძანათ, ათის წლის შვილი მყუანდა, სოფელმა მითხრა, შენი შვილი მიეც მადანის შაგირდათაო, მამულსაც მოგცემთ და კიდევ გათარხნებთო. შვილი შაგირდათ მოგართვით, მაგრამ აღარც მამული მომცეს და არც მათარხნეს... (ქსძ, VII, გვ. 302).

რუისი 1778 - ... რუისს მახარაშვილი, რომელიც სამართლით ამას წინათ ბეჟან რატისშვილს დარჩა და განაჩენიც მიეცა, ამაზე ფანიაშვილმა კიდევ ლაპარაკი დაიწყო და რუისიდამ რამდენიმე მოწამე წარმოაყენა, ისინი ასე მოწმობდნენ: მეფის ვახტანგის დროს ეს მახარაშვილი სულ ფანიაშვილს ეჭირაო... (ქსძ, V, გვ. 64).

რუისი 1780¹⁹ – [ნასყიდობის წიგნი გიორგი მანაბლისა ზაად დავითიშვილისადმი]: ... ბიძაშენმა დავით რუის რაზმიანშვილი კიკოლა თავისის შვილითა და თავისის სახლისკაცი ბერძენას მამულით მამყიდა... მღთაების ეკლესიის ყმა იყო... ამისი მოწამე ... გორელი ბაბალაშვილი ავთანდილა... დაიწერა ქრცხინვალს... მე, ატოცის დეკანოზიშვილი მღვდელი ანდრია ამისი მოწამე ვარ (დსსი, II, გვ. 110-111).

რუისი 1781 – ... დავსხეთით ჩვენ, გორის მამასახლისი ზურაბ, ნაცვალი ქარშიძე გარსევან და გორის ქეთხულები ზაალისშვილების გაყრაში... ავთანდილს ერგო ... ქარმიშასეული ნასახლარი თავისის სიგლითა... კიდევ ერგო: რუისს რაც მამულები ჰქონდა, სულ ხელიერთპირათ... (ქსბ, V, გვ. 162).

რუისი 1782 – [არზა გიორგი ციციშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ... რუისს ოთხი ვენაჯი გეჰონდა ბეთაღმანი. მე შარშან თქვენს სამსახურზედ გახლდი და ჩემს სახლისკაცებს უჩემოდ გაეყოთ... (ქსბ, VII, გვ. 562).

რუისი 1783 – [არზა ფარემუზა ბუმის შვილისა ერეკლე II-ისადმი]: ... ღვეკში დავიკარგე, ოცი წელიწადი თურქმანის ქვეყანაში ტყვეთ გახლდი... ისევ რუისს გაიხელ... რუისს მხთეების კარზე გახლავარ... (ქსბ, VII, გვ. 580).

რუისი 1783 – იხ. ატენის წყალი

რუისი 1783 – იხ. ბობნავი

რუისი 1784 – ღმერთმან ... კელმწიფის ჭირი მოსცეს ... რუისის ღმრთაების კრებულთ. ეს მეექვსე წელიწადია, რომ თქვენი ოქმები გეგებოდა, რომ თქვენის ეკლესიის შეწირულს ქალაქის სასახლეში რაჭის ერისთვის ხიზანი რომ დაგვიყენებია, ამის ქირას ეკლესიას მივართმევთ... (ქსბ, VII, გვ. 616).

რუისი 1784 – იხ. ზემო ქართლი

რუისი 1785 – Давид Цицианов пожертвовал один дым крестьян в Руиси [Руисской Преображенской церкви] (ГЦГ, стр. 45).

რუისი 1787 – იხ. გარეჯვარი

რუისი 1787 – იხ. ზემო ქართლი

რუისი 1787 – იხ. საამილახვრო

რუისი 1787 – იხ. ქალაქი

რუისი 1787 ახლო – იხ. მღვდერეკისი

რუისი 1788-1811 – იხ. საქართველო

რუისი 1789 – [არზა ნიკოლოზ თუმანიშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ... მერმე ოქმი აულია მანუჩარ მდივანს; პეტრე ავალისშვილი იასაული არის, რუისს ვენაჯზედ ჰელი აუმართო და სიგლებიც წაართვით. სამოცდათხუთმეტის წლის ნასყიდობის სიგელი ერთი მაქვს, ორმოცდათხუთმეტის წლის სიგელიც ერთი არის. ორი წელიწადია ის ვენაჯი გამოვიტანე... (ქსბ, VIII, გვ. 20).

¹⁹ დსსი, I, გვ. 65 საბუთს შეცდომით 1680 წ. უხის.

რუისი 1789 – [არზა იუსტინე ურბნელისა დარეჯან დედოფლისადმი]: ...რუისის ერთი კომლი კაცი რევაზა თავის ნასყიდის მამულებით ჩემის ეკლესიის შეწირული ყოფილა... იქვე რუისში მახარაშვილის მამულები ჩემის ეკლესიის საღალღობია და ამირაღაშვილმა იყიდა... [ოქმი]: მამაცაშვილო იოსებ! ... შენ უნდა რუისიდამაცა და ურბნისიდამაც, რომელმანც კარგად იცოდეს ამისი საქმე ... სულ ერთად შემოჰყარე და ურბნელთან უნდა მიიყვანო... (ქსძ, VII, გვ. 811-812).

რუისი 1789 – [არზა მანუჩარ ლაშქარნივისისა ერეკლე II-ისადმი]: ... ჩემი ბიძაშვილის ნიკოლოზისაგან ... უსამართლობა მჭირს... ახლა ერთი ვენახი გაუყიდნია რუისს და გორელს ტერტერაშვილს ზურაბას უყიდნია... (ქსძ, VII, გვ. 829).

რუისი 1789 – ღმერთმან ... ხელმწიფვის ძისა და თვით ჩვენის ხელმწიფვის იულონის ჭირი ერთობით სამროველო გლეხს კაცებს მოსცეს. რაც ამ ხელად ჯარისაგან მარტო სამროველო აოხრდა, თქვენს უმადლეხობას მოხსენებული ექნება. სამი წელიწადია რუისში ხის ნაყოფი თვალით არ გვინახავს... (ქსძ, VIII, გვ. 15).

რუისი 1789 – ... საქართველოს დედოფალს დარეჯანს ... ბატონისშვილის დაეთისათვის ებძანა რუისის ზემო რუისი და ქვემო რუისი განრჩევა... ზემო რუე წამოვა შინდისიდამ, ეს რუე შიგ საქაშეთში ჩამოივლის, ციხეს წინ ჩამოუვლის, სასირეთზე გადაივლის, რუისის მთის ძირს დააკრამს და ურბისს ჩავა. ქვემო ფხვენისის თავიდამ წამოვა, ფხვენისს შუა ჩამოივლის, შინდისს ნაპირს გამოუვლის, დასავლეთისაკენ თვალათუბანს შუა გამოუვლის, შიგ საქაშეთში გაოივლის ... და სასირეთის ვენახებს თავს გადაუვლის ... და რუისს ჩავა... ზემო რუზე სამყოფი წყალი აღარ დენილიყო... თვალათუბანსა და საქაშეთს შუა ცოტა რამ საქაშეთს ზემოდამ საქაშენლებს რუე გაეჭრათ, ქვემო რუდამ წყალი წამოეყვანათ და ზემო რუსათვის შეეყარათ და საქაშეთში წისქვილები აებრუნებინათ... ამავე საქაშეთის თავიდამ ერთი ნაკადული არაშენდელთ წაეღოთ. და საქაშენლებს ამ ქვემო რუს წყალი რომ ზემო რუსათვის შეეყარათ, ამ წყლით რაც მამული აღმოსავლეთის მხარეს საქაშეთს, არაშენდას და დელისთავს შუა იყო, იმით დაეწყოთ რწყვა. ეს საქმე ასე რომ მომხდარიყო, რუისელს მის უმადლეხობას ბატონს დედოფალთან ეჩივლა... [წისქვილი] დავაქცივეთ და ქვემო რუს წყალი ისევე ქვემო რუს შევრთვეით. და ზემო რუზედ რადგან ჯერ საყოფი წყალი არ მოდიოდა, ამგვარად განვაწესეთ: უნდა შეიყაროს რუისი, ურბნისი, სასირეთი, საქაშეთი, სასირეთი, შინდისი, დელისთავი, არაშენდა და შინდისის სათავე გააკეთონ... რაც ქვემო რუს ზევიდამ სარწყავია, ამით უნდა მოირწყოს რუისის ბოლოს, ბატონის დედოფლის ხოდაბუნები უნდა მოირწყოს; და მერმე ურბნელებმა უნდა იხმარონ... რაც წყალი საქაშეთს დასცილდეს ... სამათ უნდა გაიყოს წყალი: ერთი წილი სახასოს ზვარსა და ხოდაბუნსა და ეკლესიის ყმათ უნდა მიეცესთ, მესამედი წილი საციციანოს ყმათა დაგარეშე კაცთ... (ქსძ, V, გვ. 468-470).

რუისი 1789 – იხ. გორი

რუისი 1789 – იხ. ოხპნჯანანთ შარა

რუისი 1789 – იხ. სამროვლო

რუისი 1790 – ღმერთმან ... ჳელმწიფის ჳირი თქვენგან შეწირულს რუისის მღთეების ყმას გასიტაშვილს იასეს მოსცეს... ამ წყალობას ვითხოვ: საციციანო მოხელეებს ჩემთან ხარჯი სათხოვნელათ ჳელი არა ჳქონდესთ, რისაც შემძლებელი ვარ, ეკლესიის საყმოში ვემსახურები... (ქსბ, VIII, გვ. 51).

რუისი 1790 – [ერეკლე II-ის ოქმი]: ჩვენი ბძანება არის, იასაულო... მერე, მანუჩარ ლაშქარნივისის სახლისკაცს რუისს რომ ვენახი გაუყიდნია, მანამ არ გაიყრებიან, მანამდის არცერთის მამულის გასყიდვა არ შეუძლიანთ... (ქსბ, VIII, გვ. 67).

რუისი 1790 – ღმერთმან ... ჳელმწიფის ჳირი ლაშქარნივისის მანუჩარს მამცეს... მერე ჩემს ყმას აღიხანას რუისს ერთი ნავენახობი ჳქონდა. ახლა შევიტყე, რომ ის ნავენახობი გაუყიდნია. წყალობას ვითხოვ, რომ ... ჩემის ყმის ნავენახობი არავინ იყიდოს... (ქსბ, VIII, გვ. 84).

რუისი 1790 – ... ჩვენ ... შეგვმან ირაკლი ესე წყალობის სიგელი ... გიბოძეთ შენ, გასიტაშვილს იასეს... ზაქარია ციციშვილის ყმა იყავ და აღრევე ... რუისის ეკლესიას შეიხინოდით. როდესაც ზაქარია ციციშვილმან გვიმუსხანათა და იმისი ყმა და მამული სახასოდ დაიდვა ... რუისის ეკლესიის შეწირვას დაგვეაჯე ... და ზაქარიას მიცემულის ორის დღის მიწით შეგწირეთ რუისს... (ქრონ, III, გვ. 416).

რუისი 1790 – იხ. ჳავახეთი

რუისი 1791 – ღმერთმან ... დედუფლის ჳირი მოსცეს ერთობით რუისელთ – სახასოს, სადედოფლო, სამროვლოთ, საციციანოს და გარეშე რუისს მსახლობელთ... თქვენი ოქმი მოუვიდა ქალაქის მოურავს: რუისის რუ გააკეთებინე როგორც ძველთაგან ყოფილიყოს და რიგიც ისე მიეც... წასულდო ყო ზაზა მალალაშვილი, ის რუ ასე წავგვისხდინა ... ზოგი არაშენდას წაიყვანა წყალი და ზოგი მინდორს მისცა. დაერჩით უწყლო... ვენახი და ფტევი და სიმინდი რომ მოვრწყოთ, რასაკვირველია, აღარ გვექნება... მოგესხენებათ, არც არაშენდა ყოფილა და არც ლელის თავი; არაშენდა მიტომ ქვიან, არც აქვს წყალი და არც წისქვილი. ახლა ორი სოფელი გააკეთეს, წყალი წავგართვეს და წაიყვანეს... [გვეედრებით] ერთი გზა მოგვეცით და მოგვიარეთ რამე... [ოქმი]: მალალაშვილს რომ კათალიკოზისათვის მოუსხენებია და რუისის რუ წაუხდენიათ, როგორც აქამდინ ის რუ ყოფილიყოს, ახლა ისევ ისრე გააკეთებინე, ის რუისის რუ და მერე არაშენდელები და ... რუისელნი ... აქ ჩამოვიდნენ, ჩვენთან ილაპარაკონ... (ქსბ, VIII, გვ. 114-115).

რუისი 1793 – ღმერთმან ... ჳელმწიფის ჳირი ... რუისის მღთეების ყმას გასიტაშვილს იასეს მოსცეს... ზაქარიას რაც ყმა ჳყამდა რუისში და ანდუყაფარს რომ ებოძა, მღთეების შეწირულს გარდა, მიბოძებია... ორი დღის ნასყიდო მიწა მქონდა ... ისიც წამართვა [ლუა წინამძღვრისშვილმა]... [ოქმი]: ეს გასიტაშვილი იესე ... რუისის ეკლესიის მღთეებას სიგლით შევსწირეთ უმამულოდ. ამასთან ეკლესიას გარდა საბატონყმოთ ხელი არავის აქვს... (ქსბ, VIII, გვ. 201).

რუისი 1793 - ... ციცისშვილს პატასშვილს გოგიას და ივანესშვილს ესტატეს ერგო რუის მოსახლე აზნაურიშვილი ნაფქვიას-შვილი ივანე ... რისაც ყმისა და მამულის მქონებელი არის... (დსსი, II, გვ. 208).

რუისი 1795 ახლო - იხ. ქარელი

რუისი 1796 - ღმერთმან ... დედოფლის ჭირი მომცეს ... გვარამაძე სოლომონს... რუისს უმაჟულოთ გახლდით და თქვენგან და ბედნიერის ბატონისაგან წყალობა გვებოძა რუისს დეგოთისთვის მიწის წყალობა... და კიდევ ახლა ხელმეორედ ბატონს რუისს მროველის იუსტიცისთვის ოქმი ებოძებინა, რომ სახლკარიც ააშენებინო და იმ მიწას ამით შეუკითხავთ ვერავენ მოხნავსო... [ოქმი]: როგორც მის უმაღლესობას ... ამ გვარამაძის სოლომონისა და გრიგოლისათვის ოქმი უბოძებია დეგოთის მიწისა, ჩვენც ისე წყალობა გვიქმნია... (ქსბ, VIII, გვ. 388-389).

რუისი 1796 - იხ. არადეთი

რუისი 1796 - იხ. გორი

რუისი 1797 - იხ. გორი

რუისი 1798 - იხ. ბანბაკი

რუისი 1799 - ... ჯელმწივის წინაშე მოსახსენებელი ... რუისელი გამსახურდაშვილი ივანესი... მამა-პაპათ აქაური მემკვიდრე და ფერისცვალების ხატის ეკლესიის ყმა გახლავარ. ზაზას მანუჩარის შვილს მოტყუებით ოქმი აუღია და ყმობას შედაგება. მიბრძანებთ, მთელის რუისელების მუჯალამას მოგართმევ, რომ იმას ჩემთან საქმე არა ჰქონდეს... (ქსბ, VIII, გვ. 590).

რუისი 1799 - იხ. ვაყა

რუისი 1799 - იხ. ურბნისი

რუისი 1799 - იხ. ცხინვალი

რუისი 1800 - ... ჯელმწივის წინაშე მოსახსენებელი ... მროველისა. ეს გამსახურდაშვილი რუისის მღთეების ყმა გახლამსთ. თუმცა ავის დროს მიზეზითა ... ქსნის ერისთვის მამულში მდგარა ქიწნისს, იქ ცოლი შეურთავს, დამდგარა იმათ ყმათა... [მოწმობა]: ჩვენ, რუისში მსახლობელნი კაცნი, რუისის ეკლესიის მღთეების ყმანი, სახასონი და საციციანონი ... ვფიცავთ ... რომ გამსახურდაშვილი ... შემკვიდრე გლუხია ამ ჩვენის მღთეების ეკლესიისა... (ქსბ, VIII, გვ. 618).

რუისი 1800 - იხ. ცხინვალი

რუისი. XVIII ს. მიწ. - იხ. სურამი

რუისი XVIII - იხ. ტკოცა

რუისი. ხეობა

რუისი 1747-1749 - იხ. ძამის ციხე

რუისის მთა. შიდა ქართლი

რუისის მთა 1789 - იხ. რუისი

რუისპირი. კახეთი

რუისპირი 1594 – იხ. იყალთო

რუისპირი 1703 – [წყალობის წიგნი ნაზარაღი-ხანისა ქაიხოსრო მაყაშვილისადმი]: ... გიბოძეთ ... რუისპირს ბაჩიაშვილი პაპუნა მისით მამულით... (ქსის, გვ. 404).

რუისპირი 1746 – იხ. მარტყოფი

რუისპირი 1762 – იხ. იყალთო

რუისპირი 1779 – იხ. კაკაბეთი

რუისპირი 1780 – იხ. კახეთი

რუისპირი 1792 – [განჩინება ერეკლე II-სა]: ... ჩვენს უწინარესთ მეფეთაგან წყალობის წიგნები გივმა ჩოლაყაშვილმა დათუნა ესიტაშვილს რუისპირს დაუწო და ზოგი კი გადაურჩენია, რომ ჩვენც გვინახამს. მარტყოფის მოურავი ქაიხოსრო რომ კვდებოდა, ესიტაშვილები კიდევ გვეხვეწნენ სარწმუნოს კაცის პირით: ... ჩვენი მოძღვარი მეტეხის დეკანოზი იესე იმისიცი მოძღვარი იყო და მიცვალების ჟამს იმის პირით ვკითხეთ და ფიცით შემოეთვალა, არც გამიგონია და არც ვიცი მეფეებს გარდა მებატონე ესიტაშვილებს ჰყოლოდესო... (სს, I, 1899, გვ. 421).

რუისპირი 1792 – ღმერთმან ... მეფის ძის ვხტანგის ჭირი მოსცეს ... მაყანათ... თქვენი რისხვა გეჰონდეს, თუ ჩვენს ცხვარს ყორჩიბაშიანთ მთა ეძოვოს... ბატკანი წამოიყვანა დიმიტრიმ რუისპირიდამ... (ქსძ, V, გვ. 561).

რუისპირი 1793 – ... ჩვენ კახეთს [მსაჯულნი] ... ბძანებისაებრ მეფისა მოვედით რუისპირს... ვიწყვეით ამათი [როსებ მნაყაშვილისა და მისი ყმის] საქმის გამოძიება... (ქსძ, V, გვ. 598).

რუისპირი 1796 – იხ. ვარდისუბანი

რუისპირი 1799 – [არზა დათუა მაყაშვილისა გიორგი XII-ისადმი]: ... სასახლე არ გვეძღვება, რუისპირის ბოლოს სასახლეს გვაძღვეს და დაკარგვას გვიპირობს ბიძაჩვენი... (ქსძ, VIII, გვ. 512).

რუისპირი 1800 – ვარდისუბანი

რურუთა. სამცხე (?)

რურუთა XIII-XIV სს. – იხ. ნაკასრეველი

რუსაბუჯი. იმერეთი

რუსაბუჯი 1684 – იხ. კაცხი

რუსთავი. კახეთი

რუსთავი 1722 – იხ. მარტყოფი

რუსთავი 1783 Руставский епископ Кирилл, сын Енисельского моурава, купил Безземельных крестьян и водворил их на земле Руставской церкви (ГЦГ, стр. 6).

რუსთავი. შიდა ქართლი

რუსთავი 1712 – იხ. ურბნისი

რუსთავი 1783 – მავდისთავი

რუსხმული რუ. შიდა ქართლი

რუსხმული რუ XV-XVI სს. – იხ. ახატანი

რუშა. სამეგრელო

რუშა 1720-1742 – იხ. საჭილაო

რუხი // რუხუ. სამეგრელო

რუხი 1706-1712 – იხ. ნაპარკავი

რუხი 1712 – იხ. ხორგა

რუხმელას წყალი. გურია

რუხმელას წყალი 1780 – იხ. ბაილეთი

რცხილათი. რაჭა

რცხილათი 1510-1565 – მეფეთ-მეფემან ბაგრატ ... მოვიკითხეთ წმინდის ნიკოლოზს შეწირული სოფელნი და ვითაცა ... შეწირული ყოფილიყო, ისე ჩვენ დაგიმტკიცეთ და განგიახლეთ შენ მღვდელმთავარ ეფისკოპოსს ამბროსეს: რცხილათი ბუჯას აქეთ, სრულად სამნი გვარნი მოსახლენი... (სბკ, გვ. 10).

რცხილათი 1775 – ... წმიდაო მღვდელმთავარო ნიკოლოზ, ჩვენ ... მეფეთ-მეფემან პატრონმან სოლომონ ... ვიგულსმოდგინეთ და ვინებეთ, ასე რომე რცხილათი სოფელი პირველ ჩვენთა მამა-პაპათაგან თქვენთვის შემოეწირათ, მერმე ჟამთა ვითარებისაგან ... სოფელი საერისკაცოდ გამხდარიყო... კვლად განგიახლეთ გუჯარი ესე და თქვენდავე შემოგვიწირავს... (დსსს, II, გვ. 49-50).

რწმანი. იმერეთი

რწმანი 1720-1738 – ... ჩუენ ... მეფეთ-მეფემ ... აღექსანდრემ, ესე წყალობის საფიცარი გიბოძეთ თქვენ, წერეთელს პაპუნას... რწმანი პირველათ თქვენი ყოფილა და ჩემა ძმამ მამუკამ შეინდომა და კოშკი ააშენა და თავისთვის დეიჭირა... ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ ასევე თქვენი სამკვიდრო [რწმანი]... (იღ, I, გვ. 67).

რხეთი. შიდა ქართლი

რხეთი 1573 – იხ. ზემო ნიქოზი

რხეთი 1646-1655 – [ნახყდობის წიგნი როსტომ შალიკაშვილისა არსენ ალავერდელისადმი]: ... მეფემა პატრონმა როსტომ ამოწყუეტილის იოთამის ფანელიშვილის კერძი მამული გუიბობა სამკუიდროთ და საბოლოოთ. და იმას ერთი იმერელი მოსლოდა და რხეთის მეზურეთ დაეყენებინა, აიყარა... ალავერდს შემოიხვეწნეს. და [ჩვენც] ... მოგყიდეთ... თუ ქართლისაკენ წა-მოვიდეს, ისევე მოგართვათ... ამისი მოწავე დვანელი გოგია... სულ სააღა-ვერდონი... (დსსი, I, გვ. 366-367).

რხეთი 1745 – იხ. ნიქოზი

რხეთი 1769 – [არზა მელაძეებისა ერეკლე II-ისადმი]: ... ქსნის ერისთვის ყმა გია მოვიდა და სამ თუმნათ რხეთსა ხუთის დღის მიწა დაუგირავე კათალიკოზის ყმის ხახანაშვილის ოსეფას პირითა... (ქსბ, VII, გვ. 146).

სააბაშიო. იმერეთი

სააბაშიო 1711 - იხ. ქვიშხეთი

სააბაშიო 1727 ახლო - ... [ვახუშტი წერეთელს] ... ორას ორმოცი მარჩილი რაჭველების მემართა, სხვა კიდეც სააბაშიო კაცის ბევრი მემართა... (დსსი, I, გვ. 462).

სააბაშიო 1776 - იხ. ჯავახეთი

სააბრეშუმო თემი. ქართლი

სააბრეშუმო თემი 1580 - ... ჩვენ პატრონმან იასე ... მოგეცით თქვენ, სააკაძეს სიაუშს ... ჯილდოდ სააბრეშუმოსა თემისაგან... დაიწერა სიგელი და ბძანება კელითა თბილისისა (მთავარეპისკოპოსისა) ბრძანებასითა (სკ, IV, გვ. 71).

სააგურის მიწა. შიდა ქართლი

სააგურის მიწა 1774 - იხ. ვარაზის კვეცი

საავალიშილო. ხეობა

საავალიშილო 1740-1741 - იხ. სადგრის ხეობა

საავალიშილო 1747-1749 - იხ. ძამის ციხე

საავალიშილო 1784 - იხ. სატივე

საათაბაგო // საათაბაგიშილო // სამცხე-საათაბაგო

საათაბაგო 1516 - იხ. მცხეთა

საათაბაგო 1562 - იხ. ქართლი

საათაბაგო 1638 - იხ. მცხეთა

საათაბაგო 1645 - იხ. ლოლეთი

საათაბაგო 1712 - იხ. შავი ზღვა

საათაბაგო 1769 - იხ. ახალციხის ქვეყანა

საათაბაგო 1769 - იხ. ქართლი

საათაბაგო 1787 - ავალიშილები ასე ჩიოდნენ. ეს ელიაშილები მკვიდრნი ჯავახნი არიანო და საათაბაგოს დიასამიძის ყმანიო (ქსმ, V, გვ. 383).

სააკაშენი. თბილისი

სააკაშენი XVIII ს. I ნახ. - იხ. ქვემო უბანი

საალავერდო. კახეთი

საალავერდო 1775 - იხ. გულგულა

საალავერდო 1788 - იხ. ახმეტა

საალონო. კახეთი

საალონო 1756 - იხ. აღევანი

საამი. კახეთი

საამი XVIII ს. II ნახ. – იხ. კისისხევი

საამილახვრო // საამილახორო. შიდა ქართლი

საამილახვრო 1656 – ჩუენ ... მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ ... გიბოძეთ თქუენ, ... ამილახორს ... მკვიდრი, ნათესავთა თქუენტა ნაქონი დროშა ამილახრობისა, საამილახოროს მამულიან, აზნაურშვილიან, გლეხიანად... გიბოძეთ და დაგიმტკიცეთ მოურაობა გორისა... უკლებლად გვიბოძებია, აგრეთვე, ზემო ქართლის თქუენის დროშის სარდლობა... (სადრ, გვ. 128-129).

საამილახვრო 1692 – ესე სიგელი გიბოძეთ ჩვენ, მეფეთ-მეფემან გიორგიმ ... თქვენ – ამილახორს ბატონს ვივს... მას ჟამსა, ოდეს თქვენი ძმისწული ოთია და ავთანდილ ... ქართლსა, კახეთს და იმერეთს ... ორგულეებას ეცადა, თქვენც ... გიმუხანათა ... და დაჯოცა მოინდომა; და ერეკლე მეფისაგან ერთპირათ თავისთვინ საამილახოროსი სარდლობისა, გორის მოურაობისა საფიცრები აელო და თქვენი საქართველოდამ ამოღება დაესკვნა... ჩვენ საქართველოში მოუბძანდით და ბედნიერმან ყვენმან გვიბოძა და ჩვენი საბატონო დავიჭირეთ, არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი და სულა ქართველნი შუა ჩამოიყენა... აწე ჩვენ თქვენთან ეს წყალობა გვიქნია, რომე ერთპირათ საამილახოროთ ზემო ქართლის სარდლობა, გორის მოურაობა და რასაც ალაგს მამულის მქონებელნი იყენეთ, უკლებლად თქვენთვინ ... გვიბოძებია... (ქსბ, VI, გვ. 679-681).

საამილახვრო 1703 – ჩვენ... ამილახორი ბატონი ავთანდილი, ჩვენი ბიძაშვილები... და ჩვენის სახელიკაცობა ასრე [გავრიგდით], რაც საამილახოროს კაცისაგან და საამილახორო მამული, რაც მამის ჩვენისაგან და ან ჩვენგან ნახყილი იყოს ... უნდა სასახლოთ დაეღვათ, აღარც კელახლა ვიყიდით (ქსბ, VI, გვ. 687).

საამილახვრო 1723 – [პირობის წიგნი ვახტანგ ამილახორიშვილისა ბეჟან ამილახორიშვილისადმი]: ... რაც საამილახოროდამ გამოვიდეს საკლავი, პური ან ღვინო, ყველა მისის მართებულთ არცეთი დაგაკლოთ. სამხრითი-დამ ბრინჯისა და ხავისაც წილი გარგინოთ, თუ ბატონთან წახვიდეთ, ნუზლის საქმე ჩვენ გაგირგოთ. ბეშუთს კვიწინაძის მამულიც და ციციანაშვილიც მოგცე... (მსკი, ნაკვ. 33, გვ. 119).

საამილახვრო 1749 – ესე წიგნი მოგართვი მე, ბატონმა ამილახორმა ამირინდომ ჩემს ბიძაშვილებს... რაც საამილახვროში ან პური, ან საკლავი, ან თეთრი გამოვიდოდეს, ორი წილი მე უნდა ავიღო და ერთი წილი დიმიტრის უნდა მივსცე... (ქსბ, VI, გვ. 702).

საამილახვრო 1756 – იხ. ზემო ქართლი

საამილახვრო 1787 – [ბრძანება ერეკლე II-ისა]: ... ამ სიით ამილახვრის სასარდლოს ჯარის კაცი შესწერდა: ერთობით საამილახვრომ აზნაურიშვილით და გლეხით. გორის სახასომ და ვისიც ყმა არის... დირბმა ერთობით... მეღვრეკის მონასტრის ყმამ... ატოცვლებმა ერთობით... რუისს სამროვლომ. რუისს სახასომ, აზნაურმა და გლეხმა და ურბნისმა... სამთავრომ აზნაურმა და გლეხმა... ალელეებმა... სვენეთმა... ცხინვალს თარხნებმა... (სეი, II, გვ. 148-149).

საამილახვრო 1789 – იხ. გორი

საამილახვრო 1796 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი ამილახვარიშვილს მინბაშს ბეჟანს მომცეს. ჩემი ძმისწულები გამეყარნენ და ამ თქვენგან წყალობა ეგაძე საუფროსოთ აიღო. ჯერ საამილახვარო გაუყოფელი არის და ჩვენი წილი საუფლისწულო იმდენი არ არის, რომ საუფროსო აიღებოდეს. როდესაც საამილახვრო გაიყოთ, თუ ერგება საუფლისწულო მაშინ აიღოს (ქსმ, VIII, გვ. 373).

საამილახვრო 1797 – იხ. გორი

საამირეჯიბო. იმერეთი

საამირეჯიბო 1684 – იხ. კაცხი

სარწივის ხევი. ქვემო ქართლი

სარწივის ხევი 1635 – იხ. ენაგეთი

საატენო. შიდა ქართლი

საატენო 1650 – იხ. წედისი

საახატლო შარა. კახეთი

საახატლო შარა 1775 – იხ. გულგულა

საახოტო მთა. ქვემო ქართლი

საახოტო მთა 1705 – იხ. ახოტა

საბათგორი. შიდა ქართლი

საბათგორი 1796 – იხ. კავთისხევი

საბაღიანო. კახეთი

საბაღიანო 1791 – [განჩინება ერეკლე II-ისა]: სახლთხუცეს გრიგოლს სამთავროველნი ერწოველნი საბაღიანოს მიწებს ეცილებოდნენ, რაც თხრილი ავლია იმას... ეს სამართალი უყავით: სამთავროს გუჯარი ნახონ, თუ იმათ უწერია, სახლთხუცესს სიტყვა აღარ ექნება. თუ არც გუჯარში უწერიათ, სახლთხუცესმა უნდა ორი თავისი მოთაბარი კაცი შემოატაროს იმ საბაღიანოს მიწებს, დაიფიცონ, რომ: „ეს მამული ნასყიდოც იყოსო სახლთხუცესისაგან და არც სამთავროს კაცს ჳელი ქონებოდესთო“... (ქსმ, V, გვ. 544).

საბანელა. იმერეთი

საბანელა 1271-1272 – ... ჩუენ, დავით ბაგრატიონმან, ძემან ... რუსუდანისამან ... ვიყიდე სოფელი საბანელა... სათნო ვიჩინე მოჴსენებად დიდს მონასტერს, სახულის ღმრთისმშობელს... და არც ქუთათისის მეგერგილეთა და ამირათაგან რა ეწინებოდეს... (ქისკ, I, გვ. 175-176).

საბანელა 1776-1784 – გენათელმა [იოვანე აგიაშვილს] უჩივლა: საბანელა დავთარში მიწერია, იქ ნამოსახლის კაცის მიწას მართმევ... იმ ადგილის საზღვარი ... მეფემ [სოლომონ I-მა] ... რომ ნახა, – საბანელას ხიდი, ხიდს გაღმა ზღვარი და ჭიშურას ხიდი არის, – ამას დაბლა ხელი არა აქვს აგიაშვილს... ამაზედა სამართალში პირველ შამორებულზედ აგიაშვილმან ადგილი მოუმატა. ბატონმა მეფემ თვითან დაიარა ის ადგილი და ამისი ასე გააჩინეს: ... [აგიაშვილის მოწმებმა] ჭიშურას ხიდიდამ ზღვარზედ გა-

იაროს, ბატონმა რომ დღეს თარჯუმბუჯად გაიარა, იმაზედ გაიაროს, ზეთ შარაზედ გაიაროს გაჭრილს კლდემდის და ასე შეფიცოს: ეს აღგილი მის-დღემშიდ არც გელათის დავთრის ყოფილიყოს, არც საბანელას მიწა ამა-შიდ იყოს, არც გელათის ყმის ყოფილიყოს... (ქსმ, V, გვ. 282-283).

საბანელას ხიდი. იმერეთი

საბანელას ხიდი 1776-1784 – იხ. საბანელა

საბარათაშვილო // საბარათიანო // საბარათო. ქვემო ქართლი

საბარათაშვილო 1562 – იხ. ქართლი

საბარათაშვილო 1586 – იხ. ჩინჩხორი

საბარათაშვილო 1608 – მეფემან ... ლუარსაბ ... თქვენ... სააკაძესა ... გიორგის ... გიბოძეთ საბარათიანოში სოფელი კრწანისი... მთას აქეთ ჯავახიშვილის გამრეკელის კერძი, ცხირეთს ურუმ ბენაშვილი გონია კომლი ერთი საჯავახიანოს ხანდაკს ჯავახიშვილის გამრეკელის კერძი მამული, რისაც მქონებელი ყოფილიყოს (სს, II, გვ. 50).

საბარათაშვილო 1636 – ... ჩუენ, მეფეთ-მეფემან ... როსტომ ... თქუენ ... ხმაღეძესა მოღარეთ-უსუცეს შიოშს ... გიბოძეთ საბარათაშვილოში საგინაშვილი პაატა მისის მამულითა, ყორღანაშვილი ბაინდურა და ნურალა ამოვარდნილის კერძი სოფელი ვაშლოანი, სომხითს მამხუტი, დმანისს ალიყულიბეგის კერძი მამული სოფელი კრწანისი, კლდესა – ორივე კარაქაები და სამშვილდის სასახლე და საჯელოდ სამშვილდე და დიდომი... (ქსის, გვ. 133).²⁰

საბარათაშვილო 1637 – ... ჩუენ, მეფემან ... როსტომ ... თქვენ ... სოლოდაშვილს ... საბარათაშვილოში ... კაბერეთის ... თქვენი სამკვიდრო და სასაფლაო მონასტერი [გიბოძეთ] (ქსის, გვ. 135).

საბარათაშვილო 1643 – ... ჩუენ მეფეთ-მეფემან ... როსტომ ... წყალობის წიგნი ... გიბოძეთ თქუენ ... ბარათაშვილს იოთამს... საბარათაშვილოში სოფელი კრეფა თქუენი სამკვიდრო უცილობელი იყო. შეგიწყალეთ და გიბოძეთ ... მათის სამართლიანი საძღვრითა... (ქსის, გვ. 178).

საბარათაშვილო 1643 – [როსტომ მეფის წყალობის წიგნი გერმანოზ ბარათაშვილისადმი]: ... მას უამსა, ოდეს ... თქუენის მამის და პაპის სამკვიდროს საბარათაშვილოში სოფელს ცოვრეთს დაგუეაჯენით, ჩუენცა თქუენის ... სამკვიდრო სოფელი ცორვეთი და გუდარხის მონასტერი სასაფლოთ დაგიმკვიდრეთ და გიბოძეთ... და ვითაცა ნოდარზედა გავიმარჯვეთ და ცორვეთი გამოგართუით, და ბატონისშვილსა გიორგის მივეცით თქუენი სამკვიდრო, მასუკან ჩუენს სიკუდილსა და დაღატში გაერივა, იმას ყაზბი უყავით და ... ცორვეთი ისრევე თქუენ დაგიმკვიდრეთ... (ქსოის, გვ. 23).

საბარათაშვილო 1675-1688 – [ბრძანება გიორგი XI-ისა]: ... საბარათაშვილოს თავადნო, აზნაურნო და გლეხნო... საბარათაშვილოს მებაღახობა ამასლად ორბელიშვილის ვახუშტისათვის გვიბოძებია... (სს, II, გვ. 154).

²⁰ სპარსული ტექსტი აზუსტებს: „... სოფ. ზემო კარაქა; სოფ. ქვემო კარაქა...“ (ქსის, გვ. 134).

საბარათაშვილო 1677 – ... ჩუენ თუთ ხელმწიფის შვილმან ... გიორგიმ ... წყალობის წიგნი ... გიბოძეთ თქუენ, ორბელისშვილს პაპუნაბეგს ... [და] სარდარს საბარათაშვილოსა და სომხითისასა თამაზს, გიორგის... ანჯიყა-ვაშვილები თავისის მამულით თქუენის სამკუიდროს სასაფლავს ფიტარეთის მღთისმშობლისა შეწირული ყოფილიყო, ჟამთა ვითარებისაგან გამოგრთმეოდათ... მამამა ჩუენმა ... ქართლისა და კახეთისა მპყრობელ-მქონებელმა ხელახლად შესწირა [მონასტერს]... (ქსის, გვ. 327).

საბარათაშვილო 1688 – ესე წიგნი მოგართვი მე, მიქელაძემ გიორგიმ, შენ გოშტაშაბისშვილს პაპუნასა... საბარათაშვილოში დურმიშხანის მამული გვიბოძა ბატონმა... და აღგეთხე წისქვილი და მისი გარეშემო რომ გეჭირათ, იმაზე კელი აგვილია... რაც ჩუენ იქ დასაფქვავი პური გვიწოდდეს, თქვენ იმისი მინდი არ უნდა გვთხოვოთ (სს, I, 1920, გვ. 72-73).

საბარათაშვილო 1703-1724 – [ბრძანება ვახტანგ VI-ისა]: ...როგორც ამას წინათ ბიძიჩუენისა და მამის ჩუენის დროს ხვევისთავი ყოფილიყოს და ესამართლებინოს, ახლაც ისრე ყოველს ალაგს საბარათაშვილოში მივიდნენ და სამართალი ქნან (ქსმ, VI, გვ. 694).²¹

საბარათაშვილო 1719 – ... კელმწიფეთა გუჯრები გქონდათ [კათალიკოსს] და ჩუენცა [ვახტანგ VI-მ] კელახლა ამითი გაგიახლეთ და შემოგწირეთ: რასაც ალაგს თქუენი მამული არის ქალაქსა, თუ გორსა, სომხითსა, საბარათიანოში ... არაფრისთანა საჩუენო არა ეთხოვებოდეს რა არას ნიუთისაგან (ქსმ, VI, გვ. 688).

საბარათაშვილო 1720 ახლო – იხ. თრიალეთი

საბარათაშვილო 1723 – ... ჩუენ მეფემა ... მაჰმადყულისხან ... თქვენ ... ყაფლანისშვილს ელიზბარს ... ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ. თუ ღმერთმან და კელმწიფემ ჩუენის სამკუიდროს მამულის საქართველოს ბატონობის წყალობა გეიყოს, შენ საბარათიანოს სარდრობის და შენის მამულის უფროსობა და შულავერის მოურაობა წყალობა გეიყოთ... (ქრონ, III, გვ. 91).

საბარათაშვილო 1731 – [ისპაყფაშის წერილი-ბრძანება ელიზბარ და ვახტანგ ყაფლანიშვილებისადმი]: საბარათაშვილოში რომ ოთხი მირის სოფლები გიბოძეთ, რაც იმ სოფლებს დავთარში მირი ეწეოროს, ის მირი ჩუენს მაჰმად-ბეგს მიბარე, რომე საბარათაშვილოს სოფლები იმას აუღია დავთარისაგან და სოფლები ოთხივე შენ ზაენი ქენ (ქმწ, გვ. 74).

საბარათაშვილო 1735 – [აიდერბეგის ბრძანება ქაიხოსრო ყაფლანიშვილისადმი]: ... საბარათაშვილოს მებალახობა შენთვის გვიბოძებია, როგორც კვლავ საბალახე აღებუდიყოს, ახლაც ისრე აიდევი. ქათალიკოზის მამულს არც კვლავ გამოერთმევია საბალახე, ნურც ახლა გამოართვამ, მაგრამ, ქათალიკოზი სოფლის მამასახლისებს მურალგა გამოართვი, რომ სხვა სოფლების ცხვარი არ შეიხიზნონ... (სს, II, გვ. 376).

საბარათისშვილო 1750 – [ბრძანება თეიმურაზ II]: ჩუენი ბრძანება არის, ვინც საბარათისშვილოს დროშაზედ ... სწერიხართ... ორს ცხვარს ჩუენის

²¹ ამავე შინაარსისაა 1750 წლის საბუთიც (სს, I, 1899, გვ. 459).

მეწინავეს ჯარის სპასპეტს ორბელიანს ბატონს რევაზს სარდალს მიართმევდეთ (ქსის, გვ. 453).

საბარათაშვილო 1796 – [დარეჯან დედოფლის წერილი იოსებ ყორღანაშვილისადმი]: ... ახლა თუ შეგეძლოს ქოლაგირში შენი წასვლის დრო კი არის, მანამ ძალიან არ დამცხარა, და ბატონიც რომ ქალაქს მიბძანდა... ბატონსაც იახლები და... პოლკოვნიკს საიდუმლოთ ესეც უამბე სულემან ფაშის ყოფაქცევა... მაგ ფაშის დროს სომხითი, საბარათო და ქართლი რომ სოფლების გლეჯით ააოხრე²², ესენიც ყველა წვრილათ უამბე (სს, III, გვ. 248).

საბარათაშვილო 1798-1800 – რევაზს, ასრე და ამა პირსა ზედა ... რომ საბარათაშვილოში რაც მამული გექონდეს ... ორი წილი თქვენ მოგართოთ და მესამე ჩვენ სამთ ძმით... ახბატის მამულისაგან მესამედი ჩვენს სამს ძმას და ორი წილი თქვენ... ახბატის მოურაობა დედა ჩვენს რომ სოფელი აქუს, ის მოუშლელად ჩვენ გექონდეს (სს, I, 1899, გვ. 436).

საბარკლეთი. შიდა ქართლი

საბარკლეთი XV ს. I ნახ. – იხ. სამთავისი

საბატე // საბოტე. შიდა ქართლი

საბატე 1634-1658 – იხ. ნაციხვარა

საბატე XVIII ს. შუაწლ – იხ. გარეჯვარი

საბაწმიდა. კახეთი

საბაწმიდა 1579 – იხ. მცხეთა

საბაწმიდა. ქვემო ქართლი

საბაწმიდა 1392 – იხ. ტფილისი

საბაწმიდა // საბაწმინდა. შიდა ქართლი

საბაწმინდა 1795 – იხ. სვერი

საბაწმინდა 1795 ახლო – იხ. ერედვი

საბეგანო. ქვემო ქართლი (?)

საბეგანო 1778 – ჩვენ ქართლისა და კახეთის მეფემ პატრონმა ირაკლიმ ესე წიგნი გიბოძეთ შენ, ოსეს ძეს იესეს მსაჯულს... საბეგანო როგორც უწინ გვებოძებინა, ახლაც შენთვის ... გვიბოძებია. აგრეთვე დილომს სოფლები ოცის დღის მიწა... კიდევ ერთიზ აბდულაბეგს გოსტაშაბის შვილებსაგან ნასყიდი მამული რომ მქონდა შენთვის წყალობა გვიქნია... პაპის ჩვენისაგან გამოღმა მხრის კოდის პურის ამღებლობა ... გვიბოძებია და დაგვიმტკიცებია... (სმ, II, 1924, გვ. 191).

საბედიანაშვილო. შიდა ქართლი

საბედიანაშვილო 1799 – იხ. ცხინვალი

საბი. იმერეთი

²² ტექსტში შეცდომა უნდა იყოს – ალბათ იქნებოდა „ქართლი რომ სოფლების გლეჯით ააოხრეს“.

საბი 1550-1570 – იხ. რომანაული პარტახტი

საბოდბლო. კახეთი

საბოდბლო 1777 – იხ. ბოდბე

საბოე – იხ. საბუე

საბოლოვე. შიდა ქართლი

საბოლოვე XVIII-XIX სს. მიჯნა – იხ. ქსანი

საბროწლე // საბროწლეთი. ქვემო ქართლი

საბროწლე 1663 – ბარათაშვილები უბრუნებენ მცხეთას ნასოფლარ საბროწლეს (ქრონ, II, გვ. 481).

საბროწლე 1697 – იხ. თრიალეთი

საბროწლე 1720 ახლო – იხ. თრიალეთი

საბუე // საბუეე // საბოე. კახეთი

საბუე 1568 – [წყალობის წიგნი თეიმურაზ ბატონიშვილისა მაქსიმე ბოდბელისადმი]: ... მაყანთ ყმებსა საბუეეს მსახლობელთა გუთაჯენით... მოგობოძეთ ბოცოხეული კუამლი კაცი... (დსსი, I, გვ. 358).

საბუე 1722 – იხ. სარუსთველო

საბუე XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

საბუე 1746-1749 – იხ. გრემი

საბუე 1756 – იხ. ალვანი

საბუე 1758 – გურამიშვილები რომ საბუის ბოლოს თავიანთ მამულზე დედაჯანზედ ლაპარაკობდნენ, ჩვენ მეფე ერეკლემ ასე გაუსამართლეთ... თუ რომ საბუელნი, აღმატელნი და გრემელნი რაზი შეიქნან და დანებონ გურამიშვილებს, ის იქნება... (სს, III, გვ. 427).

საბუე 1775 – იხ. კვეტერა

საბუე 1785 – იხ. გაღმა მხარი

საბუე 1787 – ... შარშან მდივანბეგები საბოეს ყოფილიყვნენ. ამ ხატიანთ ეჩივლათ და ეს სამართალი მიეცათ: ქაიხოსროს [რუსისშვილს] რაც ნასყიდობის წიგნში ეწეროს, ის მიწები უნდა მისცეთო (ქსმ, V, გვ. 355).

საბუე 1789 – ... რაც საბუეს მამული აქვს კარჭაულს, ამათი არის. თუ ნაფარეულში დგომა უნდოდეს, მამული აქვს იქა გარსევანის ყმა იქნება და იქ დადგეს... (ქსმ, VIII, გვ. 580-581).

საბუე 1798 – იხ. გრემი

საბუე 1798 – იხ. ვეფხის ციხე

საბუე 1799 – იხ. შილდა

საბუე 1800 – ხელმწიფის ძის ბაგრატის წინაშე მოსახსენებელი ენისელო მოურავის შვილის ზურაბისაგან... მისის უმაღლესობას ბძანება გეჭონდა ტყვია-წამლისა, არც ის მოგეცემია და ვისზედაც ულუფა გეჭონდა არას გვაძლევენ. მშიერები გახლავართ. და რაც თქვენი ბძანება იყო საბუეზე არცრას ისინი გვაძლევენ (ქსმ, VIII, გვ. 665).

საბურაული პარტახტი. იმერეთი

საბურაული პარტახტი 1583 - იხ. დიმი

საბძელი. კახეთი

საბძელი 1505 - იხ. ოროტა

საგაგულიო. სამეგრელო

საგაგულიო 1628 - იხ. ღალიძგა

საგარეჯო. კახეთი

საგარეჯო 1428 - ... მე, მეფეთ-მეფემან აღექსანდ ე... დედა-ქალაქის მცხეთისათვის ... შვესწირეთ ... საგარეჯო მთასაქათი და მთას იქითი სოფლები: ორკოშინი, ბერთუბანი, თუაღნი, გიორგი-წმინდა, ტაზრები, არივლი, ვერენა, კეხთა, თოლეჯი, ხუდაშენი, ვანთა, ვაკურა მისითა უდაბნოთა, კალაური, ნაპირა, ჯიმიოთი, ხუდაშენი და ვეძისხევი... ჩუენთა პაპათა და ნათესავთაგან გამართულნი უდაბნონი გარესჯისანი ჟამთა ვითარებითა აგარიანთ ხელისაგან მოშლიდ იყო და ჩუენ... სანაცვლო მამული დაეჭირეთ და თქუენ საგარეჯო მოგახსენეთ და დაგიმტკიცეთ... (ქრონ, II, გვ. 281).

საგარეჯო 1548 - ჩუენ ... მეფემან ლეონ ... ესე სიგელი ... მოგახსენეთ ... [მცხეთას] და ქათალიკოსს სვიმეონს... მოგახსენეთ მთას აქეთ საგარეჯო სრულიად ასრე და ამა წესსა ზედა, რომე ... გონბორს გარეთ ნახევარს ცხურის საბალახეს აქეთ სხუა ჩუენი ხელი აღარა შემოვიდოდეს და ჩუენი კერძი შესაწევარი... იორის საბალახე და რაც იქაური გამოსავალი იყოს, სრულიად თქუენ აიღებდეთ... (ქრონ, II, გვ. 388).

საგარეჯო 1575 - მეფე აღექსანდრე და თინათინ უბრუნებენ მცხეთას საყდარს საგარეჯოს (ქრონ, II, გვ. 416).

საგარეჯო 1638 - ესე წიგნი ... მოგართვით ჩუენ, ჩოლაყასშვილმან ... ბიძინამა თქუენ (მცხეთას) ქათალიკოზს ქრისტეფორეს... ასე რომე ... არც ზამთარ საგარეჯოს არ დავდგეთ, არც პატარძეულსა, არც ბერთუბანს, არც თვალზე და არც გიორგიწმინდას... არც დავითგარესჯის წილი რამ დავხარჯოთ არაფერისთანა (ქრონ, II, გვ. 453).

საგარეჯო 1638 - იხ. მცხეთა

საგარეჯო 1648 - იხ. ქართლი

საგარეჯო 1654 - ... დავიფიცეთ ... ქათალიკოსმა ქრისტეფორემ, საგარეჯოს მოურავმან ჯანდიერის შვილმან გივმან... ომფორის მოღარემ გაბრიელის შვილმან თინიამ... სრულიად მცხეთელთა და წინ საგარეჯოელთა ერთ პირობითა, უკან საგარეჯოელთა ნაცვალმა მანველაშვილმან თამაზამ... ჯიმიოთენიც და ახაშნელნიც თან გვახვდენ, დავიფიცეს. მოვედით შაშინათ თავსა მთავარანგელოსთან... მივედით მარმაროვანთ, სამზღურამდინ და მივედით მოღამნახის ციხეზედა, დავიფიცეთ. თითონ მოღამნახის ციხე სამზღურია და მივედით, წავდექით გოგას-წყაროს სამზღურამდინ და იქით დევთ ნასახლარზედ და დევთ ნასახლარიდამე ომანაშვილის სასაკლამდინ, ეს სამზღურები გომთ წყალზედ მივიდა და სადაც გომთ წყალი ჭერემის წყალს შეერთვის, იქამდისინ მთა და ბოლო სრულ გამოგ-

ვიფიცავს. ვანთა, ბუშატი სვეტის ცხოველის სახასო სოფელია... არც ჯან-
დიერისშვილს აქვს ხელი, არც ვაჩნაძესა და არას კაცს. მამული სახასო
კათოლიკოზისა არის, სამოურაო ჯანდიერისშვილისა. იქით კისისხვეველნი
ხოდაშენელთ ცოტას ალაგს მთაზედ ცილობდნენ... მთაწმიდის მამა ბატონი
გერმანე, მოლარე ბახუტა ... და კისისხვეველნი ვილაპარაკეთ... კისისხვეველ-
ნი გაამტყუვნეს... საგარეჯოს მთა საგარეჯოს დარჩა... ხოდაშენელთ წი-
ნანდლის ბოლო და სადგომის ალაგი ... გამოვიფიცეთ... ყველა ასრე ...
გარდასწყდა ... მეფის როსტომის ბრძანებითა. ერისთვის ზაალის ბრძანებო-
თა... (დსსი, II, გვ. 7).

საგარეჯო 1689 – იხ. დავითგარეჯა

საგარეჯო 1690 – [ბრძანება ნაზარალი-ხანისა]: ... ჩვენ მაგიერად საგარე-
ჯოს მოურავს ასე მოახსენეთ და მოკვლევებს უამბეთ, რომე წმიდის დავით-
თის ყმები ახლაც ყალათათ წამოგისხამთ. ხანმაც წიგნი უბოძა – ლაშქა-
რობა ამოუკვეთა. წმიდის დავითის საფლავს ხან ლეკი ანჯღრევს და ხან
თათარი... დაეხსენით... (ქკმეის, გვ. 12).

საგარეჯო 1693 – ... ჩუენ კახეთის ბატონმან ... აბაზყულისხან ... წიგნი ... გი-
ბოძეთ თქვენ, ერთობით წმიდის დავითის ყმათ საგარეჯოთ (ქსის, გვ. 365).

საგარეჯო 1696 – ესე სიგელი გიბოძეთ ჩუენ ... ყარაბადის ბეგლარ-ბეგმან,
კახეთის აქიმმან ბატონმან ქალბალიხან თქუენ ... კათალიკოზს იოანეს...
ვითაცა პირველადვე სხუათა მეფეთაგან საგარეჯოს მამულები სუეტის
ცხოველისა შეწირული ყოფილიყო ... ჩუენც ისე სიგლითა ამით დაგიმტკი-
ცეთ... (ქრონ, II, გვ. 516).

საგარეჯო 1704 – ... ესე წიგნი მოგართვით ჩუენ, დავით გარეჯის წინამ-
ძღვარმან ონოფრემ, დოდოს წინამძღვარმან ზაქარიამ და ნათლისმცემლის
წინამძღვარმან ხარიტონ, თქვენ, ... მეფეთ-მეფეს პატრონს ერეკლეს ... ასე და
ამა პირსა ზედან, რომე პირველითგანვე მამა-პაპათა თქვენთაგან საგარეჯოს
გამოსავალი ამ სამს უდაბნოს შემოწირული ყოფილიყო ... და ... ისევე საგარე-
ჯოს გამოსავალი იმავე უბადნოებს შესწირეთ... (ქკმეის, გვ. 19-20).

საგარეჯო 1708 – იხ. მცხეთა

საგარეჯო 1709 – ... შეიქმნნეს ... მონასტერნი ათორმეტნი თვის-თვისით წი-
ნამძღვრითურთ. და ესენე ყოველნი იყუნეს სამწყსო და მორჩილ ... მთავ-
რებისკოპოზისა ნინოწმინდლისა; და რომელნიცა უფლებდეს და განაგებ-
დეს საგარეჯოს წმიდის ნინოს მონასტერსა, მათიცა ჯერ-არს პერობა და
კურთხევა ამათ... [მტერთა შემოსევების გამო] უდაბნონიცა ესე გარეჯისა-
ნი ... აოტრდეს და მრავალჟამ და მრავალწელ დავითა უმკვიდროდ კაცთა-
გან. და არღარა ვინ იყო ბერთაგანი ადგილსა მაგას წმინდასა, ვიდრე ყო-
ვად ჩვენდა და იყო უმკვიდროდ კაცთაგან... თქუენ ... წინამძღვარი მარ-
ყოზ, ზაქარია და სხვანი ძმანი ... გამოსხვედით სოფლით და შენებად იწ-
ყეთ მონასტრის მაგის ... დოდოსით... და მოიწივებით წინაშე ჩვენსა... და
ჩვენ ... ნინოწმიდელ მთავარეპისკოპოზმან ვაჩნაძემ იოსებ ... თანა შემწე
გექმენ შენობასა მაგას მონასტრისასა... და შევსწირეთ ... იორზედ წმიდის
ნინოს ნაზერევი მინდორი, იქვე საწისქუილო ზევიდამ რომ ჭევი ჩამოვარ-

დების და შარაც ჩაივლის და წისქვილის რუს მიადგების; და კიდევ ზემოთ რომ ქედური ჩასდევს, საწნახელი რომ დგას; ბოლოს – ჭიაურელის მიწის სამძღვრამდინ, ისე სწორად ჩაივლის და წისქვილის რუს მიადგების, და ამოჰყვება ის რუგი წისქვილამდე; და იმ რუს შიგნით ყველა ნახურევი იყო წმიდის ნინოსი. და თქუნენ რომ არ გქონდათ-რა სოფელში მამული, ამისთვის თქვენს მონასტერს შევსწირეთ... (ქსბ, III, გვ. 659-662).

საგარეჯო 1710 – იხ. კაწარეთი

საგარეჯო 1711 – ... ჩვენ, ჩოლაყაშვილმან, საგარეჯოს მოურავმან სუფრანმა გიორგიმ ... თქვენ, დოდოს წინამძღვარს ზაქარიას ... [ჩვენი] თვალზე ნასყიდი ვენაჭი ... მოგეცით... (ქემეის, გვ. 39).

საგარეჯო 1717 – იხ. ხაშში

საგარეჯო 1720 – იხ. კალაური

საგარეჯო 1722 ახლო – ...საგარეჯოს ნაცვალო და უფროსნო კაცნო: მერმე, ბატონი ნინო წმინდელი და ონოფრე წინამძღვარი დოდოველთა და მგალობლის გასარიგებლად გამოვეზახენეთ და თქვენც შევეყარენით: პაპიას კერძი დოდოველთ გურჩივეთ და დათუნას ერთი ბერასშვილის ბეითაღმანი მგალობელს მიაბარეთ... (ქემეის, გვ. 82-83).

საგარეჯო 1733 – ... ჩვენი [თეიმურაზ II-ის] ბძანება არის საგარეჯოს მოურავო, მერმე წმინდის დავითის ყმა არც უწინ ყოფილან ლაშქარს და ახლაც ჰელი ანუ გაქვს... (ქემეის, გვ. 94).

საგარეჯო 1733 – ... მეფემან თეიმურაზ ... შემოგწირე შენ წმიდასა ნინოს ჩვენი ბეითაღმანი საგარეჯოს თვალს ამოწყვეტილის ყორღანაშვილის აბრამას ნაქონი სადგომის ვენახი თავის სამძღვართ სამძღვრამდის... ეს სადგომის ვენაჭი მისი გარეშემო ძველადგან წმიდის ნინოს მამულად თქმულიყო... როდისაც ჩვენ ბატონობა კახეთისა დავიპყართ ... ისევ წმინდას ნინოს შევწირეთ... ლეკისაგან და ურუმისაგან კახეთი აოჭრდა და რაღაც საგარეჯო და ნაპირის ადგილის კაცი დარჩომილიყო, ჩვენმა ძმამ მეფემ კოსტანტილემ წმიდის ნინოს გალავანში დააყენა და ამით წმიდის ნინოს ზვარი და სულ მისის ყმის ვენაჭი სულ გაოჭრდა... და ეს ვენაჭი მისთვის მისად სანაცლოდ ზღვად შევსწირეთ წმიდას ნინოს და მოვართოვით... ვაჩნაძე ნინოწმიდეღეს იოსებს... (ის, V, გვ. 46-47).

საგარეჯო 1751 – იხ. გიორგიწმინდა

საგარეჯო 1747 – იხ. არაკალი

საგარეჯო 1749 – ... ყოველთავის სახმართა ეკლესიისა საეპისკოპოსოსისა წმინდის ... ნინას ეკლესიისათა, რომელ არს საგარეჯოსა შინა, ვკქმენით გამოძიება ... ჩვენ, ირაკლი მეორემა, მეფემან ყოვლისა ზემოდასა საქართუმლოსამან... (ქრონ, III, გვ. 205).

საგარეჯო 1754 – ... რადგანც ნინოწმინდეღეს ძველადგან მეფეების წიგნი ქონია და საგარეჯოს ბაშის მესამედის წყალობა სჭირებოდა, ჩვენც ისევ წყალობა უყავით... რაც საგარეჯოს ბაჟი ავიდოდეს, მესამედს ამას მისცემდენ... (ის, V, გვ. 73).

საგარეჯო 1754 - ... ჩვენ, თუშთ მოურავი ზურაბი საგარეჯოს მოვედით. წმინდის დავითის ყმასა, ელიზბარს წივა თუში აუაშვილიანთა დაქტრა... (ქქმის, გვ. 105).

საგარეჯო 1756 - საგარეჯელმან კაცმან თავის მეზობელს ამხანაკობაზედ უჩივლა (სამდ. გვ. 31).

საგარეჯო 1761 - იხ. ვაქირი

საგარეჯო 1764 - ჩვენ... კათალიკოზ-პატრიაქმა ... ანტონი ესე წიგნი მოვართვით ... მრავალმთის მონასტერს ნათლისმცემელს... საგარეჯოლამ ჩვენის სარგოლამენ წელიწადში ორი საპალნე ღვინო მოვართმოდეს ნათლისმცემლის მონასტერსა; და ოცი კოდი პური ჯიმითიღამე ჩვენის კოდის პურიღამენ მოვართმოდეს... (ქსძ, III, გვ. 854).

საგარეჯო 1767 - ღმერთმან მეფის ჭირი მოსცევს ნინოწმინდელს საბას... საგარეჯოს რისაც ფერის ბაჟისა მესამედი წმიდის ნინოს ტაძრის შეწირული არის, მეფეთაგან გუჯრებიცა მაქვს მათის წყალობისა... მანამდინ ყალუაშვილს გიორგის და მილდისას კახეთს ბაჟი ეჭირათ, თქვენის ბძანებით და ოქმით საგარეჯოს ბაჟიღამე ჩემს მესამედს ბაჟს მთლიათ მაძღვედენ... (ქსძ, VII, გვ. 116-117).

საგარეჯო 1772 - ესე წიგნი მოგეცით ჩვენ დავით-გარესჯის მონასტრის ... არქიმანდრიტმან გერმანე ... თქვენ, წმიდის ნათლისმცემლის მონასტრის ... არქიმანდრიტს სიმეონს... ნათლისმცემლის მონასტრის მამული მოოკრებული იყო ჟამთა ვითარებისა და მტრისაგან და ამის მიზეზითა ... მეფემან ირაკლი და ... მიტროპოლიტმა ... ნინოწმინდელმან საბა გიბოძესთ საგარეჯოსა ადგილი და მამული... (ქსძ, III, გვ. 89).

საგარეჯო 1772 - იხ. კალაური

საგარეჯო 1778 - ღმერთმან ... მეფის და ... პატრიაქის ჭირი მოსცევს ... ნინოწმიდელს. წმიდის ნინოს ეკლესიას საგარეჯოს მესამედი ბაჟი შეწირული აქუს, და თქვენგან გუჯრებიც დამტკიცებული არის, და ოქმიც ბერჯეღ მებოძა თქვენგან მებაჟეებზედა... მათგან ვერა გამოვიტანე რა... (ქსძ, VII, გვ. 409-410).

საგარეჯო 1779 - იხ. კაკაბეთი

საგარეჯო 1781 - იხ. დავითგარეჯა

საგარეჯო 1786 - [წერილი მილახვარ-ბაში ოსეფასი მიშკარ-ბაშისადმი]: საგარეჯოს ქურუხულის სახლში ბძანდება ბატონი. მერე ეს ახალ-ქალაქელი ონანა გიახლებათ მანდა მისის უმაღლესობის მეფის წიგნიცა აქვს ბატონიშვილის იუღონთანა და დედოფლისაცა ... (სს, III, გვ. 23).

საგარეჯო 1788 - აფხაზისშვილი ნიკოლოზ ... და ... ჩხიკვეთელი სამუტაშვილი ოსიყმე ... სამართალში ვალაპარაკეთ. ნიკოლოზ ასე ჩიოდა: ოსიყმე ჩემი ყმა იყო, საგარეჯოს ესახლა, მამაჩემს ემსახურებოდა... (ქსძ, V, გვ. 424-425).

საგარეჯო 1789 - იხ. ხატისთელეთი

საგარეჯო 1790 - [არზა ფარსადან ნაზარაშვილისა გიორგი ბატონიშვილისადმი]: საგარეჯოს აღებ-მიცემაზე გახლავარ და ბატონს ჩემსაც იმით

ვემსახურები და ჩემს ხიზანსაც იმიითი ვარჩენ, თითო-ორილს ქოშსა კვერაჲ... (ქსძ, VIII, გვ. 57).

საგარეჯო 1791 – ... ესე წიგნი მოგართვი თქვენ, ბატონს დავით გარესჯის წინამძღვარს არხიმანდრის იოაკიმს. მე იმერეთიდამ გიახელ. აქ, საგარეჯოს, თქვენი მონასტრის ყმა გახლდათ ლასურაული დავით, ობოლი... თავისი და მე მომცა და ... მამულშიაც წილი მომცა... და ჩემი თავი წმიდის დავითისთვის შემოწირავს... (ქქემის, გვ. 159-160).

საგარეჯო 1791 – იხ. მარტყოფი

საგარეჯო 1796 – [ბრძანება ერეკლე II-ისა] ... ბატონს ამილახვარს ოთარს მრავალი მოკითხვა ეუწყოს... საჩქაროდ შენი სასარდლო, მემკვიდრე და ხიზანი, კომლზედ კაცი უნდა შემოიყრო და ორმოცის დღის ნუზლით საგარეჯოს და ან მანავს ბოლოს არჩილის სასახლესთან ჩვენ და რუსებს უნდა შემოგვეყარნეთ... (ქსძ, II, გვ. 532).

საგარეჯო 1796 – იხ. ახპატი

საგარეჯო 1797 – იხ. ტანაჩინი

საგარეჯო 1800 – [არზა იმერელ პეტრესი გიორგი XII-ისადმი]: ... საგარეჯოს მსახლობელთ იმერეთიდამ რომ მოვსულვარ უდაბნოში ვყოფილვარ და თავიც წმიდის დავითისთვის შემოწირავს. ცოტა რამ სახასო მამული დავიგირავე... [ოქმი]: საგარეჯოს მოურავს ორბელიანს ვახტანგს და ნაცვალს გოგიას ასე ეუწყოს... [პეტრემ] წმინდა დავით გარესჯის მონასტრის უნდა მსახუროს (ქსძ, VIII, გვ. 616).

საგარეჯო 1800 – ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი საამ ქკლივიძისა. ძველთაგან სვიმონ მეფისაგან აზნაურშიელი გახლავარ. მერე არეულობა მამხდარა. ამ მიზეზით ჩვენის ალაგიდამ ჩვენცა მოვშლილვართ. საგარეჯოს კურთხეულს მეფეს ოთხის დღის მიწა უბოძებია ჩვენთვის და აზნაურშიელობის სიგლით იმაზედ დაუსახლებივართ... (ქსძ, VIII, გვ. 701).

საგარეჯოები. კახეთი

საგარეჯოები 1730-1739 – ... საგარეჯოს მოურავს დემეტრეს ... მოახსენეთ; აწე, რადგან ბატონმა საგარეჯოები უდაბნოებს შესწირა, რაც რამ მანდური გამოსავალი იყოს, თუ ამ წინამძღვრების ბარათი არ მოგივიდესთ, ნურვის მისცემთ... (ქქემის, გვ. 83).

საგენათლო // საგელათო. იმერეთი

საგენათლო 1616-1621 – [კათალიკოზ მაღაქიას მოლაშქრე კაცთა ნუსხა]: ...არის მოლაშქრე კაცები კათალიკოზის გურიელის შვილის მაღაქიას: თავს ნაენახევს ბუჟან ლადიძე და იოთამ, მათ-მათის მსახურებითა... საგენათლოშიან 5 მსახური, ქუთათისს, ჯიმიშტარას 2 მსახური, გეგუთს, ფარცხანაყანევს 1 მსახური, ხონს, ჯუთობანს 6 მსახური, მანთხოჯს 19 მსახური, საქუჩულორიოს 3 მსახური, ნაგვაზაურს 4 მსახური, ხიბულას 30 მსახური, ჯგალს 38 მსახური, საცაიშლოს 63 მსახური, დარჩელის 85 მსახური, ჭალას 2 მსახური, ჩოხათს 5 მსახური, ნაჟანუელს 35 მსახური, ხორს 22 მსახური, მუხურს 30 მსახური, სახაუქელოს 15 მსახური, თილითს, ჭა-

დას 13 მსახური, ხეთას 30 მსახური, წყარიგზას, სენაკს 4 მსახური, ღან-
ხუთს, 30 მსახური ღესას, ჯუმათს, ბაილეთს 18 მსახური, ქობულეთს, ჩა-
ქუს 5 მსახური, ოცხენას 9 მსახური... (ქსმ, III, გვ. 480-481).

საგველეს ქვა. კახეთი

საგველეს ქვა 1791 – იხ. ბეჟანბაღი

საგლარაო. შიდა ქართლი

საგლარაო 1413-1442 – იხ. ძაღისა

საგოგატაშვილო მამული. შიდა ქართლი

საგოგატაშვილო მამული 1648 – იხ. ზემო ქართლი

საგოდოგნო შარა. იმერეთი

საგოდოგნო შარა 1519 – იხ. გელათი

საგოროს გზა. შიდა ქართლი

საგოროს გზა 1604 – იხ. იკორთა

საგრემო. კახეთი

საგრემო 1756 – იხ. ალვანი

საგრემო შარა. კახეთი

საგრემო შარა 1756 – იხ. ალვანი

საგუბარის პირი. ქვემო ქართლი

საგუბარის პირი 1706 – ... მე ... ვარაზასშვილმა ლუარსაბ, თქვენ ჩემს ბი-
ძაშვილს იასეს ... მოგყიდეთ ოთარისა და პაპუას წილი სასახლე, მარანს
გარდა, საგუბრის პირს რომ ღოღი ძეს იქამდისი... გუგუნას ბაღის ბოლოს
რომ გზა გაივლის ბურჟღულეთისკენ, იმას ქვეით კიდევ ქვეით ტბური გზა
რომ გაივლის იმას ზეით საგუბართან რომ ღოღი ძეს, იმის შემოსორ, ამ
სამძღვრებით ეს სასახლე მამიყიდნია... (სს, I, 1899, გვ. 391-392).

საგუდე. შიდა ქართლი

საგუდე 1392 – იხ. ტფილისი

საგუდე 1531 – იხ. მალეთა საკონე

საგუდე 1559 – იხ. სხალდიდი

საგუდე 1736-1744 – იხ. მოხისი

საგველე ქვა. კახეთი

საგუელე ქვა 1579 – იხ. მცხეთა

საგურამო. კახეთი

საგურამო 1392 – იხ. ტფილისი

საგურამო 1579 – იხ. მცხეთა

საგურამო 1631 – [სიგელი თეიმურაზ I-ისა]: ... წყალობისა წიგნი ... გიბო-
ძეთ საგურამოს თქვენ, ჯუბჯაურს ბერუასა... საკველმწიფოს გამოსაღების
თარხანი ყოფილიყუენით და ჩუენც გათარხნეთ... (სს, III, გვ. 540).

საგურამო 1722 – იხ. მარტყოფი

საგურამო 1779 - [მეფე ირაკლი II-ის წერილი შოშია გედევანიშვილს]: ... გუშინაც წიგნი მოგწერეთ და ჯვართ საგურამოს დაგიბარეთ, ახლაც ამას გწერთ, რომ ... საჩქაროდ წამოხვიდეთ, და ამ თვის ოცს უთუოდ საგურამოს უნდა გამოხვიდეთ... (სს, I, 1899, გვ. 277).

საგურამო 1779 - იხ. ავჭალა

საგურამო 1798 - [არზა ზაალ გურამიშვილისა]: რაც საგურამოში არაგველთ და ან სხუათ ცხვარი უყენიათ, შვიდი წელიწადია იმათს საბალახეს ჩემის სახლის კაცნი იღებენ და მე არას მაძლევენ. შარშანაც მცხეთელებს ღალა იმათ გამოართვეს... (ქსმ, VIII, გვ. 504).

საგურამო XVIII ს. - [მინაწერი ჭიაბერის დაწერილზე]: საგურამოს სამი კომლია მოაღაპისა (ქისკ, I, გვ. 98).

სადადიანო

სადადიანო 1689-1701 - იხ. ხორვა

სადადიანო 1792 - ესე ... წიგნი მოგართვით თქვენ ... იმერთა მეფეს ... სოლომონს ... მე, დადიანმა გრიგოლ, ესევეითარად რომ ... [იმერეთის] სამეფოს და სადადიანოს შუა ქურდების და ავი, უსამართლო კაცის მოკითხვა ინება და ერთმანეთის სამართლის მიცემა და ნაქურდალის გარდახდევინება... ჩუენ რომ მათხოჯს გავიმარჯვეთ, იმ დღეს აქეთ ნაქურდალი იმერეთის კაცის ჩემს საბჰანებელშიდ თუ გამოჩნდეს ... გარდაახდევინონ... (ქსმ, II, გვ. 528).

სადავითისშვილო. შიდა ქართლი

სადავითისშვილო 1673 - იხ. თღვავი

სადავითისშვილო 1798 - იხ. აბანო

სადავითისშვილო 1799 - ... მეფის გიორგის განჩინების ბრძანებით ... სადავითისშვილოს სამი წილი ზაალისათვის [დავითიშვილისთვის] უნდა მიეცათ და მეოთხედი შანშე მილახვისათვის უნდა მიეცათ... ჩვენ [მოსამართლენი] ავნევს მივედით და ზაალ დავითაშვილს მისის უმაღლესობის განაჩენი ... გამოუცხადეთ და შევესთავალეთ: თუ დაგვიბარებთ, მანდ ნულს ვეახლებით და ... თუ გინდათ, ფცას გადვიდეთ... (ქსმ, VI, გვ. 55-96).

სადახლო. ქვემო ქართლი

სადახლო 1785 - იხ. ბელაქანი

სადგერი. ხეობა

სადგერი XVI ს. დას. - იხ. ყვიბისი

სადგერი 1709 - ...შუა მდგომლობითა... წმინდის გიორგის სადგრისა, წმინდის გიორგის გორის ჯვარის, წამინდის გიორგის მოღნინითა, წამინდის გიორგის თელეთითა.. ეს... წიგნი მოგეცი მე, ოჰნეზანთ მეჩახწურე ვასოამა ... შენ, უდაბნოთ ნათლისმცემლის წინამძღვარს ხარიტაონს... მას ჟამს, როდეს ... მოგყიდე ჩვენი ალალი მამული სახლ-კარი ... ავიღე თქვენგან ფასი, ნათლისმცემლის თეთრი... (ის, V, გვ. 19-20).

სადგერი 1740-1741 - ბატონს კათალიკოზ-პატრიარხს ბატონისშვილს დომენტის საავალიშვილო სადგრის ხეობა და ბაგინეთ-გუჯარეთი ურბნელ

ეპისკოპოსის ხერხეულიძე ნიკოლაოზისათვის სამწყსოდ მიეცა, რომე საქართველოს ეპისკოპოსთ არავის ამაში ხელი არ ჰქონდათ და წმინდას სტეფანეს შესწირა. ამაში მროველი ეპისკოპოსი წამოეცილა... ჩვენ [მთავრეპისკოპოსმა კირილემ და ევთიმე ტფილელმა პატრიარქის ბრძანებით] ამითი სიტყვა გავსინჯეთ, მროველს არაფერი საქმე ჰქონდა... (ქსძ, III, გვ. 762).

სადენური ნასახლევანი. შიდა ქართლი

სადენური ნასახლევანი 1459 – იხ. ვირშისთავი

სადიღმო შარა. შიდა ქართლი (?)

სადიღმო შარა 1635 – იხ. ენაგეთი

საენდრონიკო. კახეთი

საენდრონიკიანო 1720 – იხ. ქიზიყი

საენდრონიკო 1722 – იხ. მარტყოფი

საენდრონიკო 1739 – იხ. კაწარეთი

საენდრონიკო 1773 – [ბრძანება ერეკლე II-ისა]: გარსევან ეშიკადათბაში! მერმე, რაც ქაიხოსრო სუფრაჯს საენდრონიკოში მამული და ყმა ჰყვანდეს, სულ იოანე აბაშიძისათუს გვიბოძებია. ხელი აუმართე და იოანე აბაშიძეს მოაბარე. ჩვენ ქაიხოსრო ავალიშვილს სხვას გზას მივსცემთ... (იღ, I, გვ. 79).

საენდრონიკო 1788 – იხ. ვეჯინი

საერისთო. გურია

საერისთო 1770 – ... ჩრდილოსა აფხაზეთისა და ყოვლისა იმერეთისა კათოლიკოს ... იოსებ ... შემიწირავს [ბიჭვინტის ღმრთისმშობლისათვის] ძორათ საერისთო ... ასორმოც მარჩილათ ნაყიდი ხუცესი მეგრეულიძე ზაქარია და მასთან სამაჭუტაეო კაცი გაბრიელ სირაძე... (დსსს, II, გვ. 41).

საერისთო. ქართლი

საერისთო 1775 – იხ. წადელი

საერისთო 1780 – ... ადამ [ყარაგოზიშვილი] ამას ჩიოდა: ბარძიმ ერისთავმან ჩემი მამა-ბიძანი გარდაყარა... მამაჩემი კახეთს გარდავარდა... მამული წართმეული ქონდა... მეფე ერეკლემ შეგვიწყალა... მოვედით საერისთოს, ჩვენი მამულები დავიჭირეთ (ქსძ, V, გვ. 126).

საერისთო 1783 – საქართველოს მსაჯულთშეკრებულება მოგიწერთ ხერხეულიძე ავთანდილს. მერმე შარშან რომ ზაალ და ელისბარ ჩიოდნენ და ამითი განჩინებას ვარჩევდით, ელისბარმა თქვა: საერისთოს და კახეთში ორი კაცი არისო, იმათ მე მოვეკრი ზაალსაო და მივაბარებო... (ქსძ, VII, გვ. 590).

საერისთო 1789 – იხ. თიღვა

საერისთო 1790 – [არზა ერეკლე ფალავანდიშვილისა]: ჩემო ხელმწიფეე – თითო-ოროლა კაცები მყავს აქა-იქ დაფანტული. ერთი კომლი ფარქოსაძე საერისთოში თავის მოყვრებში არის... (ქსძ, VIII, გვ. 53).

საერისთო 1790 – [არზა ზაალ დავითაშვილისა]: ... ზარდიაშვილი ჩემი ყმა არის, მაგრამ მძლავრობით წართმეული მყამს... ახლა, ჩემო ხელმწიფეე,

საერისთოდამ მამულსა და ყმას მეცილეება, თუ ზარდიაშვილი წამერთმევეა, ყმასა და მამულს ხომ ვერ გავატან თანა (ქსძ, VIII, გვ. 62).

საერისთო 1791 – იხ. ნიქოზი

საეწაღე. იმერეთი (?)

საეწაღე 1492 – იხ. სახადი

სავანეთი. კლარჯეთი

სავანეთი 1392 – იხ. ტფილისი

სავანეთი. შიდა ქართლი

სავანეთი 1392 – იხ. ტფილისი

სავანეთი 1559 – იხ. სხალდიდი

სავანეთი 1707 – იხ. მეღვრევი

სავანეთის მთა. შიდა ქართლი

სავანეთის მთა 1529-1530 – იხ. ვეძისი

სავანეთო. ქვემო ქართლი

სავანეთო 1646-1658 – იხ. ჭრეში

სავანაძო. კახეთი

სავანაძო 1720 – იხ. ქიზიყი

სავანაძო 1770 – იხ. ჩალაუბანი

სავანაძო 1773 – ... უნდა გამოიღონ ამ რიგად სავანაძომ შემოწეულის ჯარისათვის ხარჯად... კოლაკმან... ჩალაუბანმა... ბაკურციხედამ... კარანეხმან... (სეიძ, II, გვ. 113-114).

სავანაძო 1787 – იხ. ველისციხე

სავანაძო 1788 – ... წიგნი ... მეფის კონსტანტინესი, რომელშიაც სწერს: გიბოძეთო ნახევარი დათუნა აფხაზის წილი, რაც გამოეტანოს მამული სავანაძოს... (ქსძ, V, გვ. 421).

სავანაძო 1788 – იხ. კარდანეხი

საველე. არაგვის ხეობა

საველე 1628 – ...ჩუენ ერისთავმან ბატონმა ზურაბ შემოგწირეთ... სუეტსა ცხოველსა ... საველე მისითა სამართლიანისა მზღურითა... საფურცლე ძველითანვე თქუენი ყოფილიყო და მუხრანის ბატონს თეიმურაზს და ქაიხოსროს წაერთმანათ და ჩუენ ... ჳალმით ვიშოვნეთ და ... თქუენი მკვიდრი მამული ისრევე თქვენ შემოგწირეთ... (იხ, IV, გვ. 12).

სავენახე კლდე. თბილისი

სავენახე კლდე 1445 – იხ. ქალაქი

სავეძო. კახეთი

სავეძო 1585 – იხ. მცხეთა

საზანო. იმერეთი

საზანო 1619 – ... ჯვარსა და წმიდა გოლგოთასა ჩუენ, მეფეთ-მეფეჲმან ...
გიორგი ... შემოგწირეთ საზანოს სამი კვამლი გლეხი მათის ყოვლისფე-
რით... (იდ, I, გვ. 22).

საზანო 1775 – იხ. კაცხი

საზანო 1787 – იხ. სვერი

საზანო 1789 – იხ. ბოსლევი

საზანო 1797 – ესე ... წიგნი მოგართვით ჩვენ საზანოს მოურაჲმა ავალის-
შვილმა ბეჲან და ერთობით საზანოველებმა აზნაუშვილმა ... თქვენ ... გაე-
ნათელ მიტროპოლიტს ეფთვიმის და ... ბოსლევს მოსახლეს ერთობით
ჭუმბურიძეებს... სახულისა და გაენათის ღთისმშობელ შემოსწირა და იმ
ადგილებზედ შამოგედევეთ... ზეთ სამანს დაბლა, ჯვარიან მუხას დაბლა
და დარჩიას წყაროს დაბლა ჩვენ უნდა დაგერჩენოდა... უფიცრათ მოვრიგ-
დით, სამნები ჩაუყარეთ... (დსსს, II, გვ. 113).

საზაროს ეკლესია. იმერეთი

საზაროს ეკლესია 1545 – იხ. გოდოგანი

საზვერელი. შიდა ქართლი

საზვერელი XVI ს. მიწ. – იხ. სურამი

საზვერელი 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

სათალგმისი // სათალგმენი. შიდა ქართლი

სათალგმისი 1447 – იხ. მცხეთა

სათალგმისი 1516-1535 – იხ. კუნელი

სათალგმისი 1559 – იხ. სხალდიდი

სათარხანო. შიდა ქართლი

სათარხანო 1795 – [იოსებ ყორღანაშვილი მოახსენებს დარეჯან დედოფალს]:
... თუ სათარხანოში ოქმი არ მიწერეთ, რომ დოშამის ხე იქ დახერხონ, აქ
არც ხე იშოვება და არც მხერხავი... ორმოცამდის კომლი მოქალაქე ... ქა-
ლაქს გიახლენ და ხვალაც ბევრნი არიან მოსასვლელნი... (სს, III, გვ. 357).

სათარხანო 1797 – იხ. ტანაჩინი

სათარხანო 1800 – [ჯარის შეწერა]: ამ სიით გამოდმა მხარს სათარხანოს და
საციციანოს გიორგი სარდლის სასარდლოს ჯარი შესწერდა და ასე უნდა
გამოიყვანოთ: ციციშვილის ქალაქის მოურავის ყმამ კაცი ოთხი... ხიდის-
თავს საბატონოშვილომ ატენელებმა კოშარიძემ კაცი ოთხი... კავთისხევს
ქვაბთახევის ეკლესიის ყმამ კაცი ორი... (სს, III, გვ. 260-261).

სათევზე მთა. კახეთი

სათევზე მთა 1785 – იხ. მარილისი

სათელაოს შარა. კახეთი

სათელაოს შარა 1773 – იხ. ჩობახური

სათიბი. შიდა ქართლი

სათიბი 1392 – იხ. ტფილისი

სათობი 1540 – იხ. ზურტი

სათისჭალა – იხ. სართისჭალა

სათიხარი // სათიჯარი. შიდა ქართლი

სათიხარი 1392 – იხ. ტფილისი

სათიხარი 1447 – იხ. მცხეთა

სათიხარი 1529-1530 – იხ. ვეძისი

სათიხარი 1559 – იხ. სხალდიდი

სათიხარი 1574 – იხ. ყურისუბანი

სათიხარი 1610 – იხ. ერედვი

სათიხარი 1728 – ... [ქაიხოსრო გედევანიშვილმა გედეონ გედევანიშვილს] მოგვიდე სათიჯარს ღომაური აღირაშვილები ... თავისის ... მამულითა... (დსსი, I, გვ. 225).

სათიხარი 1795 ახლო – იხ. გორი

სათიჯე. ქართლი (?)

სათიჯე. ქართლი 1415 – ... თქუენ, კათოლიკესა საყდარსა [მცხეთას] ... მე, ჳაჩიმიძემან გუგუნამან ... გაადრეთ ... ჩემი მკუდრი [მამული] სათიჯეს და კურძეულისა ბოლოსა... (ქრონ, II, გვ. 223).

სათიჯე კლდე. ქართლი

სათიჯე კლდე 1669 – ... მოგვიდე მე ხატისშვილმან პაპიამან ... შენ ჩემს განაყოფს ხოსიტასა ... ჩვენი მამული ღვინიაშვილის კარის წინათ სათიჯე კლდემდისი და კოტორაშვილის კალომდისი... (სს, II, გვ. 91).

საინასარიძო. ლეჩხუმი

საინასარიძო 1701 – იხ. ცაგერი

სათბილელო

სათბილელო 1635 – იხ. ფიცხისი

სათოვლე მთა. შიდა ქართლი

სათოვლე მთა 1392 – იხ. ტფილისი

სათორნეთი. ქვემო ქართლი

სათორნეთი 1717 – იხ. ჩხიკეთა

სათუთური მამული. იმერეთი

სათუთური მამული 1550-1570 – იხ. რომანაული პარტახტი

სათუმანიშვილო. შიდა ქართლი

სათუმანიშვილო 1735-1738 – იხ. ხიდისთავი

სათუმანიშვილო 1742 – ამ ხარჯის ჯამი ... სათუმანისშვილოდამ უნდა ადგეს და პატრონებს მოგვეცეს (მსეი, I, გვ. 2).

სათუმოს გზა. იმერეთი

სათუმოს გზა 1616-1621 – იხ. ცაიში

საიმერეთო

საიმერეთო 1784 – მეფე სრულიად საიმერეთოსა დავით ჩვენთა ერთგულად ნამსახურთა ერთობით რაჭის მოხელეთა, საპატიოთა აზნაურთა და მსახურთა სამღვდელთა და საეროთა მოგიკითხავთ მრავლის სიყვარულით... წყალობა ვყავით და ამ ჩემს დისწულებს თავეთი სამკვიდრო რაჭა მითთა და ბარითა უნაკლულოდ მივეცით... (ისპს, გვ. 10).

საიმერეთო 1785 – იხ. იღორი

საირეკები. კახეთი

საირეკები 1781 – იხ. ჭივჭურის მიწა

საირმე // საირმის უდაბნო // ლეჩხუმის საირმე. ლეჩხუმი

საირმე 1758-1765 – მე, დადიანმან ... კაცია ... ვინებუ და ადგიშენე უდაბნო საირმეს და შევსწირე ეკლესიასა საწინამძღრო ლაბეჭინა [და ყმა-მამული]. ამასთანა გენდუში მთლათ, რაც კოზიძისესეური იყოს საყანინან მამულიან გულისთავს გადმოდმა რაც არის გენდუშს. ამასდა გარდა შემომიწირავს რაც ლეჩხუმს ან პური, ან ღვინო, ან მჭადი, ან ბუგარა და ან მოსავალი მომივიდეს, ყველას ათისთავი... და ან რასაც ქვეყნიდამ მომივიდეს ლეჩხუმიდან ოდიშით, ან სხვა ქვეყნიდამ ... ყოველი ცხენის, ხარ ზროხის, ცხვრის და თხის ათისთავი. ამას გარდა შემომიწირავს ოდიშს საბაჟო და ორმოცდაათი ქილა მარილი წელიწადში... წინამძღვრად და უდაბნოს თავად დაგვიდგინებია დაყუდებული გერმანე... დადიანმა კაცია მუ უნდოს არხიმანდრიტს ... ღოღაბერიძეს სილივისტროს მიბრძანა ამ უდაბნოს მამოზა და შემოსწირა ... ოთხი მოსახლე სომეხი ლაილაშ და ერთი მოსახლე მეთევზე კოპალეის შვილი საჭილაოშიდ. ღვინო ორმოცი გორა ჭყვიშს... (დსსს, II, გვ. 29-30).

საირმე 1766 – ... მჰყრობი სვანეთ-ლეჩხუმისა და შავზღვით ოდიშისა, დადიანის ოტიას ძე მეორე კაცია... პირველ ნამყო ჟამისა უდაბნოდ სახელდებულ იყო და შემდგომად ... ოხერ და უშენ ქმნილ იყო... წადიერ ვიქმენ, რათა სრულ მექმნა და არ წარმეწყმიდა ნამუშავევი მამა-დედათა ჩემთა ... და ვეძიებდი მამასა უდაბნოსასა და ვპოვე ... ღოღაბერიძე არხიმანდრიტი სილივისტრო და ვაწვიე რაჲ მანცა ჯერიჩინა მამოზა უდაბნოსა ამის ადგილობით ლეჩხუმის საირმედ სახელდებულისა... და სიგელი ესე დავსდევით და განვაწესეთ შესაწირავი უდაბნოსა ამის. პირველად მამა-დედა ჩემს განწესებინა და შეეწირა საწინამძღრო ეკლესია ლაბეჭინის და მისი შეწირული გლეხები მამულ-ადგილი სამრევლოთა... შემდგომად გენდუშს კახიძისოული სასახლე მამულ-ადგილ ცყით... ახლა მე, ეს რაც შეწირული იყო, ესეც განუახლე და შევსწირე უცილობელად... ლაილაშს ოთხი კვამლი სომეხი ვაჭარი, რომელიმე ქრისტიანი არის... ამას გარდა კიდევ შევსწირე სანაეარდოს საჭილაოშიდ ჩიტია, ბუჭუა, გორგელა... ამას გარდა კიდევ შევსწირე ჟოშხას კარგი გლეხი გორდემიანი გაბრიელა... და მივაბარეთ ასკის წყალში საკაპაბოზე უცილობლად და უდაბნოს შევსწირე... ასკის წყალშიდ სათევზედ არავინ ეცილებოდეს... ამას გარდა განუწესეთ და შევსწირეთ წლის მოსავალი ლეჩხუმის პურ-ღვინის, ცერც-ღომ- სიმიდის ათისთავი და ორმოცი გორო ღვინო ჭყვიშიდგან... (დსსს, II, გვ. 30-32).

- საირმე 1771 – იხ. ნახარბო
- საირმე ხოდაბუნი. შიდა ქართლი
- საირმე ხოდაბუნი 1796 – იხ. გორი
- საირხე. იმერეთი
- საირხე 1789-1810 – იხ. ჩიხა
- საკაგვასიძო. ტაო
- საკაგვასიძო XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი
- საკაკაბო. ლეჩხუმი
- საკაკაბო 1766 – იხ. საირმე
- საკანი. კახეთი
- საკანი 1584 – იხ. ენისელი
- საკანი 1597 – იხ. ორკოშინი
- საკანი 1710 – იხ. კაწარეთი
- საკაფი. არაგვის ხეობა
- საკაფი 1799 – იხ. მისაქციელი
- საკარი. ქვემო ქართლი
- საკარი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე
- საკახეთო
- საკახეთო 1670 – იხ. ენჩო
- საკახეთო 1742 – [არზა ბედან თუმანიშვილისა]: ჩემი გლეხნი აყრილან და საკახეთოში და ზოგი სხვაგანა დაფანტულიან... [ოქმი]: მერმე ვისაც კახეთში ამისი ყმა ყვანდეს, მოეციოთ... (ქსმ, VII, გვ. 18-19).
- საკახეთო შარა. ქართლი
- საკახეთო შარა 1789 – იხ. კახეთი
- საკახეთო გზა. კახეთი
- საკახეთო გზა 1781 – იხ. ჭივჭურის მიწა
- საკეკეთლის მიწა. შიდა ქართლი
- საკეკეთლის მიწა 1690 – იხ. ჭვიროსი.
- საკერვე. კახეთი
- საკერვე 1786 – იხ. ახალდაბა
- საკეცე. ქვემო ქართლი
- საკეცე 1720 – იხ. ნიაწარი
- საკეცე 1725 – ... მე, თაყაშვილმა დიმიტრიმ ... შენ, ყაფლანისშვილის ... ლუარსაბის კარის მღვდელს ფილიპეს ... მოგყიდე ჩემი სამკვიდრო ღხაკეცეს²³ დარბიზაშვილის საკომლო მამული მიწა და ამას გარდა ჩემი ნახუ-

²³ ქციის ხრამში არის სოფ. საკეცე, რომლის დამახინჯება უნდა იყოს ღხაკეცე.

რევი მისის ნიგუზნართა, თუთნართა, საწყლისპიროთა... არის ამისი მოწამე ... ცხნარს ბედიაშვილი მდღელი იორდანე... ფიტარეთის დეკანოზი ნიკოლაოზ... ლიყურეთის დეკანოზი... პავლე მგალობელს დამიწერია თბილისის ქალაქსა და მოწამეცა ვარ ამისი (სს, II, გვ. 329-330).

საკეცე 1725-1735 – იხ. ვერხვანალა

საკეცე 1728 – იხ. ცხნარი

საკეცე 1728 – ... მდღელმან ფილიპემ ... ორბელისშვილის ... შვილსა, ბატონს ვახტანგს [მოგვიოდეთ] ... თაყაიშვილის დემეტრესაგან საკეცეს ... ნასყიდი ერთი საკვამლო მამული... არის ამის მოწამე დბანელი ევისკოპოზი ელისე, წინამძღვარი ონოფრე... ფიტარეთის დეკანოზი ნიკოლაოზ... (სს, II, გვ. 345-346).

საკეცე 1729 – იხ. ცხნარი

საკეცე 1730 – ... ჩვენ, ზაზუნასშვილის გიორგის შვილმა ზაზამ ... თქვენ, ორბელისსვილს ელისბარს ... მოგვიდეთ საკეცეს ჩვენის მამა-პაპათ სამკეიდროთ წილში გამოყოლილი ზერის ნაჭერი, ხარებასშვილის ნაქონი ვენაჯი... მე, სიონის კანდელაკს, ესაიას მდღელს, დამიწერია... (სს, II, გვ. 365).

საკეცე 1730 – იხ. ცხნარი

საკეცე 1732 – [ნასყიდობის წიგნი ზაზუნაშვილ ზაზასი ორბელისშვილ ელიზბარისადმი]: ... ჩემს წილს გარდაისად საკეცე სულ თქუენი ნასყიდი იყო, მოველ მეცა და მამა-პაპათ გამოყოლილი ჩვენი წილი ხარებასშვილის საკომლო და ან სხვა რაც რამ გვაქუს და გვიჭირავს, სულ თქუენთვის მოგვიყიდა... არის ამისი მოწამე: მტბევარ მიტროპოლიტი დმანელი ელისე... ფიტარეთის დეკანოზი ნიკოლაოზ... (სს, II, გვ. 366-367).

საკიკნაძეო. შიდა ქართლი

საკიკნაძეო 1780 – ... ზემო აბაზაძე და ქვემო აბაზაძე ტოლიანასთან მიწებზე და ზოგს ტყეზე შეცილებულიყვენ. ქვემო აბაზაძემ აშორი უთხრა: არც იყოს სახასო კიკნაძისაც იყოსო და კიდევ საკიკნაძეოს უძახდნო, სამნებიც ძველი იყოსო (ქსმ, V, გვ. 115-116).

საკირე. სამცხე

საკირე XIV ს. II ნახ. – ... შემოგწირე ... ღვთისმშობელსა ნიოფორისას და აღისა მთავარმოწამეს: – საკირეს ილარიონისა შვილინი... მე ბოცოს ძე შაღვასა ჩემითა ველითა დამიწერია... (სსიმ, II, გვ. 51).

საკირე XIV ს. II ნახ. – ... შემოვიტანე მე, სარგის ბოცოს ძემან, საკირე ჩემი მკუიდრი მამული ... ასრე რომე, რაცა ბეგარა გამოვა, იგი სამონასტროდ გამოვიდოდეს... ჰალს რაც ღვინო არს მოსაღებელი, მასაც სამონასტროდ მოიღებდენ და ასოცსა თეთრსა წელიწადსა შიგან საშეშედ გამოიღებდენ და მერესა პატრონსა ნულარა უზიდვენ... (სსიმ, II, გვ. 42-43).

საკირე. შიდა ქართლი

საკირე 1392 – იხ. ტფილისი

საკირის სოფელი. ქვემო ქართლი

- საკირის სოფელი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე
- საკირის ხევი. შიდა ქართლი
- საკირის ხევი 1788 – იხ. ერეკლე
- საკვიტაურო. ოდიში
- საკვიტაურო 1640 – იხ. ქიანი
- საკოეთი
- საკოეთი 1031-1033 – იხ. მცხეთა
- საკოკია ჭალა. შიდა ქართლი
- საკოკია ჭალა 1470 – იხ. კავთისხევი
- საკორინთლო. შიდა ქართლი
- საკორინთლო 1791 – იხ. ცხრაზმა
- საკორინთლო 1795 ახლო – იხ. ალაიანი
- საკორინთლო XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი
- საკრულავი. კლარჯეთი
- საკრულავი XVI ს. მიწ. – იხ. ყვიბისი
- საკუთრეული. რაჭა
- საკუთრეული 1544 – იხ. ნიკორწმინდის მონასტერი
- საკურწე. იმერეთი
- საკურწე 1515-1535 – იხ. კაცხი
- საკურწე 1678 – იხ. წირქვალი
- საკუტალიო. სამეგრელო
- საკუტალიო 1733 – იხ. ბარისთავი
- საკუჭეიძო. ლენხუმი
- საკუჭეიძო 1669 ახლო – იხ. ცაგერი
- სალათუბანი. იმერეთი
- სალათუბანი 1789-1810 – იხ. ჩიხა
- სალალაკის წყლის გზა. თბილისი
- სალალაკის წყლის გზა 1785 – [განჩინება]: ... მარიმანანთ ავთანდილას და მანდენანთ ... სტეფანეს სალალაკის წყლის გზის მიზეზით ერთმანეთთან სალაპარაკო აქვსთო ... და ამათ ჭეშმარიტი სამართალი მიეცითო... (ქსძ, V, გვ. 301).
- სალალი // სალალელი // სალალისი. ქვემო ქართლი
- სალალი 1770 – იხ. ქესამანი
- სალალი 1785 – იხ. ფოილო
- სალალი 1787 – [ყაზახის ადლარების წერილი ერეკლე II-ისადმი] თქვენ რომ ყაზახში ჩამობრძანდით მამად შარიფიშვილები ... გაიქცნენ და ზოგიერთი კაცნიც გაჰყვნენ. ფანა აღა და თავისი შვილი ... არ გაიქცნენ, თუმ-

ცა დანაშაულის პატრონები გახლდნენ. ამათის მიზეზით საღალი წახდა და ახლაც ხდება. მოგეხსენებათ, რომ საღალი წასახდენი არ არის. ჩვენი მოხსენება ეს არის: ... ფანა ალას ებძანოს წავიდეს საღალაში და საღალს მოუაროს, გაქცეულნიც მოიყვანოს და ისინიც დაამშვიდოს (МИТСВГ, II, გვ. 86).

საღალი 1787 - იხ. ბანბაკი

საღალი 1789 - იხ. ყაზახი

საღახ-ხაჩი. ქვემო ქართლი

საღახ-ხაჩი 1792 - იხ. ბალიჭი

საღები. ქვემო ქართლი

საღები 1751 - იხ. ახალშენი

საღიახვო. შიდა ქართლი

საღიახვო 1778 - იხ. წიფორის მთა

საღიპარტიანო. ღეჩხუმი

საღიპარტიანო 1701 - იხ. ცაგერი

საღორო. ქვემო ქართლი

საღორო 1657 - იხ. ტაშირი

საღოლაშენი - იხ. საღოლაშენი

საღხინო. შიდა ქართლი

საღხინო 1687 - იხ. მცხეთა

სამაგარა. ქვემო ქართლი

სამაგარა 1537-1538 - იხ. დმანისის ციხე

სამადაანთ კარაქა. ქვემო ქართლი

სამადაანთ კარაქა 1543 - იხ. სხალნარი

სამარილო მთა. კახეთი

სამარილო მთა 1785 - იხ. მარილისი

სამასონაური მამული. შიდა ქართლი

სამასონაური მამული 1624 - იხ. თავა

სამაღრანო. კახეთი

სამაღრანო 1756 - იხ. ალვანი

სამაყნო. კახეთი

სამაყნო 1721 - იხ. გავაზი

სამაჩაბლო. შიდა ქართლი

სამაჩაბლო 1772 - იხ. მუხრანი

სამაჩაბლო 1772 - იხ. ხეობა

სამაჩაბლო 1780 - ფალავანდიშვილის ფეშანგის შვილისშვილები ბერი და იაკობ უჩიოდნენ მაჩაბლის იესასა და გიგიას და ბარძიმის შვილებს:

მძლავრობით მამაჩვენის ფეშანგის ძალი დაატანა და აენევეს სისტიურაშვილი ნასყიდობით გამოართვაო... მამაჩვენები შეუძლებელნი იყვნენო... სამაჩბლოში ხიზნად იდგნენ თქვენის ხელის მაყურებელნიო... ზურაბ ავალიშვილს მიუწერია: ... ჩაყალიბებმა რევაზ [ფალავანდიშვილი] აწყურს ჩამოიყვანაო, იხუე მანაბელმა თაჱი დაისხნა... რევაზ ჩაყალიბეგს მისცა... (ქსბ, V, გვ. 109-114).

სამაჩბლო 1783 – იხ. მავდისთაჱი

სამაჩვეთი. ქვემო ქართლი

სამაჩვეთი 1665 – იხ. ასურეთი

სამაჩვეთი 1751 – იხ. ახალშენი

სამაჩვეთი 1784 – [მეჱე ერეკლეს ბრძანება]: ჩვენ მაგიერად დარბაზბატონს სხლთუხუცეს იოანე მუხრანის ბატონს და მდიუნებს ასე უამბეთ. მერე იარალიშვილის სოფელი სამაჩვეთი ... ნათლისმცემლის მონასტრისათჱვის მიგვირთმეჱია... ეს სოფელი ასე უნდა გაჱყოთ: ორი წილი საჩვენოთ უნდა სახასოთ დაზღვათ და მესამელი ნათლისმცემლის მონასტრის არქიმანდრიტს ეფთჱიმეს მიაბარეთ... (იხ, V, გვ. 104)²⁴.

სამაჩური. ქვემო ქართლი

სამაჩური 1751 – იხ. ახალშენი

სამაჩურის ბილიკი. ქვემო ქართლი

სამაჩურის ბილიკი 1751 – იხ. ახალშენი

სამაჱავარიანო. იმერეთი

სამაჱავარიანო 1684 – იხ. კაცხი

სამაჱეხეელო. შიდა ქართლი (?)

სამაჱეხეელო 1724 – იხ. რკონი

სამგლიათა. იმერეთი

სამგლიათა XVIII-XIX სს. მიჯნა – იხ. კაცხი

სამგორი. კახეთი

სამგორი 1447 – იხ. მცხეთა

სამგორი 1579 – იხ. მცხეთა

სამგორი 1722 – იხ. სარუსთველო

სამგორი 1797 – იხ. უჯარმა

სამება. კახეთი

სამება 1707 – ... სადუნისშვილი აბრამ დღელი ქართლიდამ გამოსულიყო და წმინდას სამებას შესწირჱა და გოსტაშაბიშვილი სამებელს წამოზდავებოდა. აბრამ ხუცესი აღავერდს ჩვენს პაპა-ბებიათა და ჩვენის სახლის

²⁴ სამაჩვეთის შეწირულობა ნათლისმცემლისადმი აღნიშნულია 1789 წლის საბუთშიც (იხ, V, გვ. 108).

ჯელმწიფეთ საფლავს შესევწოდა... რადგან ის მღვდელი წმინდას სამებას შესწორებდა, ჩვენც ისევე მის ტაზარს შევსწირეთ და სამებულს მივეცით... თუ კახეთში მერელობა მოვდეს, ამას ნურავინ აყრის... (ის, V, გვ. 9).

სამება 1722 – იხ. სარუსთვლო

სამება XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

სამება. შიდა ქართლი

სამება 1597 – იხ. ცხირეთი

სამება 1607 – იხ. ცხირეთი

სამების საეპისკოპოსო. კახეთი

სამების საეპისკოპოსო 1770 – იხ. ქიზიყი

სამეგრელო

სამეგრელო 1784 – ... დადიანი კაცია ... აღვიწერთ ყოველთა მკვიდრთა სამეგრელოსა და სამფლობელოსა ჩვენისათა ზოგად ყოველთა სამღუდელთა და საეროთა... ჩვენ ... მოვიყვანეთ ჩვენდავე ჩრდილო აფხაზ-იმერთა კათალიკოზი მაქსიმე და დავადგინეთ სამოციქულოსა კათედრასავე თვისსა... (წმ, გვ. 28-29).

სამეგრეთ. ქვემო ქართლი

სამეგრეთ 1457 – იხ. არწევანი

სამეგრეთ მამული. შიდა ქართლი

სამეგრეთ მამული 1527-1558 – იხ. ქვეშელის ციხე

სამთავარანგელოსო. კახეთი

სამთავარანგელოსო 1756 – იხ. ალვანი

სამთავისი. შიდა ქართლი

სამთავისი XV ს. I ნახ. – უნდა მიერთმოდეს... სამთავისის ღმრთაების საყდარს პირველად: ყანჩეთიდაღმე პური დ, დრამა ი, სამი კაბიწი სამარხო... საქეგურს... ამზარგეულთა მუჯაეთს მოართვან... ივეფნელთა ქვათახევს მიიღონ... ცხავატს... ღარგუისს... დგიმს, ლოგობეთს, შველეთს, მორღუნს, ლოგობეთს... და ერუფაელმან და საქორელმან ნასოვს... დადანეთს... ზოდეხს... თხოთას... მახიერეთს... დაბაკეთს... სოსმალეს... სოსხტოს... დასწყაროს... კლდეთს... ბელელეთს... წინუბანს... ყველდაბას... ჳარაბელს... ჳორჳოსხს... ახალდაბას... ანრაწმიდულს... ქარჩუხს... ჳამურს... კვერიეთს... ძაგოეთს... ჳოზოთს... გოგოეთს... გავაზს... ყობელეთს... შოროეთს... ჳურთას და ჳურთის ხევს... საღორეთს... წითროლეთს... საბარკლეთს... კეცხოვეთს... დვალიეთს... არდის... წაღდეგს... ისროლს... ჳავახოთს... ეკლესიის სოფელთა მთაწმიდას მივიდეს, შობტროვანს ჩამოდგეს, ქვითკირით მოვიდეს მღვდელთა და მამასახლისთა ბეგარი... ბოსელთა... ღუდს... თრუსოს... მთაწმიდის ბოსელთა... ქოლოთს... ვანს... ქვიტკირთა... ჩრდილათთა... ფითესა... წოდდს... ჳელოვანს...²⁵ არმაზს... წინზახორს... უკანწირს... წირს... ქვემო წირს... ქარტოს...

²⁵ ლელოვანს (სეიძ, II, გვ. 11)

კორსალს... ტბეთს... გოლგოთას მოვიდეს სამთავნელი, მიეგებნენ წინა ძმანი... უამი აწირვინონ, გამოუსუნონ, დალოცნეს და წამოვიდეს. ძველის გუჯრისსაგან ესე ოდენ შევიძლეთ გადმოწერა (ქსბ, III, გვ. 198-204).

სამთავისი 1513 – [სამთავისის სიგელი]: ჩუენ, ამილახორმა თაყამან და ჩემმა ძმამან ... შემოგწირეთ თქუენ ... საყდარსა სამთავისისასა ... სოფელი ნადარბაზევი მისითა შესავლითა... და კასპს ორი ვენახი ... და კიდევ რესს ვენახი გარეყანული ნასყიდი მოუდევარი... (ქრონ, II, გვ. 332).

სამთავისი 1527-1558 – ... პატრონი ერეკლე და ამილახორი ბარძიმ სამთავისისა და ოკმურს სამზღვარზედა ირჩოდეს. ამას წინათაც კურთხეულ ბატონი ბაგრატ და კურთხეული ამილახორი თაყა ამავე სამზღვარზედა გაბრჭობილი იყუნეს... შეუფიცოს ბატონმა ამილახორმა ბატონს ერეკლეს ... ორი მისი აზნაურისშვილი, რომელიც უკეთესი იყო თორმეტი გლეხი სამთავისელი, სხვილოსელი და იგოელი, რომელიც მემკვიდრე თავის გლეხი იყოს. დაიფიცეს ასრე ... „როდეს ამილახორმა მამაჩემმა ამილახორმა თაყამან ოკამი შენ მოგცა მაშინ, ამა ბრინჯის ხევსა და რაც ამას იქით ჩავიარ ჩანგილარის საზღვრამდინ, ამას ქუეშეთი შენ მოგცა და ამას იქითი მამან ჩუენმან დაიჭრა საოკმო არის სასამთავისო არ არის... (ქსბ, IV, გვ. 35).

სამთავისი 1665 – იხ. კასპი

სამთავისი 1678-1696 – ...კათალიკოზი ქართლისა ამილახურის ძე ნიკოლაოზ, დავსდებთ საუკუნოდ მოსხენებასა ... ღმრთის მსახურთა მეფეთასა, რომელთაცა ... ინებეს შეწირვად დიდისა ეკლესიისა სამთავისის... ნეტარმან მეფემან გიორგი, მამამან ალექსანდრე მეფისამან უსიტყვე სოფელი მიმული დიდი ნაქონი დიმიტრი ბაგრატოვანისა... ხოლო ... ალექსანდრე ... მიუძღუანა ... სახასო თვისი სოფელი დიდი ნადარბაზევი... მეფე გიორგი რომელმანც მთართუა ძღუნად წმიდასა მამასა შიოს ... დიდთა გუჯრითა სახასო სოფელი ოკამი, მეშველადანი დიდნი გლეხნი ... მოხელენი და მოღვაწენი და შემწენი დიდისა მონასტრისა მღვიმისანი... (ქსბ, III, გვ. 616).

სამთავისი 1775 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს მიმბაშს გიორგის... სამთავისის სამღებროს იჯარა ჩემი და დიმიტრი ამილახორის შვილისა იყო... ახლა დემეტრეს უკან კაციც ამილახორისა დგას და იჯარასაც ის იღებს... (ქსბ, VII, გვ. 279).

სამთავისი 1780 – ღმერთმან ... მეფის ძის ლეონის ჭირი მოსცეს ... სამთავნელს პაისიოსს. სამთავისის ეკლესიის და წმიდის შიოს ყმანი სამი კაცი გახლავსთ – ორი სამთავისის და ერთი ბიჭი ჭალას... (ქსბ, VII, გვ. 470-471).

სამთავისი 1787 – კუტის მარიამის შვილს პაპუნას ... დედოფლისთვის არხით მოეხსენებინა და სამთავისის მსახლობელის ამილახორის აზნაურისშვილის ზაალისშვილის ნიკოლზისთვის ეჩივლა, რომ: მე ერევნელის კაცის სარქისას შვილი ვარო. მამაჩემი სარქისა ავის დროს მიზეხით სამთავისის მისულა, იქ ცოტას ხანს მოჯამაგირედ სდგომიო, და ამისის მიზეხით ყმად მეჭიდებო, და სამართალი მაღირსეთო... [თუმანიშვილების მოწმობა]: ეს დედაკაცი და ობოლი ჳელთუბანს მოვიდნენო, ოცდაორი წელიწადი ჳელთუბანს იდგნენო, არავის ზდავებიაო... (ქსბ, V, გვ. 393-394).

სამთავისი 1795 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ამილახვრის-
შვილს ერასტის... ჩემი ერთი შვილი გავუზაენე... სამთავისსა რომ მისული-
ყო, ვგაძე შემოპყროდა – ბეჟანის კაცი. ცხენის რთმევა დაეწყო... (ქსძ, VIII,
გვ. 328-329).

სამთავისი 1795 ახლო – იხ. აღაიანი

სამთავისი 1796 – ... ყოვლად სამღუდელომ სამთავნელ ეპისკოპოსმან გერ-
ვასიმ, ქარუმიძე კასპის მოურავმა ... მსხველღოსის მოურავმა გიორგიმ ...
ყანჩაელმან ბიძინამ და ზაალ ... ვეცადენით, რომ ამილახორის ოთარის
რიგზედ სახლისკაცების უმცროს-უფროსობა და შეერთება მომხდარიყო...
მივედით სამთავისს ყოვლად სამღუდელო სამთავნელი გერვასი წინ მივიმ-
ძღუარეთ... ყოვლად სამღუდელო სამთავისისა, ქსნისა წინამძღუარი მღვი-
მისა გერვასი... (მსკი, ნაკვ. 33, გვ. 135-137).

სამთავისი 1796 – აბულაძეები ... მამულზედ ვერ მორიგებულებიყვნენ. ჩვენ,
ყოვლად სამღუდელო სამთავნელ ეპისკოპოსი გერვასი მაჭავარიანი, მოვე-
დით კარიანის სოფელში; რადგან ეს აბულაძეები სათავისის წმიდის ეკლე-
სიის ყმანი იყვნენ, ამათი სადაო საქმე გამოვიარეთ... ერთიანი მიწა იყო ოც-
დახუთის დღისა, ერთი თავი ედგა შინდისის მამულის მიდგამდინ; მეორე
გვერდი საზენაქროდ მირზაშვილის მიწის მიგმამდინ... (ქსძ, V, გვ. 683-684).

სამთავისი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

სამთავრო. კახეთი

სამთავრო 1722 – იხ. სარუსთველო

სამთავრო 1791 – იხ. საბაღიანო

სამთავრო. შიდა ქართლი

სამთავრო 1247-1250 – იხ. გავაზელნი

სამთავრო 1775 – იხ. გორი

სამთავრო 1781-1782 – იხ. ქალაქი

სამთავრო 1787 – იხ. ზემო ქართლი

სამთავრო 1787 ახლო – იხ. მეღვრეკისი

სამთავრო 1788 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ... მთავარეპისკო-
პოსს პაისიოსს... რადგან თქვენის დოვლათით სამთავროს შენობა გაჩნდა,
თავისი მამული თითონვე ეკლესიას მოუნდება. მცხეთელები ეკლესიას მა-
მულს ართმევენ, ხვწენ და დალას არ გვაძლევენ ჩვენის მიწისას... (ქსძ,
VII, გვ. 777-778).

სამთავრო 1797 – ღმერთმან პატრიარხის ... ჭირი მოსცეს მთავარეპისკო-
პოსს პაისიოსს... სამთავროს გარეშემოს მიწებს მცხეთელნი ხვწენ – დღი-
ურში ერთს კოდს პურს გაძლევენ (ქსძ, VIII, გვ. 406).

სამთავრო 1799 – [არზა მთავრეპისკოპოსს პაისიოსისა მეფე გიორგი XII-
სადმი]: ... ორი იმერელი სამთავროს ყარაულად ჯამაგირით მეყენა, დიდი
ხანი იყვნენ, მცხეთას რომ ჭირი გაჩნდა, სამთავროს შევიდნენ, იქაც ჭირი
გაუჩნდათ, სხვანი გამოვიდნენ, ორი კომლი ჭირნახადნი სამთავროს დარ-

ჩნენ. ერთს ჩემს იმერელს შეეყარა, მოკვდა, ერთი იმერელი კი მორჩა და გაიქცა... (სს, I, 1899, გვ. 280-281).

სამიქაო. სამეგრელო

სამიქაო 1795 – ... ესე წიგნი დაგიწერე... მე, დადიანმა გრიგოლმა ... თქვენ, იოსელიანებს, სეხნიას შვილიშვილებს... პაპაჩემს ბეჟანს პაპითქვენისათვის მრავალი ავი ექნა... მერმეთ ისეთ შეეწყალებინა და ... სამიქაოს კვანტალიანები ებოძებინა... როდესაც მე მრავალთა ჩემმა კაცებმა მიორგულა ... მაშინ ქუთაისიდან გელათს ამოვედი სალოცავად. და იქ მიჩვენა [იოსელიანმა] წიგნი და ერთგულებასაც ... შემპირდა, ამისათვის ... ნაბოძებს წიგნს ვამტკიცებ... (ისპს, გვ. 23-24).

სამიქელაო. იმერეთი

სამიქელაო 1733 – იხ. ბარისთავი

სამნე. შიდა ქართლი

სამნე 1451 – იხ. ულუმბა

სამნი ჯუარნი. რაჭა

სამნი ჯუარნი 1071-1080 – იხ. ზნაკვა

სამოთხე. სამცხე

სამოთხე XIII ს. II ნახ. – იხ. ქვემო ტიკანნი

სამოქალაქო. იმერეთი

სამოქალაქო 1545 – იხ. გელათი

სამოქალაქო 1621 – იხ. ბარი

სამროვლო. შიდა ქართლი

სამროვლო 1789 – იხ. რუისი

სამსწყალი. კლარჯეთი

სამსწყალი XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი

სამუხრანო. შიდა ქართლი

სამუხრანო 1800 – იხ. მუხრანი

სამღერეთი. ქვემო ქართლი

სამღერეთი 1580 – ჩუენ ... მეფეთ-მეფემან სვიმეონ ... თქუნენ ... სააკაძესა ფრიდონის შვილთა და იოვანეს ... გიბოძეთ თქუენი კერძი ... სოფელი სამღერეთი, ახალშენი და აბალია მათითა სამართლიანითა სამძღურითა... აწუ გიბძანებთ ზრამის მოურავნო და მელიქნო ... თქუნენცა დაანებეთ... (ქსის, გვ. 1).

სამღერეთი 1643 – [როსტომ მეფის სიგელი]: სამღერეთს და ახალშენს და ღორისთავს სააკაძის გოდერძის და შერმაზანის მამას შიოშს მისის განაყოფის ბუასანის მამისგან რაც წილი მიხუდომოდეს ... და ახლა ბუასანს და მისთა შვილთ ნაძალადევედ ქონდეს რამე ... შერმაზანისა და გოდერძის შვილისთუის გუიბოძებია (სს, II, გვ. 66).

სამღერეთი 1715 – [წყალობის წიგნი ნიკოლოზ მროველისა]: ... ჩემო ... რძალო, ბატონო მარიამ ... ჯერ რომ საკვლო არა მქონდა, მაშინდელი ნასყი-

დი სამღერეთს მთიულის მამული შენთვის მამირთმევიან... იმ მამულში
შენს მაზლს ვახტანგსაც წილი უდევს, ორთავესია... (მსეი, III, გვ. 155).

სამშვილდე // სამშუილდე // სამშულდე. ქვემო ქართლი

სამშვილდე 1466-1472 - იხ. ყორანთა

სამშვილდე 1587 - იხ. ყორანთა

სამშვილდე 1636 - იხ. საბარათაშვილო

სამშვილდე 1643 - იხ. მამხუტი

სამშვილდე 1693-1694 - ... ჩუენ ... მეფეთ-მეფემან ... ნაზარალიხან ... თქვენ
... ბარათაშვილის აბაშის-შვილს ბატონის დედოფლის სუფრაჯს ავთან-
დილს ... გიბოძეთ სულ სამშვილდე, კრწანისი ჩალისა ციხითა და სულ
ხელშეუვალად, საღირაშენი სამკვიდროდ და საბოლოოდ ... სამართლიანის
სამზღვრითა... (ქსის, გვ. 362).

სამშვილდე 1778-1787 - [ერასტი გოსტაშაბისშვილის ხარჯის ნუსხა]: ორი
შაურის წამლები უყიდე ზურაბსა, კახეთიდან რომ მოვიდა... ერევანს რომ
მივდიოდ, მივეც ერთი აბაზის ნენოას... სამშვილდედამ რომ ჩამოველ, ზუ-
რაბას უყიდე ქოშები... მოურავს და მამასახლისს მარაბდას ამოუსხით
ორი წვეილი ქალამანი... ბოლნისს რომ წაველ, ნენუას უყიდე ქოშები...
(მსეი, III, გვ. 224).

სამშვილდე 1787 - თქვენ, ბატონისშვილს იულიონს, ესე მუჩაღვა მოგარ-
თვით ჩვენ კალატოზებმა... თქვენის ბანებით წავედით სამშვილდეს, იქ
თვრამეტი დღე ვიმუშავეთ. ჩვენი სამუშაო სამი ოსტატის და სამი შვიირ-
დის ოცდაოთხი მინალთუნი და ექვსი შაური (ქსბ, VII, გვ. 716).

სამშვილდე 1793-1795 - იხ. საყაფლანიშვილო

სამშვილდის კრწანისი 1634 - ... ჩუენ მეფემან პატრონმა როსტომ ... თქუენ
... მოღარეთუხუცესს შიოშს ... გიბოძეთ საბარათაშვილოში სამშვილდის
კრწანისი მისის მართლის სამართლიანის ... სამძღვრითა... (ქსის, გვ. 110).

სამცვივარა // სამცვვარა. იმერეთი

სამცვივარა 1684 - იხ. კაცხი

სამცვვარა 1730-1740 - იხ. მორბევითი

სამცხე

სამცხე 1407-1412 - [წყალობის წიგნი კონსტანტინე მეფესი დავით მორჩი-
ლისძესადმი]: ... მეფემან გიორგი მამულისაგან განგყარა და სამცხეს წავე-
ინება ... მეფემან ჩუენი მამული კვალად ჩუენვე გუიბოძა (ქრონ, II, გვ. 216).

სამცხე 1453-1459 - ... ესე წიგნი ... გკადრეთ თქუენ ... ქართლისა კათალი-
კოსსა დავითს, მე, ლასურისძემან კუმურდოელმან იოანე, მის ჟამისა შე-
დებად, ოდეს მაწყურებელი და სამცხისა ებისკოპოზნი თქუენგან უჯუარო
და შეუნდობელნი იყუნეს საფარისა თავზედა; და თქუენ დიდითა ხუაიშნი-
თა მაკურთხეთ. აწ დღისიდან წადმა... ვიყო თქუენი და თქუენისა საყდრი-
სა ერთგული... (ქსბ, III, 196-197).

სამცხე 1503 - იხ. რაჭა

სამცხე XVI ს. დას. — ... საპატრიარქოსა ეკლესიისა ძუელითგან საქონე-
ბელნი და სამწყსონი სამცხეს თავადნი და სოფელნი: კავკასისძე, მისითა
მამულითა, პარხალი, მისითა შესავლითა და აზნაურისშვილებითა საყ-
მოდ... მონასტერი ოშკი მისითა შესავლითა, დიდი და პატოსანი ვარძიის
მონასტერი მისითა შესავლითა და ეკლესიის შვილებით უნაკლულოდ...
(ქსმ, III, გვ. 242-244).²⁶

სამცხე 1518 — ჩუენ ... ათაბაგ-ამი-სპასალარმან ყუარყუარე ესე წიგნი გეად-
რეთ ... საყდარსა მცხეთასა და ... ყოვლისა საქართველოსა პატრიარქსა ქა-
თალიკოსსა ბასილის... პატრონი მეფე და პატრონი ბიძა ჩემი შემედურდეს
და მან სამცხის საეპისკოპოსონი უკუიჭირნა; აწ იბრინა ... რაცა ჩუენსა
საბატონოშიგან ეპისკოპოსნი იყუნენ პატრონისა კათალიკოსისა მორჩილნი
იყვნენ და კათალიკოსისა ხელითა იკურთხეოდენ. ვარძიის მოძღუარი და
ვარძიის შესავალი, მღვდელნი და დიაკონნი ძუელადაც მცხეთას კურთხეუ-
ლან და აწცა კათალიკოსისაგან იკურთხეოდენ და რაცა ჩუენსა საბატონ-
ოშიგან მცხეთის საყრისათვის შეწირული ყოფილა, ანუ პარხალის მონას-
ტერი და ანუ სხუა მამული და გლეხნი, რაგუარცა ძუელად ყოფილა, ისიცა
ამვე წესითა მოგუიხსენებია და შემოგვიწირავს... (ქრონ, II, გვ. 335).

სამცხე 1519 — იხ. ბალახვანი

სამცხე 1519-1529 — ესე წიგნი ... მოგახსენეთ ჩუენ ... მანუჩარ ... ათაბაგმან
... თქუენ ... მცხეთისა საყდარსა და ... ქართლისა კათალიკოსსა ბასილის...
[თუ] იბრინოს ღმერთმან და ჩუენი საბატონო მამული ჩუენვე დავიჭიროთ
... როგორცა ძუელითგან და პაპის და მამისა ჩუენისა ჟამშიგან მცხეთის
საყდრისა მამულნი ყოფილიყვნენ და ეფისკოპოსნი და მამწყურელი თქუ-
ენგან საკურთხეველი ყოფილა და სხუანი სამცხისა ეფისკოპოსნი, ყოველ-
ნივე ისრე თქუენნი სამყსონი იყუნენ და ისრე დავიმორჩილეთ ... და რაც
საათაბაგოშიგა მცხეთისა საყდრისა მამულნი იყვნენ, არც ისი დავიჭი-
როთ და მოგანებოთ (ქრონ, II, გვ. 346).

სამცხე 1565 — ... ფილიპე შაქარაშვილი ... წარმოვედ ქუეყანათ ჩუენით სამ-
ცხით ... წმიდად ქალაქად იერუსალიმად... ას ფლურად გოლგოთას კანდე-
ლი დაუკიდე საუკუნოდ... გვრეთვე საბას ღაღერას ჩასაწერილი და აღაპები
უყავ... ერთი წელი და ნახევარი იერუსალიმს ჯუარის მონასტერში დავეყავ...
ამისა შემდგომად წარმოვედ ქალაქით და წმიდას ამას მთასა ათონისსა
მშვიდობით მოვიწიე, მონასტერსა ... ქართველთასა... (ქრონ, II, გვ. 406-407).

სამცხე 1635 — [წყალობის წიგნი როსტომ მეფისა პაპუნა ბარათაშვილ-
გოსტაშაბიშვილისადმი]: ... მას ჟამსა ოდეს მამა თქუენი სამცხეს დილი-
სათვის გავგზავნეთ, წავიდა და ყარა მაჰმადაშვილი ... დაიჭირა... (ქსონი,
გვ. 13).

²⁶ ზოგ ნუსხას ერთვის ქართლ-კახეთის სამცხეთო სოფლების ნაკლული სია
„სამებათა ოთხი კუამლი კაცი ძმარისულა კაცარელსა. სამებათა აქეთ ჰვეი
რომ ჩამოვიღის მზღურად იორის პირისაკე... ქართლს — მცხეთის ჯუარი... ნაო-
ხა მისით სამხედურითა არაგუამდის... ჯავახეთს — საცორველა და სხუა სოფლე-
ბი“ სსიმ, I, გვ. 32-33).

სამცხე 1645 – იხ. ღოდეთი

სამცხე 1648 – იხ. ქართლი

სამცხე 1662 – იხ. ქალაქი

სამცხე 1667-1668 – ნასყიდობის სიგელი ... მოგეც მე ტერტერაშვილმა ბეროამა თქუენ ... ტერ-ზაქარა შვილს მამიჯანასა... მას ჟამსა, როდესაც სამცხიდამ ქართლით გარდმოვედით ... მოველი თქვენთან და გეყმევ... (ქს, VIII, გვ. 846).

სამცხეთო // სამცხეთო მამული

სამცხეთო 1488 – იხ. თელოვანი

სამცხეთო 1720 – იხ. ზემო ქართლი

სამცხეთო 1749 – იხ. ზემო ქართლი

სამცხეთო 1750 – იხ. ყაზახი

სამცხეთო 1771 – [ბრძანება ერეკლე II-ისა]: ... სარდარო შოშიავ და სახლთხუცესო გლახავ! მერე რუსების მოსასყიდლათ სამცხეთოს ორმოცი ხარვარი პური შეხედა... მეტეხმა და გომმა თავეთი წილი გორს ამბარდანს მიაბარონ, და სხვა ქართლში რაც ყმა ჰყავთ, იმათ თავეთი წილი სურამს უნდა მიიტანონ... (სს, I, 1899, გვ. 344).

სამცხეთო 1783 – იხ. გოროვანი

სამცხეთო 1788 – იხ. ახალქალაქი

სამცხეთო 1789 – ჩუენ ... ანტონი კათალიკოს-პატრიარხი ... გაძლიევთ ... მოწყალებისა წიგნსა ამას შენ ... მაღალაქეს ჩუენსა სახლთხუცესსა ამიღბარს... [საქართველოს მეფეებს და კათალიკოსებს] ებოძნეს თქვენთვის სახლთხუცობა ყოვლისა სამცხეთოსა ქართლსა და კახეთსა შინა... ბრძანებს პაპის მამა ჩუენი: „ჩუენ, მეფემან ირაკლი ... შენ ... მაღალაშვილს ამიღბარს ... გიბოძეთ სახლთხუცობა სუეტის ცხოვლისა და ჯანიშინობა ამ წესით, რომ: პირიქით საგარეჯოსა და პირაქეთ საგარეჯოს, ჯიმითს, ახალშენს, ვეისტევს, ერწოს, ბიწმენს, საგურამოს, რაც სუეტისცხოვლის მამულები არის და ჯვარს სახასო მამულები, სოველს თქვენ აიღებდეთ... აგრევე კიდევ გვიბოძებია მცხეთას მანქათელას კონი და საფიხხულე და ზურტის მეღალობა და დიდგორზედ მოხისის მოურავობა...“ მეფის იმაჟუფლიხანისაგან ბოძებული სიგელი ბრძანებს: „გიბოძეთო შენ ... შაბადინისა და აზამბურის მოურავობა...“ ბრძანებს ... კათალიკოსი დომენტი: „გიბოძეთო შენ ... ნაქუღბაქვის მოურავობა“. ბრძანებს ... კათალიკოსი ანტონი: „... გიბოძეთ ჩვენს სახლთხუცესს ამიღბარს ... ტფილისის ქალაქს მსახლობელთ ჩუენის ეკლესიის ყმათ მოურავობა, ჭაშნიკი; და ქალაქს გარეთ ავლაბარსა და გარეთუბანს მსახლობელთ მემკვიდრეთა და მოსულთა ... მოურავობა. და აგრევე ანჩისხატში სასახლის ადგილი და თქვენის ბიძაშვილის ამოწყვეტილის ზურაბის წილი ყმა და მამული...“ კუაღად სხვასა სიგელსა შინა ბრძანებს უწმიდესობავე მისი: „გიბოძეთ თქვენ, მაღალაქეს სახლთ-ხუცესს ამიღბარს ... ჩვენის სოფლის ადაიანის მოურავობა, ამოწყვეტილის ჭარმეულის ნაქონები, რომელიც ვერანა ყოფილიყო და შენ აგე

შენებიანა“. კუალად ბრძანებს უწმიდესობავე მისი: „გვიბოძებია სამი უმამუ-
ლო კაცი: ერთი მეკარვისშვილი, მეორე ჯავახი იესეს ბიჭი და მესამე ხი-
ზაბარელი თევდორე და მახარა...“ (ქსმ, III, გვ. 985-988).

სამცხეთო 1800 – იხ. კრწანისი

სამცხე-საათაბაგო – იხ. საათაბაგო

სამწე. იმერეთი

სამწე 1433 – ... ჩუენ ... მეფეთა-მეფემან თამარ ... თქუენ, იაკობიძეთა ... გე-
ლათის წინამღვომთა ... გაგინინეთ ას ოცი ათასი კილმანაური თეთრი
სრული სისხლი... ოდეს შენი გუარის კაცი ოქროპირი ციხისთავმან ფულა-
რინმან მოკლა ... გიბოძე სამწეს თორმეტი გლეხი (სს, II, გვ. 372-373).

სამწევრისი // სამწვრისი. ქვემო ქართლი

სამწევრისი 1670 – იხ. ზემო ბოლნისი

სამწევრისი 1683 – ბატონიშვილი ლევან სამწევრისის მესთვლეობას აძ-
ლევს ოთარ მაჭუტაძეს (ქრონ, II, გვ. 484).

სამწევრისი 1703 – ... ჩვენ, მდივანმა ... გივმან ... თქვენ, ყმასა ჩვენსა ბერ-
დიკელს რამინას ... გიბოძეთ ობოლას ნაქონი ვენახი... ერთი მიწა სარწყა-
ვისა სამწევრისის პირდაპირ ... რამინასა და მისის შვილებისათვის საკუთ-
რივ მოგვიცია... (დსსი, I, გვ. 121).

სამწევრისი 1703 – იხ. თელისწყარო

სამწევრისი 1716 – იხ. ზემო ბოლნისი

სამწევრისი 1739 – [არჩილ მეფის ოქმი ავთანდილ შანშიას-შვილისადმი]: ...
ვისაც უნდოდეს, მოვიდეს და სამწევრისის ჩვენს მამულში მოხნას. დაღას
რვაზე ერთს გამოვართვამთ... (დსსი, I, გვ. 286).

სამწევრისი. შიდა ქართლი

სამწევრისი 1392 – იხ. ტფილისი

სამწევრისი 1443-1466 – იხ. წყალს-იქითი

სამწევრისი 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

სამწევრისი 1785 – იხ. თელეთი

სამწყალი. შიდა ქართლი

სამწყალი 1680 – იხ. ნული

სამწყერაძო. შიდა ქართლი

სამწყერაძო 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

სამწყერაძო 1702 – იხ. ნიჩბისი

სამწყერის წყალი. კლარჯეთი

სამწყერის წყალი 1054-1072 – იხ. ქუთაისი

სანავარდო. იმერეთი

სანავარდო XVII ს. — მოვიდა ბატონი მთავარებისკოპოზი სვიმონ ჩიჯავაძე სანავარდოს, ჩვენი სამწყსო შეიქმნა. როდისად ეფისკოპოზი მობრძანდებოდეს, თითოს ზუთხს კორძეები მოსცემდეს... (ქსბ, III, გვ. 368).

სანავარდო 1774 — ჩუენ ... აფხაზ-იმერთა ... კათოლიკოზ მამამთავარმან ... იოსიბ შენ, ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა შემოგწირეთ ... სანავარდოს მისახლედ მყოფი ... ოთხნი ძმანი... (ქსბ, III, გვ. 896).

სანავარდო 1766 — იხ. საირმე

სანავარდო 1776 — იხ. ბარი

სანავარდო 1778 — იხ. ოხოშირა

სანავარდო 1787 — იხ. სვერი

სანავარდო. კახეთი

სანავარდო 1784 — ღმერთმან ... ხელმწიფე-დელოფლის ჭირი მოსცეს ველისციხელს ველაძე დემეტრესა. სანავარდოს რომ აშენებდით იმ ჟამში ტყეში გახლდი და ხესა ვჭრიდი... მეზობლები სამადლოთ მინახავენ... ახლა ნაცვალნი მამდგომია, კულუხსა და კოდისპურსა მთხოვს (ქსბ, VII, გვ. 796).

სანაინი // სანაპინი. ქვემო ქართლი

სანაინი 1783 — იხ. ფაენისი

სანაინი 1784 — ... გასამყრელო წიგნი ... მოგეცი მე, სტეფანამ შენ, ჩემს ძმას, თაყას... გერგო ყმა შენ, თაყას: ... სანაინელი საფარაშვილი გრიქორა ბარდაშურელი ქურთიკაშვილი გიქოას ფარდი... ჰაცუტელი წარუკანთ ვართანაშვილები და სანაინელი აკოფაშვილი ზურაბა რომ კახეთს არიან, ესენი საძმო გაუყრელი დაგვრჩა. და ესრევე დაგვრჩა გაუყრელი ჩუენი მამული და ჩუენი მამაპაპეული და თუ ბედნიერის მეფის ირაკლისაგან ნაწყალობევი დოლიკანთ მამული... ამ ჟამში ჩუენ ქალაქში ვიყავით... (ქსბ, V, გვ. 267-268).

სანაინი 1798 — ღმერთმან ხელმწიფის ჭირი არყუთანთ იარაღას ძმას ... მოსცეს... ოსმალობას სანაპინი წახდა. მამაჩემი ათს წლის აქეთ გადმოვარდნილა ორიოდე ყმითა... ჩვენი ქვეყანა აღარ გააკეთდა, დავრჩით ამ ქვეყანაში. ხაჩიანი და კუჭუტანი რომ კეთდებოდა, ეს ჩვენი ყმებისა ზოგნი იქ იწვედნენ... ახლა ამას გევედრებით ... არსად დაგვეფანტოს ორიოდე ყმა, მანამ ჩემი ქვეყანა გაკეთდეს და იქ მივიდოდეთ (ქსბ, VII, გვ. 459).

სანაინი 1800 — იხ. ახპატი

სანაო. კახეთი

სანაო 1670 — იხ. შაბადინი

სანაოს ქელი. რაჭა (?)

სანაოს ქელი 1659 — იხ. რველი

სანაღარო. კახეთი

სანაღარო 1756 — იხ. ალვანი

სანახირო შარა. კახეთი

სანახირო შარა 1505 – იხ. ოროტა

სანახშირე. იმერეთი

სანახშირე XVIII ს. I ნახ. – იხ. კვალითი

სანაპინი – იხ. სანაინი

სანგარი. შიდა ქართლი

სანგარი 1778 – იხ. წიფორის მთა

სანებელი. შიდა ქართლი

სანებელი 1392 – იხ. ტვილისი

სანებელი 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

სანებელი 1736 – ... ჩვენ მძოვრელმა ჯინჯიხაშვილმან ისრეელმან ... თქვენ ... ნოდარისშვილს ფარსადანს ... მოგყიდე... ჩემი მამა-პაპათ სამკვიდრო, სანებელს ნასყიდი იესა რომ ესახლა, თვითონ ის იესაცა და, რაც იმას მამული და ალაგი უჭირა... ამას და გარდა, რაც ჩვენ სახასოთ გვეჭირა ვენახი, მიწა, რაც სანებელში მამული მქონია ... ნასყიდი მქონდა, ან უსყიდი, ყველა თქვენთვის მომიყიდნია... არის ამისი მოწამე ... რუისელი მამაცაშვილი ნიკოლოზ... მძოვრელი მამასახლისი მემშვილდიშვილი... (დსსი, I, გვ. 254).

სანებელი 1782 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს თომა ნაცვალსა და პაატას [მედვინეთხუციშვილებს]... სანებელში მშვიდობაურის ბოლოს პაპუნასშვილის ურია ყმისაგან ნასყიდი ვენახი, ჭალა და ნიგეზნარი ჩვენი საკუთარია, რომ ჩვენს სახლის კაცებს საქმე არა აქვსთ რა... მოსხენებული ნასყიდობის გარდა სანებელსა და ხვედურეთს ნასყიდობა კიდევ გვეგულება, რომ არ ვიცით. (ქსძ, VII, გვ. 568-569).

სანეკრესლო – იხ. ნეკრესლის სამწყსო

სანთისი. რაჭა

სანთისი 1660-1670 – იხ. მუხლი

სანთისი 1785 – იხ. სევა

სანიაჟორი. შიდა ქართლი

სანიაჟორი 1699 – იხ. გორი

სანისლოს ქვა. გურია

სანისლოს ქვა 1614 – იხ. აჭი

სანოდარისშვილო მამული. შიდა ქართლი

სანოდარისშვილო მამული 1800 – იხ. ქარელი

სანჯაძის ღელე. იმერეთი

სანჯაძის ღელე 1659 – იხ. რველი

საოჟიოს წყალი. კახეთი

საოჟიოს წყალი 1770 – იხ. ოჟიო

საორბელიშვილო. ქვემო ქართლი

საორბელიშვილო 1718 ... ჩვენ, საორბელისშვილოს ბატონმან მამუკამ ...
შენ, ... მაჭავარიანს ფარსადანს ... გიბოძეთ სოფელი გელდიგილანი მაკუა
და რაც ჩვენი მამა-ბიძათაგან ნაბოძები გქონია და დღეს გაქვს... (სს, III,
გვ. 154-155).

საორბელიშვილო 1749 ... ესე ძმობისა და პირობის წიგნი მოგართვით ჩვენ,
ორბელიანთ სარდალმა რევაზ, დივანბეგმა იოვანემ .. თქვენ... ბატონს დი-
მიტრის... რაც საორბელიშვილოს კაცი იყოს აზნაურშვილი, მსახური თუ
გლეხი, საერთოსი და საუფლისწულოსი, ყველა აგაყრევინოთ, დმანის ცი-
ხეში დააყენო. ყველამ ჩვენი კაცი იქილამ ვიმსახუროთ, სანამდინ არეუ-
ლობა იყოს, იქ იყვნენ და რომელმანც შევიძლოთ, დმანის ხევეში სიმაგრე
გავაკეთოთ, იმ ადგილას გლეხი გაეიყვანოთ და იმ სიმაგრეში დაეაყენოთ...
მერმე ჩვენ სამთავ ძმის შვილებს, რადგან საერთოდამ შემატებული სოფ-
ლები საუფლისწულოდ გვეჭირა, თქვენ ძმობაში თამაზ სარდლის შვი-
ლებს გაკლდათ, ამის სამუქოდ მანაკერტი დაგიდევით და საუფლისწუ-
ლო მოგვცით (ქსმ, VI, გვ. 706).

საორბელი 1780 - ხანდამშვილი გალუსტა ... ოსკანაშვილს ხაბაზს გოგია-
ზე ედავებოდა ზაალს, რომ ჩემი ემა არისო თავუთელიო. ჩვენ სორბელის
ბატონმა დიმიტრი ეშიკადასბაშმა ... ეს სამართალი მიგვცით: თავუთი
რადგან ნახევარი ჩვენი სახასო არის და ნახევარი ხანდამანთი, ჩვენ ამ
ხანდამაშვილს გაყრილობის ბარათი თეხოვეთ... (ქსმ, V, გვ. 121-122).

საპაიჭაო. იმერეთი

საპაიჭაო 1785 - [წერილი დავით იმერთა მეფისა იმერეთის ელჩებისადმი]:
... [ბერმა წულუკიძემ] უარგეყო და ჩვენის ოჯახის სისხლით მოგებულს
ქვეყანას საპაიჭაოს უკუუდგა და თათრისა და ლეკის ჯარს ცდილობს დი-
დის გარჯით და თეთრის მიცემით. და ამას ამბობს: მეფე მე ვარო... და
ვსთხოვთ ამაზედ: ... რაც ამათ ჩვენის ძმის მეფის სოლომონის ან ციხეები
უჭირავს, ან ციხის შემავალი მამულები - ესენი მოგვეცეს... დიდის ჯა-
რით იმერეთით, რაჭით, ოდიშით და ლეჩხუმით ერთობით თავგამოდებულ-
ნი და შეყრილნი ერთად ვდგავართ ერთის გულით და ერთის პირით და
წულუკიძისგან ორგულობასა და ქრისტეანეთ დატყვევებას ვითხოვლობთ...
დღეს ... ჯარით რაჭის მახლობელს მთის ძირს ხრეთის მოვედით. და ეს
წიგნი ... გამოგიგზავნეთ... თუ ჩვენის ... მორჩილება არ იკადრა წულუკიძემ
... აღარც ჩვენ დავზოგავთ (ისპს, გვ. 11-12).

საპონაური. შიდა ქართლი

საპონაური 1701-1703 - იხ. მძოვრეთი

სარაქისოული მიწა. ქვემო ქართლი

სარაქისოული მიწა 1733 - იხ. ჩხიკვათა

სარაჩლო. ქვემო ქართლი

სარაჩლო 1800 - ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი სარაჩლო ისმიელ
აღასი. ძველი სარაჩლო მელიქ ჯუმშეტისთვის გიბოძებიათ. ჰყრის, მი-
დავს. მე დედოფლის მამულში გახლავარ... (ქსმ, VIII, გვ. 681).

სარახველა. ქვემო ქართლი

სარახველა XVII ს. II ნახ - იხ. წრაუთი

სარბიელი. ხეობა

სარბიელი 1747-1749 - იხ. ძამის ციხე

სარბიელნი. შიდა ქართლი

სარბიელნი 1259 - იხ. ანგროინი

სარეკი. იმერეთი

სარეკი 1680 ახლოს - ... ჩვენ, ფალავანდიშვილმა გიორგიმ ... თქვენ ... წერეთელს ქაიხოსროს ... მოგვცით სარეკში სასახლე მისის მიწითა და ადგილით, ხატითა, ჯვრით... (დსსი, I, გვ. 434).

სარეკი 1702-1720 - ჩვენ ... მეფეთ-მეფემან გიორგიმ, შენ, წერეთელს ქაიხოსროს ... გიბოძეთ გიორგი ფალაუნდიშვილისსეული სარეკი სასახლე და მისის წყლით, ველით, ეკლესიით... (იფ, I, გვ. 53).

სარეკი 1760-იანი - ... ჩვენ, ჯაფარიძემ სულთან ... თქვენ ... ფალავანდის-შვილს ზაალს ... ორასი მარჩილი იმერული თეთრი გამოგართვით. ამისდა გორაოთ მოგვცით სარეკს ჩვენი სამკვიდრო ყმა მღვდელი კუტალაძე პეტრე... ბაჯითს გოშაძის საკომლო თავისის პარტახტით... (იფ, I, 128).

სარეკი 1789-1810 - იხ. ჩიხა

სარვანი. კახეთი

სარვანი 1768 - იხ. ალაზანი

სართიჭალა // სათისჭალა. კახეთი

სართიჭალა 1716 - [წყალობის წიგნი იმამყულიხანისა აზნაურშივლ ესიტასადმი]: ... ჩვენი სახასო სოფელი სათისჭალა უშენი შენათ გაგეხადა და ბევრს გარჯილიყავ... რადგან ძველგანაც მოურაობა თქვენა გქონდათ და მამულიცა გქონდა იმ სოფელში, ჩვენც ... გიბოძეთ ... სათისჭალის მოურავობა (სს, I, 1899, გვ. 418).

სართიჭალა XVIII ს. I მეოთხ. - იხ. თვალი

სართიჭალა 1779 - დმერთმან ... ჯვალმწიფის ჭირი მოსცეს სართისჭალელთ. ჩვენ სხვარივად გვაშინებენ და გვეუბნებიან: ეგ ადგილიც თავადისშვილისაა და თქვენც თავადისშვილს მიგცემენო... ეს რომ გაიგონეს, რომელთაც ჩვენთან მოსვლა უნდოდათ და მამულიც შემოფარგლეს, ისინიც აღარ მოდიან, რომ თავადისშვილის ყმობა არ შეგვიძლიაო... თერთმეტი კომლი კაცი გხლებივართ მანდ, კალო-საბძელს ვაკეთებთ, თქვენის ბძანებით ხის კოშკები დაიდგა. და რადგან ისინი აღარ მოგვიდგნენ, მესერის მოვლეუბა კი ვეღარ შევიძელით... [ოქმი]: საგარეჯოს მოურავს ჯამასპის ასე უამბეთ. მერმე ამითი მოხელე შენა ხარ ... [და] სანგარიც გაუკეთებინე, რაც მისასვლელი კაცი იყოს, იმაზედაც ბეჯითი იყავ... (ქსმ, VII, გვ. 445).

სართიჭალა 1789 - იხ. ვარიანი

სართიჭალა XVIII ს. მიწ. - იხ. ნიქოზი

სარიმაჯის უბანი. თბილისი

სარიმაჯის უბანი 1766 – იხ. ბატონის მეიდანო

სარიჯნა. ქართლი

სარიჯნა 1345 – [წყალობის წიგნი გიორგი V-ისა]: ... შენდა გუიბოძებია ჯაეახისშვილს გამრეკელსა ... სარიჯნა... და კაკიყოსოს ორი გლეხი მისით მიწით და საქონენებელითა... (ქსბ, II, გვ. 98).

სარკე // სარკის მონასტერი // სარკის წმიდა გიორგი. შიდა ქართლი

სარკე 1392 – იხ. ტფილისი

სარკე 1447 – იხ. მცხეთა

სარკე 1504-1516 – იხ. მცხეთა

სარკე 1527 – ესე სათავდებო წიგნი მოგახსენეთ ჩუენ, ბეგამან ... თქუენ ქათალიკოზს ბასილის... მცხეთის საყდრის მამულსა სარკის მონასტრისა ... სამამულო საქმე იყოს, ეგრევე ხუელურეთს რაც მცხეთისა საყდრისა მამული იყოს, ნასყიდი, თუ უსყიდელი, ყუელასი საქმე მართლითა სამართლითა გარდაგიწყვიდოთ და ქორაზნას ვენახითა სიგლითა რაც გქონებოდეს, ისიცა სიმართლითა მოგახსენოთ... (ქრონ, II, გვ. 371).

სარკე 1527-1532 – იხ. გარეჯა

სარკე 1559 – იხ. სხალდიდი

სარკინე. შიდა ქართლი

სარკინე IX ს. II ნახ. – იხ. ცხევერი

სარკინე 1768 – იხ. დამპალა

სარკინეთი. შიდა ქართლი

სარკინე 1720 – იხ. მუხრანი

სარკინეთი. ქვემო ქართლი

სარკინეთი 1543 – იხ. სხალნარი

სარკინეთი 1634-1658 – იხ. ფიტარეთი

სარკინეთი 1646-1658 – იხ. ჭრეში

სარკინეთი 1689 – ჩვენ ... ყაფლანის შვილმა ... პაპუნამ ... შემოვწირეთ ... სარკინეთს ერთი კვამლი კაცი ... მისის მამულითა ... შენ ... პატოსანსა მონასტრსა და საეფისეკოპოზოსა და თავსა სასაფლაოსა ჩვენსა დმანისის ღმრთისმშობელსა... (ქრონ, II, გვ. 508).

სარკინეთი XVII ს. II ნახ. – იხ. წრაუთი

სარკინეთის ხევი. ქვემო ქართლი

სარკინეთის ხევი 1800 – იხ. ბოლნისი

სარუისო გზა. შიდა ქართლი

სარუისო გზა 1800 – იხ. ქარელი

სარუკაანთკარი. შიდა ქართლი

სარუკაანთკარი 1787 – იხ. წირი

სარუსთველო. კახეთი

სარუსთველო 1722 – [განწყეხება სარუსთველო დროშისა] ... უკუეთუ ამისა
 სა დროშისა დიდი, ანუ მცირე ... ქიზიჯის ჯარსა შინა დგებოდეს ... ბატონ-
 ნებმა მამულისა წართმით განაპატიოს... შეიდეულსა შინა ერთგვის ჯარსა
 განთვლიდეს და ვისცა ვინ დააკლდეს, წარსა სარუსთველოდ წართმიდენ...
 ამისნი დროშის მტერთველნი ნორიას ჭიჭინაძენი ყოფილიყვნენ და ჩვენ-
 ცა მათვე მივანდევით... აწე, დროშისა სარუსთველოსა შინაწერნი თავადნი
 ესე არიან, თავადნი, ერისთავნი, ეპისკოპოსნი და გლეხნი: პირველად აღ-
 დგეს რუსთველი და აღიღოს დროშა ... და, სადაცა ვებრძანოთ, ყმით თვის-
 სითა და სამოურაოთა თვისითა მარტყოფითა ჩვენის სახასოთა და ერთს
 ადგელს დაიყოვნოს. ამას შემოეყაროს სამებელი უჯარმო და ავაღისქენი,
 იორთა ზედა და სამგორთა შინა, ნაპირნის სახლნი, არაგვის პირნი, ძაგნა-
 კორანი და გურამისშვილნი და ხერგის ტევნი; მიერთგან გარდაღმა კა-
 ხეთნი, თიანეთნი, ფშაენი და ტევსურნი, ერწონი, ჟალენი და მათ შინა
 მოისახლენი აზნაურნი და თავადნი. ჩამოიარონ ჩოლაყაშვილნი, გილდაშ-
 ვილნი, სამაყანონი, მაყაშვილნი, ჯანდიერიშვილნი, ზემონი თელავნი და
 გამოღმა რუსისშვილნი, შაშიან-კალაურნი, კახის უბნის და ჯიმითის მოუ-
 რაენი, საჯელოთ ოხიაყორჩის ძენი, მდივანბუგისა და თარხნის სახლნი,
 ყმით და საჯელოთ, გაღმართ საგინაშვილნი, ქუმისისშვილნი, პანკისის ტე-
 ობა; ფშაველი და ძირობის კაცნი, ართანა, იულთანა და გვერდის ძირნი,
 საბუჯე, ვაძისტევი, ენისელოთ მოურავის სახლნი, ჯორჯაძენი, ენისელით და
 ყმით, ნოდარიშვილნი, ყმით და საჯელოთ დიდოთ, ნეკრესელი, ნეკრესის
 ყმით, კონსტანტინეს-შვილნი, ... გავაზი და ყვარელი, საწინამძღვრო, ჭია-
 ურთ მოურავი... კონსტანტინეს-შვილი... პატისისშვილები... სვიმონლისშვი-
 ლები... ჭავჭავაძენი... რუსისშვილები... კარის წინამძღვარი, ყვარელით, ყა-
 რალაშვილი... ბაბადიშისშვილი... სახთ-უხუცესი სახუერელი, ყმით, საჯე-
 ლოთ თუშით, სახლის-კაცით; ყოდაღაშვილნი... ჩოლაყაშვილნი... სახლთ-
 ხუცისშვილები; რომაქისშვილები; თიანეთის მოურავი, თიანეთით, ფშავით,
 ტევსურით... გილდაშვილები... ხარჭაშენელი ეპისკოპოზი... ტარიელისშვილ-
 ნი... აზნაურისშვილი სვიმონელი... ერწონი სრულიად კომლნი... ხიმშიაშ-
 ვილნი... ტუსისშვილნი... გიჯიყრელნი... მიწობლიძენი... გარაყანიძენი... გუ-
 რამიშვილნი... ჯვარის წინამძღვარი, ზედაძნის წინამძღვარი, დაუჭამიასშვი-
 ლი; ავაღიშვილნი... სამებელი ეპისკოპოსი, სამებით, საყმით, სამწყსოთ;
 ჯანდიერისშვილნი, ქისტაურით, ერწოთ, სამთავროთ; საგინაშვილნი... ხო-
 დაშნის წინამძღვარი, ხოდაშნის ყმითა, მაყაშვილნი... რუსისშვილნი, თე-
 ლავით; ყორჩიბაშის შვილნი... კისისტევის წინამძღვარი... თაყაშვილნი და
 ბახუტაშვილი; აზნაურნი ოხიაყორჩის შვილნი... შაშიან-კალაურით და
 გაღმა მამულით; თარხანიშვილი ... გაღმართით და გამოღმართით; ბარა-
 მიშვილნი ... კახის-უბნით, ჯიმითით; ჩუმლაყი სარუსთველო... აწე სახასონი
 ჩვენნი არიან: სახასო ენისელი, სახასო ჭიაური, სახასო პანკისი, სახასო
 ფშაველი, სახასო მადრანი, სახასო თუშეთი, სახასო ხოდაშენი, სახასო
 თიანეთი, სახასო ერწო, სამთავრო, სახასო ჩეკური, სახასო ნოდოკრა, სა-
 ხასო ბოროტაძე, სახასო ოდიშელიძენი, სახასო ლაფანაშვილნი, სახასო
 ბიწმენი, სახასო ჭიაურნი, სახასო მარტყოფნი, სახასო შაშიან-კალაურნი

და ხოდაშენი, სახასო კახის-უბანი, სახასო ახალ-შენი, სახასო დროშისათვის ... ძველთა მეფეთა და უფროსდა ბატონს თეიმურაზს დაემტკიცებინა, დაჩვენცა ესრეთ (ქსძ, II, 384-387).

სარჩელა. შიდა ქართლი

სარჩელა 1724 - იხ. რკონი

სასალტიას მიწა. ქვემო ქართლი

სასალტიას მიწა 1682 - იხ. ალგეთი

სასამებლო მამული. კახეთი

სასამებლო მამული 1791 - ... რადგან თქვენ სამებაში მოსახლობა მოინდომეთ, ჩვენ ეს პირობა მოგვიცია: აგვიღია ხელი სასამებლოს მამულზედ სახაშმოს მამულს გარდა... როგორც პატარძელეული ხენიდა სასამებლო მამულსა იმ გვარად თუ მოვხნავთ თუ არა სამამულოდ საქმე არა გვაქვს. აგრევე მთა მოგვიცია ლავანს ჴევეს გამოღმა საკუთრად... ამტკიცებს ყოფლადწმიდის სამების კაწარეთის ეკკლესიის მოურნე, ნათლის მცემლის მონასტრის და სხვათა არქიმანდრიტი ეფთვიმი... (ქქმეის, გვ. 160-161).

სასვიმონეთის // სასვიმანეთოს შარა. იმერეთი

სასვიმონეთის შარა 1519 - იხ. გელათი

სასვიმონეთოს შარა 1545 - იხ. გელათი

სასთაულა // სასთაულის მიწა // სასთულის მიწა. ქვემო ქართლი

სასთაულა 1681* - იხ. ზემო რუისპირი

სასთაულა 1697 - იხ. კლდის თავი

სასთაულა 1751 - იხ. ახალშენი

სასირეთი. შიდა ქართლი

სასირეთი 1726 - ... ნასყიდობის წიგნი მოგეც, მე, ბებეშიძემ იორდანემ სასირელმა ... შენ ახალქალაქელს მამასახლის ელისბარას... არის ამისი მოწამე ... ახალქალაქელი როსტემანას შვილი... სასირელი მარა... ხანდაკეს სალუყახანას შვილი ბერუა... მენთობელს მდღელს დაიწერიდა მოწამეცა ვარ (დსსი, I, გვ. 220).

სასირეთი 1746 - ღმერთმან... ხელმწიფის ჴირი... ზაზას თარხნიშვილს მოსცეს. ფარსადან ციციშვილს გლურჯიძეებისაგან სასირეთს მამულები ეყიდა და ის თავისი ნასყიდი ფარსადან მე მომყიდა... (ქსძ, VII, გვ. 22-23).

სასირეთი 1751 - იხ. ოძისი

სასირეთი 1765 - ... ჩემი [იორამ თარხნიშვილის] ყმა თამაზა ნოსტელი, ქვეყანა რომ აიყარა, ჩვენს სოფელში აღარავინ დადგა ... სასირეთს ჩამოვიდა და იქილამ დაიკარგა, ღუკმა წაიყვანა (ქსძ, VIII, გვ. 902).

სასირეთი 1768 - [წიგნი ანტონ I-ისა იოსებ გლურჯიძისადმი]: ... ჩვენი ყმა ჯავახი ღომა ჩვენს მამულში ჩვენად ყმად იყო და ცოტას ხანს მანდ სასირეთს ყოფილა ხიზანათა. და ახლა შენ სადმე ყმად ეჭიღები. სვეტის ცხოვლის ყმასთან შენ რა საქმე გაქვს... (ქსძ, III, გვ. 868).

სასირეთი 1769 – [წერილი ერეკლე II-ისა შოშია სარდლისადმი]: ... ქარიმ-ხანთან გასაგზავნათ კაცნი ქართლსა და კახეთში ყველას შესწერდა... ამ შეწერით რაც ქართლში სვეტის ცხოვლის ყმა არის, ამით სამი კაცი უნდა გაგზავნონ... სასირეთი უნდა მოვიდგეთ ერთს თუმანს. ახლავ ეს სამი კაცი სამცხეთოდამ უნდა გაარიგო ამ ოცს და ხუთს დღეზე ... ცხენით, იარაღით, ტანისამოსიც და გზის ხარჯით, აქ ქალაქს მზათ უნდა გყვანდეს (სს, I, 1899, გვ. 275).

სასირეთი 1774 – დმერთმან ... ხელწიფის ჭირი მოსცეს ბერთუბნელს ... ჭოჭყიაშვილს ბერძენას. მამაჩემი სასირეთს გახლდათ და თქვენი ჭირის სანაცვლო შეიქმნა. მე ობოლი დაერჩი, იოსებ გლურჯიძის ყმასთან დაერჩი... ბევრი უსამართლობა მოიღო... (ქსმ, VII, გვ. 269).

სასირეთი 1774 – იხ. ბარალეთი

სასირეთი 1783 – იხ. ქსოვრისი

სასირეთი 1789 – იხ. რუისი

სასირეთი 1795 ახლო – იხ. ქვახვრელი

სასირეთი 1800 – მეფის ძის დავითის სიკეთით სახსოვარო თანხნისშვილო ტექთავ! მეზე ამ არხით ჯავახიანთ ასე რომ მოუხსენებიათ, სასირეთმა, მტეხმა და ჩოჩეთმა ერთი დღე არხის მუშაობას უნდა უშველონ (ქსმ, VIII, გვ. 617).

სასოლოლაშვილო. ქვემო ქართლი

სასოლოლაშვილო 1778 – იხ. ტაგნაგეთი

სასუმეთი. იმერეთი

სასუმეთი 1550-1570 – იხ. რომანაული პარტახტი

სასხორი // სასხორნი. შიდა ქართლი

სასხორი 1170 – იხ. სხალტბა

სასხორი 1392 – იხ. ტფილისი

სასხორი 1447 – იხ. მცხეთა

სასხორი 1467 – ჩვენ ... მეფეტ-მეფემან ... ბაგრატ ... გიბოძეთ თქვენ ... ელიოზიშვილებს ... ჩუენგან ნასყიდი სოფელი სასხორი... (ქრონ, II, გვ. 288).

სასხორი 1504-1511 – იხ. მცხეთა

სასხორი 1504-1516 – იხ. მცხეთა

სასხორი 1559 – იხ. სხალდიდი

სასხორი 1623-1630 – ... [ზაქარია კათალიკოსს ბაადურ ციციშვილმა] სარჯულო მოგვეცით და საყდარს კარგი ვენახი დაუდევით სასხორს... (ქსმ, III, გვ. 490).

სასხორი 1665 – ... ჩუენ, იესაშვილმან ფასინამა ... თქუენ ბატონისშვილსა ... ბაგრატს ... მოგყიდეთ სასხოროს ჩუენი ალალი ... ხერადინაშვილისა მიხითარასაგან მოსყიდული ვენაჯი... (სს, I, 1899, გვ. 255-256).

სასხორი 1736-1744 – იხ. მოხისი

სასხორი 1742 - ... ჩუენ, როსევისშვილმა როსეე ... თქუენ, გედევანის შვილს სარდალს გაბრიელს ... მოგყიდეთ სასხორს ჩვენი წილი და ბარათში გამოყოფილი მამული თავისის საკომლოთი... ყოვლისა საქართველოს მაკურთხეველი კათალიკოზ-პატრიარქი ნიკოლოზ ვამტკიცებ სიგელსა ამას... (დსსი, I, გვ. 305-306).

სასხორი 1793 - [არზა იოვანე გედევანიშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ... ჩემი სახლისკაცები თქვენის დოვლათით სასხორს აშენებენ, მე იქ მისაყვანი და მემკვიდრე კაცი იმის მეტი არა მყავს (ქსმ, VIII, გვ. 207).

სასხორი 1795 ახლო - იხ. ქვახვრელი

სატკეპსეული.²⁷ შიდა ქართლი

სატკეპსეული 1413-1442 - იხ. ძალისა

სატბისოს რუ. ქვემო ქართლი

სატბისოს რუ 1728 - იხ. ბუქდულეთი

სატივე. შიდა ქართლი

სატივე 1634 - იხ. ბროწლეთი

სატივე XVII ს. II ნახ. [ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარი]: ... სატივეს მოყალნე მსახლობელი... კალოველი ივანა კუამლი ერთი... წაბლოვანს საუფლისწულო მსახლობელი მოყალნე... ქინძათს საუფლისწულო მსახლობელი სომეხი და ქართველი... საუფლისწულო კლდისწყაროს მოყალნე კაცი... ბროწლეთს მსახლობელი მსახური და გლეხი... ღვერთეთს ბოგანო მეზურისშვილი... თორმანეულს ბოგანო ოსიტა... რუსის ჩვენი მე-საფლავე, ჩვენის ... ხატისა დეკანოზი პაველე რაზმაძე... ნულს ჩვენის კარის დეკანოზის გიორგისა და იასეს ყმა... კულბითს მსახლობელი სასახლის მსახური და გლეხი... აბანოს სასახლის მსახლობელი მსახური და გლეხი... ტოცას მსახლობელი ბატონის სახასო მსახური... ფცას სახასო ბოუაძე შიო... ტოცას კოკავაძის მამულას ყმა იმერელი ბოგანო... ქვემოთვიმლეთს ბოგანო, სეხნიას ტატიშვილის ყმა... თორმანეულს სეხნიას ტატიშვილის ყმა მსახლობელი... ზემოთვიმლეთს ... სურნის ... [და] ღვერთეთს მსახლობელი პაპუას ტატისშვილის ყმა... (სეიძ, II, გვ. 41-53).

სატივე 1728 - ავიდე მე, დავითისშვილმან კოსტანტილემ ... თქვენ, აბაზაძის ბუქან მდივნისაგან ... ოთხი თუმანი თეთრი... ამის გირაოდ დავიდევით სატივეს კიტრაძე ოთია მისის ... მამულითა, კიდევ ჩემსა ხოდაბუნში ოცის დღისა მიწა... (სს, II, გვ. 339).

სატივე 1750 ახლო - [კონსტანტინე დავითიშვილის წილის ბარათი]: ერთწილად სატივეს ნოზაძე ღონია, ღაზარეს ნახევარი მამული ამაზუდ აძეს... ერგო კოსტანტილეს (მსეი, III, გვ. 162).

სატივე XVIII ს. I ნახ. - [ხალხის აღწერის დავთარი] ... იქავ სატივეს აურილისა კაცისა მამული, სარაჯი ოღრძელი... კლდისწყაროს მსახლობელი

²⁷ სატბეს ველი?

ბოგანო, ჭალიძე ნიკოლოზ... წაბლოანს მსახლობელი ეკალაძე... (სეიძ, II, გვ. 98-99).

სატივე 1764 - [ერეკლე II-ის ოქმი]: ჩვენი ბძანება არის, ვინც სატივეს დგახართ! მერმე თქვენი მორიგე და სურსათი გვიპატივებია... (ქსძ, VII, გვ. 84).

სატივე 1766 - იხ. კეხვი

სატივე 1783 - ... იოანე [თაქთაქიშვილი] მართლმსაჯულებას პასუხობდა... ესენი ჩიკოძის ყმანი არიან, თუ როდესმე საციციანოში სახლებულან, აყრილან და ასი წელიწადია იმერეთს სახლებულან. ამ ახლო ხანში იქიდან გამოვიდნენ და სატივეს ქალანთარს ხიზნათ დაუდგნენ (ქსძ, V, გვ. 226).

სატივე 1784 - დემეტრე ... ხელმწიფის ჭირი დავითიშვილს ზაალსა და ელიზბარს მოსცეს... სატივე უსამართლოდ გვაქვს წართმეული... მთელმა ქართლმა გაღმა და გამოღმა სულ იციან... [იასე ამილახვარის მინაწერი]: საავალიშვილოში მივედით და ავიღეუით რაც ეწერათ, - აბაშიძესაც გამოვართეთ, სურამს ჩამოვედითო... [ზაზა ამირჯიბის მინაწერი]: ბიძის ჩემის ოტიასაგან ასე გამიგონია - სატივე დავითიშვილის სამკვიდრო არისო: ამვისის სამძღვარს ვკითხებდი, მინდორში დავდიოდით... (ქსძ, VII, გვ. 631).

სატივე 1786 - იხ. ლიახვი

სატივე 1798 - დემეტრე ხელმწიფის ჭირი დავითაშვილს ზაალს მოსცეს. სატივე ჩემი სამკვიდრო მამული არის. ქალიანთარმა მძღვარობით წაგვართვა. (ქსძ, VIII, გვ. 481).

სატივე XVIII ს. - იხ. ტოცა

სატრედო. ქვემო ქართლი

სატრედო 1587 - იხ. ყორანთა

სატრედო 1707-1708 - ... მე ... მდივანბეგი ერასტი, მოგაკვსენებ ჩემო შვილებო ელისბარ და ვახტანგ... რაც ჩვენი ნასყიდი იყო სატრედოს გარდა, თქვენ მოგეცით... ეს ჩემი ნასყიდობა ახალშენი როცა მიყიდა, არც გირათო მაქუს, უკან დაღეთს თათრისშვილის მამული, ქალაქის სასახლე... (სს, II, გვ. 216).

სატრედო 1718 - იხ. მაშავრის პირი

სატრედო 1729 - იხ. ცხნარი

სატრედო 1736 - ... სატრედო სოფელი ბების ჩემის, ბატონისშვილის ანა-ხანუმის მზითვით ნასყიდი ... დედა ჩემს ... მზითვით გამოატანეს და მას აქეთ ჩვენ გვეჭირა... ახლა [გიორგი ბატონიშვილმა] მოგყიდეთ შენ ორბელისშვილის ... სოფელი სატრედო ... დისელის სახნაგ-სათიბრითა... კაცთაგანნი ... მოწამედ: ... დმანელ ეპისკოპოსი ელისე... ბოლნისის მამასახლისი გურგენა... ბლორძელი იორამ... მე, გაბაშვილის დმანისის დეკანოზის შვილს, მღვდელს ზაქარიას დამიწერია... მე, ფიტარეთის დეკანოზი ნიკოლოზ ამისი მოწამე (სს, II, გვ. 384-385).

სატრედო XVIII ს. - მე ყაფლანისშვილს ვახტანგს ამ სატრედოს ნახევარი ბიძის ჩემის სარდრის სალთხუცისთვის დავითისთვის მიმიყიდნია... (სს, II, გვ. 509).

სატრედო გორა. კახეთი

სატრედო გორა 1785 – იხ. მარილისი

საურბნელო. შიდა ქართლი

საურბნელო 1655 – [როსტომ მეფის წყალობის წიგნი ურბნელ ზაქარია-სადმი] საურბნელო მამული ცოტა იყო და ვერა რჩებოდი და გიბოძეთ ოქონის ღვთის-მშობლის საწინამძღურო ... (გუჯრ., გვ. 18).

საურმე. ქვემო ქართლი

საურმე 1751 – იხ. ახალშენი

საურმე ხიდი. ქვემო ქართლი

საურმე ხიდი 1670 – იხ. ზემო ბოლნისი

საფალავანდიშვილო // საფალავანდისშვილო. იმერეთი

საფალავანდიშვილო 1660 – ჩუენ, დედოფალთა-დედოფალმან ... ნესტანდარეჯან ... თქუენ ... წერეთელს ქაიხოსროვს ... გიბოძეთ საფალავანდიშვილოს რაც პირველ ან ხოსროს ქონდა და ან მასუკან ტყაუეველიძეს მივეცით... ამას გარეთ, საჩხერეს ხოდაბუნი ნახევარი ამას წინათ გიბოძეთ... (იდ, I, გვ. 30-31).

საფალავანდიშვილო 1673* – იხ. თლვაევი

საფალავანდიშვილო 1680 – [წყალობის წიგნი ბაგრატ მეფისა წერეთელეზისადმი]: ... საფალავანდიშვილო სანადირო მთაჭალელს აბაშიძის სამძღვარისა აქეთ და საუფლისწულოს სამძღვარს შუვა მომიცემია... (დსსი, I, გვ. 436).

საფალავანდისშვილო 1680 – ჩუენ ... მეფეთ-მეფემ ... ბაგრატ ... გიბოძეთ ... თქვენ, წერეთელს ქაიხოსროს ... საფალავანდისშვილოს ბასილიძე გიორგაი... (იდ, I, გვ. 39).

საფანელა. შიდა ქართლი

საფანელა 1719-1724 – იხ. ატენი

საფარა. სამცხე

საფარა 1447-1459²⁸ – ესე წიგნი გკადრეთ თქუენ ... ქართლისა კათალიკოზსა დაეითს მე, ლასურისქემან კუმურდოელმა იოვანე მის ჟამისა შედეგად, ოდეს მაწყუერელი და სამცხის ებისკოპოსნი თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყუნეს საფარისა თავზედა და თქუენ დიდითა ზუაიშნითა მაკურთხეთ... (ქსძ, III, გვ. 196-197).

საფარა 1453 – ... თქუენ, ქათალიკოზსა დაეითს, დაგიდევით აღთქმა ჩუენ, საფარისა და ვარძისა ძმათა. მას ჟამსა ოდეს, მცბიერი ბერძენი მოვიდა ... მცირითა რათამე სიტყვითა მიგვიზიდნეთ. აწ ... არც მიტროპოლიტი შემოეშვათ ... [და] არც უმცხეთოდ ჩუენი მღრდელი და დიაკონი იკურთხებო-

²⁸ 1466-1479 წწ. შორის ანალოგიური ერთგულებების ფიცს დაეით კათალიკოზს აღდგეს ანჩელი არქიმანდრიტი (ქსძ, III, გვ. 219).

დეს, არც რამ ჯავახეთს და წაღისყურს ვისაქმთო სამწყსობისა პირზედა...
(სსიმ, I, გვ. 24).

საფარა 1630 – ... საფარისად ... მონასტერი ... მოკრებულიყო... ყმანი წმიდი-
სა მონასტრისა თქვენისანი ... დავასახლეთ სანახებსა ქართლისასა არადე-
თისა ბოლოს, რომელსა ზედა სახლებულიყუნეს სხუანიცა მესხნი... ესრეთ
დაუმტკიცეთ წინამძღუარსა საფარისასას ავალიშვილსა უფალსა არსე-
ნის... (სს, III, გვ. 538-539).

საფეშეთი. შიდა ქართლი

საფეშეთი XVIII-XIX სს. მიჯნა – იხ. ქსანი

საფოშდლე გზა. სვანეთი

საფოშდლე გზა XV ს. – იხ. სეტი

საფსიტეს ციხე. კახეთი

საფსიტეს ციხე 1392 – იხ. ტფილისი

საფსიტეს ციხე 1447 – იხ. მცხეთა

საფსიტეს ციხე 1579 – იხ. მცხეთა

საფინხოვნო. კახეთი

საფინხოვნო 1756 – იხ. ალვანი

საფურცლაო. ლენხუმი

სვეტიცხოველი 1031-1033 - იხ. მცხეთა

სვეტიცხოველი 1397 - ჩუენ, მეფეთ-მეფემან ალექსანდრე ... ესე წიგნი მოგვისხენებია და შემოგვიწირავს თქუენ სვეტი ცხოველს მონასტერი და საყდარი მეტეხთა ღეთის მშობლისა თავისის მამულითა...³⁰ (ქრონ., II, გვ. 202).

სვეტიცხოველი 1504 - იხ. ვეძისხევი

სვეტიცხოველი 1560 - იხ. ტფილისი

სვეტიცხოველი 1569 - იხ. ჯიშითი

სვეტიცხოველი 1617 - იხ. გერი

სვეტიცხოველი 1660 - იხ. ქალაქი

სვეტიცხოველი 1687 - იხ. მცხეთა

სვეტიცხოველი 1696 - იხ. საგარეჯო

სვეტიცხოველი 1701 - [სიგელი ნაზარალიხანის]: ოდეს ... ბატონი პაპა ჩვენი ... გადავარდნილიყო, მაშინ ჩვენი შურისა ხატები კახურის მონასტრები-

³⁰ [შემდეგ მოსდევს არასრული ჩამონათვალი იმ სოფლებისა, რომლებს იხსენიება 1392 წლის საბუთსი (იხ. ტფილისი 1392)].

სა და ხახულისა ღვთისმშობელი – ესენი სვეტიცხოველში მიეპარებინა...
ახლა ჩვენ ბედნიერმა ხელმწიფემ ქართლის ბატონობა გვიბოძა ... და ეს ...
ხატები ... კახურის მონასტრებისა ... აღვერდელს ნიკოლაოზს მიეპარეთ...
(ქეპის, გვ. 244-446).

სვეტიცხოველი 1724 – იხ. რკონი

სვეტიცხოველი 1725-1731 – [ალექსანდრე ალავერდელის წერილი იოსებ
ტფილელისადმი]: აწე ასე უსახო და ღთის მოძულე როგორ ვიქნები, რომე
წმიდას სვეტიცხოველს მოსვლა და თაყვანისცემა არ მინდოდეს... ეგ ყო-
ველთა იციან ძველითგან, რომე ვინცა ვინ ალავერდელი ყოფილა და ან
იქნების, მეცა და სხვანი, ყოველნი სვეტიცხოველს კარს და ვინცა ვინ სა-
ჭკეთ მპყრობელი კაცი ყოფილა, კურთხევა მისგან მიუღია (ქეწკ, I, გვ. 72).

სვიაურა. შიდა ქართლი

სვიაურა 1487 – იხ. შოროს ციხე

სვიანანთკარი. არაგვის ხეობა

სვიანანთკარი 1781 – იხ. წკერე

სვიმანეთი // სვიმონეთი – იხ. სიმონეთი

სვიმონას სოფელი. შიდა ქართლი

სვიმონას სოფელი 1754 – იხ. დიდომი

სვიმონაური. იმერეთი

სვიმონაური 1550-1570 – იხ. რომანაული პარტახტი

სვანეთი. შიდა ქართლი

სვანეთი 1073 – იხ. თრიალეთი

სვირი. იმერეთი

სვირი 1784 – ... ჩვენ ... სრულიად იმერთა უფლისწულმან ბატონიშვილმან
დავით ... [სვირის წმ. გიორგის] შემოგწირეთ სვირს მიქაბაძე გოგიტელა...
(დსსს, II, გვ. 81).

სვირი 1784 – ... დიდო მთავარმოწამეო გიორგი, რომელ სახელსა შენსა წმინ-
დასა აღშენებულ არს სადიდებელი შენი ეკლესია შენი, რომელ არს სვირს...
ჩვენ, ყოვლისა აფხაზ-იმერთა მეფემან-მეფეთამან ... შემოგწირეთ სვირს ორი
კვამლი კაცი, ერთი მღვდელი ხათრიძე დავით... (დსსს, II, გვ. 83-84).

სთონეთი.³¹ ქვემო ქართლი

სთონეთი 1635 – იხ. ფიცხისი

სთონეთი 1654 – ... ესე ... ნასყიდობის წიგნი ... მოვეციოთ ჩვენ ... აფხაზმა
იოვანემ ... თქვენ, ყორღანაშვილს ... მერაბს... საგინაშვილი აღათანგი ამო-
ვარდა და ხელმწიფემ ამოვარდნილის მამული მე მიბოძა: სთონეთიღამა
ერთი იმავე აღათანგის გაზრდილი და მკვიდრი ყმა ფირია ამეყარა და

³¹ თონეთი?

თქვენ მოქრის აშენებლით და იქ დაგისახლდათ და [ჩვენც მოგყიდეთ]... (ქსმ, VIII, გვ. 841).

სიმონეთი // სვიმონეთი // სვიმანეთი. შიდა ქართლი

სიმონეთი 1519 – იხ. გელათი

სიმონეთი 1563-1564 – ჩვენ ... მეფეთ-მეფემან ... გიორგი... ესე წყალობის ... სიგელი გიბოძე შენ, კლიაშვილთ-შალიკაშვილს... საათაბაგოდან რომ წამოგედით, შენ თან წამოგყვეით შენის ცოლითა და შვილით... სვიმონეთს მონინდომეთ მოსახლობა; გიბოძეთ წინამძღვრის გოხაძისოული ალაგი მისის ყოველისფერით... სასაფლაო ერთი ტანი გელათს ჩემს საფერხეს გამლიე, მაგრამ არ მკადრე; გიბოძე სვიმონეთს საყდარი და სასაფლაო. შვილის წლის ყმარწვილს აქეთი კაცი რომ მოკვდებოდა, მანდ სვიმონეთის საყდარს მივიღებდით. და ისევე ჩვენი სასაფლაო გიბოძეთ, და იმ საყდრის დეკანოზათ დაგაყენე. და თემის უმფროსობა გიბოძეთ და ერისგანს – მოხელობა... [ოთხი პატრიარქის რჩევით] აბაშიძე გენათლად დაესვი. შენ გენათელს მიგაბარე... ვინც ქუთათის ტახტზედ ბატონათ იჯდეს, როგორც საპატო კაცის სისხლს გამოეკიდოს, ისე ამისი სისხლი და სანანშირე მოიკითხოს... (ქსმ, II, გვ. 191-192).

სიმონეთი 1699-1701 – ... მეფეთ-მეფემ ... სვიმონ ... თქვენ ... კლდიაშვილს იესეს ... გიბოძეთ სვიმონეთს ესია ამყოლაძე მისის ცოლ-შვილით, სასკარით, მამულით... (სს, II, გვ. 263).

სვიმონეთი XVII ს. – ჩვენ ... გენათელმა მღრდელ-მთავარ-ეფისკოპოზმა ... სვიმონ, შენ იოვანეს კლდიაშვილს ... მოგეცით სვიმანეთის დეკანოზობა მკვიდრათ და შეუცვალეებლათ... (ქსმ, III, გვ. 620).

სიმონეთი 1782 – იხ. გელათი

სიმონეთი 1791 – ... ჩვენ ... გაენათელ მიტროპოლიტმან ეფთვიში ესე – წიგნი დაედევინე ... გელათის ეკლესიასა შინა... ამ ეკლესიის გელათის მკვიდრის ყმას სიმონეთს მოსახლე ივანე კლდიაშვილის შვილს ვალები დასდებოდა და ... ჩვენ ... გარდავიხადეთ და ამისდა ნაცვალად ... ყოველს წელიწადს ... ხუთის რუბის ცხვარს გელათს მოიყვანდეს... (დსსს, II, გვ. 97-98).

სიონი. თბილისი

სიონი 1619 – ... ესე წიგნი ყმობისა მოგართვი მე, მოშელმან სომეხმან მხითარამა ... თქუნე, თბილელ მთავარებისკოპოზსა... შემოგეწირენით სიონისა ღმრთისმშობელსა და ყმად დაუსახლდით და გვიბოძეთ სასახლე წყაროზუდა და დავიდევით სიონისა ღმრთისმშობლისა გამოსაღები... და ამის გარდაის, რაც ჩუენის ჳელიდაღმან სამსახური გამოვიდეს, ბატონს თბილელს ვმსახუროთ... არიან ამისნი მოწამენი: გელაშვილი ბეროა, მეტეხთა ღმრთისმშობლისა დეკანოზი ესტატე... (იხ, IV, გვ. 11).

სიონი 1628 – ... ჩუენ, მეფემან პატრონმან სვიმონ ... თქუნე, ეპისკოპოსს პატრონს ელისეს ... მოგახსენეთ თბილელობა, ასე რომე: რაც სიონთა ღმრთისმშობელს ქალაქს ან ვაჭარი ჰყოლებოდეს შეწირული და ან ქულ

ბაქი, ან საბარათოშვილოში და ან ქართლში, ჩუენც შეგვიწირამს უკლებლად და თბილელობა თქუენტუს გვიბოძებია... (ქსძ, II, გვ. 213).

სიონი 1634 - ... ესე წყალობისა ... წიგნი გიბოძეთ [მარიამ დედოფალმა] თქვენ, ქალაქს სიონთა ღმრთისმშობლის ყმათ, ასე რომე, ამას წინათაც კელმწიფეთაგან თარხანი იყენით; ახლა თფილელი და სათფილელი ყმა პირის სანახავად მოგვართვეს. აწე, ჩვენცა გითარხნეთ... (ქემეის, გვ. 210).

სიონი 1637 - ... ჩუენ, ბარათაშვილმან ბატონმან ზურაბ ... ესე წიგნი... მოგახსენეთ ... სიონთა ღმრთისმშობელსა, ასრე რომე, ქალაქს თქვენს საყდრის გუერდით ქულბაქი გუიბოძა სუიმონ-ხან. პუელითგან თქუენივე შეწირული და მამული იყო და ჩუენ ისრევე თქუენი თქუენ შემოგწირეთ... (ის, IV, გვ. 23).

სიონი 1650 - ... ჩუენ, მეფეთ-მეფემან ... როსტომ ... შემოწირულობის წიგნი ... მოგახსენეთ თქუენ ... ქალაქის სიონთა ღუთისმშობელსა... ქალაქსა ტფილისსა ... ყოვლად პატიოსანი ტაზარი თქუენი ჟამთა ვითარებისაგან ვნახეთ მოშლილი... ტფილელ მთავარებისკოპოზი ... ელისე გუეაჯა განახლე-ბასა და მეორედ აღშენებასა... და ჩუენცა აღვაშენეთ... ყოველთა წელიწადსა ასი მარჩილი თეთრი ... ქარვასლისაგან მოგართუემდეს... (ქსის, გვ. 214).

სიონი. კახეთი

სიონი 1614 - იხ. უჯარმა

სიონი 1791 - ... ესიტასშვილი დათუნა მიწას ეცილებოდა ტუცნას შვილებს... ფიცი დაიდვა დათუნამ, წადგა სიონში, და დაიფიცა... ჩუენც [ნიკოლოზ რუსთველმა] ასე დაუმტკიცეთ და ეს წიგნი მივეცით. სრული საცხენელნი მოწმენი არიან... (ქსძ, VIII, გვ. 535-536).

სიონი. ქვემო ქართლი

სიონი 1695-1703 - იხ. ლამის ხევი

სიონი. შიდა ქართლი

სიონი 1607 - ... ჩუენ, ჯავახიშვილთა ფარსადანა და შერმაზანა თქვენ, სააკაძეთა გიორგის, შილოშის შვილთა ... მოგყიდეთ ჩუენი მკვიდრი მამული ... სიონთ ვენახი, შაველაური ნახევარი, და საუფროსო ფარსადანისა და შერმაზანის კერძი... (სს, II, გვ. 50).

სიონი 1608 - იხ. ყარალაჯი

სიონი 1712 - [მახვილაძე-დავითიშვილების ნასყიდობის წიგნის] მოწამე თედიაშვილი, სიონელი პაპა და მაყვალაშვილი მამუკა (სს, II, გვ. 245).

სიონი 1718 - იხ. ზენადრისი

სიონი. ხევი

სიონი 1439 - იხ. ხევი

სიონი 1781 - იხ. წკერე

სიონი 1791 - იხ. ხევი

სიონის ქუნა. თბილისი

სიონის ქუნა 1769 - იხ. ავლაბარი

სირეული. გურია

სირეული 1780 – იხ. ბაილეთი

სიღნაღი. კახეთი

სიღნაღი 1770 – იხ. ტფილისი

სიღნაღი 1775 – დმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს გორელს სამეფოს ალაპაპაშვილს ფრანგს სტეფანას... ჩემი ძმისათვის ოქმი გებოძებინათ... თქვენ მოგართვით სიღნაღს... (ქსმ, VII, გვ. 306-307).

სიღნაღი 1776 – იხ. ღომისციხე

სიღნაღი 1781 – დმერთმან მეფის ჭირი მოსცეს ... ბოღბელს. ოთხიოდე ფე-
იქარი სომეხი ეკლესიის ყმაში არის, ზოგი თქვენი სიმაღლის ყმა, ზოგი
სხუათა მობარეული. დღეს ყრიან სიღნაღზედ მისაყვანად... წყალობას
ეთხოვთ, რომ არ აგვიყარონ... (ქსმ, VII, გვ. 517-518).

სიღნაღი 1785 – იხ. ბელაქანი

სიღნაღი 1791 – [არზა სოლომონ მეითარისა]: ... წრეულ ჩემი ორი კომლი
კაცი ფაფაკერაშვილები სიღნაღს ჩავიდნენ, ცოდშვილი აქ დაყარეს და
თითონ იქ გახლავან... (ქსმ, VIII, გვ. 87).

სიღნაღი 1791 – თარხნიშვილი სოლომონ უჩიოდა სიღნაღში მსახლობელს
ხიზანს ფაფეკერაშვილს ოპანეხას ბატონყმობაზედ... ეს ოპანეხა სოლომონ
მეითარს ასე უპასუხებდა: პაპაშენმა მამაჩემი ახალციხეს გაყიდაო, იქ ცო-
ლი შეირთო. წამოსულა, ქართლში თავის ძმას არუთინასთან მოვიდა, იქი-
ლად ... მოვიდნენ ქიზიყს, გურგენ ნაცვლის ხიზნად დადგნენ. მე აქ ვეყო-
დეთო... ბიძაჩემიც და მამაჩემიცა ... თავუთის ხიზნით აიყარნენ და სურამს
მივიდნენ, მამასახლის გერიტას კედლად დადგნენო. მაშინაც და ახლაც
ნაბახტევში შენობა არ იყო და სურამს ამისთვის მივიდნენ, რომ ჩუენი მუ-
ზობლებიც იქ სურამს ესახლნენ... სოლომონ ასე მიუგებდა: ბატონის ბრძა-
ნებით და ოქმით მამაჩემმა სიღნაღიდან აგყარაო, მივიყვანა და ცხინვალს
დაგაყენაო, ცხინვალიდან გამოიბარე და კახეთს ჩამოხველ მასუკან კიდევ
ბატონის ბრძანებით ქოზიყის მოურავის ზაქარიას მოასილობთ აგყარე და
კიდევ ცხინვალს მოგიყვანე... (ქსმ, V, გვ. 547-548).

სიღნაღი 1792 – დმერთმან ... ჳელმწიფის ჭირი მოსცეს სიღნაღელს ... აი-
ვაზას... დედაჩემი რომ სიღნაღზედ გსლდებათ, მე ძუძუთ ყმაწვილი ჩამოე-
ყოლივარ... სამოცდაათი წელიწადია შენი სიღნაღის მოსახლე გახლავარ.
ახლა ბაშბუქასშვილი მედაეგება... (ქსმ, V, გვ. 582).

სიღნაღი 1792 – იხ. თიანეთი

სიღნაღი 1793 – დმერთმან ... მეფის ძის გიორგის ჭირი სიღნაღიდან –
ტერ-არუთინას მოსცეს... ერთი ტყე ... ვიყიდე, ათი წელიწადია ტყე გამოიტყ-
ხია, ვენახი და ბაღია ამიშენებია... ან მამული დამნებდეს, ან რაც ... ხარ-
ჯი წამსვლია, ის მამცენ... (ქსმ, VIII, გვ. 192).

სიღნაღი 1800 – ... მოსახსენებელი სიღნაღის ქვეხის თეიმარზისა. სიღნაღ-
ში ყასაბს ქიტყასას ერთი ბურჯი უჭირავს, ძირშიაც იმის სიძეს თათულს
დაუნქმებია, ნავომურია და ნაშენი არ არის რა... (ქსმ, VIII, გვ. 703).

სიხორაულთი. ქვემო ქართლი

სიხორაულთი 1756 - იხ. ცხეკვი

სკა. შიდა ქართლი

სკა 1734 - იხ. იამანი

სკანდა // სკანდროული მიწა. იმერეთი

სკანდა 1475 - ... ოდეს დარუბანდით გამოვიდა ავშანდაძის გუარის კაცი, ... როდეს აღმაშენებელი გელათს აშენებდა და გალავნიდალმა გარდმოვარდა ... [დიდად უერთგულეს მეფეს ავშანდაძეებმა]... [და] შევიწყალენით ავშანდაძენი არჯუევან: სკანდას დაღმა და გოგს დაღმა, სადა ძვერებისა წყალი³² შერთვის ყვირილასა, ფისისანს და ჩხარას, მას დაღმა სატყისმცველო წყალობად მიგვიცემია ავშანდაძისათვის... (სს, II, 42-43).

სკანდა 1664 - იხ. მაჭუტოური

სკანდა 1794 - იხ. კაცხი

სკანდის ღელე. იმერეთი

სკანდის ღელე 1664 - იხ. მაჭუტოური

სკანდის შარა. იმერეთი

სკანდის შარა 1664 - იხ. მაჭუტოური

სკარეში. სვანეთი

სკარეში XIV ს. I ნახ. - ... მთავარმოწამისა სეტიისა და სამების სკარეშისა თაუსდებობითა დაგიწერე ... ესე ერთსახლობისა და გაუყრელობისა ... ჩვენ კილამუშელთა რაფიელ ... თქვენ სეტიელსა მიქაელს... (სწძ, I, გვ. 169).

სკარეში XIV ს. I ნახ. - მთავარმოწამისა სეტიისა, მაცხოვრისა სკარეშისა თავსდებობითა ... დაგიწერე ... წარკვეთილი ესე გარდაწვედილობისა ხრთაგინამან ... შენ სეტიელსა იაკობს... (სწძ, I, გვ. 173).

სკარეში XIV ს. I ნახ. - იხ. სეტი

სკარეში XV ს. I ნახ. - იხ. სეტი

სკიპის ღელე // სკიპიას ღელე. იმერეთი

სკიპის ღელე 1659 - იხ. რველი

სკიპის ღელე 1781 - იხ. საწირე

სკრა. შიდა ქართლი

სკრა 1391 - იხ. ქვათახევი

სკრა 1487 - იხ. შოროს ციხე

სკრა 1609 - იხ. გორი

სკრა 1624 - იხ. თავა

სკრა 1634-1658 - იხ. ნაციხვარა

³² წვეისა წყალი (ქრონ, II, გვ. 265).

სკრა 1690 – იხ. გორი

სკრა 1698 – ... ჩვენ, როჭიკაშვილმა ... ვახუსტიმ ... შენ ... ქადაგიშვილს დავითსა ... მოვკიდე სკრას მკვიდრობელი შვილობაჲე თავისის მამულითა... (დსსი, I, გვ. 105).

სკრა 1739-1740 – ღმერთმან ... ბატონის ბეგლარ-ბეგის ჭირი ... პატრიაქს დომენტის მოსცეს. მერმე ამას მოგახსენებთ: სკრელს ძულიაშვილს მამა-სახლისს ტყვეები დაუყდიათ... (ქსძ, VII, გვ. 17).

სკრა 1750 – ჩვენ ... მეფეთ-მეფემ თეიმურაზ ... როჭიკას შვილების მამული სკრა ამას წინათ მერალიბეგს ქალანთარს უბოძეთ, ამიტომ რომ ქვეყანას ბერი სახელმწიფო სათხოვარი ედვა და როჭიკას-შვილებმა თავეთის სოფლის სკრის მალუჯათისა და სათხოვრის გამოღება ვედარ შეიძღეს... ჳელმწიფის წყალობით საქართველოს მალუჯათი და სათხოვარი მოეკეთა და ისევ ძველს რიგსა და დასტურზე დააყენეს... (დსსი, I, გვ. 346).

სკრა 1773 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს კალაურის მოურავს დიმიტრის... სკრის ბეგარა რომ გებძანათ ... ორი [მსახური] გავგზავნე და ერთი ჩემს საქმეზედ დავიჭირე. ის ერთი მსახური ველისციხეს ჩემ საქმეზედ გავგზავნე, დაეჭირათ კალაურელთ და ცემით მოეკლათ... (ქსძ, VII, გვ. 236).

სკრა 1780 – იხ. დოესი

სკრა 1789 – ესე წიგნი მოგართვით ჩვენ შალიკასშვილმა ნაზირმა იოანემ ... ფანასკერტელს ციციშვილს სარდალ ქალაქის მოურავს დავითს... სკრას აზნაურიშვილი ქართველისშვილი და გლეხი მამუკასშვილი და ერთი ამოვარდნილის გლეხის მამული თქვენს ოჯახს ჰსჭეროდა და დღესაც თქვენ გეჭირათ... (ქსძ, V, გვ. 467-468).

სკრა 1789 – იხ. ქსანი

სკრა 1798 – ღმერთმან ხელმწიფის ჭირი როჭიკაშვილის ნაზირს გლახას მომცეს... [ციციშვილები] სკრის საქმეზედ ... გვტანჯავენ და გვაცოდვილებენ. თითონ რომ ... სამართლით გამტყუნდნენ, ახლა ქართველისშვილი წამოგადავეს (ქსძ, VIII, გვ. 468).

სკრა 1799 – როჭიკაშვილი ნაზირი გლახა ჩიოდა: სკრა საკუთრათ ჩვენია ... და ახლა ციციანი იქ რამდენიმე კომლის კაცს დაობენო... (ქსძ, VI, გვ. 107).

სკურის // სკურის ჭალა. ქართლი

სკურის ჭალა 1642 – [როსტომ მეფემ] წყალობის წიგნი ... გიბოძეთ ... გოგრიშვილს ფაფილასა ... მას ჟამსა, ოდეს თქვენის ბიძაშვილის ბეჟანის კერძს მესხს გლეხებსა და ჩუენგან ბოძებულს ჩუენს სახასოს სკურის ჭალას გუიჯენით... ჩუენც ... გიბოძეთ ბეჟანის კერძი მესხი გლეხები და სკურის ჭალა სრულებით, რაც ჩუენი სახასო სანადიროთ ყოფილიყოს (სს, II, გვ. 154).

სნო // სნოჲ. ხევი

სნო 1439 – იხ. ხევი

სნო 1779 – იხ. სტეფანწმინდა

სნო 1781 – იხ. წკერე

სობისი. შიდა ქართლი

სობისი 1540 – იხ. ზერტი

სობისი 1556-1559 – იხ. კირბალი

სობისი 1717 – იხ. ვარდოვანა

სობისი 1754 – იხ. დილომი

სობისი 1795 ახლო – იხ. აღაიანი

სობისი XVIII ს. მიწ. – იხ. ნიქოზი

სობისი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

სობური რუ. შიდა ქართლი

სობური რუ 1556-1559 – იხ. კირბალი

სოერი 1125 წ. შემდეგ – იხ. ნიკოფსი

სოლთაშის არხი. ქვემო ქართლი

სოლთაშის არხი 1751 – იხ. ახალშენი

სოლოლაკის წყალი. თბილისი

სოლოლაკის წყალი 1756 – ჩვენ, მეფეთ-მეფემან ... თეიმურაზ სოლოლაკის წყლის საქმე მოკითხული ვქენით... ყოველს კვირაში ოთხშაფათსა და ხუთშაფათს დღე და ღამე ციხისა და აბანოებისკენ ზდენიყო... (დთი, I, გვ. 270).

სომანეთი. შიდა ქართლი

სომანეთი 1451 – იხ. ულუმბა

სომანეთი 1633 – იხ. აბისი

სომანეთი 1637 – ჩუენ, მეფეთ-მეფემან ... როსტომ ... თქუენ ... ავალიშვილთ ზაქარიას ... გიბოძეთ ხიდირბუგის მესხებს ორი კუამლი თქუენი მკუიდრი ყმა და ალაგი სამართლიანის სამძღურითა, რისაც მქონებელი სომანეთი ყოფილიყოს... (ქსის, გვ. 141).

სომგულური ვენაჯი. შიდა ქართლი

სომგულური ვენაჯი 1726 – იხ. ბობნავი

სომეხთა უბანი. შიდა ქართლი

სომეხთა უბანი 1448 – იხ. ბაგა

სომეხიანთ ბანი. ქვემო ქართლი

სომეხიანთ ბანი 1751 – იხ. ახალშენი

სომეყთის ჭალა. იმერეთი

სომეყთის ჭალა 1795 – იხ. კაციეთი

სომხითი // სომხეთი. ქვემო ქართლი

სომხითი 1392 – იხ. ტფილისი

სომხითი 1447-1459 – იხ. ყორანთა

სომხითი 1468 – ჩუენ ... ლიხთ-იემერთისა და ლიხთ-იემერისა მეფე-მეფემან ბაგრატ ... [ზაქარია, კახა და ზაზა ჯავახიშვილებს] მათივე მკვიდრი მამული, მათივე ადლითა საქონლითა მათვე მიჰყვიდეთ და დაუმტკიცეთ სომხითს ქვეში, მისითა ციხითა, ბაქითა და მისითა მიმდგომითა, და სოფელი რატევენი, მისითა სამართლიანითა და შესავალ-გასავლითა... (ქსმ, II, გვ. 137).

სომხითი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

სომხითი 1607 – [ლუარსაბ მეფის ბრძანება]: ... ვინ გინდავინ სომხითისა და საბარათაშვილოს მეზალახენი იყუნეთ ... რაც სიონისა ღმრთისმშობლისათუის მამულები არის შეწირული ... საბალახეს ნუ სთხოვთ... (ის, IV, გვ. 4).

სომხითი 1623 – იხ. შუა ბოლნისი

სომხითი 1630 – ... ჩუენ, მეფეთ-მეფემან პატრონმან სუიმონ ... თქუენ ... თულაშვილს ბაკასა ... გიბოძეთ სომხითს მოურავის ნაქონი სოფელი ბერდიკი მისის ... სამზღვრითა... (ქსის, გვ. 83).

სომხითი 1630 – [წყალობის წიგნი მეფე თეიმურაზისა შიო სოლალაშვილისადმი]: ... სომხითს სოფელი ტალავერი ამის წინათ თქუენ გქონებოდა... ჩუენცა გიბოძეთ მითთა, ბარითა, წყლითა ... და მისის მუშტარაშნითა ... სამკუიდროდ და სამამულედ... (სს, II, გვ. 410).

სომხითი 1635 – ... ჩუნ, მეფე-მეფემან პატრონმან როსტომ ... თქუენ ... თუმანიშვილს თაყასა ... გიბოძეთ სომხითს ამომარდნილის რამაზასი და გოჩიას კერძი მამული, რისც მქონებელნი ჯილიზას სოფელში ყოფილან... (ქსის, გვ. 118).

სომხითი 1636 – ... ჩუენ, მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ ... თქუენ ... ყაფარაშვილს ... ზურაბს ... გიბოძეთ სომხითს ყუზანას ნასოფლარი... (ქსის, გვ. 128).

სომხითი 1641 – ... ჩუენ, მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ ... წყალობის წიგნი ... გიბოძეთ თქუენ ... შანშიაშვილს გიორგის... თქუენს სამკვიდროს სომხითს სახუნდრის და ბორის სოფლის წიგნის გაახლეხას დაგუაჯუნით... ჩუენც ესე სოფელი გაგიახლეთ და დავიკვიდრეთ ... სომხითს ბორის სოფელში ორი კომლი გლეხი... (ქსის, გვ. 161).

სომხითი 1645 – ... პატრონმან როსტომ ... დავითიშვილს ... ელიზბარს ... გიბოძეთ სომხითს სოფელი ... მისის მაზრით... (სს, II, გვ. 236).

სომხითი 1645 – მეფე როსტომ სწირავს მცხეთას სომხითს ტალავრის ხეფედ სოფელსა დარბაზს (ქრონ, II, გვ. 456-457).

სომხითი 1651 – ჩუენ ... მეფეთ-მეფემან როსტომ ... წყალობისა წიგნი ... გიბოძეთ თქუენ ... ევჯიბიშვილსა ... დონდარს... პაპა-მამათა ჩუენთა პაპა თქუენი და მამათქუენი ღლორდაღმა აყყარა და სომხითს გარდმოეხსა და ... მეფესა ლუარსაბს და მეფესა ... სვიმონს პაპა-მამათა თქუენთათუის ებოძებინა სომხითს ოხერი ნასოფლარი ყუდრუ, ნასოფლარი შიხობანა. და პა-

პა-მამათა თქუნთა აეშენა და სამკუიდროდ დაგჩომოდა... აგრევე შულავერს ერთი ვენახი მამის თქუნისაგან ნასყიდი, კიდევე მამხუტის თავს ნასყიდი მთის მიწები - ესეები ყოვლის კაცისაგან შემოუსარჩღვლად ხელთა გქონდა... (ქსის, გვ. 224).

სომხითი 1659 - ... ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცი ჩვენ სომხითის მელიქმა ათაბეგ... ასე რომე ქალაქს, მტკერის პირას სასახლე მქონდა, მოხდა ისეთი საქმე, რომ გასასყიდათ მოვინდომეთ. მოგვიდეთ თქვენ ქალაქის მოურავს მანუჩარს, ავიღეთ ფასი სრული რითაც ჩვენი გული შეჯერდებოდა... (ლთი, I, გვ. 23).

სომხითი 1661 - ... ჩვენ, მეფეთ-მეფემან ... შაჰნავაზ ... თქვენ ... ეჯუბაშვილს დონდარასა ... გიბოძეთ სომხითს ნასოფლარი კარასპუორი და ნადვალეთები ... მისის სამართლიანის ... სამღურითა (ქსის, გვ. 294-295).

სომხითი 1661 - ... ჩვენ, მეფეთ-მეფემან შაჰნავაზ ... თქვენ, არღუთაშვილს ებისკოპოსს ტერსარქისს ... სომხითს ირისკოპოზის სოფლის [წიგნი გაგიახლეთ]... თქვენგან აშენებული და ყოვლის კაცისაგან უცილებელი გქონდა ... და ჩუენცა ასრე გადიმკუიდრეთ... (ქსის, გვ. 293).³³

სომხითი 1689 - [წყალობის წიგნი ნაზარალი-ხანისა ბარათაშვილ პაპუნასადმი]: ... სომხითს ზემო წერაქვის წიგნის გაახლებას გვეაჯენით. მოკითხული ვქენით და ამოვარდნილის თაღგამოხისშვილის ნაქონი მამული ყოფილიყო, და თქვენ მოგეცემოდათ... სიგლითა ამით გაგიახლეთ ზემო წერაქვი მისის სამართლიანის სამძღვრითდა... (სს, I, 1920, გვ. 74).

სომხითი 1695 - ... ჩუენ ... მეფეთ-მეფემან ნაზარალიხან ... თქვენ, ორბელიშვილს ასლანბეგს ... გიბოძეთ სომხითს სოფელი ჭიმშური თავისის მთით ბარამდის... (ქსის, გვ. 366).

სომხითი 1697 - ... ჩვენ, მირიმანიძეთა სომხითის ... მელიქმან ბატონმა ავთანდილ ... თქვენ თუმანისშვილს ზურაბ მდივნის შვილს ... მოგვიდეთ ჩვენი სამკუიდრო ... მამული შამირზას ნასოფლარი ... მთლივად და ხელშეუვალად. ერთი სამძღვარი კირაკოზას სოფლის სამძღვრამდის, მეორე გვერდი ლურჯვანქის სამძღვრამდინ, მესამე გვერდი ჩიტალის სამძღვრამდინ და მეოთხე - ბერდიკის სამძღვრამდინ... არის ამის მოწამე ... კაცთაგან: სომხითის აზნაურიშვილი მეჰმანდარბაში აღავედა... შულავერის მამასახლისი რევაზა... (ქსის, გვ. 381).

სომხითი 1701 - ... ჩუენ სომხითის აზნაურშვილმან გოგებაშვილმან, პაპიაშვილმან ფარემუზ ... თქვენ ორბელიშვილს გიორგიშვილთ ... პაპუას ... მოგვიდეთ ... ჩუენი ნასყიდი ვენაჯი... იქეთი გვერდი შუა-ბოლნისისაკენ, ბოლნელის ზვრამდინ... არიან ამისი დამხდურნი და მოწამენი: რევიშვილი, ბონელ ეპისკოპოზი, სომხითის მელიქი ავთანდილ, ქვემო-ბოლნისის მოუ-

³³ სპარსულ ვარიანტშია: „ლორეს ხანანის ეკლესიის ეპისკოპოზი ტერ-სარქისი [მოვიდა ჩვენს წინაშე] ვედრებით, რომ სომხითს დამოკიდებული სოფელი ირის-ქაბუხი ძველიდანვე ... ხსენებული ეკლესიისთვის შეწირულ მამულს წარმოადგენდარ... (ქსის, გვ. 294).

რავი ზურაბიშვილი რევაზ, სომხითის აზნაურშვილი ალავერდა, ქვემო-ბოლნისის მამასახლისი და ერთობით ბოლნისის ჯეობის აზნაურიშვილი და გლეხნი... (სს, II, გვ. 184-185).

სომხითი 1720 ახლო - იხ. თრიალეთი

სომხითი 1749 - იხ. ზემო ქართლი

სომხითი 1770 - იხ. ტფილისი

სომხითი 1774 - დმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს სომხითის ჩარგამაშნელს სიმანგულაშვილს იოსებს... ჩვენ დავით სარდლის ყმანი ვართ და შინდის ხიზნათ გახლდით... რომ მამანქემი და პაპანქემი ჩარგამაშნელი ყაფლანიანთ ყმანი ყოფილან, ჩემთან ბერძნიანთ საქმე არა აქვსთ (ქს, VII, გვ. 268).

სომხითი 1777 - იხ. მუხრანი

სომხითი 1781 - დმერთმან ... დედოფლის ჭირი ზაალ დავითიშვილს მოსცეს. თქვენი წყალობა ერთი პატარა სოფელი მაქვს გოგასა სომხითში, ოფრეთზე ახლო არის. და ამ წყალობას ვითხოვთ ... რომ [მდივანბეგმა] ოფრეთელებისაგან იმ სოფლის სამზღვარი გამირჩიოს რომელთაც იცოდენ... (ქს, VII, გვ. 507).

სომხითი 1789 - [არზა ზაალ დავითიშვილისა]: ... ბედნიერის ხელმწიფე ... ბატონის დროს მამანქემი და ბიძა ჩემები გაიყარნენ. ბადათარ ტატიშვილი თავისის ძმით ბიძანქემს ერგო - ელიზბარის მამასა; და ბატონის გასამყრელთ სომხითში სოფელი გეკონდა, ის მივართვით (ქს, VIII, გვ. 32-33).

სომხითი 1796 - იხ. გოგისოფელი

სომხითი 1797 - იხ. დიდომი

სომხითის მამული 1800-1810 - ... ესე განახლებული წერილი მოგართვით თქვენ ... იოსებ ბარათოვს, მე კეთილმყოფელმან სომხითის მამულისამან რჩეულიძემ ნიკოლოზის ძემ ბილიონ... მამამა ჩემმან ... სოფლისა ჩუშნისა ყიშლადის ერთი ჩარეკი მამული მოგყიდა წერილით, რომელიც არის მეოთხედი სოფლისა ... ყოვლის თავისის შესავლითა... (სს, II, გვ. 548-549).

სომხით-საბარათიანო // სომხით-საბარათაშვილო. ქვემო ქართლი

სომხით-საბარათიანო 1648 - იხ. ქართლი

სომხით-საბარათიანო 1662 - იხ. ქალაქი

სომხით-საბარათიანო XVII ს. II ნახ. - გიბრძანეთ ერთობილხო სომხით-საბარათიანოს სადედოფლოს სახასოს მამასახლისებო! მერმე ჩუენი ბრძანება არის: ერთი სახლისუხუცესის კაცი ყუელგან ჩუენს სახასოს ალაგებში უნდა მოვიდოდეს... (ქს, VI, გვ. 682).

სომხით-საბარათიანო 1696 - იხ. შინდისა

სომხით-საბარათიანო XVIII ს. I ნახ. - ეს დასტურამალი ამა წლის მუსტაჯირებმან ... მოგეცით თქვენ, ყაფლანიანთ ... ქაიხოსროუბეგს... რაც ქალაქს გარდა ქარაევანმა გაიაროს სომხით-საბარათიანოს მამულშიდ და ყიფულის, ასე რომ გატეხილ ხიდიდამ რომ აქეთ ცამოსცილდეს, თუ არაყუ

ლი, თუ ჰადირბეჯანელი, თუ სომეხი, თუ თათარი, თუ თათი, თუ ურუმი და თუ ურუმის ქვეყნიდამ ამ მამულებშიდ ქარავანმა გაიაროს, ამების ბაჟი შენ აიღო... ან მოქალაქე, ან საქართველოს კაცი, ყველასგან აიღო შეუწყენებლივ... ურუმიდამ რომ ჯალაბმან გაიაროს, თუ განჯისკენ თუ ერევანისაკენ, ცხენზე ორი შაური... და ქალაქისკენ მამავალთან ხელი ნუ გაქვსთ... (მსეი, II, გვ. 275-276).

სომხით-საბარათიანო 1783 - იხ. ქართლი

სომხით-საბარათიანო 1792 - იხ. ირაგა

სომხით-საბარათიანო 1793-1795 - იხ. საყაფლანისშივილო

სომხით-საბარათიანო 1797 - იხ. ქართლი

სონისშივილის მამული. არაგვის ხეობა

სონისშივილის მამული 1780 - იხ. არაგვის საერისთაო

სონღალუდი იხ. სოღანლუდი

სორი. რაჭა

სორი 1432 - იხ. ონჭევი

სორმონი. იმერეთი

სორმონი 1603 - ... ჩვენ ... მეფეთ-მეფემან როსტომ... [შემოგწირეთ] სორმონს გლეხი გოგალი გოღათაძე, კანდელაკი და ქელბაქიანი გაგაბრჭევით, ეს გლეხი საყდარსა და ბატონიშივილსა გენათელს დაუდევით სუმონს საუპატიოდ... (დსსს, I, გვ. 36).

სორმონი 1660 ახლო - იხ. ნოღა

სორმონი 1673-1696 - იხ. გელათი

სორმონი 1706 - იხ. ხორგა

სორმონი 1712 - იხ. ხორგა

სორმონი 1733 - იხ. ბარისთავი

სორმონი 1776 - იხ. ბარი

სორმონი 1778 - იხ. ოსომირა

სორღითი // სოღითი. რაჭა

სორღითი 1432 - იხ. ონჭევი

სორღითი 1791 - ... წმიდალ ... გიორგი... მე ... ერისთავის ძესა პეტრეს ... მწადდა მსახურებად მონასტრისა, რომელ არს ჯრუჭი... შემოგწირე ... სოღითს ერთი გლეხი საბანაძე ... მამულ-ადგილით... შევსწირეთ მონასტერსა შენსა, რომელ არს ჭრუჭი, ბარს მოსახლე ფონხიძე ... მათის ადგილითა... არის ამისი ... მოწამე კვარის მოურავი ბერი... (მსეი, 31, გვ. 185-186).

სოსანი

სოსანი XVIII ს. II ნახ.* - სოსანელმან ავღანდილამ ბორჩაღუელს უჩივლა (სამდ. გვ. 57).

სოსმალე. შიდა ქართლი

სოსმალი XV ხ. I ნახ. – იხ. სამთავისი

სოფიაწმინდის ეკლესია // სოფიაწმინდის საყდარი // სოფიაწმინდის სასახლე, იმერეთი

სოფიაწმინდის ეკლესია 1525-1550 – იხ. ბიჭვინტა

სოფიაწმინდის ეკლესია 1621 – იხ. ბარი

სოფიაწმინდის ეკლესია 1673-1696 – იხ. გელათი

სოფიაწმინდის ეკლესია 1776 – იხ. ბარი

სოღალაშენი – იხ. საღოლაშენი

სოღანლული // სონდალული // სოღალული // სოღანლუხი. ქვემო ქართლი

სოღანლული 1778 – ღმერთიან ... ხელმწიფის ძის ჭირი მოსცეს თქვენს ყმას მელიქას შაქროას. ერთი კომლი კაცი მახლავს ჩემი სოღალუხს ორნი ძმანი – გასპარა და თუნია... უბრალთ არავინ არ გასარჯოს ან ბეგარაზედა ან სხვაფრივ ჩემო მოწყალევე (ქსძ, VII, გვ. 406).

სოღანლული 1779 – ღმერთიან ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ჭირი მდივანბევის მზეჭაბუკის ყმას სააკას მოსცეს. სოღალუხში ვდგავარ, ბაიდარში ბანბის სახნავად ჩავედი (ქსძ, VII, გვ. 435-436).

სოღანლული 1781 – იხ. ერეკლეს ციხე

სოღანლული 1786 – ღმერთიან ... ხელმწიფის ჭირი რევაზ მოურავის ყმას წნორიაშვილს გიორგის მოსცეს. პირველად რომ სოღალულს აშენებდით, მაშინ სასახლე სხვას კაცზედ მქონდა გაცლილი. ქაიხოსრო მდივანბევის ყმა მოვიდა, იმ კაცს შამქალა, რაც იმას მიწა მოეცა, იმდონი მიწა მომცა... (ქსძ, VII, გვ. 678).

სოღანლული 1791 – იხ. დიდოში

სოღანლული 1800 – ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი სოღალაშვილის იასეს და იოსებისაგან... სოღანლუხიდან რომ დიდი არხი არის აღებული და კიდევ პატარა არხი, მტკვრის პირზედ მოხვეული ჭალა საყაზახოს გზის ქვემოთ სულ ჩვენი არის მტკვრის პირიდან თავის საწყლისპიროთი... (ქსძ, VIII, გვ. 676-677).

სოღითი – იხ. სორღითი

სოღმანაური. შიდა ქართლი (?)

სოღმანაური 1703 – იხ. საჭე

სოღროანთ უბანი. თბილისი

სოღროანთ უბანი 1699 – ... ჩვენა, ალაბაბაშვილის რამაზას შვილმან აღიჰქეპბარმან ... თქვენ, ფარყულანთ ნაზარას შვილსა გიორგისა ... [მოგიყდე] ჩემისა მამისა და პაპისა ჩვენისა აშენებული ... ბალი და მკვიდრი სახლ-კარი სოღროანთ უბანში გალაკანს მოკიდებოთა... ქალაქის მოხელეები და ქეთხუდები წავასხით, თათარიცა და სომეხიცა, ვაჩვენეთ და გავასინჯვიეთ (ღთი, I, გვ. 60).

სოხასტერი. იმერეთი

სოხასტერი 1783 – ... აფხაზ-იმერთა მეფემან ... სოლომონ ... მივიღეთ ივერთა მეფობად და ... ვიწყეთ წმიდათა ეკკლესიათა გლეხთა და მამულთა ძიება და ვისაც მძლავრებით მიეტაცა ყოველივე ... წმიდას ეკკლესიას მიუძღვანე... ვიხილე მამისა ჩემისა სიგელი და ყვავ ძიება [გელათის] სოხასტრის გლეხის და მამულის... არგვეთს პარტახი და ადგილები ამოვიღეთ და ამ ზედა ბევრის მსგავსად გარდაიხდიდეს, ვინც დაესახლოს... გელათს მოჯალბატები სახლობან პატარიძენი და ... მსახურონ წინამძღვარს... (დსსს, II, გვ. 78-80).

სრესი. შიდა ქართლი

სრესი 1771 – იხ. მეჯვრისხევი

სრის სოფელი. ქვემო ქართლი

სრის სოფელი 1782 – იხ. ქალაქი

სტაფი. კახეთი

სტაფი 1579 – იხ. მცხეთა

სტეფანწმინდა. ხევი

სტეფანწმინდა 1439 – იხ. ხევი

სტეფანწმინდა 1779 – ... ჩოფიკას-შვილის სახელოს სტეფანწმიდიდამ ცხვარი ია... ცნობამ ცხვარი სამი. გერგეტეიდამ ცხვარი შვიდი... შუახევსაფან-შეთიდამ ცხვარი ოთხი... გაიბოტელთ ცხვარი ე, ტყარშეთიდან ცხვარი გ... გორის ციხიდამ ცხვარი იბ... თხელშიდამ³⁴ ცხვარი ვ, ქურთიდამ ცხვარი თ... ყანობიდამ ცხვარი ია... გარბანიდამ ცხვარი ე... კოპიდამ ცხვარი იდ... სნოდამ საკიდელი ა... ჩხოტიდამ ცხვარი ე... გუდამაყრიდამ ცხვარი ჰა... ქართლისა ცხვარი კთ... ხანდოსი... (მსეი, III, გვ. 65-66).

სტეფანწმინდა 1781 – იხ. წკერე

სტეფანწმინდა 1783 – [ერეკლე II-ის წერილი პ. პოტიომკინისადმი] სტეფანწმინდას აქეთის გზის გაკეთება რომ ჩუწნოვს მოგეწერათ, ეს ჩუწნი გასაკეთებელი არის. მუშა დაყენებული გვეყვანდა, ... ახალციხის ფაშის ამბავი ასე მოგეხსენოს: ... თავისთან რომ ლეკები ჰყავს, ხუთჯერ ქურდულად ჩუწნ ქვეყანაში მოვიდნენ და ტყვეები მოეპარათ. ორჯერ ჩუწნი კაცნი მოეწივნენ ახალციხის სამზღუართან (МИТСВГ, I, გვ. 92-93).

სტეფანწმინდა 1783 – იხ. ყაზბეგი

სტეფანწმინდა 1784 – იხ. ტფილისი

სტეფანწმინდა 1793 – ბატონიშვილი ვახტანგ გიბრძანებ ერთობით ხევის მოხელეებო და ერთობით მოხვეწეო! ჩვენ ღმერთის მოწყალებით, ახლა ასე განვაწესეთ და ასე დავსდევით ბინა: აქედამ რომ სოფდაგარი ამოვიდეს და სტეთანწმინდას მოვა, ამისი ქირა გადაგკვეთეთ ზაფხულისა, რომ ხადელთ უნდა მოიტანონ მანდამდი და ქირას ესენი აიღებენ. და სტეფანწმიდიდამ ნიშამდი სტეფანელთა და გერგეტელთ უნდა წაიღონ და ქირა

³⁴ ფხელშე

ცხრა აბაზი მიეცემაც. მაგრამ ცხენი, რომელიც სოვდაგარს უნდა, იმის ცხენს აკიდებს, ვერავინ დაუშლის. და იქილამ მომავალი ქარავანი რომ მოვიდეს, კიდევ ნიშიდამ სტეფანწმიდამი კიდევ უნდა ამათვე მოიტანონ. და სტეფანწმიდამი მოხვევთ აკიდონ, ვისაც სოვდაგარი შეჯვრდეს და კაიშაურთ კარს მოტანონ ზაფხულისა. და ქირა სამი მინალთუნი გამოართონ, მეტის გემორთმევა არ იქნება და ზამთარს სტეფანწმიდამი კოპამდი და კოპილამ სტეფანწმიდამი ქირა ექუსი აბაზი არის მივისაცა და მოვისაცა... და ჩოფიკაანთ და ჭილაშვილი რომ საყონალოს იღებენ და კიდევ ხიდებზე რომ პერანგებს ართმევენ, აღარც იმისი აღება იქნება (ქსბ, VIII, გვ. 922-923).

სტეფანწმინდა 1800 - [წერილი გიორგი XII-ისა მიშკარბაშ იოსებთან: ... თითონ შენვე აქ იყავ და კარგად იცი, რომ იმ ჟამად თათულა აქიმი სტეფანწმინდას გარსევან ეშოკალაბაშთან იყო... (სს, III, გვ. 85).

სტკოცა - იხ. ტკოცა

სუანეთი - იხ. სვანეთი

სუბეში // სუბეშიში // სუბეშიში. ოდიში

სუბეში 1525-1550 - იხ. ბიჭვინტა

სუბეში 1611-1657 - ... ქორიასაგან მიშოვნია და ერთი კვამლი კაცი სუბეშის დამისახლებია... ამილახორისაგან მიშოვრია ხარაიძე და ხიბულას დამისახლებია... ხიბულას საღარო არ იყო, ნაციხვარი საღარო და სასახლე გამიკეთებია... მოგასხენეთ, ხოიარს სასახლე არ იყო ... [და] ჩემის ალაღის თეთრით მიყიდნია... ერთი მოსახლე კაცი სურჯინი ამილახორისაგან მიშოვნია და თიღითს დამისახლებია, და შემომიწირავს... ჯიქთუბანს სასახლე არ იყო და გამიკეთებია და ისრე გაკეთებული შამომიწირავს... (სს, I, 1920, გვ. 34).

სუბეში 1616-1639 - იხ. ხაუჟელი

სუგუჩანი. ქვემო ქართლი

სუგუჩანი XVII ს. II ნახ. - იხ. წრაუთი

სუენეთი იხ. სვენეთი

სულგედიანი. ქვემო ქართლი

სულგედიანი 1537-1538 - იხ. დმანისის ციხე

სულემიანას იათალი. კახეთი

სულემიანას იათალი 1697 - იხ. ბერთუბანი

სუელნეთი - იხ. სველნეთი

სულიაური ვენაკი. კახეთი

სულიაური ვენაკი 1477 - იხ. მცხეთა

სულუტი. ქვემო ქართლი

სულუტი 1537-1538 - იხ. დმანისის ციხე

სუნბიანი. შიდა ქართლი

სუნბიანი 1669 – იხ. წილკანი

სურამი. შიდა ქართლი

სურამი 1568 – ... პაატა და მისნი შვილნი და რძალნი შვილნი სულნი ... ჩვენ, დადანიძეთ დავიხსენით და ვიყიდნეთ და აქ, სურამის დასახლებასა გვეძლოდენ, მაგრამე ჩვენ თქვენ ... ქვათაჯვეისა ღმრთისმშობელსა ვაჩინეთ კავთისჯვეს და შემოგწირეთ... პატატი და მისნი შვილნი და მომავალნი... ამა პირსა ზედა, რომე ქრისტეშობის წინა დღესა ... ქვათაჯვეს ... ჩვენთვის კარგადებულსა ალაპსა გარდაივდიდნენ... (იხ, II, გვ. 46).

სურამი XVI ს. მიწ. – [იტრიის ეკლესიის გუჯარი]: ... ქართლისა კათალიკოზ-პატრიარქმან დორეთეოზ ... დაევენუკე მეფეთ-მეფესა გიორგის, მოგვბოძა და მოგვეყიდა სურამის პირსა სოფელი ნიტრია დიდის ფასითა, აზნაურნი იქ მსახლობელნი, მარგუელაშვილნი, დეკანოზნი, ერთი კვამლი ზამთარაძე, ერთი კვამლი კიკნაძე, ერთი საგლეხო ძაბირაული, ერთი საგლეხო ქინთრეული, გლეხნი დავასახლე ზედა... ყოვლად წმიდის ეკლესია იყო დაქცეული... აღვაშენე მონასტერი ესე კარგი, სახელსა ზედა სიონისასა, დიდი და პატოსანი... საფუძველი რომ ჩავსხენ, მოვიდა ... შაჰთამაზ-ყენი ... [და] ამოსწვეტა და ააოჭრა ქართლის ქუეყანა. ეს ყუალაი მეფობასა ... ლუარსაფისსა. განგრძელდა გულისწყრომა ... მისი ოც წელ საქართველო ზედა... ასეთს დროს ვაშენეთ მონასტერი ესე დიდის ჭირითა და რუდუნებითა... და მოვიდა მეფეთ-მეფე ბატონი სუმიონ ტყვეობიდაღმან. ცოტაოდენი საფასე მაინც გაუჩინა მონასტერსა... მოვიდეს კიდევ ურუმნი... ჩემი ეკლესია დამიწვეს და სოფელი ამოოჭრეს... მივჰყავ ცელი და აღვასრულე ეკლესია შენობითა. დავასვენე ხატი ყოვლად წმიდისა სიონისა ღმრთისმშობელი... კიდევ შეესწირე ზინდისი, გიორგის მეფისაგან მოსყიდული ძვირფასად ... მისით მიწა-წყლითა, წისქვილითა და სამართლიანის მზღვრითა. კიდევ სურამს შემიწირავს ისიც გიორგის მეფისაგან მოსყიდული [ყმა-მამული]... კიდევ ჯინჯარაული და წურაული ზუარი, ზოგი აშენებული იყო და ზოგი მე ავაშენე. კიდევ სამი ხოდაბუნნი მიწანი ოსიაურს, გასამძღვრული არის ნატბევი; კიდევ ნასყიდი მიწები შუაველას ერთი ხოდაბუნი, ეს ყუალა გიორგი მეფისაგან მოსყიდული... გარდაჰკვდეს ჟამნი რაოდენნიმე, ბატონი გამოეცვალა სურამსა. მოვიდა მეფეთ-მეფის ბატონის სვიმონის პირმშო ძე... მათცა დავენუკე მამულსა, რათამცა შეეწირეს ნიტრიას მონასტრისა და სიონისა ღმრთისმშობელისათვის. ისმინა აჯა და ... შესწირა [ყმა-მამული] ... კუართისას ბაწუნწელაშვილი დავთიანი საზვერლისეულის მამულითა [და სხვ.]... კიდევ ზე-სურამს ... შიშნაშვილი ბეჟიტა მისი ღვინიასეულის მამულითა [და სხვ.]... შინდარას სვიმონა ... ბუილაურის მამულითა... მარგუელაშვილი ზარასპი ... მესხიურის მამულითა მთლად [და სხვ.], ოსეურს... ძელბეგინას... ცეღანს... წიფას... ვანს... (ქსმ, III, გვ. 353-356).

სურამი 1644-1645 – ... ჩუენ ... მეფემან როსტომ, თქუნენ... შამბულიძეს გიორგის ... ვიბოძეთ სურამს ტორაძის ვედრიასეული მამული სამართლიანის სამძღვრითა, ზეით ვაცის წვერიანად... (ქსის, გვ. 189).

სურამი 1645 - იხ. ჩუმათელეთი

სურამი 1688 - [პაპუასი და თევდორე კევხიშვილის მორიგების წიგნის მოწმენი]: სურამისა ნაცვალი, მამასახლისი აიღინა, ნაცვალი იონათამ, აბაზაძე ზაალ, ერთპირთ სულ გორელნი, შინდისელნი და სურამელნი, სომეხნი, ქართველნი და ისრაელნი (ქსბ, VI, გვ. 601).

სურამი 1693 - იხ. შინდარა

სურამი 1703 - ჩვენ, ბატონიშვილმან, პატრონმა ვახტანგ, შევსწირეთ ჩვენის სულის საოხად ყოვლის წელიწადს სურამის საბაჟოდამ ხუთი ლიტრა სანთელი წმინდის დავითის საფლაგისთვინ (ქემეის, გვ. 15).

სურამი 1709 - იხ. იმერეთი

სურამი 1720 ახლო - იხ. თრიალეთი

სურამი 1723 - იხ. ზემო მხარი

სურამი 1730 - [მამულის გირავენობის წიგნში]: ... მე ... მამუკამა ... შენ, ჩემს ბიძაშვილს მურვანსა ... სურამს თუ რამ ჩვენი წილი იყო გაუსყიდველი, ესეები ... მოგეცე გირაოთ... (დსსი, I, გვ. 231).

სურამი 1730 - იხ. ბიჯნისი

სურამი 1747-1749 - იხ. ძამის ციხე

სურამი XVIII ს. I ნახ. - იხ. ახალქალაქი

სურამი 1751 - იხ. ახალციხე

სურამი 1752 - საქართველოს პატრიარქის ... ანტონის კეთილად სახსენებლო მურვანიშვილო მურვან! მერე, სურამს ჩვენი ყმა ვინცავინ იყოს ქართველი, სომეხი თუ ურია, ყველა შენთვის მოგვიბარებია... (ქსბ, III, გვ. 828).

სურამი 1761 - [არზა ზაალ დავითაშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ... ხომ მოგესხენება, ჩვენს მამულში ცეცხლი აღარ ანთია, აღარც ყმა დაგვრჩომია, რაც ლეკს მაურჩა, დაიფანტნენ. ერთი კაცი მყვანდა სურამს, ისიც ხომ დამეკარგა, აღარავინ მყავს... საცა ჩემი კაცი იყოს ამ კახეთში, ამისი წყალობა მიყავით, რომ აყვარო... ორი კომლი ველისციხეს არის, ანაშეშვილი სიხარულო აქ თელავს არის. ხოტარიშვილი ხთისია გრემს არის. ვარძიელიშვილი გავაზს არის. კბილაშვილი ურიათუბანს არის... ჯოხაძე, თვედორაძე და იმისი ძმა ჩუმდაყს არის, ჭავჭავაძე გიორგი ვეჯინს არის. ხუციშვილი საგარეჯოს არის. ელისაშვილი პატარძელულებთან არის... ხუციშვილი ბიძა გიორგი აწყურს... (ქსბ, VII, გვ. 43-44).

სურამი 1767 - ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს სურამელს სამეფო აბაზაძე ზედგინს. მერეთ იმერეთს ხიზნათ გახლდით. თქვენის ოქმით მუც სურამს გიახელ... ერთი ჩემი ნაყიდი ქიფინისხეგს გახლავსთ და ორიც სხუაგან გახლავს... (ქსბ, VII, გვ. 127).

სურამი 1767 - იხ. რუისი

სურამი 1769 - იხ. დუშეთი

სურამი 1770 - [ერეკლე II-ის წერილი მოურავოვისადმი]: ... ჩვენს კაცს ვატანთ და ქართლის სოფლებში პური იყიდოს... სურამში პური არ იშოფე

ბა... მისმა ბრწყინვალეობამ ახალციხეს წასაყვანათ ჩვენ ჯერ სამასი კაცი გვთხოვა და მერე ხუთასი... ვიცოდით, ცოტა კაცით ახალციხეს არა გარიგებოდა-რა ... და რადგან ეს სარწმუნოთ ვიცოდით, რომ მტრის მამულში პურს ბევრს ვიშოვნიდით, ამიტომ ჩვენს ჯარს თხუთმეტის დღის პური მივეცით. დღეს თვრამეტი დღე არის სურამის ბოლოს მისის ღრაფობის ბრწყინვალეობას შევეყარებით... (მრსუი, III/1, გვ. 557).

სურამი 1771 - იხ. სამცხეთო

სურამი 1771 - იხ. უთხვა

სურამი 1771 - იხ. ქვემო ქართლი

სურამი 1771 - იხ. ხეფინისხევი

სურამი 1772 - ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს მოქალაქე ... მემამუე ფარსადანას ქვრივსა და ობლებს... ჩემს მამამთილს პოლოხას სურამს წისქვილი, ვენახი და სახნავი მიწები უყიდნია და იქ ყოფილა და იმ მამულე-ბით რჩომილა; სურამს მომკუდარა. ჩემი პატრონი პატარა დარჩომილა, ქალაქში გაზდილა, ხელობა უსწავლია და სოფლად აღარ წასულა; ეს ოცდაათი წელიწადია ჩვენი წისქვილი, ვენახი თუ მიწები ჩვენს მეზობელს კაკონაშვილს ფარსადანს უჭირავს და ისი ჭამს... (ქსმ, VII, გვ. 213-214).

სურამი 1772 - [ოქმი ერეკლე II-ისა]: ჩვენი ბძანება არის სურამის მოურავო მურვანიშვილო იესე მამასახლისო და სურამში ვინცა ვინ უფროსნი კაცნი ხართ. მერმე ამ არხით, რომ მოუხსენებია, თუ ურიების რიგით და სამართლით ამას წილი მიეცემოდეს რამე, თავისი ძმის წილიდამ მოეცით... (ქსმ, VII, გვ. 220).

სურამი 1774 - ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს სურამელს სახასოს ჯობაძე თომას. ამ მაისში ლეკებს დაეხვდით. ერთი ლეკი მე დავიჭირე და ორი ლეკი სოფელმა დაიჭირეს. ერთი მანაბელმა აიყვანა და მეორე კიდევ მანაბელმა და სურამის მოურავმა აიყვანეს (ქსმ, VII, გვ. 258-259).

სურამი 1776 - ღმერთმან ... ხელმწიფის ძის იულიონის და ვახტანგის ჭირი მოსცეს სურამელს მათს ყმას ჰურია ბინიას. სურამელს შუდარაშვილს გოდერძის თექვენთვის მიუხსენებია, რომ ბინიას ჩემი მამული... უჭირავსო. მაგრამ მოწმე ბევრი მყავს, რომ ნასყიდი მაქვს მამული... (ქსმ, VII, გვ. 349-350).

სურამი 1778 - ... ბატონიშვილი იულიონ და ვახტანგ გიბძანებთ სურამის მოურავო მურვანიშვილო იესე! მერე აბაზაძეებს ელენე დედოფლის წყალობის წიგნი აქვსთ და ბატონის დედოფლის დედის ჩვენისაგანაც დამტკიცებული არის აღაბეგაშვილი და კვახიაშვილი იმ სიგელში შიგ უწერიათ... და რაც იმ მამულის გამოსაყალი ყოფილიყოს, ისიც გამოურთვი და ამ აბაზაძეს მოაბარე... (ქსმ, VII, გვ. 391).

სურამი 1778 - იხ. ახალციხე

სურამი 1779 - ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს რვაზ გედევანიშვილის ქვრივსა ... თინათინს. ჩემი მეუღლე და ზაად მახვილაძე ძმაშვიცი იუნენ. სურამს რომ გივი ამილახორი იყო, გივის ამილახვარის სიტყვით ძმათ

შეიყარნენ... ქურთში ერთი მამული საცა მოგვეწონოს, იქ ვიყიდოთ და ავაშენოთ. მივიდნენ, აბისი, დიად, მოეწონათ, რამინ ამირეჯობისაგან იყიდეს... მასუკან გივი ამილახვარი რომ მიიცვალა ... დემეტრე ამილახვარი შეიღმა აგყვარა და ცხინვალს მოგვიყვანა... (ქსმ, VII, გვ. 438-439).

სურამი 1779 - ... [აბაზაძეები] წაიყვანე სურამს წმინდის გიორგის ურთხვის ზედა უნდა დაეფიცნათ, მიიყვანე დასაფიცებლად ივანე და იმისმა შეიღმა იქ აღარ დააფიცა. მერე ივანე და მისმა შეიღმა დავითმა უთხრეს: ქრცხინვალს წავიდეთ და ატოცის წმ. გიორგის კარს მოვიდეთ... მოვიყვანე ქრცხინვალს წმინდის გიორგის კარზედა... დაფიცება ვეღარ გაბედა... მე ატოცის დეკანოზი ზებედე ამ წერილის მოწამე დამსწრე ვარ... (სს, I, 1899, გვ. 317).

სურამი 1779 - იხ. ხეფინისხევი

სურამი 1783 - მისის სიმაღლისათვის მურვანისშვილს ლუარსაბს არზა მიერთმევენა და სურამის მამასახლისისათვის ეჩივლა რომ: თქვენმა შეიღმა იულიონ ოქმი გვიბოძა ხიდირბეგისშვილს მამუკას და მე, რომ: სურამის მოურაო ბერო ფალავანდიშვილო! როგორც აქამდის ამათი ხნულები ამათავ ყმებს დაუთესიათ და დაუფარცხავთ, ისევ დააფარცხენიეო, მამასახლისმა ფარეხი გამოგვიგდო, დათესილი ხნული არ დააფარცხენიო... (ქსმ, V, გვ. 207-208).

სურამი 1783 - იხ. ატენის წყალი

სურამი 1783 - იხ. ზემო ქართლი

სურამი 1784 - იხ. ზემო ქართლი

სურამი 1784 - იხ. სატივე

სურამი 1785 - ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მომცეს ... ბერუა ქურდაძეს... მე ბერი მაჭავარიანის ნასყიდი კაცი ვიყავი, მანამ საჩხვიძოში შენობა იყო, ის მაჭავარიანიც იქ ესახლა და მეც იმას ვემსახურებოდი, როდესაც აირია ქვეყანა, მაჭავარიანი იმერეთს წავიდა. მე სურამს დავრჩი და ჩხეიძეები მამსახურებდნენ... შარშან რომ ვახანს ჯარი შემოადგა, თქვენი ბძანებაც იყო, დაეხიზნენით. მე ქართლში ჩამოველ... რა ვქნა, შენი ქვეყანა ეს არის, ან ქართლში უნდა ვიყო ან კახეთში (ქსმ, VII, გვ. 670-671).

სურამი 1787 - იხ. ზემო ქართლი

სურამი 1787 - იხ. ქართლი

სურამი 1787 ახლო - იხ. მეღვრეკისი

სურამი 1789 - [იულიონ ბატონიშვილის წერილი მიშკარბაშ იოსებს]: ... ბატონიც სურამს ბძანდება. ამ თარიღში ამ საბრალლო ყალბჩელი სომხების წახდენას ხომ შენც გაიგონებდი... როგორც შენ მოგეწერა, იმისთანა ოქმი მომიწერია მანდ მყოფთ ვახახელთათვის და შენ უჩვენე... (სს, III, გვ. 53).

სურამი 1789 - [დავით ბატონიშვილის წერილი იოსებ მიშკარბაშისადმი]: ... გუშინ სურამიდან კაცი მოვიდა, იმან თქვა ტყვის ბარობაზედ ლეკის ბეღადები ყოფილიყვნენ, იმათ უთქვამსთ: ფაშას ვითემ ყაფილდარქეს პირით

აჭარიდამ და ლიენიდამ³⁵ ჯარი დაებარებინოს და ლეკის ჯარსაც დიდს თურმე აელეს (სს, III, გვ. 51).

სურამი 1789 – იხ. აბისი

სურამი 1789 – იხ. გორი

სურამი 1791 – ... ოპანეზა [ვაფაკერაშვილი] სოლომანს მეითარს [თარხნიშვილს] ასე უპასუხებდა: პაპაშენმა მამანქემი ახალციხეს გაყიდაო. იქ ცოლი შეირთო. წამოსულა, ქართლში თავის ძმას არუთინასთან მოვიდა... ამ ბარობაზედ ბიძანქემიცა და მამანქემიცა თავეთის ხიზნით აიყარნენ და სურამს მივიდნენ... (ქსძ, V, გვ. 547).

სურამი 1791 – იხ. სიღნაღი

სურამი 1792 – იხ. გორი

სურამი 1792 – იხ. ხერთვისი

სურამი 1793 – [არზა მურგანიშვილებისა]: როდესაც ჩვენი მამა-პაპანი სურამს გხლებიან, იმ დღიდან იმ ჩვენს მამა-პაპათ დამლაწაშვილისაგან მამულიც უყიდნიათ, სასაფლაო და საყდარიცა... (ქსძ, VIII, გვ. 185).

სურამი 1793 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი სურამიდან ფონელებს ნოზაძეებს მოგვცეს... ძველთაგან თქვენი სახასონი ყმანი ვახლავართ, ჩვენი გვარის კაცი სამოცდახუთი კომლი ვახლავართ, ათი კომლი სურამში და ქართლში ვახლავართ, სხვა იმერეთსა და ოსმალეთში არიან დაფანტული. ჩვენი გვარის კაცი მეფე ვახტანგს ჩხვიძებისათვის მოუბარებივართ... დღეს ასე გაგვიჭირდა ჩხვიძებისაგან, რომ დაკარგვის მეტი ღონე არა გვაქვს. მოგეხსენებათ, სურამი, ხეფინისხევი და ფონა ერთი ბატონის ყმა ყოფილა სახასოთ (ქსძ, VIII, გვ. 264).

სურამი 1794 – ... ჩხვიძეებს ეს მაღრაძე დავით სურამში დაუჭერიათ და ბევრიც უციათ და ის [სასამართლო] წერილებით წაურთმევიათ... (ქსძ, V, გვ. 637).

სურამი 1794 – იხ. ოსიაური

სურამი 1794 – იხ. წიქარაული

სურამი 1795 – ... მე, სურამელმა სახასო ყაზარაშვილმა ბენია ურიამა თქვენ, აბაშიძე გიორგისა ... მოგვიდე... ტუკაძისეული ვენახი (იდხემ, გვ. 207).

სურამი 1797 – იხ. ფცა

სურამი 1798 – [ერეკლე II-ს] სახარება ფირუხით და სხვა თვით მოჭედილი ... ბატონის დედოფლისათვის უბოძებია სურამს მოყვანაში... (მსეი, III, გვ. 278).

³⁵ ლიკანია თუ ნიგალი???

სურამი 1798 - ... მანაშერას შვილების აღიღათი რომ გებრძანებინა ... ამათი საქმე ასე იყო. ძველთაგან სვეტიცხოვლის ყმა ყოფილან. ავის დროს მიუხეზით აყრილან და სურამს ხიზნათ მოსულან... (იღსეშ, გვ. 210).

სურამი 1798 - იხ. ბრეთი

სურამი 1799 - [ბრძანება გიორგი XII-ისა]: ... მერე ეს ხიდირბეგის შვილი მამუკა სამეფო თავადის შვილი არის... აგრევე სურამის მოხელეებმაც ასე უნდა იცოდნენ, რომ ამის ყმასთან შესაწერათა და გამოსართმეველათ საქმე არავისა აქეს, მოხელეებმაც ასე იცოდნენ და სურამელთაცა (სს, III, გვ. 182).

სურამი 1799 - იხ. აღი

სურამი 1799 - იხ. თელავი

სურამი 1799 - იხ. ოსიაური

სურამი 1800 - [ბრძანება დავით ბატონიშვილისა]: ... ბატონს სურამის და ხეფინისხევის მოურავნო, აბაშიძეებო ევგენ და დავით, მერმეთ როგორც რივი იყოს და ჩვენი შესამატი, სურამის ბაქს, სამღებროს, და ეგრეთვე ხეფინის-ხევის სამღებროს თქვენ უნდა გაცემდეთ და ჩვენ მოგუართმევედეთ. ჩვენი შემოსავალიდამ ათის თავს თქვენ აიღებდით... (მსეი, II, გვ. 252).

სურამი 1800 - ხიდირბეგის შვილს ნინიას სურამელი თავისი ყმები ურიანი ... სვეტიცხოვლის ყმობით ედავებოდნენ... ხიდირბეგი შვილს ნინიას ... მეფის ვახტანგის დავთარი მიერთმია, რომელშიაც ამ მოჩივართ ურიათ ... სახელები სურამში ხიდირბეგის-შვილის ყმად ეწერა... ურიანი ამბობდნენ: ამ მეფის ვახტანგის დავთარში რომ მანაშერა ურია ხიდირბეგის შვილის ყმად სწერია, ჩვენ იმისი შვილები ვართ, ცხინვალიდამ ავიყარენით, სურამს ხიზნად მოვედით და მძღაერებით ყმად დაგვიჭირეს და ხიზნის შვილებად დავთარში დაგვწერესო... ახალდაბელმა ურიამ ისაკამ მოგვასხენა მოსამართლეთ: დედოფალთან საჩელი გვქონდა და განაჩენით ლეჩხუმელთ ურიათ შეგდებული მოფიცარი დაედვათო (ქსბ, VI, გვ. 211-212).

სურამი 1800 - [არზა დიმიტრი ციციშვილისა დავით ბატონიშვილისადმი]: სურამს ერთი ვენახი ჩემგან მაქვს და ჩხვიძის ბუში გახლდათ ჩემთან და ის ვენახი ჩემგან აქვს მიცემული... ახლა ამ წყალობას ვითხოვ ... ის ჩემი ვენახი მე დამანებოს... (ქსბ, VIII, გვ. 663).

სურამი XVIII ს. მიწ. - [ნამოთველილია კოდის პურის გადამხდლი შემდეგი სოფლები]: სურამი, ხაშური, ჭალა, ბეკამი, ოსიაური, მოხისი, აბისი, ბრეძა, აველევი, ატოცი, თიღვა, ძალინა, ნული, ავნევი, დვანი, ძველეთი (?), დირბი, ბრეთი, სალოლაშენი, არადეთი, რუისი, ურბნისი, ტინისხიდი, გორი, ახალდაბა, აშენდა, ლელისთავი, ვარიანი, საქაშეთი, ყელქცეულა, შინდისი, ფხვენისი, ზემო ნიქოზი, ქვემო ნიქოზი, ქვემო ხვითი, ზემო ხვითი, ცხილვანი, აღმა, დგვრისი, თამარაშენი, აჩაბეთი, კეხვი, ქურთა, ტბეთი, სვერი, ქემერტი, ძარწევი, ხვითი, მელვრიკისი, ერგნეთი, ბროწლეთი, ქირმნისი, ვერგვი, დიცი, ფრისი, არგვეთი, ერედვი, ქორდი, არბო, კარბი, აწერისხევი, ბელოთი, საცხენისი, ვანათი, ჭარები, ქსუისი, ზარდიანთკარი, მერეთი,

კულბითი, არცვეი, ფლავი, ფლავისმანი, ჯარიაშენი, იკოთი, აძვი, ახალუბანი, მეჯვრისხევი, სათემო, ქიწინისი, ტყვიავი, მარანა, შერთული, ძევერა, კარაღეთი, დიდი გარეჯვარი, პატარა გარეჯვარი, თორტიზა, რეხა, ბერბუჯი, სვენეთი, ახალსოფელი, უფლისციხე, ხელთუბანი, კვარხითი, ახრისი, ზერტი, კირბალი, სობისი, ბერშეთი, ჭალა, საკორინთლო, სამთავისი, ბოლი, კასპი, მოხისი, ოქონა, ტეზერი, ცხრა მუხა, ფცა, ზინდისი, იტრია, ქერე, გუჯაბაური, წვერი (მსეი, III, გვ. 135-138).

სურამი XVIII ს. მიწ. — იხ. ნიქოზი

სურამის ციხე. შიდა ქართლი

სურამის ციხე 1761 — იხ. ტბეთი

სურამის ციხე 1781 — იხ. ტბეთი

სურამის ციხე 1785 — [წერილი ერეკლე II-ისა ნიკოლოზ მდივანბეგისადმი]: ათი დღე აქ გორს ვიყავით, ნიადაგ მოგელოდით, არ ჩამოხველ და არა გვნახე... ახლა სურამის მოურავისა გვესმა, რომ სურამის ციხეში აღარ უშვებ და დაგითხოვინა; შენ მაგ ციხეში სულობით საქმე არა გაქვს რა. მაგ ციხიდან უნდა გამოხვიდე. მამულეები გაქვს და თქვენს მამულში, საცა გინდოდეს, მიბძანდი და დადგე... თუ გეპრიანება ჩვენთან ყოფნა, ქალაქს ჩამოდი და ჩვენთან იქ გასძელ შენის სახელოთი და შენის მამულით (სს, III, გვ. 171).

სურამის ციხე 1791 — იხ. ტფილისი

სურამის ციხე 1797 — [იულიონ ბატონიშვილის წერილი დარეჯან დედოფლისადმი]: ... ჩვენ აქ გორს, რომ მოვედით, ჩვენს ძმას ფარნაოზს წიგნი მივსწერეთ და დავიბარეთ, მოვიდა აქ გორს და ერთად შევიყარებით... ურჩივთ სურამის ციხეზედ ჳელის აღება და მანდ თქვენთან ხლება... დასასრულს ასე ეთქვა: „უსიკვდილოდ სურამის ციხეზე ჩემგან ჳელის აღება არ იქნებაო“. გორიდან რომ წავიდა, ხიდის თავს გავიდა... სურამის ციხისა ესრეთ მოგხსენდეთ: კორინთელი ნინია ციხის თავად დააყენეს, თავისი ცოლ-შვილიც იქ მიჰგვარეს, ორი თავისი კაცი ჰყავს ამ ნინიას და სამი სხვა იმერელი, სამიც მანაველი კაცი და ერთი სურამელი. კაკალაშვილი ბერი, რომელიც რომ უწინვე სურამის ციხეში იყო... ეს ათნი ახლა სურამის ციხეში დგანან ციხის მკველად და ასე დაიფიცეს, რომ ვინც უნდა მივიდეს, ციხე არავის უნდა მისცენ... ციხეში შემსვლელ-გამომსვლელი ეს ქვემოთ აღწერილნი ოთხნი კაცნი არიან: ბებიაშვილი მღვდელი გიორგი, ტერ-მიქელა, მამასახლისი გაბრიელა და ბერულაშვილი გაბრიელა. ამ ოთხს კაცს გარდა, სურამელი კაცი ვერც ვინ შევა ციხეში და ვერც ვინ გამოვა. ციხეში მრავალი პური და ღვინო, შეშა, ტყვია-წამალი და სხვა, რაც შეიძლეს, სახმარი ნივთი შეიტანეს და გააწვეეს, რკინაც მიიტანეს ციხის კარის მოსაჭედათ... თუ ახლავ არ მივატანეთ, საქმე დიდად გამწვლდება და სასინაწულო შეიქნება, თუ ქართლზედ ჳელს არ აიღებთ, ჩვენც სომ თქვენთანა ვართ და ამ საქმეს ახლავ უნდა მიტანება... ასე დაექადნათ ... ეს რა არისო, ბევრს თაშეხვეულს თათარს ნახავთ თქვენ აქაო. ამისი მოქმელნი სხვას რას დაერიდებიან? სურამის ციხე ფარნაოზს არ უჭი-

რავს და იმის კვლად არ არის... ერთობით კახთაც რომ ამგვარი პირობის წიგნი დააწერინოთ და აქ ჩვენ გამოგვიგზავნოთ, ამაზე ქართველნი დიდად იმედუდნი შეიქნებიან... ბირთველ მდივანი ით დეკემბერს გავისტუმრეთ ახალ-ციხეს პატრებისათვის... ჩვენი ძმა ფარნაოზიც ახალ ქალაქიდან კი წამოვიდა და ეს კი არ ვიცით მანდ თქვენ გაიხლათ თუ არა... (სს, III, გვ. 320-324).

სურამის ჭალა. შიდა ქართლი

სურამის ჭალა 1712-1724 – იხ. ოსიაური

სურამის ხეობა. შიდა ქართლი

სურამის ხეობა 1776 – იხ. ჯავახეთი

სურელო. იმერეთი

სურელო 1766 – ... [წყალობის წიგნი მეფე თეიმურაზისა]: სურელოზე პარტახი მისი ყოველისფერით ... თქვენთვის [ლორთქიფანიძეთათვის] წყალობათ გვობობებია და თქვენი გლეხების საურიც ამოგვიკვეთია (სმ, V, გვ. 172).

სურნისი. შიდა ქართლი

სურნისი 1648 – იხ. ზემო ქართლი

სურნისი XVII ს. II ნახ. – იხ. სატივე

სურნისი XVIII – იხ. ნული

სურნისი XVIII – იხ. ტკოცა

სუფი. სვანეთი

სუფი XIII-XIV სს. მიჯნა – იხ. სვანეთი

სუფი XIV ს. – იხ. ლალევერი

სუფი XIV ს. – იხ. მაი

სუფი XIV-XV სს. მიჯნა – იხ. მაის ხევი

სუფი XV ს. – ... ცაიშისა ღმრთისმშობელისა თავისობითა ... ვაკურთხე სუფისა მთავარმოწამე ... მე, ცაიშელ მთავარეპისკოპოსმან... (სწძ, I, გვ. 235).

სუფნიშანი. თბილისი

სუფნიშანი 1781-1782 – იხ. ქალაქი

სუფნიშანი 1792 – იხ. ირაგა

სუფრაჯიანთ უბანი. თბილისი (?)

სუფრაჯიანთ უბანი 1795 – ... ეგნატე მდივანს ერგო ... ნახევარი სუფრაჯიანთ უბნის ქოხებისა... (სს, I, 1920, გვ. 162).

სუქანათუბანი. შიდა ქართლი

სუქანათუბანი 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

სუხნანი. კახეთი

სუხნანი 1662 – ჩუენ ... მეფემან ... თეიმურაზ ... გიბოძეთ ... თქუენ... ენი-
სელთ ნაცვალს ხოსროს ... შენი სამკუიდრო და რაც ჩუენგან მამულის
წყალობა გჭირვებოდეს სუხნანში შენი ნასახლარი... ისლამაურში ყიშლა-
ლი, გზირიშვილის მამული, ხარატში შენგან აშენებული ყარაგოზას ნასახ-
ლები მამული, თასმალღურში მურადაშვილი მისის მამულით, დემურაანში
შანაზარას ნასახლარი მამული... აგრეთვე ენისელთა და ბაზრისა და კე-
მურ-ყანდახის ნაცულობა გუიბოძებია... (დსსი, I, გვ. 367-368).

სუჯუნა. სამეგრელო

სუჯუნა 1714 – იხ. საჭყონდიდლო

სუჯუნა 1750-1758 – იხ. შუაქალაქი

სუჯუნა 1753 – იხ. გულუხეთი

სუჯუნა 1760 – იხ. საჭყონდიდლო

სუჯუნა 1770 – ... ჭყონდიდელ მიტროპოლიტმან გრიგოლ შენ ... მარტვილ-
თა ღმრთის მშობელსა და ... წმიდასა გიორგის სუჯუნისასა შეგკადრეთ
მცირე ესე შესაწირი... მარდახა ურია მისის ცოლ-შვილით ... ძვირ ფასათ
დავიხსენით და სუჯუნას საყდრის სიახლოვეს დავასახლეთ... (დსსს, II,
გვ. 43).

სხავა – იხ. სხვავა

სხალდიდი. შიდა ქართლი

სხალდიდი 1559 – [ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუ-
ჯარი]: ... სოფელი სხალდიდი მისითა სამართლიანითა მზღურითა, სოფე-
ლი წინუბანი მისითა მზღურითა, ნასოფლარი ძაღლისხევი მისითა მზღუ-
რითა, ნასოფლარი შუაგომნი მისითა მზღურითა, ნასოფლარი სათაღგმენი
მისითა მზღურითა, სოფელი ქუაზნი მისითა მზღურითა, უპიტნი მისითა
მზღურითა, თელოვანი მისითა მზღურითა, კარსანი მისითა მზღურითა, ნა-
ქულბაქევი მისითა მზღურითა, მუხათგუერდი მისითა მზღურითა, არმა-
ზის ციხე, მონასტრითა და მისითა ბაჟითა და შესავლითა. ციხედიდი მი-
სითა მზღურითა, ძეგუი მისითა მზღურითა, სასხორი მისითა მზღურითა,
მისითა სამართლიანის მამულითა, კავთისცევეს გაგელიშვილისეული მამუ-
ლი ივანიაძეულითა და მონასტრითა, მისითა სამართლიანითა მამულითა,
ნიაბი მისითა მზღურითა, გომნი მისითა მზღურითა, მეტეხნი მისითა
მზღურითა, ჩოჩეთი მისითა მზღურითა, ატენს წინუბნელნი, გორელნი და
თბილელაშვილნი, მათითა მამულითა და გაგანაურას ზუარი. ჭუვეღურეთს
რაცა ძველითგან მცხეთისა შეწირულნი გლეხნი და მამულნი არიან, მათი-
თა სამართლიანითა მზღურითა, ტანძიელნი მათითა მამულითა, იმერტვეს
მაჯანისძე და ციხე ქოროზნას ვენაჭნი, სარკე მისითა შესავლითა, დიდ-
გორს სოფელი მოხისი, პატრონის პაპის ჩუენის საეკდრო, და დიდუამს ვე-
ნაჭი, თრიალეთს სოფელი ეძანი და უკანა ბეშქენაშენი, მათითა მზღური-
თა. ახოტი ნასოფლარებითა და ცეცხლაძენი მათითა მამულითა, გორს რა-
ცა ძუველითგან მცხეთის შეწირულნი ვაჭარნი და გლეხნი არიან, მათითა
სახლკართა, ქულბაკითა და მამულითა. გორისპირსა ზემო ახალდაბა ფა-

ყვიბისი XVI ს. დას. – სამცხე-საათაბაგოს მღუდელმთავარნი და მწყემსნი არიან: მაწყურელი გვრგვენ-ბისონიანი არს. ამისი სამწყსო: ყვიბის-კორტანეთს შუა რომ წყარო ჰსდის, იმას ზეთი ხეობა და სადგური, სულ აწყვერი, დიასამიძის სახლი და ახალციხის წყლის გაღმართი გურიის წადგომამდის. კუმურდოელის სამწყსო: ხერთვისს ზეთი სულ ჯავახეთი ხავეთამდი. იშხნელის სამწყსო: გურჯი-ბოლაზს აქეთ, სულ თორთომი, ტაოსკარს ქვემოთი; არტანუჯისთავს საკრულავი ჰქვიან, იმას აქეთი; გაღმით ორჯოხის მთის აქეთი, სულ საკავკასიძო, ისპირ-ტრაპიზონის მთას გარდმოდამ. ანჩელის სამწყსო: სამსწყალს აქეთი ხანძთას და ოპიზას შუა დახატულა. იმას ქვემოთ ნიგალის ხევი, გაღმა და გამოღმართი, გონიის სამზღრამდი. მტბეგარის სამწყსო: დახატულას ზედათი ანაკერტს აქეთი, სულა შავშეთი მიჭიხიანათ ბატონის უწმინდესის კათალიკოზის ყოფილა; იმ ქვეყნის ეპისკოპოზის იასაულიც ის ყოფილა; აჭარა დანდალოს ზეთითი მას ჰქონია, დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათლის სამწყსო ყოფილა. წურწყაბლის სამწყსო: ხურსიძის სახლი, სულა ბოცოთ-ჯევი ხერთვისს ქვეით მისია. წყაროსთუელის სამწყსო: ზავეთი და იმას ზეთი პალაკაციო კოლას სამზღურამდინ, მტკვარს აქეთი არტაანი. ერუშნელის სამწყსო: ტლაოშს ზეთით, სულ არტაანი კოლის სამზღურამდინ. ვალაშკერტელის სამწყსო: ყაღ-ზევანს, ვალაშკერტს აქათ ხინუსი და დევბონის აქეთი. ანელის სამწყსო: სულა ზარიშტიანი და შირაკოანი და მადასბურთი. კარელის სამწყსო: სულა კარი და კოლისა და ოლთისის სამზღურის გარდამოდამა გაგჩევანი და კაღზევანი. ბანელის სამწყსო: სულ ბანი, ტაოს კარი, ფანასკერტი, ჰარიზის ხეობა, სრულად ოლთისი, ნამურაკანი. დადაშნელის სამწყსო: სულა კოლა და ხორტევანი, ყარსაღზედ მიდგამდის. ამ ეპისკოპოსთა მაკურთხეველი და უფროსი ქართლის კათალიკოსი არის და იმის კვლთ არის ყოველივე (ქსმ, III, გვ. 244-246).

ყვირალა. ქვემო ქართლი

ყვირალა 1653 – იხ. ბედენი

ყვირილა, მდინარე. იმერეთი

ყვირილა 1475 – იხ. სკანდა

ყვირილა 1529 – იხ. გელათი

ყვირილა 1789 – იხ. ბოსლევო

ყიარახი. კახეთი (?)

ყიარახი 1787 – იხ. ქესამანი

ყირაქესამანი. კახეთი (?)

ყირაქესამანი 1787 – იხ. ბორჩალო

ყიზიყი – იხ. ქიზიყი

ყინცვისი // ყინცუისი. შიდა ქართლი

ყინცვისი 1031-1033 – იხ. მცხეთა

ყინწვისი 1671 – ... ესე წიგნი მოგეცით ჩუენ ... კათალიკოზმა დომენტი, თქუენ ციციშვილს, ჩემს დისწულს ზაზასა და ზაალსა. ასრე რომე, როდე-საც კურთხეული ჩემი და დედათქუენი დედისიმედი მიიცვალა და თქუენ ყინცვისს წასასვენებლად მოინდომეთ, ... ჩუენ ეს მოეინდომეთ, რომ ნიჩბის თქუენის სასახლის სიახლეს ავეშენებინათ საყდარი და იქ მიგელოთ მი-წათ... (ქსმ, III, გვ. 569).

ყინცვისი 1700 – იხ. წერაქვი

ყინცვისი 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

ყინწვისის // ყინცვისის მონასტერი. შიდა ქართლი

ყინწვისის მონასტერი 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

ყინწვისის მონასტერი 1753 – [განჩინება ერეკლე II-ისა]: ... ყინწვისის მონასტრის წმიდის ნიკოლოზის დეკანოზის შვილი ინანისშვილი მღვდელი პეტრე და მისი ძმები ციციისშვილს ნოდარს მოურავის შვილებისათეინ მი-ეყიდათ... დიად, უწესო იყო და ქვეყნის დამქცეველი საქმე... (ქსმ, IV, გვ. 417).

ყისონი. რაჭა

ყისონი 1544 – იხ. ნიკორწმინდის მონასტერი

ყიფიანისოული მიწა. იმერეთი

ყიფიანისოული მიწა 1678 – ... მე, ყიფიანმა ბეჟან თქვენ, გენათელსა ბა-ტონს გედაონს ... ყიფიანისოული მოგართვით მიწა საყანა ცხრა თავი... არის ამის მოწამე ... გელათის კანდელაკი გიორგი... (დსსს, I, გვ. 77-78).

ყობელეთი. შიდა ქართლი

ყობელეთი XV ს. I ნახ. – იხ. სამთავისო

ყოთურ-ბულახი. კახეთი

ყოთურ-ბულახი 1699 – იხ. ყორნავი

ყოთურ-ბულახი 1708 – იხ. ყორნავი

ყორანთა. ქვემო ქართლი

ყორანთა 1392 – იხ. ტფილისი

ყორანთა 1447 – იხ. მცხეთა

ყორანთა 1447-1459 – ... დედაქალაქისა მცხეთისა მკვრობელსა, კათალი-კოზსა და ვითს, მე, ქაჩიბასქემან საღაროს მოღარემან ბარათამან ... მო-გაცსენეთ ჩუენი მკუიდრი მამული ... სომხითს სოფელი ყორანთა... ასრე გაგისამზღვრეთ და დაგანებეთ: დიხველი ძუელითგანვე გასამზღვრული იყო, და ბოლო შემოვლის რატეენის ჭალითა, რასაც წისქულნი და ზემო

დიდნი მუხანი გამოტანებენ, მას ქუემოთ და წისქულნიცა თქუენ დაგრჩეს, ველკეთილისავე, რაცა რუს ზეთი და ურწყავი არის, სამანი ჩავსუით. და რუს ქუემოთი, რაცა ველკეთილის ჳევი ჩაიტანა, წყლამდი... (ის, III, გვ. 37).

ყორანთა 1466-1472 — ... ესე წიგნი ... მოგაჴსენეთ თქუენ .. დედაქალაქისა მცხეთისა საყდარსა და ქართლისა კათალიკოზსა დავითს, ჩუენ ქაჩიბაძეთა, საღაროსა მოღარემან დავით... მამისა ჩუენისა ბარათასაგან და დედისა თინათინისაგან, მათი ნაღუაწი სომხითს სოფელი ყუარანთა ... თქუენთუის შემოეწირა... და ჩუენ ჩუენისა სივაჟისა მიუმხდრობითა ... ცოტასა რასმე ხანსა ჩუენვე უკუგიჭირეთ სოფელი ყუარანთა... და მოგანებეთ მისითა მზურითა, როგორც ძუელსა სიგელსა შიგა სწერია... და უკეთუ ... სხუა ვინმე ებატონოს სამშუღდესა, ვერცა მათგან მოგეშადლოს... (ის, III, გვ. 38).

ყორანთა 1504-1516 — იხ. მცხეთა

ყორანთა 1527-1558 — [გაწინება ლუარსაბ I-ისა]: ბატონი კათალიკოზი და ბარათაშვილი გერმანოზ ყორანთის და რატეენის სამზღუარზუდ ირჩოდეს... მათი სასარჩლო ალაგი თავით-ბოლომდის დაეიარეთ და გავსინჯეთ. პირველად დიდის ბარათასაგან შეწირული იყო და სიგელი ბატონს კათალიკოზსა ჰქონდა და იმას სიგელშიგა ასრე ეწერა, ვითა: „ყორანთა მისითა სამართლიანითა მზღურითა ასე გავისამზღურეთ და დაგანებეთ, დისველი ძველითგანვე გასამზღრული იყო და მოლიო რომ შემოუვლის რატეენის ჭაღით, რასაც საწისქვილო და ზემო დიდნი მუხანი გამოიტანენ, მას ქუემოთ და წისქვილნიცა თქუენ დაგრჩეს,... ვერცა ძველი სამზღუარი შევიტყუევით და ვერცა მასხოვარი კაცი ვიპოვეთ... ჩუენ მისი ასრე გაგაჩინეთ: წარსდგეს გერმანოზ ... შვილითა და ... აზნაურიშვილითა და ... გლეხითა ანდრიელი და თაფნელი, ასრე დაიფიცოს „როდეს ... დიდმან ბარათა მცხეთას ყორანთა შესწირა, სამზღუარნი და წისქვილნი სიგელშიგა რომ სწერია, და ეს არის სამზღუარი...“ საცა ჩამოიაროს და დაიფიცოს გერმანოზ, დარჩეს რატეენასა და დაესხნას ბატონი კათალიკოზი. და რაიც ვერ დაიფიცოს, დარჩეს ყორანთასა და დაესხნას გერმანოზ (ქსძ, IV, გვ. 42-43).

ყორანთა 1529 — ... ესე წიგნი მოგახსენეთ ჩუენ, ბარათას შეილმან აბაშმან ... თქუენ ... მცხეთისა საყდრისა საჯეტმპყრობელისა ქართლისა კათალიკოზისა ბასილისი... ჩუენთა გუართაგან სააღაბოდ შემოწირული სოფელი ყორანთა ამოწყუედილიყო და საღალოვებს მიწებს აღარავინ რას გაამებდა. აწ ჩუენ ახლად ... დაგიმტკიცეთ ... ყორანთა, ეკლესია და ნასოფლარი მისითა მზღურითა უკლებად... (ის, III, გვ. 59).

ყორანთა 1559 — იხ. მცხეთა

ყორანთა 1587 — ერაჯ, გულბად და საჩინო ბარათაშვილებს ვალად დიდძალი საეკლესიო ფული გამოურთმევიათ განსვენებულის მათის ძმის კათალიკოზის ნიკოლოზისთვის და ამ ვალის გასასტუმრებლად სწირავენ [მცხეთას] თვისს მამულებს, სოფლებს: ყორანთას, სამშვილდეს და სატრფოს (ქრონ, II, გვ. 425).

ყორანთა 1687 — იხ. მცხეთა

ყორანთა 1720 — იხ. თრიალეთი.

ყორანტა. სამცხე

ყორანტა XIII ს. II ნახ. – იხ. ალი

ყორაშის ყანა. სვანეთი

ყორაშის ყანა XIV-XV სს. – მთავარმოწამისა სეტისა თაუსდებობითა ... დაეწერეთ ... ჩუენ, ძმათა ფალიანთა ... მას ჟამსა, ოდეს ჩუენი ძმაი ოუსთა შეაკდა. აწ რაც ამასა მოჰყვეს ... გინდა სვანეთს, გინდა ოუსეთსა, ყოველი სწორად გაეყოდ... რომელმანც ესე გაუტეხოთ, ნაძლევად ესე დაგვიცხ: ყორაშისა ყანასაგან გარე ვიყოთ უმიზეზოთ... (სწმ, I, გვ. 194).

ყორელი – იხ. ყვარელი

ყორიანი. ქართლი (?)

ყორიანი 1716 – ხახუტასშვილებს გიორგის, ქიტუასა და ოთარას მიუყიდნიათ ესიტაშვილების დათუნა, ფარსადან ... და პაატასათვის ყორიანში მიწა ორის დღისა (სს, I, 1920, გვ. 80).

ყორიანი ყანა. ჯავახეთი

ყორიანი ყანა XV – იხ. ჯალაბადანის ტბა

ყორისი. შიდა ქართლი

ყორისი 1451 – იხ. ულუმბა

ყორნევი // ყორნავი. კახეთი

ყორნევი 1699 – ... ჩვენ, ყარაბაღის ბეგლარბეგმა ... კახეთის ჰექიმმა ქალბალი-ხან, ესე წყალობისა წიგნი ... გიბოძეთ თქვენ, ... ენისელ მოურავს მერაბს... ყორნავი თქვენი სამკვიდრო მამული ყოფილიყო და ყორნავის საცნავის შირაქის ქვევით, ყოთურ-ბულახს ქვევით, მუფარაქს ზევით, ზილიჩა ახარა, ბახარი, ჩაი-ბულახი, ყაბან-ბულახი, კელახლა წიგნის გაახლებას გვეაჯენით...⁶² წიგნი გაგიახლეთ და გიბოძეთ ყორნავი და მისი ფაქაბაში ყმათა და მისი სახნავით, სათესით... რაც ეს სარათები ბულახები სწერია, იმის შუვა ყორნავის საცნავია. (ქსის, გვ. 396).

ყორნევი 1708 – ... ჩუენ, ... მეფეთ-მეფემან ... იმამყული-ხან ... თქვენ ... ენისელთ მოურავს მერაბს ... შენის სამკუიდროს მამულის ყორნევის [წიგნი გაგიახლეთ] ... და გიბოძეთ ყორნევი შირაქს დაბლა ყოთურ-ბულახს და ქვევით მუმბრაქს, ზევით ზილიჩა ახარ, ბახრი-ჩაი ბულახი ყაბან-ბულახი...⁶³ ბაიაშთლუს ელი ესახლა და ის აეყარეთ და სხვაგან დავასახლეთ... რაც ამის ზევით სარათები სწერია, ამის გასადევარში ამასუკან თათარი

⁶² სპარსულ ტექსტშია: „... ენისელის ადგილების მოურავმა ... ითხოვა ... სოფელი ყორნავი [ქვემოთ] მოხსენებული მიწებით და საზღვრებით: საზღვარი პირველი: ყოთურ-ბულახი, საზღვარი მეორე: ყაფანჩაყ-ბულახი, საზღვარი მესამე: ჩაი-ბულახი, საზღვარი მეოთხე: ზილიჩა და არფა-ბულახი“ (ქსის, გვ. 397).

⁶³ სპარსულ ტექსტშია: „... ენისელთ მოურავმა ... დივანს მოახსენა, რომ ენისელს დაქვემდებარებული სოფელი ყორნევი, რომლის ... საზღვარი ... არის... პირველი საზღვარი: ყოთურ-ბულახი, მეორე: ჯან-ბულახი, მესამე: ჩაი-ბულახი, მეოთხე: ზილიჩა და არფა-ბულახი...“ (ქსის, გვ. 420).

თუ სომეხი დაასახლოთ, რარიგადც ყორნევი მსახლობელს თქვენს ყმას საჩვენო სათხოვარი ეთხოვებოდეს, ისე ამრიგათ ამას ვთხოვოთ... (ქსი, გვ. 418-419).

ყორნევი 1708 - ... ყორნევი და ყორნევის გასადევარი მოურავის მამული იყო და მუსტაფა-ალას ელი ესახლა... მუსტაფამ ჯანმამადის ყიშლადი და ბეჯრუანის ყიშლადი მოურავის ელს დაუგდო და მოურავმა საკნავად... (ქსი, IV, გვ. 224).

ყორნისი. შიდა ქართლი

ყორნისი 1451 - იხ. ულუმბა

ყორნისი 1712 - იხ. ურბნისი

ყორნისი 1799 - ...ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი ... ხერხეულიძე გიორგი და ჯამასპისაგან. ჩვენ სოფელში ოსები გახლდნენ, იმათი ორი ტყვე დავითაშვილის კაცმა იმერელმა გაყიდა. ოსები ჩვენ გვემტერებიან. ეს ტყვეები ყორნისიდამ მოიპარეს.. (ქსი, VIII, 555).

ყორჩიანთ ქუჩა. იმერეთი

ყორჩიანთ ქუჩა 1766 - იხ. ბატონის მედიანი

ყოური. შიდა ქართლი

ყოური 1766 - იხ. გორი

ყოშა-გემრი. ქვემო ქართლი

ყოშა-გემრი 1688 - იხ. თრიალეთის ახალქალაქი

ყოშა-ქილისა. ქვემო ქართლი

ყოშა-ქილისა 1657 - იხ. ტაშირი

ყოშა-ქილისა 1755 - შანშასშვილმან ბახუტამ უჩივლა ყოშა-ქილის ელის თათრებს: ფეტივი დლიური ბ (2), ბანბა დლიური ბ (2) (სამდ. გვ. 25).

ყოშა-ქილისა // ყოჩა-ქილისა. ქვემო ქართლი

ყოშა-ქილისა 1766 - იხ. გორი

ყოშა-ქილისა 1782 - იხ. ყაფანლო

ყოჩა-ქილისა 1800 - იხ. ბოლნისი

ყოჩის მიწა. ქვემო ქართლი

ყოჩის მიწა 1685 - [წიგნი ნიკოლოზ ბოლნელისა შანშიაშვილისადმი]: ... შენ ტერტერაშვილისაგან ყოჩის მიწა გეყიდა, როდისაც ჩვენ ბოლნისს სიონთა ღმრთისმშობლის საჭისმპყრობელად მოვედით, მისის მამულებსა მოკითხული ვქენით. და ძველითგან ის ყოჩის მიწა საყდრისა ყოფილიყო, ჩვენ საჭემწიფოთ გაეყიდეთ და ჳემწიფემ იმ მიწაზედა ღალა დასდვა და ჩვენ ღალას ვიღებდით... (ქსი, III, გვ. 585).

ყოჯა. კახეთი

ყოჯა 1700 - იხ. კაკაბეთი

ყორისის ჳევი. არაგვის ხეობა

ყრისის ჯევი XVII ს. II ნახ. — ჩვენ, ბატონი ციცი, არაგვის ერისთვიშვილი ნუგზარ, ჩხვიძე ქაიხოსრო და ... ერთობილნი საციციანო აზნაურშვილები მოვედით ყრისის ჯევს. სახლისუხუცესი ბააკა და მალრაძე მამუკა ცილობდენ მთასა... ძველი სამანი იჯდა, იმას იქითა ახოს თავს სამანი ჩაუსვით, იმას შესწორებითა ორი ნაძვი დგას: ერთი ნაძვი მამუკასაკენ დარჩა, მეორე ნაძვი სამანი არის, იმას შესწორ ღუდისაკენ მამუკას დარჩა. იმას გარდმოსწორ თავოეთის მიდგამდის სახლისუხუცესს დარჩა ... (ქსძ, IV, გვ. 183).

ყუავისთავი — იხ. ყუავისთავი

ყუარანთა — იხ. ყორანთა

ყუდრეში. ღენჩხუმი

ყუდრეში 1758 — ... ოდიშ-ღენჩხუმის პატრონმან, დადიანმან კაციამ ... შევესწირე ყუდრეშს, მოაშს და ნამკაშურს აქეთ, რაც რომ ჭალა და ან მამუელი არის, ცაგერისა ღეთისმშობელისა... (დსსს, II, გვ. 9).

ყუდრო. კახეთი

ყუდრო XII ს. მიწ.— იხ. რაბუნი

ყუდრო 1736 — ... ნოდარისშვილს აშრაპს ბატონის თეიმურაზის საფიცარში ყუდროს აღმატელაშვილის მამული წყალობა ჰქონოდა. ახმეტას მამულებს ცილობდა აშრაპ ამ გზით, რომე ნოდარ სალთხუცესს გაეყიდნა, აღმატელაშვილს მამულობით მიეყიდნა ჯიმშიტაშვილის დათუნასათვის, კიდევ სხვა მგელიაშვილისათვის და თავგაურისათვის. ამ ნასყიდობით და იმის ფიცით, რაც კიდევ გასყიდვას მორჩომოდა, ის მამული ზოგი რამ ორთავ ჩოლაყაშვილებს ეჭირა: ცილობა შეექანათ ნოდარისშვილს და ჩოლაყაშვილს... ჩოლოყაშვილებს, ასე უნდა გაიფიცოს, რომე: გასყიდულიცა და ან მე რაც მიჭირავსო საბუშატლო იყოს და საჩოლაყნო; არც აღმატლისშვილის ყუდროს კენახი იყოს და არც ნოდარისშვილს ჯელი ჰქონდესო... (ქსძ, IV, გვ. 338).

ყუდრო // ყუდრე. ქვემო ქართლი

ყუდრო 1706 — [ვახტანგ VI-ის განჩინება]: ... ჩვენი სომხითის აზნაურიშვილი თუშმლიშვილები ყუდროს სოფლიდამ და ამილახორის სოფლის, სვიმონას-სოფელნი, მიწაზედ შეცილებულიყვნენ... [თუშმლიშვილებმა] ასრე დაიფიცონ, რომე: მაშინდელი ჩვენი სახლისკაცთ გამონაფიცი სამძღვარი, ეს დიდდარის ტახტი, ხუმარას წისქვილი და წყარო და გუნუხოდის მიწის იქით მენძორამდინ — ესებო იყო... (ქსძ, IV, გვ. 221)

ყუდრო 1651 — იხ. სომხითი

ყულარი. ქვემო ქართლი

ყულარი 1735 — [ქალბალი-ხანის ბრძანება]: ... რადგან დემეტრე ყავლანიშვილმა ჯელმწიფის სამსახურში თავდადებით იმსახურა, ყულარის და პიდარბეგის ტაროლობა იმისთვის წყალობა გვიქნია. ყოველს საქმეში მოყავთი უნდა იყოს. რაც აყრილი, დაფანდული კაცი სადმე წასული იყოს, თავის ალაგას დაასახლოს, ხვნასა და თესვას ბეჯითი იყოს... ყულარის ქეთხუდებო და რაიათნო ... ამასა ემსახურეთ... (ქსის, გვ. 437).

ყუზანა. ქვემო ქართლი

ყუზანა 1636 – იხ. სომხითი

ყუზანა 1641 – იხ. აკანათური

ყუინჩილის ტყე. ქვემო ქართლი

ყუინჩილის ტყე 1652 – იხ. ვაძა

ყურაული. კახეთი

ყურაული 1793 – იხ. ქვემო ხოდაშენი

ყურიაში. იმერეთი

ყურიაში 1650 ახლო – იხ. მანდიკორი

ყურისუბანი. შიდა ქართლი

ყურისუბანი 1392 – იხ. ტფილისი

ყურისუბანი 1574 – ... ჩუენ, ქართლის კათალიკოზ-პატრიარქმან ნიკოლოზ ... მოგეცით თქუენ პატრონიშვილსა პატრონსა ვახტანგს ყურისუბნის სანაცლოდ: მონასტერი და სოფელი ვირშა მისითა შესავლითა რარიგადცა სუეტსცხოველს შემოსწირვია; წიასწყალსა არჩვაძეები, ერისთავს რომ შემოუწირავს... ერეთს გილაშვილი... ზაკუი მისითა მზღურითა, სათივარი მისითა სამართლიანითა მზღურითა, ქორდს რაც სუეტისცხოველისა ყოფილა... ტირძნისს, რაც სუეტისცხოველისა ყოფილა, ცოტა მეღურეკისი მისითა სამართლიანიტა; მეღურეკის ვენაჭი და რაც საჩუენო იყო; ახალდაბას ფელავანდიშვილის შემოწირული საგლეხოები, რაც ვარდანს შემოუწირავს... ყელქცეულს ვირშის შეწირულნი მიწანი რარიგადცა აქამდი ჩუენ გუქონებია (ქსძ, III, გვ. 277-278).⁶⁴

ყურისუბანი 1595 – ... ჩუენ, ... ქართლისა კათალიკოზ-პატრიარქმან დომენტი ... ესე ... წიგნი ... დაგიმტკიცეთ თქუენ, ... პატრონსა ვახტანგს... თქუენის ძმის, მევის პატრონის სუიმეონისგან მუხრანს სოფელი ყურისუბანი სამამულოდ და სამკუიდროდ მოგცემოდა. ამას წინათ ... კათალიკოზს პატრონს ნიკოლოზს ზემო ქართლს ქორდი და რაცა სხუა მის გარეშემო საყდრის მამული იყო, თქუენთუის ყურისუბანზედ გაეცვალა,⁶⁵ ამისათვის ვითა ყურისუბანი საყდარსა უფრო ახლო ახლდა. აწე არცა თქუენ მოგვკლოდა კარგად და არცა სუეტმან ცხოელმან იპრიანა. აწე თქუენი ყურისუბანი თქუენვე დაგიდევით და საყდრისა მამული საყდარსავე დაანებეთ... (ქსძ, III, გვ. 348).

ყურისხევი. ქვემო ქართლი

ყურისხევი 1543 – იხ. სხალნარი

⁶⁴ თ. ჟორდანიას გამოცემაში საბუთის გამკვემად სვიმონ მეფე იხსენიება, ხოლო წყალობის მიმღები არ ჩანს (ქრონ, II, გვ. 415).

⁶⁵ ... კათალიკოზს ნიკოლოზს ზემო ქართლს, ქორდს, ზაკუს და სათიხარს და მათ გარეშემო რაც საყდრის შეწირული მამული ყოფილიყო თქუენთვს ყურისუბანზე გაეცვალა... და უკაცურნი სოფელნი გაგაკაცრიელბინეს... (ქრონ, II, გვ. 428).

ყურსები // კურსები. იმერეთი

ყურსები 1520-იანი – მეფეთ-მეფემან ბაგრატ ... გიბოძეთ ... ფანაჩულისძესა იობს ... გელათს სენაკი, ტარპეზისა გუერცა საბოსტნე ... და დაუნაშვილისა ვენაცსა გამოღმა შემომავრგლობით ვახტანგისა სამწირველოსა სათიბსა ზემოთ და ყურსებს ჭასრაგასძე მისითა მამულითა... ნაცხვარსა და გმსაშუი სახარდნე ყოვლითავე... არა ჰველი წინამძალუარისა შევიდოდეს, არცა მოძლუართა მოძრარისა, არცა მთისა მთავარმოწამისა მებრთალომბისა, არცა დედოფლისა სამწირველოსა... (ვახ. უცნ, გვ. 6-7).

-შ-

შაბადინი. კახეთი

შაბადინი 1670 – ...ჩუენ, ... მეფეთ-მეფემან ... არჩილ ... შემოგწირეთ [სვეტიცხოველს] ... მტკუარის პირს შაბადინი, ჭალა და მინდორი ენჩოს დაბლა, რაც თავით ბოლომდისინ შაბადინის სამძღვარი გაიტანდეს, გამოღმა მტკუარი და სანაო და ზემოთ რუის გამოსაღები სათავე ასრე და ამა პირსა ზედა, რომე შაბადინი საკახეთო და კახეთის მიწა და წყალი არის და კახეთს არ გამოეკოს, და არც ჰველდებულობით კახეთის ბატონს მოეშალოს... (ის, IV, გვ. 48-49).

შაბადინი 1670-1672 – ჩუენ ... მეფეთ-მეფემან არჩილ ... თქუენ ... საყდარსა სვეტსა ცხოველსა ... შემოგწირეთ ... მტკუარის პირს შაბადინი, ენჩო და ენჩოს დაბლა მინდორი და მინდურით მტკუარამდის ჭალა და ნახევარი აქათ ჩუენი საკერძო მტკუარი და სანაო, ზემოთ რუის გამოსაღები სათავე და ენჩო ზედ რომ მტკუარი მიაღგების იქამდინ და ქუემოთ მტკუარი რომ შემობრუნდების და ენჩოს მიაღგების, იქიმდინ. და კუალად შემოგუიწირავს ამავე საბადინისა საჯელმწიფო სათხოვარი და გამოსაღები... და რაც მცხეთას მდდელი და მდდელ-მონაზონი და გლახა და დავრდომილი იყოს, გინა თუ სხვის ალაგით მშეიერი ვინმე მოვიდეს, ყოველთავე მოაწუედეენ... (ქსის, გვ. 311-312).⁶⁶

⁶⁶ სპარსული ვარიანტი: „... შეეწირეთ ... ხსენებულ ეკლესიას მდინარე მტკუარის ნაპირას მდებარე ადგილები შაბადინი, რომლის საზღვარია ერთის მხრით ხსენებული მდინარე და დანარჩენი სამი მხრით საზღვარი მდის მთამდე, რომელსაც ინჩუს ეძახიან... ზემოდა, იმ ადგილიდან, რომლის ქვეშ ყიზილ-აღღუნის ადგილებია, აღნიშნულ მდინარეს უერთდება და ქვემოთ მიემართება და ერთი რაღაც მანძილის შემდეგ ეკერის ადგილს, რომელიც ყიზილანის ადგილებისა და მიწების თავზე არის. შეეწირეთ მიწებით ... რომლებიც მდებარეობენ ხსენებული მდინარის ნაპირზე კახეთის ოლქის მხარეს, მდინარის შუაწყლამდე, ფონით, გემებით და ნაევებით... (გვ. 1-314-315).

შაბადინი 1696 - ... ესე ... სიგელი გიბოძეთ ჩუენ ... ყარაბაღის ბეგლარბეგ-
მა, კახეთის აქიმმა პატრონმა ქალბალიხან, თქვენ ... დიასამიძეს კათალი-
კოსს პატრონს იოვანეს, ასე და ამა პირსა ზედან: ვითაცა პირველადვე
შაბადინი სხვათა მეფე-პატრონეთ კახეთის მებატონეთაგან სვეტიცხოვე-
ლისათჳინ შეწირული ყოფილიყო ... ჩვენც ... გიბოძეთ ხელშეუვალად შა-
ბადინი... (ქსის, გვ. 376).

შაბადინის რუ. კახეთი

შაბადინის რუ 1653 - ესე წყალობისა წიგნი ... შეგიწყალეთ ჩუენ, მეფეთ-
მეფემან ... როსტომ ... თქვენ, ალი-აღასა... შაბადინის რუს დაგუაჯენით და
ამ წესით ... გიბოძეთ, რომე ააშენოთ და ... საჩუენოდ დაღას მოსცემდეთ...
(ქსის, გვ. 237).

შაბადინის ჭალა. კახეთი

შაბადინის ჭალა 1670 - იხ. შაბადინი

შადიკა. ქვემო ქართლი

შადიკა 1658 - იხ. შულავერი

შადრევანი. იმერეთი

შადრევანი 1781 - იხ. მანდიკორი

შაველაური. შიდა ქართლი

შაველაური 1607 - იხ. სიონი

შავეთელაურის მიწა. იმერეთი

შავეთელაურის მიწა 1711 - ... ჩვენ, ორჯონიკიძემ თამაზამა და გიორგიმა ...
შენ, მერაბაშვილს ბერასა ... მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო მიწა ... შავეთელა-
ურის მიწის თავში... (იდ, I, გვ. 49).

შავი ზღვა

შავი ზღვა 1712 - ... ხსენება ეპყო ... შაჰნავაზისა, რომელი მეფობდა ქარ-
თველთა და კახთა ზედან, კლმით დამპყრობელ იქმნა ლიხთ-იმერსაცა, საშ-
თავე სამეფოთა აფხაზთაცა, ვიდრე შავს ზღვამდე... აწ ჩვენ, საქართველოს
გამგებელმან, ბატონისშვიდმან ... ვახტანგ ... შეწვევითა ქართლისა და კახე-
თისა და სამცხე-საათაბაგოს მაკურთხეველის მცხეთის ხარისხსა ზედან
მჯდომელისა ... პატრიარქისა ... დომენტიისათა ... აბაშიძეს ... ვახუშტის მივათ-
ხოვეთ ... ასული ჩვენი ... ბატონისშვიდის ანუკა... (სს, III, გვ. 480-482).

შაენი - იხ. მშაენი

შავრა // შავრი⁶⁷. რაჭა

შავრა 1544 - იხ. ნიკორწმინდის მონასტერი

შავრა 1661 - ... წმიდა გიორგი მთისათ, ჩუენ ... მეფეთ-მეფემან დადიანმა
პატრონმა ვამეყ ... ოდეს უამთა შლილობისაგან მეფეთა სახლი ოხერ იქ-
მნა ... და მეფედ დავჯვდით ... შემოგწირეთ ... შავრას რაზმამე სახნი...
(დსსს, I, გვ. 65).

67 შაორი

შავრა 1680-1685 — ... შთის მთავარმოწამეო წმიდაო გიორგი... ჩვენ, წულუკი-
ქმან, ნიკოლოზწმიდელმან სვიმონ ... შემოგწირეთ ... შავრას გლეხი დვა-
ლი ნასხიდა... ღაშხიშვილის ყოფილიყო, ღაშხიშვილს ლომინ ერისთავისა-
გან გამორთმეოდა. და ერისთავისაგან ჩვენ გვიყიდა და ჩვენ თქვენთვის
შემოგვიწირავს, რაც შავრას ღაშხიშვილს ქონებოდეს და ან ერისთავს
ჩვენთვის მოექრთამებინოს ან გარეშე პარტახტები ან ციხე ან ნაფუძვრები...
რისიც მქონებელნი შავრული დვალები ყოფილიყონ... (დსსი, I, გვ. 81).

შავრა 1769 — ... გეენათის ... ღმრთისმშობელსა ... შემოგწირე [ნუქაფიშ-
ვილმა სვიმონ] ... რაჭას ორი გლეხი: შალვაძე ხახუტა შავრს და ბუგაუღს
იმედაძე მამუკა. ის შალვაძე ... რომელზედაც [ადგილს] დღეს სახლობს,
ძირათ საგენათლო არის... (დსსს, II, გვ. 39-40).

შავრა 1784 — [შეწირულების წიგნი ბერი და გიორგი წულუკიძეებისა]: ...
შავრს გვენცაძე, გლეხები ... უწყსოთა კაცთაგან გამოსუშობდა და საეროდ გამ-
ხდარიყო აწ ახლად ჩუენ ვაგაახლედ სიგელი და შემოგწირეთ... (წშ, გვ. 25).

შავსაყდარი. ქვემო ქართლი

შავსაყდარი 1537-1538 — იხ. დმანისის ციხე

შაექელი. კახეთი

შაექელი 1447 — იხ. მცხეთა

შაექელი 1783 — იხ. მანავი

შაექელთ დელე. კახეთი

შაექელთ დელე 1579 — იხ. მცხეთა

შავშეთი

შავშეთი 1031-1033 — იხ. მცხეთა

შავშეთი 1467 — ჩუენ ... პატრონმან კოსტანტინე ესე ... სიგელი ... მოგახსე-
ნეთ თქუენ ... ფანასკერტელსა ზახას... მას ჟამს ოდის ჩუენისა სიყუარუ-
ლისათუის შავშეთს თქუენი მკუიდრი მამული დასთმეთ ... ჩუენ მოგაცსე-
ნეთ ჳუედურეთს ორბოძლისეული მამული... გლეხნი ბარამაშვილი... ღაფა-
ური მამული, ვირშელაური, მახარაული, და ტეტაური... კეხიჯვარს მეთეე-
ზიშვილი... ორბოძლისეული მამული მაშინაც თქუენ გმართებდა, ამად რო-
მე ორბელელსა პაპისა თქუენისათუის ეღაღატა და მისი მამული ნასის-
ხლად მოეცა... ამას გარეთ მოგაცსენეთ და დაგიმტკიცეთ სრულად მამუ-
ლი ქვაჭურელი, უფლიციხე და კარალეთი... (სს, II, გვ. 30).

შავშეთი XVI ს. დას. — იხ. ყვიზისი

შავშეთი 1638 — იხ. მცხეთა

შავშეთის წყალი. შავშეთი

შავშეთის წყალი 1054-1072 — იხ. ქუთაისი

შავშეთ-კლარჯეთი

შავშეთ-კლარჯეთი 1393 — იხ. მეტეხი

შავწყალი. კახეთი

შავწყალი 1579 – იხ. მცხეთა

შაისულანი // შეისულანი. შიდა ქართლი

შაისულანი 1754 – იხ. დიღომი

შაისულანი 1756 – იხ. ახალსოფელი

შაისულანი 1766 – იხ. გორი

შაისულანი 1770 – იხ. გრაკალი

შალაური. კახეთი

შალაური 1797 – ღმერთმან ხემწიფის ჭირი მოსცეს მაჭავარიანს გიორგის.

შალაური როგორი ტყე იყო და მტრით სამსე იყო, კარგად მოგესხენება...
ღამის მესრეობით და გუთნისდედაობით ტყე გამიტეხია და მამული გამი-
კეთებია... (ქსძ, VIII, გვ. 438-439).

შალგვეთი. შიდა ქართლი

შალგვეთი 1651 – იხ. ბიბლიანთუბანი

შალგვაური. კახეთი

შალგვაური 1392 – იხ. ტფილისი

შალგვაური XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

შალგვაური 1736 – იხ. მახათაური

შალგვაური 1790 – იხ. რაჭა

შალიკაურის მიწა. შიდა ქართლი (?)

შალიკაურის მიწა 1688 – იხ. საჯვარე

შამიანი. კახეთი

შამიანი 1792 – იხ. ბალიჭი

შამირზას ნასოფლარი. ქვემო ქართლი

შამირზას ნასოფლარი 1697 – იხ. სომხითი

შამლული. ქართლი (?)

შამლული 1800 – [არზა სოლომონ გაბაშვილისა გიორგი XII-ისადმი]:
...თქვენის ბძანებით შამლულში წაველ, ღუკეები მოვასხი და თორმეტც
ქრისტიანი ტყვე გაახელი, რომელსაც ორმოცი წელი წადი ქართლში ეთა-
რეშნა, ისიც გაფუჭდა... (ქსძ, VIII, გვ. 695).

შამშადილო // შამშადილი // შამშადილუ. ქვემო ქართლი

შამშადილო 1750 – [თეიმურაზ II-ის წერილი ზაალ თოფანქჩიანისადმი]:
ღვთით ჩვენც ახლა განჯა-ყარაბალიდამ, შამშადილოდამ, ყაზახ-ბორჩალო-
დამ და ზოგს ქართველს კაცს და ერეკნის ჯარის ოთხი ათასამდის კაცს
ახლა გამოვგზავნით... (ქეწ, გვ. 90).

შამშადილო 1770 – იხ. ტფილისი

შამშადილო 1781 – იხ. ჭაპალა

შამშადილო 1782 - [ქიტესა ამბარდანის სურსათის ანგარიში]: ... შამშადი-
ლის სურსათი ორას ორმოცდაათი ხარვარი რომ იყო, აქაღამ განჯას მიე-
ცა ხარვარი ორმოცი. ეპატევათ ხარვარი ორმოცი... (მსეი, III, გვ. 69).

შამშადილო 1783 - იხ. ქართლი

შამშადილო 1787 - იხ. ბანბაკი

შამშადილო 1787 - იხ. ყაზახი

შამშადილო 1788 - იხ. ბაიდარი

შამშადილო 1791 - იხ. ტფილისი

შანის ღელე. სამეგრელო

შანის ღელე 1720-1742 - იხ. საჭილაო

შანშიანი - იხ. შაშიანი

შანშისოფელი. ქვემო ქართლი

შანშისოფელი 1722 - იხ. ზიკრუტი

შარა ჳევი. კახეთი

შარა ჳევი 1788 - იხ. სახარჯაშნელო მთა

შარაფხანა // შარაბხანა // შერაბხანა. შიდა ქართლი

შარაფხანა 1527-1558 - იხ. მუხრანი

შარაფხანა 1559 - იხ. სხალდიდი

შარაშუა. შიდა ქართლი

შარაშუა 1724 - იხ. ყარაღაჯი

შარის ქუჩა. თბილისი

შარის ქუჩა 1750 - იხ. დოდოს მონასტერი

შარუმანთკარი. არაგვის ხეობა

შარუმანთკარი 1781 - იხ. წკერე

შატაკთკარი // შეტაკთკარი. შიდა ქართლი

შატაკთკარი XVIII ს. II ნახ. - [სამთავისი საყდრის გამოსავლის დავთარი]:
შეტაკთკარს პავლეშვილის გვიანას მამულს აძეს ბეგარი... პავლეთ კარს
პავლესშვილის დათუნას მამულს აძეს ბეგარი... კვერიეთს წიკლაური გამი-
ხაელის მამულს აძეს ბეგარი... ქენქათ კარს ქენქაძე ივანეს მამულს აძეს
[ბეგარი]... ხოზიეთს გავროზაშვილს შიოს აძეს ბეგარი... გოლგოლეთს ბე-
შუაშვილის მამულს აძეს ... ბეგარი... ქენქაძე ბერის მამულს აძეს საქორე-
სა ბეგარი... ღთისია ქენქაძეს საქორეს რომ მამული უჭირავს, იმაზე აძეს
ბეგარი... (ქსმ, III, გვ. 1044-1050).⁶⁸

შატაკთკარი 1774 - იხ. ქსანი (ქსნის საერისთავო)

შატაკთკარი 1781 - იხ. ისროლის ხევი

შატაკთკარი 1781 - იხ. ქსანი (ქსნის საერისთავო)

⁶⁸ ივ. ჯავახიშვილის გამოცემაში, პავლეთკარს მოსდევს კაჯრაეთი და მიდელათ
კარი, ხოლო კვერიეთი და საქორე არ იხსენიება (სეიძ, II, გვ. 173-178).

შაფურთი. შიდა ქართლი

შაფურთი 1713 – იხ. ჭვარები

შაქთგოზი. ქვემო ქართლი

შაქთგოზი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

შაშვები. შიდა ქართლი

შაშვები 1786 – ... ლიპარტისშვილი ბერი და წრიაღაშვილები ... შაშვების მიწებზედა დაობდენ, რაც ახლა სოფელს სარწყავი მამული ქონდათ... (ქსდ, V, გვ. 324).

შაშვები 1786 – იხ. ქვათახევი

შაშვები 1789 – დემეტრე ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს პარკაძე გიორგი მღვდელს... ამილახორი ოთარ მამულებს მართმევს. შაშვებს რვა საკომლო წამართვა და ორი წელიწადია, ღალა იმას მიაქვს. ორი დღის მიწა თავის მსახურს იჩქითს წაართმევენა ჭაღას... (ქსდ, VII, გვ. 809).

შაშვისწყარო. იმერეთი

შაშვისწყარო 1515-1535 – იხ. კაცხი

შაშიანი. კახეთი

შაშიანი 1392 – იხ. ტფილისი

შაშიანი 1579 – იხ. მცხეთა

შაშიანი 1795 – იხ. ვანთა

შაშიანი 1799 – ... ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი ტაბაკინის მონასტრი-დამ წამოსულის მახარობლის მღვდლის. შაშიანის პირში კლდეზედ ერთი ეკლესია არის. ის ეკლესია თავის შეწირულის მამულებით თქვენმა კმამ კათალიკოზმა მე მომაბარა. ამას გვედრები ... რომელიც აქა-იქა დაფანტულა, იმ ეკლესიის სამკვიდრო მამულები იყოს და ვიპოვნო, ოქმი მიბოძეთ შაშიანის მოურავზედ ფრიდონზედ, მომაბაროს... (ქსდ, VIII, გვ. 513-514).

შაშიანი 1654 – იხ. საგარეჯო

შაშიანი 1654 – იხ. წინსაგარეჯო

შაშიანი 1787 – იხ. ველისციხე

შაშიანი 1798 – იხ. კალაური

შაშიანი 1799 – იხ. კალაური

შაშიან-კალაური. კახეთი

შაშიან-კალაური 1722 – იხ. სარუსთვლო

შე. ტაო

შე XV ს. – იხ. ასისფორი

შედარი. შიდა ქართლი

შედარი 1073 – იხ. თრიალეთი

შეისულანი – იხ. შაისულანი

შეკვეთი. გურია

შეკვეთი 1614 – იხ. აჭი

შემოქმედი. გურია

შემოქმედი 1572 ახლო – პატრონმან გურიელმან ვახტანგ გიძულენ შენ, მთასა წმიდასა მთაბორს გაბრწყინებულსა ხატსა ღმრთაებისასა... მას ჟამსა შინა, ოდეს ... დიდი საათაბაგო საქრისტიანო უსჯულთთაგან ... განირყუნა, იწყო მოკლებად სჯულმან ჩუენმან... მას ჟამსა, საათაბაგოს ... ბილწთა თათართაგან განირყუნა ზარზმის საყდარი, მონასტერი მოიშალა და მოოხრდა და აიშალა; და ზარზმის ხატი შენი ძლიერი, მთაბორსა გაბრწყინებული, აქ გურიას ჩამოასვენეს, ვითარცა ექსორიაქმნილი... მას ჟამსა შინა, აღვაშენეთ და შევაშენეთ ზარზმის საყდარი შემოქმედს და დავასვენეთ საძულესა ჩუენსა წმიდა ხატი ესე შენი... გაგვიწყვია ჩუენდა სასაფლაოდ ოთხმოცი კვამლის კაცით აზნაურშვილებითა... (ქსძ, VI, გვ. 657).

შემოქმედი 1660 – იხ. აჭი

შემოქმედი XVIII ს. II ნახ.– ჩვენ ... გურიელმან ... გიორგი ... შემოგვირე ჩემს ეკლესიას ქრისტეს ღვთაებისა და შემოქმედისასა გაბრიელ მდიუნის-სეული მიწა-მამული ... თევდორეთიანთ ყოვლითურთ (გსიდ, გვ. 156).

შენდიანი. კახეთი

შენდიანი 1775 – იხ. კვეტერა

შენონათუბანი. მცხეთა

შენონათუბანი 1579 – იხ. მცხეთა

შერგილანთ უბანი. თბილისი

შერგილანთ უბანი XVIII ს. I ნახ. – იხ. ქვემო უბანი

შერთული. შიდა ქართლი

შერთული 1696 – ... ჩვენ ... პატრონმან ნაზარაღისან ... ფავნელიშვილის შალვას მამული ბოქაულთუხუცეს ნუგზარს მივეციით და ნუგზარ შერთულსაც იჭერდა... ჩვენ ფიცი დაგავეით [ფავნელიშვილს პატასა] და დაგევიცენათ და ... ფიციტ გამოიტანეთ... გიბოძეთ შერთულს, რაც რომ ამას წინათ ქონებოდათ, თავიანთ მამულითა და დედულითა... (სს, III, გვ. 146).

შერთული 1771 – ... ფავნელიშვილი პაპუნა ... და გორელი ჯულაბაშვილი დაეითა შერთულის მამულზე ... ჩიოდნენ... მეფის თეიმურაზის წყალობის წიგნი პაპუნა ფავნელიშვილს რომ ჰქონდა, იმაში ასე იყო ბძანებული: შენი სამკვიდრო შერთული შენთვისვე გვიბოძებიაო... (ქსძ, IV, გვ. 615).⁶⁹

შერთული 1772 – იხ. ურბნისი

შერთული 1795 – იხ. გორი

შერთული XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

შეუბანი. კლარჯეთი

შეუბანი 1281-1282 ... ესე დაწერილი ჩუენ, გლახაკმან ქართლისა კათალიკოზმან ნიკოლაოზ, დაგვიწერეთ და მოგეციეთ თქუენ, საბაისძესა არვანბებს

⁶⁹ 1773 წლის არხით, ფავნელიშვილი მეფეს სთხოვს, ჯულაბაშვილისთვის შერთულის წიგნების ჩამორთმევას (ქსძ, VII, გვ. 241).

... მათ უამთა შინა, ოდეს ... დავით მეფე ამა უამთა ძნელბედობისა მიჭირ-
ვებულობისაგან სიმაგრეთა კლარჯეთისათა მოჰმართა და ... მათისა სამსა-
ხურისათუის ... მცხეთისა მკუიდრი შეუბანი თქუენთვის სამამულოდ სიგ-
ლითა მოეპობა. და უკანის ჩუენ მოვედით და ყოველნივე საქონებელნი
მცხეთისანი მოვიკლენით და შეუბანიც დავიჭირეთ. და თქუენ მოხუედით
და ... სიგელნიც მოიხუენით სამამულოდ ბოძებულობისანი და შეუბანსა
აბუსერეთ საერისთავოი და ბეგარი ზედა სდებოდა და იგი მათთან გეყიდა;
და გელათისა რომელიმე ცუილი და ბეგარა ზედა სდებოდა, იგი მათგან
გეყიდა... მოგეცით შეუბანი და დავიმკუიდრეთ ამისას გასრულებასა შიგა,
რომე ყოველ წელიწადთა დიდს ხუთშაბათს ესე ოცი ლიტრაი ცუილი ჩუ-
ენს ტანუტერს სახლობანსა მოეცემოდეს... ქათალიკოხსა ბრძანებისა მოწა-
მე ვარ, მიწაი, აწყურისა მსახურთუხუცესი ნიკოლაოხ... ნიკოლოხ ქართლი-
სა ქათალიკოხისა ბრძანებაი ჩუენ, ყოველთა აწყურისა საყდრისაშვილთა,
დემნაისა დეკანოხისა კელითა დავუინიშნავს... (ქისკ, გვ. 177-179).

შეუბანი. რაჭა

შეუბანი 1578 – იხ. ქუთაისი

შეუბანი 1768 – ...ესე ...წყალობის წიგნი დავიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ბა-
ტონმან ერისთავმან როსტომ... შენ... ჯაფარიძეს მერაბს... ვენახი გვთხოვეთ,
ქრთამიც მოგვართვი... და მოგეცით შეუბანს იოსებაშვილის ურის ნაქონ
ვენახი... (იდ, I, გვ. 114-115).

შეუბანი 1773 – იხ. ქუთაისი

შეყენებულისჯუარი. კახეთი

შეყენებულისჯუარი XII ს. მიწ. – იხ. რაბუნი

შეხვეტილა // შეხუეტილა. ქვემო ქართლი

შეხვეტილა 1552 – იხ. ახოტა

შეხუეტილა 1657 – იხ. ახოტა

შეხუეტილა 1705 – იხ. ახოტა

შეხუჭტილა. კახეთი

შეხუჭტილა XII ს. ბოლო – იხ. რაბუნი

შვა ბოლნისი – იხ. შვა ბოლნისი

შვაგრისი. იმერეთი (?)

შვაგრისი 1696-1710 – ... ესე ... წიგნი მოგართვით ჩვენ, ლორთქიფანიძემ
ოტიამ, თქვენ, კათალიკოხს ლორთქიფანიძეს ... გრიგოლს. ასე რომე, შვაგ-
რის ჭილაძე ჭყონდიდელს ბიჭვინტის ღვთისმშობლისათვის, ნემსაძე კათა-
ლიკოხის ხელშიდ, გლეხები შეეწირა. მერმე ის კათალიკოხი რომ მოკ-
ვდა, მანვე დაიჭირა და ერთი გლეხი ჩვენ მოგვაპრთამა. მერმე თქუენ ...
შვადღერიას აფშილავე გვიბოძეთ მისის ცოლშვილით... (დსსს, I, 100-101).

შვადღერია. 1696-1710 – იხ. შვაგრისი (?)

შველეეთი // შველეეთი. შიდა ქართლი

შველეეთი XV ს. I ნახ. – იხ. სამთავისი

- შველეთი 1774 – იხ. ქსანი (ქსნის საერისთავო)
 შველეთი 1781 – იხ. ისროლისხევი
 შველეთი 1781 – იხ. ქსანი (ქსნის საერისთავო)
 შინდიანის გზა. კახეთი
 შინდიანის გზა 1773 – იხ. ლაშარი
 შთონოეთი. შიდა ქართლი
 შთონოეთი XV ს. I ნახ. – იხ. სამთავისი
 შიბლიანი//შიმლიანი. კახეთი
 შიბლიანი 1693 – ... ესე წყალობისა წიგნი ... გიბოძეთ ჩუენ, ყარაბაღის
 ბეკლარბეგმან და კახეთის ბატონმან აბაზყული-ხან თქვენ ... მოურავს
 აბელს... შენმა განაყოფმა ლუარსაბ გვიორგულა ... და მამული სრულობით
 წავართვით. და შიბლიანი უბატონოთ დაჭერილი ჰქონდა და ამ შიბლიანს
 და ახალსოფელს ბეჟანბაღზედ დაგვეაჯენით. და წყალობა გიყავით შიბ-
 ლიანისა და ახალსოფლისა... (ქსის, გვ. 360).⁷⁰
 შიბლიანი 1700 – იხ. კაკაბეთი
 შიბლიანი XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი
 შიბლიანი 1724 – იხ. კაკაბეთი
 შიბლიანი – იხ. მელაანი
 შიბლიანი 1757 – იხ. კონდოლი
 შიბლიანი 1774 – იხ. ქიზიყი
 შიბლიანი 1791 – იხ. ბეჟანბაღი
 შიგნით კახეთი // შინა კახეთი // შინაგანი კახეთი
 შიგნით კახეთი 1637 – ... ჩუენ, მეფეთ-მეფემან ... როსტომ ... თქუენ, მაყაშ-
 ვილს ლუარსაბის შვილს ზაქარიას ... გიბოძეთ სამართლიანის თქუენის
 მამისა და პაპის მამული, რისაც მქონებელი მამათქუენი ლუარსაბ ყოფი-
 ლიყოს ან შიგნით კახეთს ან გამოღმა კახეთს ან პირაქეთ საგარეჯოს...
 (ქსის, გვ. 139).
 შიგნით კახეთი 1722 – იხ. კახეთი
 შიგნით კახეთი 1722 – იხ. მარტყოფი
 შიგნით კახეთი 1788-1811 – იხ. საქართველო
 შიგონასძის ქედი. კახეთი
 შიგონასძის ქედი XII ს. მიწ. – იხ. რაბუნა
 შიდარი. შიდა ქართლი
 შიდარი 1031-1033 – იხ. მცხეთა
 შიდარი 1488 – ... ქვათავევისა და ვლაქერნისა ღმრთისმშობელო, მე ... დე-
 დოფაღმან გულშარ ... ტაძარსა თქუენსა წინაშე ერთი დღე საუკუნო აღა-
 პი განვიჩინე, ასრე და ამა წესითა, რომე შიდარს ავეაროზისძესა ანდრიას

⁷⁰ წყალობის წიგნს აახლებს ქალბალი-ხანი 1695 წელს (ქსის, გვ. 370).

შილსა გრიგოლს და მისთა შვილთა ჩემი ნალუაწი თოთხმეტი ათასი თეთრი მიეცე და მათ მათითა ნებითა და წადილითა საუკუნო აღაპი გამოჩინეს... ვიდრემდის ქვათაჴვევისა ტაძარი ეგოს და ავეგაროზისძეთა ნათესავი და მათსა მამულსა ზედა მყოფი კაცი იყოს, ესე აღაპი ვერავინ მოშალოს... (იხ, II, გვ. 23).

შილდა. კახეთი

შილდა XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

შილდა 1722 ახლო – იხ. ლილო

შილდა 1728 – [განჩინება რუსიშვილებისა და ნეკრესელის ყმა-მამულის დავაზე]: ... რუსისშვილს გუნასა და შერმაზანისშვილს აბიბოს და ხოხონაშვილს რევაზსა და ელიზბარსა რომ შილდის მთა და ბარი და საღალო რომ ხელათ სჭერათ, მოვიდნენ და ნეკრესელის ყმები მთისა და ბარის გამოსავალსა და სახნავეს შემოეცილნენ... ძველთაგან ხელმწიფებისაგან შილდის მთა-ბარი და საღალო რუსისშვილებს და ხოხონაშვილებს საერთოთ მისცემოდათ... (ქსბ, IV, გვ. 320).

შილდა 1739 – ... ლეკის ჯარი ჩამოსულიყო, შილდის გაღაგანს შემოხვეწნოდა, ომი და სროლა შექნოდათ... თხუთმეტს დღეს შილდის გაღაგანს სდგომოდენ, ენისელთ მოურავის ძმა ნოდარ შიგ მოეკლათ ლეკებს. ენისელთ მოურავი დავით და მისი სახლისკაცები ამას უწიოდენ აშრაპს, რომე ლეკი საბუეს გარდადიოდაო ... და ომში რომ ლეკები დაჭრილიყვნენ, იმის სახლში დაწვევას, მოვლას აბრალებდენ... (ქსბ, IV, გვ. 346-347).

შილდა 1749 – ... შილდას ... რუსისშვილები აბიბო და ზაალ ერთმანერთს მამულის გასყიდვას ედავებოდენ... [მსაჯულებმა] კარჭაულის ვალში გაღებული მამული აბიბოს საკუთრივ დავაღვეით... (ქსბ, IV, გვ. 377).

შილდა 1756 – იხ. აღვანი

შილდა 1765 – იხ. ვეძისხევი

შილდა 1779 – იხ. კაკაბეთი

შილდა 1785 – დმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ... გიორგის რუსისშვილს... მეფის მამადჟული-ხანის განაჩენიც გვაქვს, რომ შილდათ მთა-ბარი და საღალო მამული საერთოდ რევაზიშვილის და რუსიშვილს სანახეროდ მისცემიათ... კიდევ თითონ ის ჩვენი მოდავენი ამბობენ, რომ ამაში ჩვენ საქმე არა გვაქს რაო, თქვენი მამული არისო და ჩვენ გაგვიტეხნიაო... [ოქმი]: ... ნეკრესელის ყმას თავიანთ მამული ნეკრესში აქვსთ და ვეძისხეველთ ვეძისხევეში აქვსთ... (ქსბ, VII, გვ. 663-664).

შილდა 1785 – იხ. ბელაქანი

შილდა 1785 – იხ. გაღმა მხარი

შილდა 1785 – იხ. თუშეთი

შილდა 1788-1811 – იხ. საქართველო

შილდა 1794 – ... შილდას თავადთან, მოკვლეთა და გლეხთან მენოგნევის(?) სავატრო ასე გარიგდა: ქ. ხამი – ოთხბაზ-უზალთუნი... ამათი გასაღები თორ-

მეტი თუმანი არის. ამ თავადებთან და სოფელთან ეს პირობა გამოგვირთმევია: ნახევარი ამათია და ნახევარი ნეკრესლისა არის... (მსეი, II, გვ. 289-290).

შილდა 1794 - იხ. ნაფარეული

შილდა 1795 - ივანეს დმერთმან ... ხემწიფის ჭირი მოსცეს. ერთი ჩემი ყმის შვილი გავზარდე პატარა და გამეყცა, შილდაში მისულა... (ქსძ, VII, გვ. 346).

შილდა 1796 - ... კვირას დღეს შილდას ... ერთობით ნეკრესელმა და თავადებმა, მოკვლევმა და სოფელმა, ეს პირობის წიგნი დავდევით და დავსწერეთ... რადგან მენოგეთ აღარ დასხდნენ, ამათ აქ შილდაში აღარა ივაჭრონ რა... (მსეი, II, გვ. 294).

შილდა 1797 - [არზა შანშე მილახერის შვილისა ერეკლე II-ისადმი]: ... ერთი ოქმი გვიბოძოთ ბატონის შვილს იულონზე, ჩვენს ნასყიდს მამულში ეისიცი კაცი იდგის, აჰყაროს და ჩემი მამული მე დამანებოს... [ოქმი]: ამგვარად მსახლობელნი ქართლშიაც ბევრნი არიან და კახეთშიაც... შილდაშიც არიან, ყვარელშიაც, ველისციხესაც და სხვაგანაც... თუ არ მორიდდებიან, ამას თავისი მამული დაანებონ... ჩვენ ასე გვგონია: გორშიაც იყოს ასე და სხვაგანაც. დიახ, ბევრია, აღბათ თელავშიც... (ქსძ, VIII, გვ. 429-430).

შილდა 1798 - ... მერაბ და იოსებ [ნაზარა შვილები] შილდაში თავიანთ ყმის მათია შვილის ... მიწას ... ედავებოდნენ... იოსებ იოვანეს ახმეტას ხიხორა შვილსა და იმის მამულს რომ ედავება, იოანე ეპასუხება: სულხან, ეშიკადაბაში რევაზ, მამაშენი და მამაჩემი ერთობის აქნის ფშავში რომ დახიზნულან, ეს მამული მაშინ გაუყიდნათ, კაცი აყრილა და გაქცეულა. სულხან მამაშენი და მამაჩემი რომ გაყრილან, წილში არ ჩუღლიათ. გამოსულა რამდენიმე ხანით, ეს ხოხორას შვილი მამაჩემს მიუყვანიაო და თავის წილში ნარგებს მამულზედ დაუყენებიაო... კოკიაური იოანეს საუფროსოში ნარგები რომა აქეს, იოსებ ედავებოდა, ევ კოკიაური შენი არისო და კანკიაური გასაყოფი გვაქვსო. თუ იოსებმა მოწმე მოიყვანა, რომ კოკიაური სხვა არის და კანკიაური სხვა საკომლო, კოკიაური იოანესი იქნება და კანკიაური უნდა სამათ გაიყონ ეშიკადასბაშმა გარსეყანმა, იოანემ და იოსებმა... გოგნანში და მუკუზანში რაც გაყოფილი აქვთ, იმას გარდა რაც დარჩომილი აქვთ, შეფარდებით უნდა შუა გაიყონ წილის... წინანდალს იოსებ წინანდლის წილს მიწაში წისქვილი რომ დაუბრუნებია, იოანე ეუბნება: თუ ძველს რუეს ზევიდამ ბრუნავს, ჩემიაო. და თუ ქვემოთ ბრუნავს შენი იქნებაო... ბალსადგომის მიწაზედ ურიათუნის ხოდაბუნზედ რომ ლაპარაკობენ, ესეებიც გაზომონ და შუა გაიყონ... მუკუზანს რომ საერთო წისქვილი ჰბრუნებიათ, იოანეს თავის წილი თავის კაცისათვის მიუცია და იოსებს თავისი კაცისათვის. და ორთავ ეს კაცები აჰყრიათ და ეს წისქვილი იოსებს უჭირავს საკუთრათ. ეს ორისავ საზიარო არის - ნახევარი იოსებისა არის და ნახევარი იოანესი... (ქსძ, VI, გვ. 59-61).

შილდა 1799 - ... შილდელი შალვას შვილი იასე უჩიოდა სიხარულას შვილს ტურს და გოის შვილს ივანეს ოთხის დღის მიწას, რომ ჩემი ოთხის დღის მიწა გირათ უჭირავსო... ჩვენ წიგნი მოვთხოვეთ ნასყიდობისა, არა ჰქონ-

და. ეს გვიპასუხა: შილდა, დიას ბევრჯერ დაიწო და ვინ იცის, როდის დაგვეწო... (ქსძ, VI, გვ. 91-92).

შილდა 1799 – შილდელნი, რომელნიც სანეკრესელო კაცნი არიან, ესენი უჩიოდენ ყვარელთ წმინდის სამების ეკლესიაზედა, ასე რომ, ეკლესიაც ჩვენი არისო და, რასაც ეკლესია ჩაიტანს, ის მამულიც ჩვენი არის დასაფლეთის მხარეო... [განაჩენი]: თუ რომ შილდელებმა ვერ დაიფიცეს, კუის წყარომდის ყვარელთ დარჩებათ. ეს სადაო მარტო სანეკრესლოს საემოსი არის. ამაში არც ვეძისხვევლთ, არც რუსისშვილებსა და არც ამათ ყმასა და არც სხვათ შილდელთ საქმე არა აქვსთ რა, მარტო სანეკრესლოს ყმისა და ყვარელთია... (ქსძ, VI, გვ. 111-113).

შილდა 1799 – ... მეფის ბრძანებით მივედით შილდას ... ჩახტაურების საქმეზედ... კაცი ოთხს წილათ გავეყავით... აღმოსავლეთისაკენ ზმარტლის დუბის პირამდის, ბოლოს ფაშაანის მიჯნამდის, დასავლეთის მკვარეს ტურის ციხის მიჯნამდი – ერთის წლისა ეს ერგოთ. მეორეს წილისა – თავს დიდი შარა აღმოსავლეთისაკენ ხოდაბუნში რომ მიჯნა ზის, იქილამ დაწყებული დასავლეთის მხარეს, საბუის მიჯნამდის... (ქსძ, VI, გვ. 122).

შილდა XVIII-XIX სს. მიჯნა – იხ. თელათგორი

შიმლიანი – იხ. შიბლიანი

შიმშილათ უბანი. ქვემო ქართლი

შიმშილათ უბანი 1793 – ... დედოფალი დარეჯან გიბრძანებ, დონდარაშვილო ზუაფ, მერე ყორღანანთ მისის უმაღლესობის ბატონისაგან ოქმი რომ პოძებთათ შიმშილათ უბნის დაღის აღებისა, რომ ის თავიანთი მამულები ფრიდონს ყაფლანიშვილსაც უჩვენებია შენთვის... როგორც მისის უმაღლესობის ოქმი აცხადებდნეს ... ისე უნდა აღასრულო... (სს, III, გვ. 291).

შიმშილათ უბანი 1793 – ... ბატონო დონდარაშვილო, მილახვარი იოსებ მრავალს მოკითხვას მოგახსენებ. მერმე შიმშილათ უბნის ბარობაზედ ყორღანშვილმა ფრიდონმა რომ მისის უმაღლესობის ... ოქმი მოგცა, რომელიც იმავე ფრიდონსა ამ შიმშილათ უბნის მიწები უჩვენებია, იმის დალაშენ უკლებლათ აიღევ... [მინაწერი]: ბატონო ზუაფ! ფრიდონ მოგახსენებ: მერაც ჭირნახული გაჩვენე მომიკილი, თუ მოუქცალი, ზევიდამ მოკიდებული ბოლომდი, ვარცვლავით სულ ენვეგეთის მამული არი... (სს, III, გვ. 364).

შინა // შინაგანი კახეთი – იხ. შიგნით კახეთი

შინდაარი. ქვემო ქართლი

შინდაარი 1646-1658 – იხ. ჭრეში

შინდაკრავი. შიდა ქართლი

შინდაკრავი 1635 – იხ. ენაგეთი

შინდარა. შიდა ქართლი

შინდარა 1584 – იხ. იტრია

შინდარა XVI ს. მიწ. – იხ. სურამი

შინდარა 1693 – ... ჩუენ ... მეფემან ნაზარალიხან, თქუენ ... აბაზაძეს ზა-
აღს ... ძველი სიგლები გინახეთ და [დაგიმტკიცეთ] ... აღაბეგაშვილი გო-
ვინა შინდარას, კვახიაშვილი ბეჟუა და შიო, ნიქოზელი ბერუასშვილები
და პარკაული მამული, ხაშურს ჩაჩანიძისეული მამული, ოძის ჯღენტი და
ლიპარიტაშვილი, ნოზაური ვენახი, ცეღანი მისის კომლეურითა ... დღეს
რისაც მქონებელნი იყუნენ... აწუ, გიბძანებთ კარისა ჩუენისა ვეჟილ-ვეზირ-
ნო და სურამის ციხისთაო ... თქუენცა ასრე გაუთავეთ... (სს, II, გვ. 162).

შინდარა 1719 – ... ჩუენ, ხერხეულიძემ ზურაბ ... თქვენ, აბაშიძეს ბატონს ვა-
ხუშტის ... მოგყიდეთ ჩუენი ... ყმა შინდარს ლომინაშვილი გიორგი... ისევე ბე-
კამს – მათიაშვილი ბერი ... მათის ... სახლკართა და სასაფლაოთი... ამისი
მოწამე ... აღის მამასახლისი ბეჟანიშვილი ბაინდურ... (დსსი, I, გვ. 180).

შინდარა 1778 – ... აბაზაძემ სოლომონ და ზურაბის შვილებმან, დავით და
ელენ, ძველი წიგნები წარმოადგინეს სანატრელი დედოფლის ელენესი...
სიგელით ებოძა აღაბეგაშვილი, შინდარას კახიაშვილები, ოძის ჟღენტი და
ლიპარიტაშვილი, ცეღანი მისის კომლეურით... აბაზაძე სოლომონ და დავით
ამაზე ჩიოდნენ: უთხვას ბლიაძეები ამ ღაღანიძესაგან წართმეული გეჟონ-
დაო და ამ წიგნით მეფეს ერეკლე პირველს ისევე ჩვენთვის უბოძებიაო...
რომელსამე დროს ეს ცეღანი სოფელი მახვილაძეს მისცემოდა და სიგე-
ლიც ჰქონდა და მეფე ერეკლე მეორესაც ებოძებინა მახვილაძისათვის. და
ამ ჟამს ამ სოლომონ აბაზაძეს ეჩივლა, ჩემი მამული ცეღანი უჭირავსო...
(ქსმ, V, გვ. 57-58).

შინდარა 1784 – დმერთმან ... ხელმწიფის ძის იულონის ჭირი მოსცეს აბა-
ზაძე სოლომანსა და დავითს... შინდარას ოთხი კვამლი კვახიაშვილი სახ-
ლებულა ჩუენი, და ამ ოთხი კაცის საკვამლო ასე დაკარგულა, რომ ერთ
კვამლ კაცს ვეღარ გავაძლებინე იმ მამულზე... (ქსმ, VII, გვ. 627).

შინდისი // შინდები. შიდა ქართლი

შინდისი 1031-1033 – იხ. მცხეთა

შინდისი 1772 – ... ჩუენ: გორელი ბაბლიაშვილი გიორგი ... [და] ცხინვლის
მამასახლისი ბეჟანა ... შინდისს ბერძნიშვილებთან შეეიყარენით... (ქსმ, IV,
გვ. 639-640).

შინდისი 1776 – დმერთმან ... ხელმწიფის ძის ლევანის ჭირი ზააღ დავი-
თისშვილს მოსცეს. თქვენს საბძანებელში შინდისს ჩემი კაცი გახლამთ...
წყალობა მიყავით, რომ აყვარო... (ქსმ, VII, გვ. 330-331).

შინდისი 1779 – დმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ფრცველს დავი-
თისშვილის ზააღის ყმას, ქურცაძე თამაზას. შინდისს თავყელისშვილის
კედლაღ ხიზნად გახლავარ... ახლა თავყელიშვილი სახლში შემომესია,
გამლახა... გგონებ ეს განიზრახა: ეს ხომ თავის ალაგს ფრცვას წავაო და
მე აღარ მემსახურებაო... (ქსმ, VII, გვ. 425).

შინდისი. შიდა ქართლი (თბილისთან)

შინდისი 1392 – იხ. ტფილისი

შინდისი 1558 — ... მე, მეფეთმეფემა ... სვიმონ ... ტფილის მეტეხთა ღმრთის-
მშობელსა შემოგწირე ქალაქის პირთა სოფელი შინდისი, მისითა სამარ-
თლიანითა მზღურითა... ძუელითგანცა მეტეხთა ღმრთისმშობლისა იყო
შინდისი და ჟამთა ვითარებისაგან გამოგკუეუბოდა... (ის, III, გვ. 66-67).

შინდისი 1626 — [სვიმონ მეფემ შიო სოლაღაშვილს] ... გიბოძეთ თქვენი
სამკუიდრო სოფელი შინდისი ... მითა და ბართა ... გიბძანებთ ... ქალა-
ქისა ტარუნო ... თქუნც ასრე გაუთავეთ... (სს, II, გვ. 409).

შინდისი 1658 — იხ. მეტეხის მონასტერი

შინდისი 1692 — იხ. დედოფლის რუ

შინდისი 1696 — ... ჩვენ, სომხით-საბარათიანოს სარდალმა ლუარსაბ, თუმა-
ნიშვილს ოთარს, იმონათამიშვილს შერმადინს და წინწყაროს მამასახ-
ლისს როსტომს უბძანეთ და ამის სამართალი ამათ ვაქნევიანეთ ... ბაინდუ-
რაშვილს შინდის მიწაში ნაღობი ქონდა, ის ნაზარას დავანებეთ... (ქსძ, IV,
გვ. 170-171).

შინდისი 1705 — იხ. კრწანისი

შინდისი 1712 — იხ. ურბნისი

შინდისი 1764 — დემეტრე ... ხემწიფის ჭირი მოსცეს ... დავითისშვილს
ივანეს... შინდისს ერთი გლეხი მანასაშვილი ჩვენი ყმა ყოფილა. ახლა ის
კაცი ამოწყვეტილი არის, მისი მამული თქვენთვის ძეგს, რომ არავის უჭი-
რავს... (ქსძ, VII, გვ. 77)

შინდისი 1771 — იხ. ტინისხიდი

შინდისი 1772 — იხ. ეგრისი

შინდისი 1772 — იხ. ხეობა

შინდისი 1774 — იხ. სომხითი

შინდისი 1774 — იხ. ჩარგამაშენი

შინდისი 1778 — იხ. ტაგნაგეთი

შინდისი 1781 — ერეკლეს ციხე

შინდისი 1783 — იხ. ტაგნაგეთი

შინდისი 1787 — იხ. ბრეთი

შინდისი 1789 — იხ. რუისი

შინდისი 1790 — იხ. ჯავახეთი

შინდისი 1791 — [თიბათვის თვის მორიგეთა ნუსხა]: ... შინდისიღამ სარ-
დლის ყმა მღებრიშვილი ავთანდილ, ტაბახმელიღამ ამისი ყმა აკოფასშვი-
ლი ბეჟანა, ვაშლოვანიღამ ტერ-წავანასშვილი შაქრუა, ერტისიღამ სარ-
დლის ყმა მაკარასშვილი ქიტესა, ბორბალოღამ იორამის ყმა პეტრიასშვი-
ლი ივანე, დურნუიღან შაბასშვილი პაპა, მარაბდიღამ ნიკოლოზის ყმა
ბასილასშვილი ბასილა, მარნეულიღამ ყული თამაზა, ნაზარქანთიღამ იო-
სებ მუშრბიბის ნაყმევი ჯანუაშვილი თამაზა... კუმისიღამ სარდლის ყმა
აკოფასშვილი ბაღდასარა... წალასყურიღამ ტარიელ ჯარიაშვილის ყმა

ივანე... თელეთიდან ამილახვრის ყმა მკალავი არუთინა... ხატისთელეთიდან
გონას'შვილი იასუ... (სეიძ, II, გვ. 160).

შინდისი 1793 – იხ. აბისი

შინდისი 1795 ახლო – იხ. ერედვი

შინდისი 1796 – იხ. სამთავისი

შინდისი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

შინდის-ტაბაკმელა. შიდა ქართლი

შინდის-ტაბაკმელა 1701 – ... ჩვენ ... პატრონმან ნაზარალიხან ... გიბოძეთ
თქვენ ... სოლად'შვილს შიოშს ... შინდის-ტაბაკმელას შენი კერძი გლენხნი
და მამული თაირა'შვილები... (სს, II, გვ. 443-444).

შინდლარა // შინდნარა. ქვემო ქართლი

შინდლარა 1632-1658 – იხ. ფიტარეთი

შინდლარა XVII ს. II ნახ. – იხ. წრაუთი

შინდლარა 1706 – [ბრძანება ვახტანგ ჯანიშინისა]: ... ჩვენის ბიძაშვილის,
ბატონის ანახანუმის საუფლისწულო სოფელი შინდლარა გვითარხნება
ამ წესით, რომ სანამდის ბატონი ანახანუმ ცოცხალი ბძანდებოდეს, არა-
ფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არაეთხოვებოდეს-რა... (სს, II,
გვ. 361).⁷¹

შიომღვიმე // მღვიმე // მღვმე // მღვიმის უდაბნო //წმ. შიოს უდაბნო // წმ.
შიო. შიდა ქართლი

შიომღვიმე 1057-1058 – ... და ვერ დავიმორჩილეთ ლაშქარნი და აღაოკრეს
მამულნი წდისა უბადნოსისა ლავრისა მღუიშისანი... სალოცავად სულისა
ჩემისა და საღხინებლად ცოდვათა ჩემთა შევწირე წმიდასა მამასა შიოს,
ლავრასა მღუიშისასა ... მანგლის კვეს ადგილი ბორცუისჯვარი, ყოვლითა
მზღვრითა მისითა... და გაუთავისუფლეთ ყოვლისა შესავლისა და გამო-
სავლისაგან... ესე ვითა ... ბაგრატ აფხაზთა მეფისა ... ბორცუისჯვარი ...
მღუიშისა მონასტრისადა შეუწირავს, მე გიორგი ქართლისა კათალიკოზი
მოწამე ვარ დაწერილსა მათსა... წმიდისა დედაქალაქისა და სუტიცხვო-
ლითა უძღვევლსა მეფეთა-მეფესა დაუწერია და შეუწირავს ბორცუისჯვარ-
ი მღუიშისათუინ... მეცა ... იოვანეს ძესა ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავისა
დამიმტკიცებია... (ქისკ, I, გვ. 35-38).

შიომღვიმე 1073 – იხ. თრიალეთი

შიომღვიმე 1123-1124 – იხ. ტფილისი

შიომღვიმე 1170 – იხ. სხალტბა

შიომღვიმე 1189 – იხ. უნვალი

შიომღვიმე 1189-1200 – იხ. დაოთი

შიომღვიმე 1195-1196 – იხ. სხალტბა

შიომღვიმე 1200 ახლო – იხ. რუეთი

⁷¹ ვახტანგ VI შინდლარას ათარხნებს 1709 წ. სიგელითაც (სს, I, 1899, გვ. 348).

შიომღვიმე 1211-1212 – იხ. აგარა

შიომღვიმე 1230-1235 – იხ. აგარა

შიომღვიმე 1240-იანი – [საეკლესიო კრების დადგენილება შიომღვიმისათვის შეუვალლობას განახლების შესახებ]: ... არ უც საქმე მღუიმესა თანა არცა ქართლისა კათალიკოზთა, თუნიერ ღოცვისა და კურთხევისაგან, არცა ებისკოპოზთა, არცა ვის სხუასა ებისკოპოზსა, არცა მთავარსა ვისმე... (ქსძ, III, გვ. 160-161).

შიომღვიმე 1249-1260 – იხ. ციხედიდი

შიომღვიმე 1259 – იხ. ანგროინი

შიომღვიმე XIII ს. – ... დაგიწერეთ დაწერილი ესე თქუენ, ბასილი ალავერდელე მთავარეპისკოპოსსა, ჩუჴნ, მღვმეს დამკვდრებულთა ყოველთა კრებულთა... იწადნიერე, რადთამცა საუკუნომ სამლოცველომ თქუენი ამას უდაბნოსა შინა უკუნისამდე გებულიყო ჩუენ ... სამწირველოდ თქუენ მოგაკვსენეთ, მღვმეს შინა სახლი და პური უკუდავი ... და აგარას ვენაჯი და სახლი... (ქისკ, I, გვ. 190-191).

შიომღვიმე 1344 – იხ. შოღადრიული მიწა

შიომღვიმე 1392 – იხ. ტფილისი

შიომღვიმე 1413-1442 – იხ. ძალისა

შიომღვიმე 1445-1469 – ... მეფემან გიორგი ... ესე სიგელი გკადრე შიომღვიმის უდაბნოს მღუიმისა... შემოვსწირეთ და მოვაკვსენეთ ქუეყანასა სხალტბასა, რაც დიდი სათათრო სდებოდა, იგი სრულიად ამოუკვეთეთ... (ისშშმ, გვ. 72-73).

შიომღვიმე 1475 – იხ. ახტანი

შიომღვიმე 1508 – იხ. კასპი

შიომღვიმე 1523 – იხ. კასპი

შიომღვიმე 1525 – იხ. დიღომი

შიომღვიმე 1580 – ... ჩუენ ... მეფემან სვიმეონ ... ესე ... წიგნი ... მოგახსენეთ თქუენ, წმიდასა შიოს... [წინამძღვარმა] ძუელნი სიგელნი მოიდეს და უდაბნოს მღეიმისა და მათისა შესავლისა სოფლისა სხალტბისა და ნასტაგისისა სითარხნისა წიგნსა და ნიშანსა გუეაჯნეს... საწვენო სათხოვარი და გამოსაღები სხალტბასა და ნასტაგისსა არა ეთხოვებოდეს... (ისშშმ, გვ.79).

შიომღვიმე 1605 – იხ. ოკამი

შიომღვიმე 1658 – ... ჩუენ, ყანჩაელმან წინამძღვარმან მელქისედეკ ... [როსტომ მეფეს] სამღუიმის ... საურის ამოკუეთას ვიაჯენით... ათარხნეს. ასრ რომე, წმიდის შიოს უდაბნოს ყმათა არა გამოუვიდოდეს არა საური და არა კელმწიფის მოსაქმე არა სვეიდოდე წმიდის შიოს მამულში... კოდის წყაროელნი მღვმის ყმანი და ჯეჯიკურს მღვმის ყმანი თითოს შაურს გამოიდებდე... ფურნაგელნი და ოკმელნი ასრევე თეთრსა ... გამოიდებდენ... ბერშოეთს გლარჯაძევეები ... ერთს ბატკანს დაკლევდენ... (ქწ, I, გვ. 95-97).

შიომღვიმე 1665 – იხ. კასპი

შიომღვიმე 1707* - [ვახუშტი ორბელიანისადმი გადაბურვილი ნიეთების დარიგების სია]: მღვიმის წინამძღვარს - ნოდარის შვილის პაატასი ა... იკორთის წინამძღვარს - ამილახორის დარაიაბაბთი ა... მცხეთის დეკანოზის შვილს დანიელს - მოურავის გურდახურვილი დარაიაბაბთი ა... (სს, II, გვ. 273-274).

შიომღვიმე 1766 - იხ. გორი

შიომღვიმე 1781-1782 - იხ. ქალაქი

შიომღვიმე 1787 - იხ. კასპი

შიომღვიმე 1790-1800 - ... მე, ზეღვინიქემ შარმაზანის შეილმან ლუარსაბ ... შენ, წმიდის შიოს დეკანოზს პეტრესა და იოვანესა ... მოგყიდე მთაზე მიწა ორის დღისა, ქანდურს შარას ზევით, ხოდაბუნთან... (ისშმმ, გვ. 84).

შიომღვიმე 1794 - ... ჩვენ, ირაკლი მეორემ, ესე წიგნი გიბოძეთ შენ, მახარებლის შვილს იაკობს... ერევანს წასულიყავ, საქართველოში ნათესავი არაეინ გყვანდარა... ჩვენ ხელმეორედ შიოს შეგწირეთ... როგორც სვეტიცხოვლის ყმანი და წმიდის იერუსალიმის ყმანი ნახევარს ბაჟს აძლევენ, შენც ნახევარ ბაჟს წმინდა შიოს მიართმევდე... (ისშმმ, გვ. 84).

შიოსუბანი. შიდა ქართლი

შიოსუბანი 1170 - იხ. სხალტბაი

შიოსუბანი 1475 - იხ. ახატანი

შიოსუბანი XV-XVI სს. - იხ. ახატანი

შიოსუბანი 1756 - [ერეკლე II-ის წერილი ანტონ კათალიკოსისადმი]: ... გუშინ იოანე მოვიდა აქ შიოსუბანს. თქვენი ამბავი მოგვიტანა... დავით ერისთავმა, დიად, დიდის ბეჯითობით ბატონიცა და ჩვენც დაგვაპტიუა შინ... (ქეწ, გვ. 101).

შიოს უდაბნო - იხ. შიომღვიმე

შიოური მამული. შიდა ქართლი

შიოური მამული 1527-1558 - იხ. ქვეშელის ციხე

შირაკოანი. სომხეთი

შირაკოანი XVI ს. დას. - იხ. ყვიზისი

შირაქი. კახეთი

შირაქი 1651 - იხ. ნინოწმინდა

შირაქი 1699 - იხ. ყორნევი

შირაქი 1708 - იხ. ყორნევი

შირჩაპატი. ქვემო ქართლი

შირჩაპატი 1657 - იხ. ტაშირი

შირჩაპატი XVII ს. II ნახ. - იხ. წრაუთი

შირჩაპატი 1707 - იხ. წრაუთი

შიშთაფა // შიშთეფა. ქვემო ქართლი

შიშთაფა 1657 - იხ. ტაშირი

შიშთაფა XVII ს. II ნახ. - იხ. წრათუთ

შიხი. ქვემო ქართლი (?)

შიხი 1797 - [არზა ჩერქეზიშვილებისა]: ...ჩემო ხემწიფევე, ამ არეულობაში თათრები აიყარნენ და აქეთ-იქით გამექცნენ, ზოგნი ისევ მოვიდნენ და ზოგნი თათრებში დგანან... დაფანტული თათრები დგანან: შიხიში... თაქ ღაში... ჩალაბლურში... ბორჩალოში... (ქსბ, VIII, გვ. 410).

შიხნობანა. ქვემო ქართლი

შიხნობანა 1651 - იხ. სომხითი

შლაპიშვილისეული მიწა. შიდა ქართლი

შლაპიშვილისეული მიწა 1692 - იხ. დედოფლის რუ

შოდა. სვანეთი

შოდა 1503 - იხ. რაჭა

შოღადრიული მიწა // შოღადრაური ყანა. შიდა ქართლი

შიომღვიმე 1344 - ესე დაწერილი მოგეცით ჩუენ, დიდმა ღაგრამან მღუიმი-სამან ... შენ ... ბავტისძეს ჯაუნორსა... მოგეცით სამი დღისა მიწაი შო-ღადრიული ... ვარდანიძეთა საღალოდ რომე ჰქონდეს; მათი ღაღაი აღარ გუინდოდა და შენ, მჭედელსა ჯაუნარსა მიგეცით და ბეგარი გაგიჩინეთ წელიწადსა შიგა ოთხი ღიტრაი ცვილი, რომე შიოობასა დღესა მღუიმეს მოიღებდე. ამისგან მეტი არა ზე გაც ამა სამისა შოღადრაურისა ყანისა-თუის... (ქრონ, II, გვ. 180-181).

შომეთი. რაჭა

შომეთი 1071-1080 - იხ. ზნაკვა

შობტროვანი. შიდას ქართლი

შობტროვანი XV ს. I ნახ. - იხ. სამთავისი

შორაგალი. სომხეთი

შორაგალი 1783 - იხ. ქართლი

შორაგალი 1798 - ღმერთმან ხელმწიფის ჭირი ზაქარია ბეპურიშვილს მოსცეს... მოგესხენებათ, შორგლის მოურაობა საერთოთ წყალობით ვგვირ-და და რაც შემოსავალი ვგქონდა, ისიც საერთო იყო. ამ ზაფხულს რომ შორაგალს გახლდით, ისევ გაუყრელნი გახლდით... (ქსბ, VIII, გვ. 453).

შორაპანი. იმერეთი

შორაპანი 1287-1288 - ... დავითისაგან ბაგრატიუნისა, ძისა რუსუღანისა... მოვიდა ჩუენს წინაშე ზარადხანისუხუცესი ჩუენი ვახტანგ თულაისძე და გუეჭაჯა ... რითამცა შევიწყალეთ და, რომელ სუენგან ბოძებული შორაპა-ნი და ღუერკი მას ჰქონდა, მისადმცა სანაცვლოდ, რაჭას ეკლესიაი პიპი-ლეთი მისითა შესავლითა ჟაშქუითა და ირი, ღუერკისა სანაცვლოდ გუე-ბოძა მკუიდრად და სამამულოდ. და ვითა მეთემენი აზნაურნი არიან, ეგრე-ვემცა მეფობას ჩუენსა ჰმსახურებდა, ვითა თუით ჩამომავლადაც მეთემე იყო... მიუბოძეთ ... სიღლითა ამით რაჭას სოფელი პიპილეთი და მისი შე-

სავალი ჟამქუაი შორაპნისა სანაცვლოდ, და უგრევე ირი ღუერკისა სანაცვლოდ, მკუიდრად და სამამულოდ გუბოძებია... (ქისკ, I, გვ. 181-182).

შორაპანი 1742-1743 – იხ. მორძგვეთი

შორაპნის ციხე. იმერეთი

ციხია 1573 – [შეწირულების წიგნი გიორგი იმერთა მეფისა]: ... უბოძეთ გელათს დასაველეთის კარსა სასაფლაო... ულუხან იქი დავამარხეთ ... და შევსწირეთ გლეხნი ციხიას... ლაშკარაული პარტახტი... ბიბილაური პარტახტი... აგრევე ფარცმანაყანევს გლეხნი ქელბაქიანის აუთანდილისაგან მონასყიდნი ... შევსწირეთ გელათს ულუხანის სულისათვის... (დსსს, I, გვ. 29-31).

ციხია. ქვემო ქართლი

ციხია 1523 – იხ. მძოვრეთი

ციხია 1740 – ... ჩვენ, შიოშისშვილმა პაპამ ... თქვენ, ზაალსაშვილებსა ... მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო და ნასყიდი მამული ციხიას და ენაგეთს... (დსსი, I, გვ. 290).

ციხია 1746 – იხ. თაფანი

ციხია. შიდა ქართლი

ციხია XVI ს. – იხ. ქურთა

ციხია 1780 – იხ. დოესი

ციხიანთ კარი. არაგვის ხეობა

ციხიანთ კარი 1781 – იხ. წკერე

ციხისი. ქვემო ქართლი

ციხისი 1635 – იხ. ენაგეთი

ციხის მთავარმოწამე. შიდა ქართლი

ციხის მთავარმოწამე XIII ს. II ნახ.– იხ. ბნავისი

ციხის მეიდან. თბილისი

ციხის მეიდან 1749 – ... გავიყარენით ჩვენ, მეღიქი აშხარბუგის შვილი მირიშქარბაში აღა და სტეფანა და ჩვენი ძმისწული ბუკბუდასშვილი მეღიგზადა... ჩვენი დუქნებისაგან სამი დუქანი ციხის მეიდანის პირში, ავლაბრის საყდრის ვახშია. ამ დუქნების გვერდით ერთი დუქანი კუსანანთ საყდრის ვახშია... აშახანაში ერთი დუქანი ენშიაძინის ვახშია და რასტაბაზრის პირში ჩორსოსთან ერთი დუქანი სევანის ვახშია... და დარჩა ჩვენი გაუყოფარი ... დიდი ქარვასლა, ანტონის ქარვასლის სამი ჩარეჟი და წყნეთი... და ავლაბრის ბაღი, სეიდაბათის ბაღი სამწილად საერთო არის... (ქსმ, IV, გვ. 381-382).

ციხის მეიდანის უბანი. თბილისი

ციხის მეიდანის უბანი 1767 – ... ნასყიდობის წიგნი ... მოგეცი მე, ყამაზანთ მარტიროზას შვილმა შაქაროამ ... შენ, ჩემს ძმას მურადას... მე და შენა რომ გავეყარენით, მაშინ ერთი დუქანი ციხის მეიდანის უბანში ჩვენი საერთო იყო, ფრანგი სიმოვანას შვილი ანტონას ჯვალაბისაგან ნასყიდი... და გარეთუბანში ჩვენი ყმა მეჩახმახე არუთინას ნასახლარი ალაგისაც, ესეც ნახევარი შენი იყო და ნახევარი ჩემი იყო. აწე ვალი მქონდა ... და მოგყიდე... (დთი, I, გვ. 310).

ციხისძირი. არაგვის ხეობა

ციხისძირი 1781 – იხ. პავლეური

ციხისძირი. კლარჯეთი

ციხისძირი 1392 – იხ. ტვილისი

ციხისძირი. შიდა ქართლი

ციხისძირი 1637 – [ზაქარია დილიმაშვილმა გედევანიშვილებს] ... ბატონს ერაკლესაგან მოსყიდული ნავენაგობი მოგვიდე სავენაგე ზემოთ ჩემის განაყოფის ვენახამდი, ქუემოთ ვაკემდი... არიან ამისნი მოწამენი ... სულაშვილი ნაცვალი თამაზა... ციხისძირელნი დათინა და სრულიად აღაიანელნი. მოგვიდეთ კიდეუ ორის დღის მიწა ჭაობში, მოგვიდეთ წყაროსთან ტატის მიწის გვერდზე ზემო ბეგამდი... (სს, I, 1899, გვ. 336).

ციხისძირი 1695 – იხ. წილკანი

ციხისძირი XVII ს. – [სამთავისის სამწყვოს შესავლის წიგნის ახალი ნაწილი] ციხისძირს პური ბ, კომლზე კოდი, ქადაგიანში..., აღაიანსა..., კვარხითს პური ბ, დრამა – კომლზე კოდი პური, ჩანგილარს..., ბეგათავს..., ექეთს ოკამს..., იქით ოკამს..., თეზს..., გარეყანთ უბანს..., ლამის ყანას..., ხუთსა და ნორტეს..., ბიენის..., იგოეთს..., ფუნგის..., გერეთს..., ჯეჯლიკურს პური ორი, დრამა – კომლზე კოდი პური. ამგვარად მიართმევედენ (ქსმ, III, გვ. 205-206).

ციხისძირი 1711 – იხ. ქვიშხეთი

ციხისჯუარი. კახეთი

ციხისჯუარი 1799 – იხ. გრემი

ციხტლა. შიდა ქართლი

ციხტლა 1399 – იხ. მუხრანი

ცლოკანი. კახეთი

ცლოკანი 1748 – [წყალობის სიგელი ერეკლე II-ისა სერგია პოპიაშვილისადმი]: ... ცლოკანის ქვეხოზას და მირზანში ამოწყვეტილის ბერუკას ნაქონს მამულს გვიჯენით... რადგან მირზანზედ დაეღოთ ცლოკანის ქვეხოზა, როგორადაც მირზანის ქვეხოზა გჭირს, წყალობა ბატონის მამის ჩვენისაგან და ჩვენგან, ესეც ამ რიგით გვიწყალობებია... აწე გიბძანებთ ... ვიზიტის მოურაგო, ნაცვალო, ასისთაგო... თქვენც ასე დაუმტკიცეთ... (სს, III, გვ. 196).

ცნო. ხევი

ცნო 1779 – იხ. სტეფანწმინდა

ცოვრეთი // ცორვეთი // ცხოვრეთი. ქვემო ქართლი

ცოვრეთი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

ცოვრეთი 1543 – იხ. სხალნარი

ცოვრეთი 1638 – [მამულის გაცვლილობის წიგნი ბარათაშვილისა და არეშიშვილს შორის]: ... ცოვრეთს ბარათიათაგან ჩუენს ნათესავთა სავენახე მიწები ეყიდა და სიგელიცა გქონდა, ჩუენ ავღვებით და ის მიწებიცა და იმისი სიგელიცა თქუენ მოგართვით, რაც ამ სიგელში სავენახე მიწები ეწერა, ერთობაში ჩუენის ნათესავთაგან ერთად ნასყიდი იყო და ნახევარი

ჩუენი წილი მყუირალაურის ვენახისაკენ და ძველის საწნახლისაკენ თქუენ მოგართვით და ვანქსა შენს ახალშენთა რაც ჩემი კერძი და შაჰყულას კერძი არის მიწა, ისიც თქუენთვინ მოგვირთმევი და ამისდა სამუქვოთ, რაც ბიძის თქუენის და მამის თქუენისაგან ვანქს ნახყიდი მიწა იყო, ფალავან ხოსროს კერძი ქულინაშვილისაგან რომ ყყიდა ოთხის დღის მიწა სარწყავი, ის ჩუენ დაგვანებუ, ამ რიგათ გავსცვალეთ და შევერიგდით... არის ამისი მოწამე... **ვანქელი ქუმნაშვილი ქაღბათა, კიდევ ვანქელი ბარამაშვილი პარუმბევა...** (სს, I, 1899, გვ. 483).

ცოვრეთი 1642 – [როსტომ მეფის წყალობის წიგნი გერმანოზ ბარათაშვილისადმი]: ... თქუენი სამკვიდრო სოფელი ცოვრეთი გამოგართვით და ბატონიშვილს გიორგის უბოძეთ... გიბოძეთ ცოვრეთის სამუქვოდ და სანაცულოდ ჩუენი სახასო სოფელი სომხითს – დიდი წერაქუი მისით მითთა, ბართთა, წყლითა... (ქსოის, გვ. 20-21).

ცოვრეთი 1643 – იხ. საბარათაშვილო

ცოვრეთი 1653 – იხ. ბედენი

ცოვრეთი 1699 – იხ. მანგლისი

ცოვრეთის ჴევი // ცორვეთის ჴევი. ქვემო ქართლი

ცოვრეთის ხევი 1600 – იხ. გუდარეხის მონასტერი

ცოვრეთის ჴევი 1612-1659 – იხ. გუდარეხის მონასტერი

ცოლოთი. შიდა ქართლი

ცოლოთი 1392 – იხ. ტფილისი

ცორვეთი – იხ. ცოვრეთი

ცორვეთის ჴევი – იხ. ცოვრეთის ჴევი

ცორკუთი. ქვემო ქართლი

ცორკუთი 1756 – იხ. ცხეკვი

ცოტა ბარეთი. ქვემო ქართლი

ცოტა ბარეთი 1392 – იხ. ტფილისი

ცოტა გორა. შიდა ქართლი

ცოტა გორა 1527-1558 – იხ. მუხრანი

ცოტა მეღურეკისი. შიდა ქართლი

ცოტა მეღურეკისი 1559 – იხ. სხალდიდი

ცოტა მეღურეკისი 1574 – იხ. ყურისუბანი

ცოტა ღელე. კახეთი

ცოტა ღელე 1579 – იხ. მცხეთა

ცოცხალაანთ უბანი. თბილისი

ცოცხლიანთ უბანი 1733 – ... ჩვენ, წატაიკლირანთ ტერ-მარქარას შვილმა მეღქოამა ... თქუენ, ბაღდინისშვილსა ოჰანასა ... მოგყიდეთ ჩუენი მამეული ცოცხლიანთ უბანში, ბურჯისაკენ, ერთი დაქცეული სახლი... (დთი, I, გვ. 165).

ცუ. სამეგრელო

ცუ 1470-1474 - იხ. მსხულები

ცუ XV ს. II ნახ. - იხ. ხოფი

ცუ 1611-1657 - იხ. ხოფი

ცუქელაურის მიწა. შიდა ქართლი (?)

ცუქელაურის მიწა 1681 - [ნასყიდობის წიგნი გიორგი მუნათიძისა უცნობი პირისათვის]: ... შიმშილობის წელიწადს თორმეტი კოდი პური და ათი აბა-ზი თეთრი უნდა მოგვეცა; და სულს იქით ღონე აღარ გექონდა და მოგყიდეთ ვენახის თავს ცუქელაურის მიწის საქცევს მირიანაშვილის მიწის თავსართუმალს პანიაურის ზომა ოთხი დღის მიწა... (დსეი, გვ. 18).

ცუქითი. შიდა ქართლი

ცუქითი 1031-1033 - იხ. მცხეთა

ცუცუბანი. შიდა ქართლი

ცუცუბანი 1590 - იხ. ზემო ცხირეთი

ცუცუბანი 1640 - იხ. ცხირეთი

ცუცხვათი. იმერეთი

ცუცხვათი 1697 - ... ესე... წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩვენ ... მეფეთ-მეფემან ბატონმა გიორგიმ ... თქვენ, აგიაშვილს ვახტანგს... თქვენნი ძმისწული ქაიხოსრო უშვილოთ გარდაიცვალა და მისი მამული სამართლით ჩვენ დაგვრჩა... და გიბოძეთ ცუცხვათს [ყმა-მამული]... სხვა ამას გარეთ რომელიცა ქაიხოსროს დანარჩომი ან სასახლე, ან პარტახი იყოს ... ხელშეუვალად გვიბოძებია... (სმ, I, 1925, გვ. 94-95).

ცუცხვათის ციხე. იმერეთი

ცუცხვათის ციხე 1673 - ჩვენ ... მეფეთ-მეფემან ბატონმა ბაგრატ ... შენ ... ციხისთავის შვილს ვახტანგს ... გიბოძეთ ციხისთავობა და ცუცხვათის ციხე... რომელიც რომ თეიმურაზ არ გასცა და ბიძათქვენს ხელთ ქონდა, ან აზნაურისშვილი, ან მსახური და ან გლეხი, და ან მიწა-ალაგი, - ყველა ხელშეუვალად შენთვის მოგვიცემია... (სმ, I, 1925, გვ. 93-94).

ცხავატი // ცხაოტი. შიდა ქართლი

ცხავატი XV ს. I ნახ. - იხ. სამთავისი

ცხავატი 1735* - ჩვენ, ერისთვისშვილმა ივანემ ... შენ, ბატონს მილახორს მერაბს ... მოგვცით ჩვენი ყმა ბენტერისშვილი გიორგი, მეჭურჭლე ცხაოტელი... (ქსბ, VIII, გვ. 891-892).

ცხავატი 1774 - იხ. ქსანი (ქსნის საერისთავო)

ცხავატი 1781 - იხ. ისროლის ხევი

ცხავატი 1781 - იხ. ქსანი (ქსნის საერისთავო)

ცხამი. იმერეთი

ცხამი 1789-1810 - იხ. ჩიხა

ცხაოტი. არაგვის ხეობა

ცხაოტი 1776 – იხ. ფასანაური

ცხაოტი – იხ. ცხავატი

ცხევერი // ცხავერი // ცხავარი // ცხევერეთი // ცხევერელნი. შიდა ქართლი

ცხევერი IX ს. II ნახ. – ... მას უამსა, ოდეს ბარდავს შევიბენით, ერთი ლომისა მსგავსი ფავენელი მკუღარი დარჩა და ერთი ცოცხალი... ვთხოვენ [ფავენელმა] ჩემნი მკუიდრნი მამულნი ... მეფესა და მიბომნა ... ოთხნი სოფელნი: ცხევერეთი გუელდესითურთ, გავაზელნი კოტმითურთ, ქუმო გუელდეს ორი გლესი... და მოვიყვანე მთავარი მემღუიმე თევდორე და მივათუალენით სოფელნი; და მომიწონა ოცდაათი ლიტრა ოქრო... [ფავენელის ხელრთვა]: ... მივეცით და მივუბედნიერეთ სარკინისა წინამძღვარსა... აჰნიჩმელი... კორინთელი... და ვახტანგ ბივრიტელი... (ქისკ, I, გვ. 17-18).

ცხევერი IX ს. მიწ. – ... ჩავე მე, მიქაელ მემღუიმე და ჩავიტანენ ჩემნი ლაერანი ცხევერელნი. დაუწყე ჩემსა მამულსა შიგან ციხესა გება. დავდგი ჰევისა კერძოდ უკეთესი კოშკი შიგნით. და გარეთ-უკეთესი სახიზრო ცხევერელთა პქონდეს. დავიდევ ერთი დღე ანუელი – ციხისა ბეგარი... თუ რამე ცხირელსა ჳელოსანსა გუერდსა შესაპოვარი გედვას, აქმევე რასა... გარდავე ლიხთ-იმერთ და მოვიდე თავისუფლობისა ბრძანება კოსტანტინესი და ბაგრატისი, კახთა მეფეთა ფალლესა და კუირიკესი... (ქისკ, I, გვ. 18-19)

ცხევერი 1073 – იხ. თრიალეთი

ცხევერი 1170 – იხ. სხალტბა

ცხევერი 1590 – იხ. ზემო ცხირეთი

ცხევერი XVII ს. – სიგელი ცხევერისა, ცხირეთისა, გავაზისა გველდუხისა და ბჭიტისა და ჳვარის კოტმანისა, აგარისა და ციხედიდისა (ქისკ, I, გვ. 70).

ცხეკვი // ცხეკი. ქვემო ქართლი

ცხეკვი 1710 – იხ. ღურნუკი

ცხეკვი 1756 – ... ერგო ოთარს [გერმანოზის შვილს] საუფროსოდ [ყმა-მამული] ცხეკვს... ტბის... აბელიას... ვეღეთალას... ვერხნალას... ზას... გუგუნას რომ ევნახი აუშენებია მარაბდას იმისი ზომა ერთი ოთარს აუღია და ერთი ვარაზას... ერთ წილად აკრისი სხლნარ-რეეშნის ფარდათ ერგო გერმანოზს. ერგო ოთარს საუფროსოდ საუარესოდ სხალნარს აღომელა შვილი... [ერგო ყმა-მამული] ენაგეთს... ცორკუთს...⁸¹ მცოვრეთს... კოხოტას... სხალნართ... ბეთენიას... ერთ წილად ანდრიას ნარიმანას შვილი ბეჳუა ერგო გერმანოზს. მიეცა იასეს საუმცროსოდ ტბის გუგუნას აშენებული სასახლე და რაც ადგილი სასახლედ დაუჭერია ერთ პირად ნაშენებით და კარ-მიდამოთი... ერთ წილად ვერენტალს ეენეზა ერგო ოთარს... ერთ წილათ აკურისი ჩვენი წილი მამული კარუტას შვილი ოქრუა, ბელეხის მამული, ქთლელის მამული, სიხორაულთი, კოკატლისი, პირმიწეთი, დღეს რისაც მამულის მქონებელი

⁸¹ ცხოვრეთი?

იყენ, სულხან რევაშლის ფარდია, ერგო გერმანოზსა... ღბ ერთ წილად
სწლი (?-ე. თ.) დიგ მზეითი ერგო ოთარს... ლე...ლად ანდრის (ანდრიას - დ.
ბ.) ნარიმანა... სეხნია ერგო ოთარს... (სს, I, 1899, გვ. 395-398).

ცხენისწყალი, მდინარე

ცხენისწყალი 1413-1444 - [სიგელი ალექსანდრე მეფისა]: ... მას ჟამსა,
ოდეს ერთი ... ზანდუეი ოქრო და ვეცხელი ცხენის წყალმა წამართვა და
კაციბერი მომირჩინა ... მართლით განაბჭობი სისხლი გაუჩინეთ თოფური-
ძეთა... ქართლისა ქათალიკოზნო ... [და] ლისთ-იმერისა ქათალიკოზნო ...
თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ ბრძანება და სიგელი ესე... (სს, II, გვ. 36-37).

ცხენისწყალი 1720-1742 - იხ. საჭილაო

ცხენისწყალი 1733 - იხ. ბარისთავი

ცხენისწყალი 1760 - იხ. საჭყონდიდლო

ცხენისწყალი 1757 - იხ. წიფერჩი

ცხეპიჯი. სამეგრელო

ცხეპიჯი 1760 - იხ. საჭყონდიდლო

ცხეილო - იხ. სხეილო

ცხერისი. ქვემო ქართლი

ცხერისი 1543 - იხ. სხალნარი

ცხერისი 1657 - ჩუენ ... ბატონიშვილმა ... ვახტანგ ... თქვენ ... გერმანოზის-
შვილს ოთარს ... გიბოძეთ [თქუენი ნაქონი სამკვიდრო ყმა-მამული] მერა-
ბიშვილები ცხერისს, ზას ბენიაშვილი იოვანე და ნასრადღლაეშვილი... (სს,
I, 1899, გვ. 487).

ცხერისი 1688 - იხ. ბუჟღულეთი

ცხერისი 1698-1699 - იხ. ბუჟღულეთი

ცხერისი 1720 - იხ. ნიაწარი

ცხერისი 1740 - ... მე, აბულფათისშვილი ლუარსაბმან ... თქვენ, გოსტაშაბ
ასლანისშვილს იესეს ... მოგყიდე ჩემი ცხერისი ირინაშვილი ივანა და სე-
თიაშვილები მამულით, მითთ და ბართა... (სს, I, 1899, გვ. 456).

ცხილათი - იხ. რცხილათი

ცხინვალი // ცხილვანი // ცხილოვანი // კრცხილოანი // ქცხინვალი //
ქრცხინვალი // გცხინვალი. შიდა ქართლი

ცხინვალი 1392 - იხ. ტფილისი

ცხინვალი 1451 - ... მცხეთისა საყდარსა და ... კათალიკოზსა-პატრიარქსა
დავითს ჩუენ, გაბელისძეთა ამირეჯიბმან რამინ ... მოგასხენეთ კრცხილო-
ანს ერთი გლეხი ღალასძე მისითა მამულითა ... [და] ერთი გლეხი ერ-
გნეთს ჯოხასძე ორითა ვენაჯითა... (იხ, II, გვ. 8-9).

ცხინვალი 1529-1530 - იხ. ვეძისი

ცხინვალი XVII ს. დას. - იხ. ნული

ცხინვალი 1636 - იხ. გორი

ცხინვალი 1636-1680 – იხ. ქალაქი

ცხინვალი 1664 – ... დედოფალთა-დედოფალმა ... მარიამ ... შენ, დედაქალაქსა მცხეთას კათოლიკე ეკლესიასა ... შემოგწირეთ ... ქრცხილვანს ჩუენი სახასო ყეზერაშვილი ურია და მისი ძმა მათვალა... (იხ, IV, გვ. 40).

ცხინვალი 1678 – ... ჩუენ ... მეფემან ... გიორგი ... თქუენ ... მანაბელს აღხაზს ... [გიბოძეთ] ქრცხინვალს ამოვარდნილის ბიძის თქუენის რატიისა და გიორგის ... ნაქონი ნაზურევი... (იდსეშ, გვ. 163).

ცხინვალი 1709 – იხ. იმერეთი

ცხინვალი 1712 – იხ. ურბნისი

ცხინვალი 1715 – [წყალობის წიგნი იესე მეფისა პატა ფანველაშვილისადმი]: ... გიბოძეთ ქრცხინვალს დათვიასშვილი ბერაძე პატა და სულაძე ივანე ... მთითა, ბართა, ველითა, ვენახითა... (სს, III, გვ. 152).

ცხინვალი 1720 ახლო – იხ. თრიალეთი

ცხინვალი 1723 – ... ჩვენ, მეფეთა-მეფემან ... შაჰნაოზ ... თქვენ ... მანაბელსა ბორტისა ... გიბოძეთ ქრცხინვალსა მეფის პაპის ჩვენის ნასყიდი ურია კობა და მისი ძმა აბრამა... (იდსეშ, გვ. 168).

ცხინვალი 1723 – ჩვენ ... მეფეთა-მეფემან ... ვახტანგ ... [სითარხნის წიგნი] გიბოძეთ თქვენ, მარტიროზიშვილი მდივანბეგ მდიენის ყმას, ცხილვანელს სიღამონიძეს დემეტრესა... (სს, II, გვ. 318).

ცხინვალი 1724-1744 – იხ. ძარწემი

ცხინვალი 1737 – იხ. სხლელები

ცხინვალი 1745 – იხ. ნიქოზი

ცხინვალი 1749 – იხ. ზემო ქართლი

ცხინვალი 1750 – იხ. ახალსოფელი

ცხინვალი 1756 – ... ავიღე მე, ხერხეულიძემ ლუარსაბ ... თქვენ, ქსნის ერისთვის დავითისაგან, ათი თუმანი ახალი თეთრი... ამისი გირაოდ მოგვიცია ყანდოასშვილი გივი თავისის მამულით, ქცხინვალელი ჩვენი მკვიდრი ყმა... არის ამისი მოწამე ... გორელი ტერ-არისტაკისა... (მსეი, II, გვ. 41).

ცხინვალი 1756 – იხ. ზემო ქართლი

ცხინვალი 1757 – იხ. იდღეთი

ცხინვალი 1759 – ... [იოვანე ხერხეულიძემ დიმიტრი ამილახვრიშვილს] მოგვიდეთ ... ჩვენი მკვიდრი ... ქრცხინვალს მემკვიდრე ... ჩამოვარდნასშვილი ყაყიბა ... თავეთის სახლ-კართა... არიან ამისნი მოწამენი ... გორის მამასახლისი ბაბაღასშვილი გიორგი, ქრცხინვალის მამასახლისი იესე... (სს, III, გვ. 431-432).

ცხინვალი 1759 – ქცხილვანელმან მამაჯანმა ხვითელს ბერუას აჭ... (სამდ. გვ. 47).

ცხინვალი 1763 – ბატონი ამილახვარი რევაზ ავეტიქას და ამის ბიძა-ძმას ედაუებოდა... მოველ ცხინვალს ავეტიქასთანა, ამილახვრის ბოქოულთხუცესი ივანეც მოვიდა... ავეტიქა ამილახვარს დარჩა... (ქსბ, IV, გვ. 490).

ცხინვალი 1766 – საქართველოს პატრიარქის, მეფის ძის ანტონის იმედო ხითარიშვილო ზურაბ! მერმე, მურვანისშვილი რომ ურიახედ ღაპარაკობს, მიდი ცხინვალს. თუ ბაზახისშვილი და თამარშენელი მოძღვარი მოფიცურად იშოვნოს, რომ სვეტისცხოვლის ყმა იყოს, ესენი დააფიცე და საჩვენოთ დაზღვე. და თუ ესენი მოფიცრათ ვერ იშოვნოს ... მურვანისშვილს მიაბარე... (ქსძ, III, გვ. 861).

ცხინვალი 1766 – იხ. გორი

ცხინვალი 1767 – იხ. მელვრეკისი

ცხინვალი 1768 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი ... ჯვავახიშვილს დაეთოს მომცეს. ძველი სიგელი მქონდა ცხილვანს ნაცვლობისა... თქვენგანაც წაღობა დაგვემართა და ნახეუარნაცლობა ვეიბოძეთ... (ქსძ, VII, გვ. 138).

ცხინვალი 1768 – იხ. ზემო ქართლი

ცხინვალი 1770 – [სოლომონ I-ის წერილი ტოტლებენისადმი] მერმეთ თქვენი წამოსვლა ქრცხინვალიდამ შევიტყვე, ახალციხეს მიბრძანდები... (მრსუი, III/1, გვ. 536).

ცხინვალი 1770 – იხ. გომი

ცხინვალი 1770 – იხ. გრაკალი

ცხინვალი 1771 – იხ. ახალგორი

ცხილვანი 1771 – იხ. ტინისხიდი

ცხინვალი 1771 – იხ. ხეფინისხევი

ცხინვალი 1772 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ურბნისელ პაპუნაშვილს ბერს. ჩვენს მამულს კულუხი და ღალა არა სდებია. კრცხინვალს რომ ბძანდებოდით, არზა მოგართვი... ნასყიდი მამულები მაქვს, არასოდეს არ გამომირთმევია... (ქსძ, VII, გვ. 225-226).

ცხინვალი 1772 – იხ. მუხრანი

ცხინვალი 1772 – იხ. ხეობა

ცხინვალი 1773 – ღმერთმან ... დედოფლის ჭირი მოსცეს საყვარელიძეს შიოშს... ქრცხინვალის გაღაგანს ეგრეთ ვერივარ და ხიზნის დაკარგვისა გვეშინიან მუღამ... მამასახლისს უბრძანეთ, ერთი [ბეთილმანი] სახლის აღგილი მე მომცეს... (ქსძ, VII, გვ. 232).

ცხინვალი 1774 – [ტფილისის აღწერის დავთარის ნაწყვეტი]: ... ამისი შვილი ქცხინვალს სწერია... მცხეთელი გოგია აყრილა, მცხეთას წასულა... უფლისციხელი აკოფაშვილი გლახა... ტაგნაგელი მოსია... ჯვარელი ხუციშვილი დავითა და ივანე, გაღატოზი ივანე ძეგველი, ამისი ძმა დავითა და გლახა... მცხეთელი გიორგი ვანკის უმან ამისი შვილი, გურგენიძე მერაბის შვილი ტაგნაგელი... ქალაქში კათალიკოსისა კრწანელი მესატყვერე სანგველა... ორთაჭალელი გაფრიელა კრწანისში სწერია... პაპა ამისი შვილი თათულა აყრილა ველისციხეს... კარაპეტა მეზადე, დარბაზს წასულა... ცხინვალელი სტეფანა... ბატონიშვილი გიორგის ყმა ციხეში... ქალაქში ბატონისშვილის გიორგისა... გომიჯვრელი ივანე... ჰაგველი გასპარა და შვი-

ლი ანდრია... ფეიქარი მოსესა გორიჯვერის ყმა არის... ბატონისშვილის ლეონის ყმა გარეთ უბანში ბურთიკაშვილი გიორგი... წინწყაროელი ფეიქარი თთარ, ყონინასშვილი ოქრო მჭედელი არუთინა, გომიჯვერელი ივანე... იულონ ბატონიშვილისა სურამელი სირაჯი ნონე და ძმა... (ქსბ, I, გვ. 146-156).

ცხინვალი 1775 - ... ბატონს მდივანბეგებს, ამილახვარი რევაზ მოვასხენებ... ცხინვალს ჩემს ყმას ავეტიქას რომ ჩემგან ნასყიდი მამული უჭირავს, იმ მამულიდამ გამოაგდო [ჩემმა ბიძაშვილმა მინბაშმა], თავისი მუშა შეუშვა და თვითონ მუშაობს... (ქსბ, VII, გვ. 283).

ცხინვალი 1775 - ყანდუაშვილი გივი ცხინვალს წისკვილზე ... ჩიოდა... ეს წისკვილი ძველათ ამილახორის ყმის ბაჩიძის ყოფილიყო. ამ ბაჩიძეს ნახევარი წისკვილი ყანდუაშვილისათვის მიეყიდნა. მასუკან არეულობის მიზეზით იმ საწისკვილოზე მანაბელს იესეს წისკვილი აებრუნებინა... იმ წისკვილის ნახევარი ... ამილახორს მანაბლისათვის გამოურთმია და ამ ყანდუაშვილის წილი კი დარჩომილიყო... (ქსბ, IV, გვ. 674).

ცხინვალი 1775 - ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს მდივნის სულხანის ყმას ალიხანასა. ქრცხინვალს გახლდი მედუქნეთა. თქვენის ბძანებით ყველა მედუქნეზე ფარჩა მოიკრიფა... (ქსბ, VII, გვ. 296-297).

ცხინვალი 1775 - ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს პაატა მეითრის შვილსა. ავლაბრელი ჩემი ... ყმა ხარაზი გიორგი ქრცხინვალში არის. ერთი ოქმის წყალობა გვიყავით, რომ იმასთან ხელი არავისა ჰქონდეს (ქსბ, VII, გვ. 301-302).

ცხინვალი 1775 - იხ. ახალციხე

ცხინვალი 1775 - იხ. ქინძათი

ცხინვალი 1776 - ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი ყანდუასშვილს ქცხინვალელს გივს მოსცეს... ჩემი ნასყიდი წისკვილი ქცხინვანს თქვენის განაჩენის ბძანებით ... მე დამნებდა... ახლა მანაბელს ნუსხაში დაეწერა ქცხინვანს ნახევარ წისკვილი... მეც ამილახვრის კაცისაგან მიყიდი... (ქსბ, VII, გვ. 355).

ცხინვალი 1776 - ღმერთმან ... ხელმწიფის ძის გიორგის ჭირი შიოშ საყუარელიძეს მოსცეს... ქცხინვანს გახლავარ, ორიოთ დღის მიწა დემეტრემ მომცა... ვენახათ გამიკეთებია და სახლ-კარი ამიშენებია... გოგია მინბაში მედავება, ჩემი კაცი მდგარაო... (ქსბ, VII, გვ. 329-330).

ცხინვალი 1778 - ღმერთმან ხელმწიფის ძის გიორგის ჭირი ... ქცხინვალელს ავეტიქას მოსცეს... მანამდინ ამილახვირანთ ყმა გახლდი, ქცხინვალს მამასახლისი გვერთ ვერ გამოვიღადა ხოლმე და ახლა, რა თქვენს ყმა შევიქენ, ილაჯი აღარა მაქვს მამასახლისისაგან... (ქსბ, VII, გვ. 388).

ცხინვალი 1779 - ... ქრცხინვალელი სარქისაშვილი ბადდუა ხერხეულიძეს ივანეს ერგნეთს ერთის დღის ნავენახარს მიწაზე ელაპარაკებოდა: ჩემი ნასყიდი არისო, ფრისელმა ბიბიტასშვილმა მამყიდაო, ნასყიდობის წიგნი ხელთ მიჭირავსო... (ქსბ, V, გვ. 82)

ცხინვალი 1779 - იხ. აჩაბეთი

ცხინვალი 1779 – იხ. სურამი

ცხინვალი 1780 – იხ. რუისი

ცხინვალი 1781 – ... ჩვენ, ამილახერის შვილმა ცხინვალის მოურავმა გივმა ... შენ, კვადინიძეს ბერსა ... დაგვარის ჩემს კაცის სასახლის ალაგი მოყვიდ ნიგეზითა, თავისის ნერვითა... (იდესუშ, გვ. 190).

ცხინვალი 1781 – ... ფავლენის შვილს ფავლენს და ოქრომჭედლი შვილს შერმაზანს ოთხს საკვამლეზე ედავნა... [განაჩენი]: როცა ცხინვალში ეს საქმე აღსრულდეს და რომელიმე გამტყუნდეს, ცხინვალის მოხელემა და უფროსმა კაცმა მოწმობა უნდა მოაწერონ, ვისაც დარჩეს... (ქსძ, V, გვ. 169-170).

ცხინვალი 1781 – იხ. დვანი

ცხინვალი 1781 – იხ. დოესი

ცხინვალი 1781 – იხ. ტბეთი

ცხინვალი 1782 – ღმერთმან ... დედოფლის ჭირი მოსცეს თქვენის ძის ვახტანგის ყმას, შიოშ საყვარელიძეს... მამიხდა კიდევ [ფავლენის შვილი] ზაზა, ცხინვალს დუქანში ვიჯექი... ხმლით იწია, სომხებმა არ მოუშვეს... (ქსძ, VII, გვ. 566).

ცხინვალი 1782 – იხ. ნიქოზი

ცხინვალი 1783 – ღმერთმან ... ჰელმწიფის ძის ვახტანგის ჭირი შოშია საყვარელიძეს მომცეს... ქართლში რომ ბძანდებოდით, ბედნიერის მეფის და დედოფლის ოქმი მოგართვი და გვალაპარაკეთ მე და ფავლენის შვილები. ცხინვალსა რაც იმას ჩემთვის ძალით წაერთმია, უნდა ისევ მოეცა... (ქსძ, VII, გვ. 583-584).

ცხინვალი 1783 – [განჩინება როსტომა და ქაიხოსრო ჯაშიტაშვილების გაყრის საქმეზე]: ... ცხილოვანის მამასახლისი მლთისავარა... ქაიხოსროს რომ მისირიდამ ოსიაურელის კაცის ვალი აუღია და მოუტანია ასოცი თუმანი, ეს თეთრი მთლივ ქაიხოსროს დავადევით... (ქსძ, V, გვ. 239).

ცხინვალი 1783 – იხ. მავდისთავი

ცხინვალი 1784 – იხ. ზემო ქართლი

ცხინვალი 1786 – ჩვენ ... მეფემან ... ირაკლი მეორემან ... გიბოძეთ ესე წყალობის წიგნი და სიკელი შენ, ჩვენს სახასოს ყმას ნარელს ოსს ხეთაგურს... ასე რომ, შენი შვილი ბოლათიყო ჩვენ გვახლდა და ასპინძას ოსმალთა და ლეკზე რომ გაგვემარჯვა, იქ მცნეთ ვაისარჯა და იმ ომში მოიკლა. შენ ... შეგიწყალეთ და გიბოძეთ ქცხინვალს ამოწყვეტილის პეტრიაშვილის ბეთთალმანი მამული... ერთი წიგნი ამ მამულის წყალობისა უწინვე გიბოძეთ, მაგრამ ქცხინვალი რომ ლეკებმა წაახდინა, მაშინ შენი რძალი, ზოთალიყოს ცოლიც იქ დატყვევდა და წიგნებიც დაგეკარგათ და ახლა კიდევ ჰელმეორეთ ეს წყალობის წიგნი გიბოძეთ... (МИТСВГ, II, გვ. 58-59).

ცხილვანი 1786 – იხ. ლილო

ცხინვალი 1787 – იხ. ზემო ქართლი

ცხინვალი 1787 ახლო – იხ. მედვერკისი

ცხინვალი 1787 - იხ. საამილახვრო

ცხინვალი 1788 - [არზა მაღალაშვილ სიმონისა მდივანბეგებისადმი]: ... ელისაბედ ბატონისშვილი რომ წაიყუანეს, იმჟამად ცხინვალს გახლდი. იმერელს ხუცესს ერთი პატარა ბიჭი გადმოყოლოდა იმერეთიდან. [მაღალაშვილმა ეს ბიჭი აიყვანა მოსამსახურედ. თოთხმეტი წლის შემდეგ] გამეპარა და კახეთს ცოლი შეერთო, ის ცოლი მოკლდომოდა... იმ ქვირიბაში მაგ გლახას დედაკაცის ქალი აეჩემებინა, ამ ქალაქშია და შეერთო ცოლად... (ქსძ, V, გვ. 407-408).

ცხინვალი 1788 - იხ. ვახანი

ცხინვალი 1789 - იხ. ატოცი

ცხინვალი 1789 - იხ. ვარიანი

ცხინვალი 1790 - ... ესე წიგნი მოგეც მე, თუმანისშვილმა ... მანუჩარმა, შენ, ცხინვალელს ხოჯასშვილს ხოსროს, ასე რომ ... შენი დიდი ვენახი ... ორმოცდათექვსმეტ თუმნათ ... ვიყიდე... (მსეი, II, გვ. 86).

ცხინვალი 1791 - ... დელოფლისაგან გეგებანა ჩვენ ... საღთხუცესს აბაშიძე გიორგის და ამილახვრისშვილს, ცხინვალის მოურავს ანდუყაფარს - ხოჯაშვილის ფარემუზას და ძაგიას ძმისწულის მარდახას საქმე... უნდა მოგვეყვანინებინა: ცხინვალის მამასახლისი ხთისავარ... თუ ის ბერძენი ვერ გაამტყუნა და სამართალში ვერას შეუვიდა, რომელიც მიწა ფარემუზს სიგლით უცხადებდა, ის მიწა ჭედლიური ფარემუზასათვის მიგვიცემია... (ქსძ, V, გვ. 542-543).

ცხინვალი 1791 - იხ. სიღნაღი

ქცხინვალი 1792 - იხ. გორი

ცხინვალი 1792 - [არზა ფალავანდიშვილებისა ერეკლე II-ისადმი]: ... ურია გვეყვანდა და ცხინვალს თქვენს საფარველს ქვეშ გვესახლა... ერთს დღეს ორმოცის კაცით ქუთათლისა და ვახუშტი წერეთლისა ძმა გიორგი მოსულიყო. იმ დღეს ცხინვალის ვენახებში დამალულიყო, დაედამებინა და ვახუშტობისას შემოსულიყო ცხინვალში, აეყარა და წაეყვანა ის ურია... (ქსძ, VIII, გვ. 172-173).

ცხინვალი 1795 ახლო - იხ. ერედვი

ცხინვალი 1796 - ... ბატონიშვილი იულონ გიბძანებთ! მერმე ამ არზით მდივანი მანუჩარ ასე რომ ჩივის, შენ უნდა დაადგე ხახანაშვილს და ... თუ სიტყვა აქვს რამე, იქვე ცხინვალს ორი სამი მოხტაბარი კაცი დაუსხი და მორიგონ (ქსძ, VIII, გვ. 388).

ცხინვალი 1796 - იხ. არადეთი

ცხინვალი 1796 - იხ. გორი

ცხინვალი 1797 - დმერთმან ... დელოფლის ჭირი ცხინვალს მსახლობელს საყვარელიძეს იასეს მოსცეს... ამილახვარიშვილის დემეტრეს მისული ყმანი ვიყავით ტბეთს, მამულები მოგვცა... (ქსძ, VIII, გვ. 419).

ცხინვალი 1797 – დმერტმან ... დედოფლის ჭირი მოსცეს მინბაჰს ბუენს. თქვენის შვილის, ალექსანდრეს ოქმითა, ბძანებით ჩემი ძმისწული გოგია ცხინვალს გზღებოდათ, ხერხეულიძეებს ჯარი შეეყარად და სადილზე მჯდომს თავს დასხმოდნენ, ასე უწყალოთ მოეკლად ხლმის ცემით... (ქსბ, VIII, გვ. 440).

ცხინვალი 1798 – ესე [ბატონყმობის] წიგნი მოგართვით თქვენა, ბატონს ... მამუკას ... მე, ხიზნისშვილის ხახამ ისხაკამა... არის ამისი მოწამე ქრცხინვალის მამასახლისის ღალაშვილი ღვთისავარ... (იდსემ, გვ. 212).

ცხინვალი 1798 – იხ. ნაწალკოტევი

ცხინვალი 1799 – [ვახტანგ ბატონიშვილის წერილი იოსებ ყორღანაშვილი-სადმი]: ... აღათანგს რომ ცხინვალს ერთი თავისი ყმა სომეხი ჰყავს, ბიძაშენს, მილახვარს ოსეფას, უნდა უთხრა ჩემავიერ, აღათანგის თავის თხოვისაებრ, მათს უმადლესობას დედოფალთან შეეწიოს და ის კაცი გაუთარხნოს... (სს, III, გვ. 318).

ცხინვალი 1799 – ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი... მამუკა უზნადისა... ერთი კომლი კაცი მყავს ცხილვანსა. იმ კაცის კურთხეულის მეფის ოქმი და ბატონის დედის თქვენის დედოფლის ოქმიც მაქვს, რომ ცხილვანის დავთრით იმას გამოსაღები ხარჯი არ უნდა ეთხოვბოდეს... (ქსბ, VIII, გვ. 565).

ცხინვალი 1799 – ...კვლმწიფის წინაშე მოსახსენებელი დავით ამილახვროშვილის ბარძიმისავან... ქცხინვალის მოურაობა ნაბოძებია ძველათ, თქვენი წყალობა და წილი არ მიძეს. გრაკალი ბიძის ჩემის შაჰყულიხანის ნასყიდია და მე წილი არ მიძეს. საიალღუზიშვილო და საბედიანაშვილო კვლმწიფეთავან და მე წილი არ მიძეს... (ქსბ, VIII, გვ. 543).

ცხინვალი 1799 – ... ბეგთაბეგისშვილების ბეგთაბეგის და ესავის გაყრის სამართალი ჩვენ, მდივანბეგს გეუბძანა... სასახლეები ადრე დაჩემებული და გაყოფილი ჰქონიათ. ესავ აღარ ყაბულობს და დაფასებას ამბობს. ამის გამო რაც ქრცხინვალს და რუისს რომ მამულები გაუყვიათ, იმ უამის მიხედვით ის მამულებიც უნდა დააფასონ და ისე მორიგდნენ (ქსბ, VI, გვ. 131).

ცხინვალი 1799 – იხ. დირბი

ცხინვალი 1800 – ... ცხინვარს და რუისს, [ბეგთაბეგიშვილებს] რაც საერთო მამული ქონიათ და თავ-თავისთვის დაუჭკრიათ, უნდა იმაზე საუფროსო აიღოს ბეგთაბეგმა, ოცის დღიურიდამ თერთმეტი ბეგთაბეგს და ცხრა ესავს და მის ძმებს... (ქსბ, VI, გვ. 194).

ცხინვალი 1800 – ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი სიხარულაშვილები-სავან გაბრიელასი და რევაზასი: მამაჩვენი იმერეთიდან ხიზნათ გადმოვიდა, აქა-იქ გახლდით, რომ ჩვენთვის ყმობა არავის უთქომს. მამა ჩვენი ცხინვალიდამ დაიკარვა, ჩვენ ობლათ დავრჩით... (ქსბ, VIII, გვ. 696).

ცხინვალი 1800 – იხ. სურამი

ცხინვალი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ცხინვალი XVIII-XIX სს მიჯნა – იხ. გორი

ცხინვალის ხეობა. შიდა ქართლი

ცხინვალის ხეობა 1667 - ... თქვენ, ბატონისშვილს კათალიკოსსა, მე, მანა-ბელმა ბადურ ... მოგყიდეთ [ყმები]... არის ამისი მოწამე ... სრულ ქრცხილ-ვანის ვეობა... (ის, IV, გვ. 45).

ცხინვალის ხეობა 1785 - იხ. თამარაშენი

ცხინვალის ხეობა 1797 - დემურთმან დედოფლის ჭირი ელიოზისძეს და-ვიტოს მოსცეს. აღამახმადხანის დროს არეულობაში ჩემის სახლიკაცის კა-ცი ეკლესური ოსის ჯვართ მომიხდა, და ეკლესიაც დამიწვა და ჩემი და ჩემის კაცისა ხუთასი კოდი პური წაიღო... ქრცხინვალის ხეობილამ და სხვა სოფლებილამ რამთონი ათასი კოდი პური წაიღეს ოსებმა, კარგად მოგხსენებია... (ქსმ, VIII, გვ. 447-448).

ცხირეთი. შიდა ქართლი

ცხირეთი IX მიწ. - იხ. ცხევერი

ცხირეთი 1073 - იხ. თრიალეთი

ცხირეთი 1170 - იხ. სხალტბა

ცხირეთი 1466 - იხ. გორის ციხე

ცხირეთი 1597 - ... ჩუენ, ჯავახიშვილმა გამრეკელმა ... მივთხოეთ ... ასუ-ლი ჩვენი ბატონი შამანდუხ ... ბატონსა ივანეს. მივეციოთ და წარუძღვანეთ ზითეად ცხირეთი გოჩიას გარეთად, რაცა ჩუენი კერძი მამული იყო, ანუ ციხეშიგან, ანუ სოფელშიგან, ანუ სამებათა, ანუ მთასა, ანუ ბარსა... (ქსმ, VIII, გვ. 830-831).

ცხირეთი 1607 - ... ჩუენ ... დედოფალმან ნესტანდარეჯან ... შენ ... სახლი-სუხუცეს ზურაბს ... გიბოძეთ თევზიას კერძი ცხირეთს და სამებას მისის სამართლიანის საქმითა... (სკ, IV, გვ. 74).

ცხირეთი 1608 - იხ. საბარათაშვილო

ცხირეთი 1630 - [წყალობის სიგელი თეიმურაზ I-ისა პაატა ჯავახიშვილი-სადმი]: ... ცხირეთი ჯავახიშვილის პაატას სამკვიდრო ყოფილიყო და ჩვენც გვიბოძებია მართლის სამართლიანის სამძღვრითა... (სს, II, გვ. 62).

ცხირეთი 1640 - ჩუენ, მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ ... თქვენ ... თუ-ხარელს ... გიბოძეთ ცხირეთს ცუცუბანი... (ქსის, გვ. 152).

ცხირეთი 1793 - იხ. ოძისი

ცხირეთის გვერდი. შიდა ქართლი

ცხირეთის გვერდი 1454 - [წყალობის წიგნი გიორგი IX-ისა]: ... გქონდეს თქვენ, გორის მოურავ ჯავახისშვილს გამრეკელს და შვილთა თქვენთა ... ცხირეთის გვერდი სრულად, მისითა ციხითა და სიმაგრითა, ზემო ცხირე-თი, ქვემო ცხირეთი, ხანდაკი, ოძისი, ახალშენი და ზემო და ქვემო ელდი-სი, მათითა ეკლესიითა, სასაფლავოთი, სასახლითა, ჭურმარნითა, გლეხე-ბითა... (სს, II, გვ. 38).

ცხირეთის გვერდი 1466 - იხ. გორის ციხე

ცხმარი // ცხმარის ჳევი. სუანეთი

ცხმარი XIII ს. II ნახ. - იხ. სვანეთი

ცხმარი 1445-1452 - იხ. ლაბსყელდაში

ცხნარი. ქვემო ქართლი

ცხნარი 1523 - იხ. მძოვრეთი

ცხნარი 1688 - იხ. ბუქულუეთი

ცხნარი 1688 - იხ. ერწო

ცხნარი 1698-1699 - იხ. ბუქულუეთი

ცხნარი 1707 - იხ. მეღრევი

ცხნარი 1720 - იხ. ნიაწარი

ცხნარი 1725-1735 - იხ. ვერხენალა

ცხნარი 1727 - ... მე, თაყაშვილმან დემეტრემ თქვენ, ორბელიანს ... ერასტის ... მოგყიდეთ ... ცხნარს ჩემი სამკვიდრო [ყმა-მამული]... (სს, II, გვ. 341-342).

ცხნარი 1728 - ... მე, თაყაშვილმა ქაიხოსრომ ... თქვენ, ყაფლანისშვილს ვახტანგს ... მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო მამული და ადგილი ცხნარსა და საკეცეს... კაცთაგან არის მოწამე: დმანელი ელისე... აღბაბლუელი ხალილა... ტვილისის სიონთა მღთისმშობლის კანდელაკი გრიგოლ... (სს, II, გვ. 348).

ცხნარი 1729 - ... მე, ზაზუნასშვილმა ზაალ თქვენ, ჩხეიძის მოღარეთ-ხუცის ... ასულს, ბატონს ანახანუმს და თქვენს მეუღლეს, ორბელიანს ... ვახტანგს ... მოგყიდე ჩემი სამკვიდრო და ბარათში გამოტანილი მამული ... ცხნარს ორი საკომლო თავის მიწა-წყლით... და საკეცეს ჩემი წილი მამული, რაც ბიძის თქვენის დემეტრესთვის არ მიმიყიდა, იმისთვის ეს მიმიყიდა სატრედო, იმასთან ერთი სახლი და გამოღმა კალოს-საბძლის მეოთხედი... უღელტეხილის მიწის მეოთხედი და თხილის მიწა, აბანოს წინ ბაღი... (სს, II, გვ. 350-351).

ცხნარი 1730 - [ნასყიდობის წიგნი ალექსანდრე გურიელისშვილისა ვახტანგ ორბელიანისადმი]: ...მოგყიდე... ჩემი სამკვიდრო და ჳემწიფისგან მოცემული ... მამული ცხნარსა და საკეცეს, ჩემი წილი მამული, რაც კურთხეულის ზაზუნაშვილის ქაიხოსროს წილში გაყოლოდა, იმისი ბარათებიც მოგართო... არის ამისი მოწამე... გოსტაშაბიშვილი ამიღლაბარ... ცხნარელი მღრდელი იორდანე... (სს, II, გვ. 355).

ცხნარი XVIII ს. I ნახ. - იხ. ბეთანია

ცხორებაულის // ცხორებაშვილის სასახლე. შიდა ქართლი

ცხორებაული სასახლე 1641 - ... ჩუენ, მეფეთ-მეფეებან ... როსტომ ... წყალობისა წიგნი ... გიბოძეთ შენ ... დიდმელს წმიდის გიორგის დეკანოზს ათანელსა... ცხორებაულის შენისავ საყდრის სასახლეს გუთაჯენით... დაკით მეფის სიგელიც გინახეთ და ჩუენც სიგლითა ამით დეკანოზობა და ცხორებაშვილის სასახლე დაგიმტკიცეთ... დიდმის მოურავნო და მოკლეფნო, თქუენც ასრე გაუთავეთ... (სს, II, გვ. 64-65).

ცხაზმა // ცხრაძმა. შიდა ქართლი

ცხრაზმა 1460 - [წყალობის სიგელი გიორგი VIII-ისა გიორგი ჟურული-სადმი]: ... ძუელთა მეფეთაგანცა შეწყალებული იყო ცხრაზმა... სისხლი გა-
ვიახლეთ და გაგინინეთ... ყოველნო ხელისუფალნო ქალაქისანო, და მთიუ-
ლეთისა თავადნო და ხვეისბურნო და მამასახლისნო ... ნუ ვინ უშლით ჩუ-
ენგან წყალობით ბოძებულსა სასისხლოსა განაჩენსა სიგელსა... (ქრონ, II,
გვ. 278-279).

ცხრაზმა 1766 - [სოფლების ბეგრის გამოსავლის წიგნი]: ცხრაძმის ბეგ-
რის გამოსავლის ჯამი: პური კოდი ორმოცდაოთხი და ორი ლიტრა და ნა-
ხევარი... ქარჩოხის ბეგრის გამოსავლის ჯამი: პური კოდი ორმოცდაოთხი
და ნახევარი... გარეშემოს ბეგრის გამოსავლის ჯამი: პური კოდი ოცდაოთ-
ხი...(სეიძ, II, გვ. 104).

ცხრაზმა 1774 - იხ. ქსანი (ქსნის საერისთავო)

ცხრაზმა 1781 - იხ. ისროლის ხევი

ცხრაზმა 1791 - [არზა თომაშვილებისა დავით ბატონიშვილის ოქმით]:
...ცხრასძმას მამული გვიბოძეთ, არ დამნებდა. მასუკან საკორინთლოს ნა-
ბიჭურიშვილის ბეითალმანი მიბოძეთ. თქვენმა ძმამაც იასაული დამაყენა.
ხე-ტყე მამაჭრევიანა. კორინთლიანი არ მანებებენ... ამიღხვრიანი თავიანთს
მამულში აღარ გვაყენებენ... თუ ეს მამული არ გვებოძა, უნდა დავიკარ-
გნეთ... (ქსძ, VIII, გვ. 126).

ცხრაზმის ჭევი. შიდა ქართლი

ცხრაზმის ჭევი 1459 - ... შემოვიდა სამთავნელ ევისკოპოზი გრიგოლ, ქო-
რონიკონსა რმზ, პატრონის ერისთვს შადვას ბრძანებითა. მრავალი უწესო
საქმე ქმნილიყო. შევიყარენით ჩუენ, ცხრაზმის ჭევისა სამისავე ჭევის
კრებულნი და მამასახლისნი და ესე პირი მოვახსენეთ სამთავნელსა... (ქსძ,
III, გვ. 206).

ცხრაკარი. კახეთი

ცხრაკარი XVIII ს. I მეოთხ. - იხ. თვალი

ცხრამუხა. შიდა ქართლი

ცხრამუხა 1772 - [ოქმი ერეკლე II-ისა]: ჩვენ მაგიერად ამიღახვარს ბა-
ტონს რევაზს ესრეთ ეუწყო: მერმე, ქაიხოსროს ცხრამუხიდამ თქვენი
ასოცი კოდი პური რომ დაუხარჯავს, იხიც უნდა მოგეცესთ და ცხრამუ-
ხაც, როგორც განაჩენი დაიდვა და არის, ისე თქვენ უნდა გქონდესთ...
(ქსძ, VII, გვ. 218-219).

ცხრამუხა 1794 - იხ. წიქარაული

ცხრამუხა 1800 - იხ. ბრეთი

ცხრამუხა XVIII ს. მიწ. - იხ. სურამი

ცხრუკვეთი. იმერეთი

ცხრუკვეთი 1789-1810 - იხ. ჩიხა

ცხუკური. იმერეთი

ცხუკური 1568 - ... ჩუენ, ... მეფეთ-მეფემან გიორგი ... შემოგწირეთ ¹⁸⁶ სკა
ლათს) ცხუკურს თორმანეული სასახლე მისითა სახასოთა ადგილებითა
და ვენაჴებითა და სათობითა მისითა... აგრეთვე ... შემოგწირეთ ჩუნეშს ხა-
ჭაპურიძე ნასყიდა... ესე მამული ძველად ჩუენი სახასო იყო და მერმე ნემ-
საძეს ბეჴანს მიეცეთ და ... ნემსაძემან გვიღალატა და ჩუენი ბიძაშვილი
ხოსრო დაგვასხა იანეთს საშვილიაშიგან... და ესე მამული ნასისხრათ ხა-
ხულისა ... ღმრთისმშობელსა შევსწირეთ... (ქრონ, II, გვ. 409-410).

ცხუკუშერი. ლეჩხუმი
ცხუკუშერი 1639-1659 - იხ. ღვირიშის ციხე
ცხურისი. ქვემო ქართლი
ცხურისი 1523 - იხ. მხოვრეთი

-d-

ძაბირაული. შიდა ქართლი
ძაბირაული XVI ს. მიწ. - იხ. სურამი
ძაგამი. ქვემო ქართლი
ძაგამი 1788 - იხ. ახალციხე
ძაგნაკორა // ძაგნაკორნა // ძაგნაკორანა // ძაგნაკორნანი // ძაგუნაკორა.
მცხეთა
ძაგნაკორა 1392 - იხ. ტფილისი
ძაგნაკორა 1405 - ... მეფეთაგან დიდად... აბულეთისძედ დასუმულმან ამი-
რახორმან ხიმშიამან ... შემოგწირე ძაგნაკორნათა ჩემი მკუიდრი გლეხი
შერგილაშვილი მისითა მამულითა... და რაცა მცხეთისა გლეხთა ნოდოკ-
რელთა სარუე ყოფილა გამოსადები, იგიცა შემომიწირავს და მომიხსენე-
ბია... მე პირველ აბაზასძემან მარილელმან... (ის, III, გვ. 3-5).
ძაგნაკორა 1417 - [მეფეთ მეფემან ალექსანდრე] ... ესე სიგელი გიბოძეთ
თქუშნ ... ურდოველაშვილს სუმბატს: პირველადაც მამისა თქუშნისათუს
სიგელითავე გვებოძა ძაგნაკორნათა დაფირასძეული მამული... აწ შეგიწყა-
ლეთ, და დაგვით დაფირასძედ... მათის გუარისა აღარავინ იპოვებოდა...
(ქრონ, II, გვ. 223-224).
ძაგნაკორა 1429 - ... მეფემან [ალექსანდრე] ... ესე წიგნი ... გიბოძე შენ,
ურდოელსა, შენსა შვილსა სუმბატს... ღვთივ გუირგუინოსანმან მამამან ჩე-
მან ... გიბოძა თქუენ ურდოელსა ... რისაცა დღეს ქალაქს მქონებელი ხარ,
სახლი, მამული გლეხები, და ძაგნაკორნათა დაფარისძისეული და ბადღა-
ური და რაცა სად რა დღეს ანუ პატრონთა წყალობა გაქუ, ანუ ნასყიდი...
(ის, III, გვ. 14).

ძაგნაკორა 1438 – ჩუენ, მეფეთა-მეფისა ალექსანდრესაგან ... შენ, ურდო-
ელსა, სიყრმით მოაქამომდის მოგიგია და ... მომავალთა მეფეთაგან წყა-
ლობად ბოძებული გაქუ, ანუ ნასყიდი და ნაქრთამევი გაქუ: ძაგნაკორნათა
ლაფირისძისეული და ბაღდაური, და ქალაქს რასაცა მქონებული ხარ, შენ-
სა მკუიდრსა სახლკარსა და ნასყიდსა ვენაჯსა და კაცთა და მამულსა ...
თქუენსა შვილსა სუმბატს და შვილთა და მომავალთა თქუენთა ჰქონდეს...
(ქსმ, II, გვ. 124-126).

ძაგნაკორა 1438 – იხ. მცხეთა

ძაგნაკორა 1442 – იხ. მცხეთა

ძაგნაკორა 1447 – იხ. მცხეთა

ძაგნაკორა 1460 – [წყალობის წიგნი გიორგი VIII-ისა ვირშელისადმი]: ... მო-
ვიბოძეთ ... ძაგნაკორნათა რაცა და რასთანაცა ურდოელისშვილსა სუმბა-
ტასა ჰქონდა და მისგან ნაშვილეობისა ნიშანიცა გქონდა – ლაფარისძისეუ-
ლი სასახლე, მინაშვილისაგან მოსყიდული ვენაჯი... ერთი სხუავე ვენაჯი
ყოკორაული, მოსყიდული გლეხი მუნდასქე მისითა მამულითა... ბაყუავე უღლი
მამული, მათიასშვილი მისითა მამულითა... და რაცა ლაფირისძესა სახასოდ
საჯნავი მიწები ჰქონდა... ქალაქს ურდოელისაგან ნასყიდი სასახლე ჭურ-
მარნითა და ქულბაკითა და ვენაჯი მისგანვე ნასყიდი ... ანუ სხვა, რაცა ურ-
დოელასა ქალაქს რაცა ჰქონებია, ყუელა უკლებად თქუენთუის გუიბოძე-
ბია... ესე მამული მცხეთისათუის არის შეწირული, თუითო კათალიკოზსა
იახლებოდით და მცხეთისა სამსახურსა ნუ მოშლით... (იხ, III, გვ. 36).

ძაგნაკორა 1477 – იხ. მცხეთა

ძაგნაკორა 1503 – იხ. მცხეთა

ძაგნაკორა 1532 – იხ. მცხეთა

ძაგნაკორა 1579 – იხ. მცხეთა

ძაგნაკორა 1722 – იხ. სარუსთველო

ძაგნაკორა XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალთ

ძაგოეთი. შიდა ქართლი

ძაგოეთი XV ს. I ნახ. – იხ. სამთავისი

ძაგუ. კახეთი

ძაგუ XII ს. მიწ. – იხ. რაბუნთ

ძავარაანთ ქუჩა. თბილისი

ძავარაანთ ქუჩა 1783 – იხ. მოღნისი

ძალისა. შიდა ქართლი

ძალისა 1413-1442 – მეფეთ-მეფემან... ალექსანდრე ვიყიდე ძალისს მამული,
შეეწირე წმიდასა შიოს და ევაგრეს უდაბნოსა წყაროზედა ნაფუძარი...
[ორ]ის დღისა ბაბანთა ქედზედა, ერთის დღისა გარგარისშვილის მიწას-
თან... წილკანურის რუხედ ბოლოს უდებს ორის დღისა... მუხათა ყანაშიგა
ორის დღისა... ფარეხაშია და გორგიასშვილის გვერდზედა ორის დღისა,
საგლარაოზედა ბოლოს უდებს ინანასშვილსა და ირქმაშვილს შუაზედა

სამის დღისა... სატაქსეულთანა (?) არის ხახანური ოთხის დღისა... ბერყანასთანა სამის დღისა... ოთხის დღისა ხრამის პირსა არის, ზედავე შვიდის დღისა ოდრიკაზედა... (ისმმ, გვ. 73-74).

ძალისა 1669 – იხ. წილკანი

ძალისა 1698 – ... ბატონ წილკენელს ... დომენტის ... ზევედგინიძის შვილმა ზევედგინ ... ჩემი ყმა ძალისს როსტომაშვილი როსტომა ... მოგართვით თავის მამულით, რისიცი მქონე იყოს ვარდისუბანს, ვენახით და წისკვილით... შემოგწირეთ ... წილკენისა ღვთისმშობელსა... (დსეი, გვ. 21-23).

ძამა, მდინარე. შიდა ქართლი

ძამა 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

ძამაურა. კახეთი

ძამაურა 1492-1499 – იხ. ჯიმიითი

ძამის მონასტერი. შიდა ქართლი

ძამის მონასტერი 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

ძამის ციხე. შიდა ქართლი

ძამის ციხე 1747-1749 – [არზა მერაღიბეუ ციციშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ... ჩვენი წილი ყმა რაც მყვანდა – ან ქართველი ან სომეხი ან ურია ან აზნაურშვილი და ან იმისი გლეხი – სულ ძამის ციხეში მოვაგროვე ალექსანდრემ თავისი საყმო მძოვრეთის ციხეში მოაგროვა... ჩვენ რომ მძოვრეთს მივედით, პაპუნას შვილი დავით და პაატა იმერეთიდან გადმოვიდნენ... დემეტრან შეგვიწყალა, რომ ქართლის ხელმწიფობა თქვენ და მამათქვენს მოგეცათ... ხარაბას ქვეყანაში შენობა ჩამოვაგდე. ქარელის ციხე ავაშენე თქვენის დოვლათითა. ამ თარიღში დავით პაპუნას შვილი იმერეთიდან გადმოვიდა და პაატა ოსმალოდამ გადმოვიდა. ამ თარიღში მირზა ჰუსეინ ვეზირი, და კონსტანტინე მუხრანისბატონი და მე, მეფემ თეიმურაზ ზემო ქართლში მალუჯათზე გაგვეზავნა. საავალიშვილოდამ რომ დაგებრუნდით, ვეზირსაც დაგპატიე და მუხრანბატონსაც, მაგრამ არ მეწვივნენ... კიდევ პაატა მოუსდა გუჯარეთსა სამი კვამლი კაცი აჰყარა, ტყვე წაიყვანა სულ თექვსმეტი, საქონელსა და ოთხფეხს გარდა. ორი მსახური ტბაზე ტბის ყურულისთვინ გაგვზავნე. სამი გლეხი კაცი თან გავატანე; ეს ხუთნი იქ დაიჭირა და დაყიდა... კიდევ პაატამ გაყიდა თავის საქორწილთა – აღის ხეობაზე ესახლა ჩვენი ყმა – ქართველი, სომეხი და ურია – ტყვე სული ოცდათხუთმეტი... ჩემი ძმა ქაიხოსრო რომ ცოცხალი იყო, მაშინ ზაზა ჯავახეთს წავიდა და იქიდან ყაზახობა დაიწყო. რაც კაცი დაატყვევა, მძოვრეთიდან წაასხა – ხატუნაშვილი ოვანეზა კვამლი ერთი – სული იყო რვა, თავისი საქონლითა; გოგლიძე ნინია კვამლი ერთი – სული იყო ხუთი, თავის საქონლით. ეს გუჯარეთის სარბიელს ესახლა. ვარდაიშვილი თავის საქონლით – კვამლი ერთი, გუჯარეთის რუისს ესახლა, სული იყო შვიდი... მოხდომოდა წითელ პარასკევს გუჯარეთს კბილაძე, აყარა ცოლითა, შვილითა, საქონლითა, ჳეობელნი. და გუჯარელნი გამოსდგომოდენ, მოსწოდენ ჯავახეთის ალათუბანს... ამ თარიღში მე ყვენის

კარზე ვიყავ ჩაფრათ. რომლისაც კბილაძის მოხდომასზე მამკედარა, ის კაციც მზათ აზორში არის, აბაშიძის მამულში – სურამის ბოლოს, ჭალას, სახლობს... დავით პაპუნას შვილი მოვიდა ქალაქს, მამატყუა – ერთობა ვქნათო და თავისი მამულის ბატონობა მამცა... იქიდან მოუძღვა კიკნაძეებს და მიწობს მოუხდა, ტყვე წაიყვანა ოცადაცამეტი... კიდევ მეორეთ მოუხდა წვიმეთს და ხცისა კიკნაძეებითა და ამაშუკლებით დავით ტყვე წაიყვანა ოცდარვა... ბუნიათიშვილმა იასემ, დავითის ყმა, ორს ჩემს აზნაურშვილებს ყელები დამიჭრა გვეძინეთს კოშკში... კიდევ სკრელი კაკაშვილის ტყვეები დაყიდეს დავითმა და პაატამ – სულ ჩვიდმეტი. წმინდის ნიკოლოზის ყმა აგარელი დაბრუნდაშვილი ხაბაზი გაყიდეს – ტყვე სული რვა... ხვედურელი ალექსიდის რამაზის ყმა გაყიდეს კვამლი ერთი – სული სამი... (ქსმ, VII, გვ. 50-59).

ბამის ციხე 1800 – იხ. საციციანო

ბამისწყალი. შიდა ქართლი

ბამისწყალი 1800 – იხ. ქარელი

ბარი. შიდა ქართლი

ბარი 1656 – იხ. ვარიანი

ბარწემი // ბერწემი. შიდა ქართლი

ბარწემი 1656 – იხ. ვარიანი

ბარწემი 1724-1744 – ... ამილავარმა გივმა ასე გაგვარიგა [მჩაზღლები], რომ ბარწემს გოგიძე ჩვენ დაგვანება... ქურთას – ბასისშვილები და ხაბარელი, აბოწმინდას – მელაძე... ძღვევიჯვარს ან გცხინვალს ... სულ დამინებებია... (მსეი, II, გვ. 30-31).

ბარწემი 1795 ახლო – იხ. ერედვი

ბარწემი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ბაღინა // ბაღონა // ბაღინა. შიდა ქართლი

ბაღინა 1768 – ღმერთმან ... ჰელმწიფის ჭირი მოსცეს პაპუნა ფავლენის-შვილსა. ბაღონას რომ მიბრძანდებოდით, ტბეთს მოგახსენე: მიშქარბაშს რომ ქვის საჭრელად კაცნი გამოეგზავნა, იმისი ბაჟს დაგეაჯენით... (ქსმ, VII, გვ. 140).

ბაღინა 1779 – იხ. ოქონა

ბაღინა 1789 – იხ. დიცი

ბაღინა 1791 – [არზა ფალავანდიშვილებისა]: ... სასახლე და ციხე, ნახევარი ჩვენია და ნახევარი ერეკლე ფალავანდისშვილის; გიორგი მეფეს გაუყრივართ... ახლა რომ ბაღინა აშენდა, ციხეში შეგვასწრო და ჩვენი წილი აღარ დაგვანება. მანამდინ, ამას უწინ ჩვენ ჩვენი გვეჭირა და იმას თავისი წილი... (ქსმ, VIII, გვ. 113).

ბაღინა 1797 – იხ. ფცა

ბაღინა 1796 – იხ. ქართლი

ბაღინა XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ძალღისცევი. პალაკაციო

ძალღისცევი 1031-1033 - იხ. მცხეთა

ძალღისცევი. შიდა ქართლი

ძალღისცევი 1559 - იხ. სხალდიდი

ძალონა - იხ. ძალინა

ძახორი. შიდა ქართლი

ძახორი 1785 ახლო - იხ. ქარელი

ძეგამი. კახეთი (?)

ძეგამი 1775 - ღმერთმა ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს სხიტლაძე კაცისა... ძეგამში ყვაფიანის შვილისა და ორი გამორჩეული საკომლო მამული რომ გვიბოძეთ, რვა მინალთუნი ვალათ ამიღია... ის ვალი თავს მაძევეს და მამული კი ისევე გამომერთვა... ყვაფიანის მამული და ველიციხეს წისქვილის წყალობა გვიყავით; თუ არ იქმნებოდეს ამ მამულების ბოძება, ერთს სხვაგანაც არის, გვიბოძეთ მამული... (ქსძ, VII, გვ. 304-305).

ძეგანანთკარი. შიდა ქართლი

ძეგანანთკარი 1781 - იხ. ისროლის ხევი

ძეგვი // ძეგუი. შიდა ქართლი

ძეგვი 1392 - იხ. ტფილისი

ძეგვი 1447 - იხ. მცხეთა

ძეგვი 1504-1511 - იხ. მცხეთა

ძეგვი 1504-1516 - იხ. მცხეთა

ძეგვი 1559 - იხ. სხალდიდი

ძეგვი 1624 - ... პირველადვა ვახტანგ გორგასლისაგან ფიცის ტეხისათვის შემოწირული იყო ძეგვი და ციხედიდი და აწ, სახასოდ - საკათალიკოზოდ გავკვადეთ [ზაქარია კათალიკოზმა]... (ქრონ, II, გვ. 446).

ძეგვი 1640 - კათალიკოსმა პატრონმა ქრისტეფორე ... როსტომ მეფის ბრძანებითა ... გიბოძეთ ... ძეგუსა კუამლი კაცი ოთხი ... თქვენ ... ქარსიძეს თამაზს და დავითს... (ქსძ, III, გვ. 504).

ძეგვი 1640 - ... კათალიკოსმა ... ქრისტეფორე ... თქვენ ... გედევანი შვილთა დავითს ... გიბოძეთ ძეგუს [ქარციძის ყმა-მამული]... და ამისდა სანაცვლოდ ... ქარციძეს მივეცით თქუენი ოთხი კუამლი კაცი ტირძინის. და ძეგუს ქარციძეს ხელი აღარა ჰქონდეს... და ძეგუსის მოურაობა თქვენთვის ... გუბოძებია... (ქსძ, III, გვ. 505).

ძეგვი 1668 - [შეწირულების წიგნი ღომენტი კათალიკოსისა]: ... ვინცა და რამანცა კაცმან ძეგვი და ციხედიდი შეწირულობისაგან შლად კვლეყოს, გამოაჯოს სუეტსა ცხოველსა ... იგიმც განიკდების ორისგანვე ნაწილისაგან... (ქსძ, III, გვ. 540).

ძეგვი 1678 - ... კათალიკოზმან ... ნიკოლოზ, ესე ... წყალობის წიგნი ... გიბოძეთ თქუენ ... ერთობილთ ძეგველთა... დიდი კოკა მოვშალეთ - და თორმეტიანი კოკა დავიდგიოთ; ძეგვის თავს სასახლე მოვშალეთ და ის ალაგი

თქვენ გიბოძეთ; და რახან ძეგვს ჩვენს ცხენებს დავაბემდეთ, ცხენს ჩვენს ქერს ვაჭმევდეთ... (ქსძ, III, გვ. 577).

ძეგვი 1687 – იხ. მცხეთა

ძეგვი 1724 – ჩვენ ... კათალიკოზ-პატრიარქმან ... დომენტიმ ... თქვენ, თა-
ხიშვილს შიოს ... გაგიწყვრით და შენი სამკვიდრო ძეგვის ნაცლობა გამო-
გართვით. მასუკან ისევ ... წყალობა გიყავით და ძეგვის ნაცლობა გიბოძეთ
სამკვიდროდ... (ქსძ, III, გვ. 705).

ძეგვი 1731 – ... ესე ნასყიდობის წიგნი ... მოგართუთ ჩუენ, ძეგველმა მეთი-
რაშვილმა ივანემ ... თქუენ ... ტფილელ მიტრაპოლიტს არსენს... რა ოს-
მალთ საქართველო დაიჭირეს, თავად გავდარიბდით, მერმე მოგვიცდა ღუ-
კი და ძეგვი სულ წააგვინა... მოგყიდეთ ჩემი ნასყიდი ვენატი ვარდიაშვი-
ლისაგან მოსყიდული... (ის, V, გვ. 45).

ძეგვი 1736-1744 – იხ. მოხისი

ძეგვი 1783 – ... საქართველოს კათალიკოს-პატრიარხმან ... ანტონი ... შენ,
გელენისძეს ... იოანეს ... მოგეცით სამცხეთოს სარდლობა... ეგრეთვე ძეგ-
ვის მოურაობა, როგორც სარდლობაზე სდებია, ისიც შენთვისვე გვიბოძე-
ბია... (ქსძ, III, გვ. 944).

ძეგვი 1795 ახლო – იხ. ქვახვრელი

ძეგვი 1800 – ... მეფის ძის ანტონის წინაშე მოსახსენებელი ... ერთობილ
ძეგველებსაგან... ვინცა-ვინ თქვენის ბძანებით ძეგვს მოსვლა ებძანა, ვი-
საც შეეძლო, იქ აღარ დადგა და ისევ აიყარნენ და წავიდნენ. ამ აყრილს
კაცთ გარდა, რვა კომლი ჭირმა ამოწყვიტა და ზოგიერთი იქ გახლავს...
ხომ მოგესხენებათ, გზა ადგილი გახლავს და მარტო აველელ-ჩამომღე-
ლისაგან ილაჯი გვაქვს წართმეული, ზოგი მოძალისაგან და ზოგიერთი
სტუმრისაგან. ეხლაც ბატონისშვილმა დავითმა რომ ამოიარა, ოცდახუთი
კოდი ქერი გამოგვერთო და ხუთასის კაცის პური სასმელ-საჭმელი სხვა
იყო... [ოქმი]: ამ ძეგველებს ნურაზე შეაწუხებთ ხოლმე და ყოველითურთ
ხელადებულნი უნდა იყვნეთ ამათხედა, ამიტომ რომ საშიშს გზაზედ დგა-
ნან – შუა შარაზედ, და ესენი მცველნი არიან... (ქსძ, VIII, გვ. 635-636).

ძეგლევი. შიდა ქართლი

ძეგლევი 1781 – იხ. ქსანი

ძეგლევი 1792 – იხ. ლამისყანა

ძეგლევი 1796 – [წერილი მეფის ძის გიორგისა]: იოანე! მერე თუ კახიშვი-
ლი ბერი ამ ფიცხელაურს არჯუევანიშვილს ნიკოლოზს შეარიგო, და ამის
ყმობა მოინდომა, ხომ ისა სჯობს. და თუ ამისი ყმობა არ უნდა, მაგ ძეგ-
ლევიდამ უნდა აჰყაროთ და სადაც უნდოდეს, იქ დააყენოთ. ძეგლევი ამა-
თი არის, და ვერც გამოვართმევთ და არც იქნება... და რაც მაგ კახიშ-
ვილს ბერს ამათს მამულს ძეგლევეში მოუგია რამე, ის სრულებით შუაზე
უნდა გაუყოთ და ამ ნიკოლოზს მოსცეთ... (სს, II, გვ.464).

ძეგნანთკარი. შიდა ქართლი

ძეგნანთკარი 1781 – იხ. ქსანი (ქსნის საერისთავო)

ბეგუი - იხ. ძეგვი

ბევერა // ბეგარა

ბევერა 1716-1724 - იხ. ხევთუბანი

ბევერა 1754 - იხ. დიღომი

ბევერა 1756 - იხ. ავჭალა

ბევერა 1759 - ... ნიკოლოზს ამირახორისშვილს ერგო საუმცროსოდ ... ათი დღის მიწა ბევერიდამა... ცხვილოსს ყუთულიშვილები თავისის მამულითა... ავაზნელი ხოსიტა... ამირიბე რუისს, თავისი ნასყიდის მამულითა და ვენახითა... ამის ფარდათ რევაზს [ამირახორისშვილს] ერგო ანესასშვილი ერნას მამულითა ჳელთუბანს... ნიკოლოზს ერგო ... ნიქოზს აბასალამისშვილი ივანე... რევის ზვარი ნიკოლოზს დიდი ზერისაკენ ერგო... კასპის ნაზვარი შუა გასაყოფია... ნიკოლოზს ერგო კომშას ვენახი... რაცა ამაში მამული დაწერილი არ არის, ხოდაბუნი გლეხის კაცისა, საკომლო ავაზნის და ორჭაშნის შუა, გასაყოფია... (ქსძ, IV, გვ. 469-470).

ბევერა 1772 - იხ. ხეობა

ბევერა 1784 - იხ. ზემო ქართლი

ბევერა 1795 - იხ. გორი

ბევერა 1796 - იხ. რველი

ბევერა XVIII ს. მიწ. - იხ. სურამი

ბევრეისწყალი. იმერეთი

ბევრეისწყალი 1475 - იხ. სკანდა

ბევრი. იმერეთი

ბევრი 1739 - ... ჩვენ ... მეფეთ-მეფემან ... ალექსანდრემ ... მოგახსენე მცირე ესე შემოსაწირი შენ ... ხახულისა და გელათისა წმიდასა ღვთისმშობელსა, უდროობით გამონაწირი ჭიჭინაძე ღომენტის შვილების მამული ბევრს აგიაშვილებს დაეპყრათ და აწ, ეს ჭიჭინაძენი ჩვენ შემოგვეხვეწენ, ავღეგით და მაგიერი ჩვენ მისდა სანაცვლოდ მივეცით და ეს ჭიჭინაძენის მამული ისევე წმიდას ხახულისა ღვთისმშობელს მიუძღვანეთ და შევსწირეთ... (იღ, I, გვ.70).

ბევრი 1778 - იხ. ოხოშირა

ბევრი 1782 - იხ. გელათი

ბელძვინა. შიდა ქართლი

ბელძვინა XVI ს. მიწ. - იხ. სურამი

ბეძენარიანი 1779 - იხ. ტანძია

ბექი. კახეთი

ბექი 1779 - ვანაძიანი ავხაზისშვილს დაეითს, ქიტისაშვილს და ახალკაცისშვილს საკომლოზედ ელაპარაკებოდნენ, ბედნიერს მეფესთან ეჩიულათ... კიდემ ახალკაცის შვილის მიწა რომ არის ბექეში, იმ მიწაზედ დავით ასე ეპასუხებოდა: ახალკაციშვილი რომ აყარეთ მამულიდამ, ეს მიწა მასუკან მე მივეც და გვაატეხინეო... (ქსძ, V, გვ. 75-76).

ბეგლეთი. შიდა ქართლი

ბეგლეთი 1796 – იხ. დირბი

ბეგლეთი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ბეგლი გაღავანი. კახეთი

ბეგლი გაღავანი 1800 – იხ. თელავი

ბეგლი გომარეთი. ქვემო ქართლი

ბეგლი გომარეთი 1718 – იხ. ურცევანი

ბეგლი დმანისი. ქვემო ქართლი

ბეგლი დმანისი 1627 – იხ. ქვაბევანი

ბეგლი დმანისი XVII ს. II ნახ. – იხ. წრაუთი

ბეგლი დმანისი 1707 – იხ. წრაუთი

ბეგლი დმანისი 1746 – იხ. ქვემო ვარდისუბანი

ბეგლი უზნარიანი. ქვემო ქართლი

ბეგლი უზნარიანი 1707 – იხ. უზნარიანი

ბეგლი სარაჩლო. ქვემო ქართლი

ბეგლი სარაჩლო 1800 – იხ. სარაჩლო

ბეგლი საწნახელი. ქვემო ქართლი

ბეგლი საწნახელი 1638 – იხ. ცოვრეთი

ბეგლი ქვეში. ქვემო ქართლი

ბეგლი ქვეში 1741 – იხ. ქვეში

ბეგლი ღრდულეთი. შიდა ქართლი

ბეგლი ღრდულეთი 1073 – იხ. თრიალეთი

ბეიმღეთი // ბეივღეთი // მბეიმღეთი // მბეივღეთი. შიდა ქართლი

ბეიმღეთი 1674 – იხ. ზემო მბეიმღეთი

ბეიმღეთი 1750 ახლო – ერთწილად აზნეურისშვილი ბეიმღეთს ტატიშვილი ოთარი, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, ერგო კოსტანტილეს [დავითიშვილს] (მსეი, III, გვ. 163).

ბეიმღეთი 1783 – იხ. სვენეთი

ბეიმღეთი 1784 – იხ. ფცა

ბეიმღეთი 1794 – იხ. დირბი

ბეიმღეთი XVIII ს. – იხ. ნული

ბეიმღეთი XVIII ს. – იხ. ტკოცა

ბიბითი. გურია

ბიბითი 1660-1662 – ... ჩუენ ... ლიხთიმრისა და ლიხთამრისა, ოსეთისა და დეაღეთისა,⁸² სვანეთისა და ყაბარდისა, ჯიქეთისა და აფხაზეთისა, დიდისა ოდიშისა და გურიისა და სრულიად საქართველოს მპყრობელ-მქონე-

⁸² ოსეთისა, დასავლეთისა (ქრონ, II, გვ. 484).

ბელმან დიდმა მეფეთ-მეფემან კელმწიფემ დადიანმან პატრონმან ვამეყ⁸³ ... მას ჟამსა, ოდეს ... სრულიად საქართველო დაეიჭირეთ, იმ დროსა ბიჭვინტის ღმრთისმშობელსა შამოგწირეთ გურიას წმიდის კვირიკეს საყდარი ძი-მითისა და მისი დეკანოზი და ... რვა კვამლი კაცი მათის ... მითთა და ბართითა... (ქსძ, VI, გვ. 671).

ძიძითი 1664 – იხ. გურია

ძირბი. კახეთი

ძირბი 1789 – ილანხევის თემს ამ ჩუენის ძირბის შერიგობა მოენდომებინა... მისის უმაღლესობისათვისაც მოეხსენებინათ, მათს უმაღლესობასაც შერიგება ებძანა... ჩვენ ... ორთავ პირობა ასე გამოვართეთ და დავაფიცეთ: მოვიდოდნენ, ივაჭრებდნენ და წავიდოდნენ მშვიდობით... ვინ იცის ... იმათგან ჩვენი კაცი წახდეს ... ან ჩვენის კაცისაგან იმათი კაცი მოკუდეს, რომელიც სისხლი და საზღაური კაბუჭელთ და დიდოთა აქუს მისის უმაღლესობისაგან განწესებული, ის საზღაური და სისხლი მიეცეს... დოსითელს ნეკრესელი ორთავ თავდებათ დამაყენეს... (ქსძ, V, გვ. 482-483).

ძირგული. რაჭა

ძირგული 1071-1080 – იხ. ზნაკვა

ძირიანი. იმერეთი

ძირიანი 1742-1769 – ... კათალიკოზ-პატრიარხმან ... ბესარიონ, შემოგწირეთ [ბიჭვინტას] კინი ესე შესაწირავი: ძირიანს ორი გლეხი... ჩვენს მემკვიდრე ყმას ბულაშვილს ამ ორმა გლეხმა ... შინაყმა მოპარეს ... და ახალციხეს გაუყიდეს... ეს ქურდები ... გავასამართლეთ და ... შენთვის, ბიჭვინტის ღმრთისმშობელს ... შემოგვიწირავს... (ქსძ, III, გვ. 880).

ძირობა. საინგილო (აღმოსავლეთი კახეთი)

ძირობა 1769 – იხ. ახალციხის ქვეყანა

ძირობი. კახეთი

ძირობი 1722 – იხ. სარუსთვლო

ძირულა, მდინარე. იმერეთი

ძირულა 1550-1570 – იხ. რომანაული პარტახტი

ძლევისჯვარი. კახეთი

ძლევისჯვარი 1579 – იხ. მცხეთა

ძლევისჯვარი. შიდა ქართლი

ძლევისჯვარი 1712 – იხ. ურბნისი

ძლევიჯვარი 1724-1744 – იხ. ძარწემი

ძმიანთკარი. არაგვის ხეობა

ძმიანთკარი 1781 – იხ. წკერე

ძმუისი. იმერეთი

⁸³ დიმიტრი (ქრონ, II, გვ. 484).

ძმუისი 1778 - ... ჩვენ... მეფემან ... სოლომონ ... თქვენ, წმიდის ნიკოლოზის ეკლესიის ყმას, ერთობით ძმუელებს და წყნორელებს ... ამოვიწერეთ საუ-
რი... (დსსს, II, გვ. 67).

ძოვრეთი - იხ. მძოვრეთი

ძულუხი. იმერეთი

ძულუხი 1762 - [ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავთარი]: ... წმი-
და გიორგი ზეგარდლის შეწირული ორი, ერისთვის შენაწირი ბეგარა და
ორი ჩიჯავაძის - ორი საყდარს ქონდეს ბეგარა და ორი სოფელს... ძუ-
ლუხშიდ. ხატის მამული რომელიც არის, ნახევარი საყდრისათვის იყოს,
ნახევარი სოფელს ქონდეს. რომნეთის მამულის გამოსავალი ნახევარი ხა-
ტისთვის და საყდრისათვის იყოს... გაღმა უხუთს წმიდის კვირიკეს საყ-
დრის მამული რომელიც არის, სოფლის კაცმან აკეთოს, ნახევარი მათ
ქონდეთ და ნახევარი საყდრისათვის იყოს. კერცხეთის მთავარანგელოზის
საყდრის მამული, რომელიც იყოს, სოფელმან აკეთოს, ნახევარი მათ ქონ-
დეს და ნახევარი საყდრისთვის იყოს ... კვერხეთის საყდრის ღვინო ორმო-
ცი კოკა ღვინო და მარჩილნახევარი თეთრი არის. კობერაულს წმიდის
კვირიკეს საყდრის შემავალს კაცს ხატის ღვინო დაეხარჯათ და ბარძიმ-
ვეშხუმი გააწყონ... (ქსძ, III, გვ. 847).

ძუძა. კახეთი

ძუძა 1722 - იხ. მარტყოფი

ძუძუნური. ქვემო ქართლი

ძუძუნური 1700 - იხ. ვანეთი

-V-

წაბლოვანა // წაბლოანა // წაბლუანი. შიდა ქართლი

წაბლოვანა XVII ს. დას. - იხ. ნული

წაბლოვანა 1615-1619 - იხ. ტკოცა

წაბლოვანა 1634 - იხ. ბროწლეთი

წაბლოვანა 1642 - იხ. ტკოცა

წაბლოვანა XVII ს. II ნახ. - იხ. სატივე

წაბლოვანა 1715 - ... დავითიშვილს ფიცით გამოეტანა სულ ერთპირად თა-
ვისი მამულები რისაც მქონებელი არის ... სოფელი წაბლოანა, სოფელი
სტკოცა და რიკაძე მათის მამულითა... (ქსძ, IV, გვ. 261-262).

წაბლოვანა 1750 - ... ერთწილათ წაბლოანას მახარებლის ნადირას მამუ-
ლი, დღეს რაც არის, ერგო ბერს... (მსეი, III, გვ. 160).

წაბლოვანა XVIII ს. - იხ. ტკოცა

წაკისი. შიდა ქართლი

წაკისი 1392 - იხ. ტფილისი

წაკისი 1595 - მეფე სვიმონ და იგივე მისი ოჯახობა სწირავს მეტეხის ღვთისმშობელს სოფელ წაკისს (ქრონ, II, გვ. 428).

წაკისი 1677 - [გიორგი და ლევან ბატონიშვილების შეწირულობის წიგნი]: ... ძველი შეწირული იყო სვეტიცხოვლისა ეს სოფელი და ეპითა ვითარებისაგან გამოკობოდა; აწუ ... ისრევე შემოგწირეთ სოფელი წაკისი... ესე წაკისი შეძველებით და საბოლოოდ მოგვისხენებია... (ის, IV, გვ. 54).

წაკისი 1700 - იხ. წერაქვი

წაკისი 1712 - იხ. პაძისი

წაკისი 1736 - იხ. კიკეთი

